თავი I

სამთავრობო პროგრამა
„ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“

ძირითადი დებულებები

მთავრობის უცვლელ პრიორიტეტად რჩება ძლიერი, ეფექტიანი, კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული, დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა. იმისათვის, რომ დემოკრატიულ რეფორმებს შეუქცევადი ხასიათი მიეღო და განხორციელებულიყო ფართომასშტაბიანი რეფორმები, მნიშვნელოვნად შეიცვალა საკანონმდებლო ბაზა; უზრუნველყოფილ იქნა სახელმწიფო ორგანოების დაბალანსებული მუშაობა; დაიწყო რეალური თვითმმართველობის მშენებლობის პროცესი; რამდენიმეეტაპიანი ფუნდამენტური რეფორმა ხორციელდება მართლმსაჯულების სფეროში; უზრუნველყოფილია მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის არსებობა; უზრუნველყოფილია გამოხატვის თავისუფლება; დაიწყო პოლიტიკური წნეხისგან თავისუფალი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბება; შემუშავებულია ქვეყნის უახლოესი, საშუალო და გრძელვადიანი განვითარების პოლიტიკა. ამ მიზნით უკვე მომზადდა 2020 წლამდე საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. დასრულების პროცესშია საჯარო ადმინისტრირების რეფორმის სტრატეგია, რომლის განხორციელებაც დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს.

საპრეზიდენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გამჭვირვალე და თავისუფალ გარემოში ჩატარებით კოალიცია ,,ქართულმა ოცნებამ“ საქართველოში დაამკვიდრა დემოკრატიული არჩევნების ტრადიცია.

საქართველოში დაიწყო და გრძელდება ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული ინსტიტუტების განვითარება. სამართლის უზენაესობის უზრუნველყოფის პროცესი შეუქცევადი გახდა; მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებების ხელშეუხებლობის გარანტიას სახელმწიფო იძლევა; დანაშაულთან ბრძოლას მტკიცე და შეუპოვარი ხასიათი აქვს, მაგრამ პოლიტიკური ნიშნით დევნა გამორიცხულია. ამასთან, დაიწყო პოლიტიკური წნეხისგან თავისუფალი სასამართლო და სამართალდამცავი სისტემების მშენებლობა.

საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების მთავარ ორიენტირად განიხილება ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია, რომელიც ჩვენი საზოგადოების თავისუფალი, ერთსულოვანი და ურყევი არჩევანია.

გასულ წელს ასოცირების შეთანხმების ხელმოწერით საქართველომ ისტორიული ნაბიჯი გადადგა, რამაც ევროკავშირთან ურთიერთობები ხარისხობრივად სრულიად ახალ ეტაპზე გადაიყვანა და სახელმწიფოს ევროპეიზაციის პროცესი შეუქცევი გახადა. 2014 წლის 18 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა შეთანხმების რატიფიცირება. ასოცირების შეთანხმების რატიფიცირება ევროპარლამენტმა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმრავლესობამ მოახდინა. 2014 წლის 1 სექტემბრიდან ხელშეკრულების ამოქმედებით ევროინტეგრაცია გახდა ჩვენი ქვეყნის საშინაო პოლიტიკის ნაწილი. ასოცირების შეთანხმება საქართველოს ევროპული ტრანსფორმაციისათვის ქმნის რეალურ სამართლებრივ საფუძველს და საქართველოს უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის განხორციელებული მნიშვნელოვანი ინვესტიციაა. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცეველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტის განხორციელების პროცესშიც საქართველო თანამიმდევრულად გახდება ევროკავშირის ეკონომიკური სივრცის ნაწილი.

ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება საქართველოს მთავრობის საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. 2014 წლის 1 სექტემბრიდან ქვეყანა ყველაზე საპასუხისმგებლო, იმპლემენტაციის ეტაპზე გადავიდა. ასოცირების შეთანხმების განხორციელება ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების მთელ სპექტრს შეეხება. შესაბამისად,

ფართომასშტაბიანი რეფორმები მოემსახურება ადამიანის უფლებების დაცვის განმტკიცებას, დემოკრატიის გაღრმავებას, მეტ გამჭვირვალობას, ეფექტიან მმართველობას, უსაფრთხოებისა და რეგიონალური თანამშრომლობის განმტკიცებას, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოსა და ხელსაყრელი ბიზნესკლიმატის ჩამოყალიბების უზრუნველყოფას. შეთანხმება სრულად თანხვედრაშია მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხედვასთან. აღნიშნული რეფორმები, საბოლოოდ, უზრუნველყოფს ქვეყნის ევროპული ტიპის დემოკრატიად ჩამოყალიბებას. ასოცირების შეთანხმების შესრულების მიზნით დაწყებულია მუშაობა იმისათვის, რომ ამოქმედდეს შესაბამისი ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული მექანიზმები ფართომასშტაბიანი რეფორმების განსახორციელებლად. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებიდან გამომდინარე, იგეგმება ადგილობრივი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება.

მთავრობის მიერ განხორციელებული არაერთი რეფორმის შედეგად დღეს ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა ახლო მომავლის პერსპექტივაა. მნიშვნელოვანია, რომ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმამ ხელი შეუწყო სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის აღმოფხვრის, ადამიანის უფლებათა დაცვის, დოკუმენტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მიგრაციის სფეროებში რეფორმების განხორციელებას.

განვაგრძობთ ევროკავშირთან აქტიურ თანამშრომლობას, საქართველოში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ხელშეწყობის, მათ შორის, საქართველოში კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირების პროცესში ევროკავშირის როლის შემდგომი გაძლიერების მიმართულებით.

გრძელდება ქვეყნის უსაფრთხოებასა და რეგიონალური პოზიციების გამყარებაზე მუშაობა. მთავრობა განაგრძობს ნატოსთან თანამშრომლობას ინტეგრაციის გაღრმავებისა და ამ ორგანიზაციაში საბოლოო გაწევრიანების მიზნით. ნატოში საქართველოს გაწევრიანება წარმოადგენს ქვეყნის სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცების გარანტიას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქვეყნის მდგრად და დემოკრატიულ განვითარებას, ეკონომიკურ აღმავლობასა და კეთილდღეობას.

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა ეფუძნება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებსა და ღირებულებებს. მთავრობა გააგრძელებს მუშაობას უმუშევრობისა და სიღარიბის დასაძლევად, უნარიანი და მშრომელი მოქალაქეებისათვის შექმნის ღირსეულ პირობებს; ამისათვის მიმდინარეობს და გაგრძელდება წვრილი და საშუალო ბიზნესისა და სოფლის მეურნეობის უპრეცედენტო განვითარება; სახელმწიფო გააგრძელებს კერძო საკუთრებისა და შრომითი უფლებების დაცვის გაძლიერებას; უზრუნველყოფს მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ქვეყნის ინტეგრირებას; შრომისუუნარო მოქალაქეებისათვის გააგრძელებს ცხოვრების ღირსეული პირობების უზრუნველყოფას, რისთვისაც დაამკვიდრებს უსაფრთხო სოციალურ გარემოს და განავითარებს სოციალური სოლიდარობის სისტემას; კვლავ იზრუნებს ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობაზე და ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო და სოციალურ-ეკონომიკურ მოდერნიზებას.

უკვე გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები მედიის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად და მთავრობა აგრძელებს ეფექტიან მუშაობს ამ მიმართულებით. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ავტორობით მომზადდა საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისთვის საჭირო რეფორმების გატარებას. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებით მოხდება გამოხატვის თავისუფლებისა და მედია პლურალიზმის ხელშეწყობა, ასევე, სამაუწყებლო ბაზრის, საქართველოში წარმოებული სამაუწყებლო კონტენტის განვითარების წახალისება, საეთერო სამაუწყებლო ბაზარზე შესვლის დაბრკოლების მინიმუმამდე დაყვანა და მრავალფეროვან და მაღალხარისხიან საეთერო სამაუწყებლო კონტენტზე მომხმარებელთა წვდომის უზრუნველყოფა.

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების სისტემა უზრუნველყოფს სათანადო რესურსების გამოყოფას იმისათვის, რომ პარტიებმა შეძლონ ეფექტიანად საქმიანობა და საარჩევნო კამპანიის სრულფასოვნად წარმართვა. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი ცვლილებები უკვე შეტანილია კანონმდებლობაში.

მთავრობის პოლიტიკა ეფუძნება საქართველოს მოსახლეობის მიერ მკაფიოდ გამოხატულ ინტერესებს. მთავრობა გააგრძელებს მუშაობას მოქალაქეთა ჩართულობის გასაზრდელად, რაც სამთავრობო პოლიტიკის დაგეგმვისა და რეალიზაციის პროცესის უმთავრესი საფუძველი იქნება.

პროგრამული მიმართულებები

საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციური მოწყობა

საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების შემდეგ ამოქმედდა საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები, რომლებიც საქართველოს საპრეზიდენტო რესპუბლიკიდან უპირატესად საპარლამენტო რესპუბლიკად გარდაქმნის. თუმცა, ამ ახალ მოდელში ბევრი ისეთი ხარვეზი და ბუნდოვანი ნორმაა, რომლებიც გამოსწორებას და გაუმჯობესებას მოითხოვს, რათა ქვეყანაში ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის სამართლებრივი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი რეალური ბალანსი ჩამოყალიბდეს. სწორედ ამ მიზნით, 2013 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტმა შექმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, რომელიც მუშაობს საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაზე.
ახალი კონსტიტუციით დადგინდება მმართველობის ისეთი მოდელი, რომელიც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს მთავრობის სტაბილურობას, ხოლო, მეორე მხრივ, საკანონმდელო ორგანოსა და საზოგადოებას მისცემს რეალურ ბერკეტებს ხელისუფლების საქმიანობის ქმედითი და ეფექტიანი კონტროლის განსახორციელებლად.

სასამართლო ხელისუფლება
სასამართლო რეფორმის კონცეფცია გახდა ხელისუფლების პოლიტიკური ზემოქმედებისაგან სასამართლოს გათავისუფლების საფუძველი; მართლმსაჯულება დღითი დღე სულ უფრო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ხდება.
სასამართლო ხელისუფლების ორგანიზაციულ უზრუნველყოფას თავად სასამართლო ხელისუფლება ახორციელებს; უზრუნველყოფილი იქნება სასამართლოს ინსტიტუციონალური დამოუკიდებლობა, მათ შორის, სასამართლოს ფინანსური დამოუკიდებლობის კუთხითაც.
უკვე გატარდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელთა შედეგადაც განხორციელდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული დეპოლიტიზაცია, შემოღებულ იქნა საბჭოს წევრების არჩევის ახალი, დემოკრატიული წესები და, შესაბამისად, პირველად ჩატარდა საბჭოს მოსამართლე წევრების არჩევა ამ წესების შესაბამისად. შემოღებულ იქნა მკაფიო კრიტერიუმები და გამჭვირვალე, სანდო სისტემა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ იმ ახლად დანიშნულ მოსამართლეთა საქმიანობის შესაფასებლად, რომლებიც სამწლიანი გამოსაცდელი პერიოდის შემდეგ, თანამდებობაზე უვადოდ უნდა განწესდნენ. მთავრობის მიზანია, კიდევ უფრო გაიზარდოს მოსამართლეთა მონაწილეობა და ჩართულობა საკანონმდებლო გამოწვევებთან დაკავშირებულ დისკუსიებში, რასაც ახლახან პარლამენტის მიერ სასამართლო ხელისუფლების ახალი ხელმძღვანელის არჩევა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს. გაგრძელდება მუშაობა იმისათვის, რომ სათანადოდ უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო ხელისუფლების ადმინისტრირების პროცესის სრული გამჭვირვალობა და მართლმსაჯულების მთელი პროცესის საჯაროობა.
მოსამართლეები თანამდებობაზე განწესდებიან მხოლოდ კონკურსის საფუძველზე, რომელშიც თანაბარ საწყისებზე მიიღებენ მონაწილეობას როგორც იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულები, ისე იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლისგან გათავისუფლებული პირები; საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრება მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმები და მათი მახასიათებლები. დადგინდება მოსამართლეობის კანდიდატის თაობაზე სანდო ინფორმაციის მოძიების წესი, ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევები და მოსამართლის თანამდებობაზე განწესებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა.
მოწესრიგდება იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთა მისაღები კონკურსის პროცედურა და ამ პროცესში ერთმანეთისაგან გაიმიჯნება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის კომპეტენცია, დაწესდება კონკურსის ობიექტურად და თანასწორად წარმართვისა და

იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება; უზრუნველყოფილი იქნება იუსტიციის უმაღლესი სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობა და შესაძლებელი იქნება მისი მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება.
ახლად შერჩეული მოსამართლეები თანამდებობებზე უვადოდ განწესდებიან სამწლიანი გამოსაცდელი ვადის წარმატებით გავლის შედეგად. გამოსაცდელი ვადის განმავლობაში მოსამართლეთა შეფასების სისტემა იქნება მიუკერძოებელი, შეფასება მოხდება ობიექტური კრიტერიუმების შესაბამისად, საერთაშორისო გამოცდილებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით.
შემოღებული იქნება საქმეთა ავტომატური განაწილების პრინციპი; გაიზრდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობის ხარისხი.
დაიხვეწება დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურები. მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების უფლებამოსილება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პრეროგატივა იქნება; მიმდინარეობს მოსამართლეთა დაწინაურებისა და სხვა სასამართლოში მივლინების ღია და გამჭვირვალე წესების შემუშავება. მოსამართლის თანხმობის გარეშე მივლინება დასაშვები იქნება მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები.
გაფართოვდება საკასაციო სასამართლოში საჩივრის დასაშვებობის კრიტერიუმები, მათ შორის, იმ კუთხით, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დასაშვებად ცნოს საჩივარი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, თუ იგი ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. ამასთან, სისხლის სამართლის საქმეზე საკასაციო საჩივარი დასაშვები იქნება ნებისმერ შემთხვევაში, თუ საქმე არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენას ეხება.
გაიზრდება უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა რიცხვი და მათი რაოდენობა განისაზღვრება კანონით.
მთავრობა მუშაობს რიგითი მოსამართლის დამოუკიდებლობის ხარისხის ასამაღლებლად. სასამართლოს თავმჯდომარეებს აირჩევენ თავად სასამართლოს წევრი მოსამართლეები; დადგინდება მოსამართლის დამოუკიდებლობისა და საქმის განხილვის პროცესში ჩარევის დაუშვებლობის დამატებითი გარანტიები.

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა

დანაშაულის გამოვლენისა და გამოძიებისათვის მიმდინარეობს საგამოძიებო საქმიანობის ხარისხის ამაღლება. დაიწყო სამართლიანი და ჩადენილი ქმედების თანაზომიერი სასჯელის პოლიტიკის განხორციელება; პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების, ისევე როგორც სასჯელის მოხდის რეჟიმი უახლოვდება საერთაშორისო სტანდარტებს, რითაც უფრო მეტად იქნება დაცული ადამიანის უფლებები.
საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტმა შეიძინა სწრაფი, ეფექტიანი და ამასთან სამართლიანი მართლმსაჯულების მექანიზმის თვისებები; საერთაშორისო სტანდარტებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად გაიზარდა დაზარალებულთა უფლებები.
მთავრობამ მოამზადა წინასწარი პატიმრობის შეფარდებისა და გადასინჯვის საკანონმდებლო რეფორმა, რომლის მიღების შედეგადაც მოქალაქე ბოლომდე იქნება დაცული ნებისმიერი თვითნებობისგან, როგორც ამას ევროპული სამართლებრივი სტანდარტები ითვალისწინებს.
აქტიურად მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვა და დახვეწა მისი ლიბერალიზაციისა და მოდერნიზაციის მიზნით.
პირველად შემუშავდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი მნიშვნელოვანი სამართლებრივი დოკუმენტია და მიზნად ისახავს მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე არასრულწლოვანთა - როგორც ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა, ასევე მოწმეთა და დაზარალებულთა - საუკეთესო ინტერესების დაცვას. ეს კოდექსი ნოვაციაა ჩვენს სამართლებრივ სივრცეში და მთავრობის მიზანს ამჟამად მისი სრული და ეფექტიანი იმპლემენტაცია წარმოადგენს.

დანაშაულთან ეფექტიანი ბრძოლის პარალელურად, ეფექტიანად მიმდინარეობს და გაგრძელდება ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციის პოლიტიკის განხორციელება.
მიმდინარეობს ნარკომანიასთან ბრძოლის პოლიტიკის რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავს დაბალანსებული, ადამიანის უფლებების დაცვასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ანტინარკოტიკული პოლიტიკის ჩამოყალიბებას. ასევე, სისხლის სამართლის კოდექსში ნარკოტიკული საშუალებების შეძენის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნისა და გასაღების ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმა
მიმდინარეობს საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევების კოდექსის სისტემურად ახალი პროექტის შემუშავება; ადმინისტარციული პატიმრობის ვადა შემცირდა 15 დღემდე ვადით, რაც შეესაბამება საერთაშორისო ნორმებს.

პროკურატურის რეფორმა
მთავრობა აქტიურად მუშაობს იმისათვის, რომ გაიზარდოს პროკურატურისადმი საზოგადოების ნდობა. პროკურატურის ფუნქცია გარდაიქმნა და მისი მთავარი ამოცანაა საზოგადოების დაცვა დანაშაულისაგან, ბრალდებულისა და მსჯავრდებულის, აგრეთვე დაზარალებულის კანონიერ უფლებათა დაცვა და საგამოძიებო ორგანოთა მართლზომიერი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მათი საქმიანობის ზედამხედველობით.
პროკურატურა დეპოლიტიზებულია და ეს კურსი გაგრძელდება. იუსტიციის სამინისტროს სისტემაში პროკურატურა ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სამართალდამცავ ორგანოდ. მთავრობა ახორციელებს მნიშვნელოვან ღონისძიებებს პროკურატურის სისტემაში მომუშავე პირთა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების კუთხით, რათა პროკურორებს შეეძლოთ ღირსეულად მიიღონ ახალი გამოწვევები სასამართლოს დამოუკიდებლობისა და სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა რეალური თანასწორობის პირობებში.
საერთაშორისო სტანდარტებისა და სახელმწიფოთა პრაქტიკის კვლევაზე დაყრდნობით შემუშავდა პროკურატურის სისტემის რეფორმის კონცეფცია და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები. რეფორმის შედეგად, მოქმედი კონსტიტუციური ნორმების გათვალისწინებით, მთლიანად გარდაიქმნება საქართველოს მთავარი პროკურორის შერჩევისა და დანიშვნის წესი და ამ პროცესში, უზრუნველყოფილი იქნება როგორც მთავრობის, ასევე პარლამენტისა და საზოგადოების მონაწილეობა. ჩვენი მიზანია, მივიღოთ ისეთი მოდელი, რომლის ფარგლებშიც პროკურატურა იქნება გახსნილი და ანგარიშვალდებული სისტემა და, ამავე დროს, შეძლებს დანაშაულთან ეფექტიან ბრძოლას საზოგადოების დაცულობის უზრუნველსაყოფად.
მთავარი პროკურატურისთვის, ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩება სამართლიანობის აღდგენა და მოქალაქეებისათვის 2012 წლის 1 ოქტომბრამდე უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნება. საქართველოს მთავარ პროკურატურაში ჩამოყალიბდა სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულების გამოძიების დეპარტამენტი. შემუშავდება უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნებისა და დაზარალებულის დარღვეული უფლების სწრაფად და ეფექტურად აღდგენის სამართველებრივი მექანიზმები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის რეფორმა
2012 წლის ნოემბრიდან შს სამინისტრო გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან და ჩამოყალიბდა როგორც საზოგადოებაზე ორიენტირებული უწყება. მისი ძირითადი მიზანია მოქალაქეთა უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვა. შინაგან საქმეთა სამინისტრო დეპოლიტიზებულია და ამ კურსიდან გადახვევა არ მოხდება. უცვლელია შსს-ს სისტემაში 2013 წელს დამკვიდრებული მიუკერძოებლობისა და ნეიტრალობის პრაქტიკა საარჩევნო პროცესებთან მიმართებით. პოლიცია თავის საქმიანობას წარმართავს კანონის, დემოკრატიული სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების სრული დაცვით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმის ფარგლებში, იგეგმება სამინისტროს სისტემის გაყოფა. ცალკე უწყებად დარჩება შინაგან საქმეთა სამინისტრო და შეიქმნება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური საკუთარი ამოცანებითა და სტრუქტურით. აღნიშნული წარმოადგენს იმ რეფორმის ლოგიკურ გაგრძელებას, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროში დაწყებულია 2012 წლიდან. მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ საჭიროა სამართალდამცავი და უსაფრთხოების უწყებების იმგვარი ინსტიტუციური მოდელის განსაზღვრა, რომელიც უზრუნველყოფს ახალი, უფრო დემოკრატიული და საზოგადოების წინაშე უფრო მეტად ანგარიშვალდებული სისტემის ჩამოყალიბებას.
პოლიციის ორგანოების ძირითად ფუნქციად დანაშაულის თავიდან აცილება და აღკვეთა დარჩება, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კი სახელმწიფო უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული საფრთხეების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება, ასევე სპეციფიკური დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა. გათვალისწინებული იქნება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტი. აღნიშნული გამოიხატება, ერთი მხრივ, ხელმძღვანელის დანიშვნის წესში და, მეორე მხრივ, საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების განსაზღვრაში.
აღნიშნული ცვლილებების შედეგად უზრუნველყოფილი იქნება სისტემის ფარგლებში მოქცეული ჭარბი ძალაუფლების დეკონცენტრაცია, რაც დადებითად აისახება ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტიანობაზე.
ახალი ორგანიზაციული მოწყობის მიხედვით, შინაგან საქმეთა სამინისტრო განახორციელებს საპოლიციო და არასაპოლიციო ფუნქციებს, მათ შორის, მიგრაციის, საზღვრის, საგანგებო სიტუაციების მართვისა და მომსახურების სფეროებში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციისა და ანალიზზე დაფუძნებული პოლიციის მიდგომების დანერგვას. საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია ეს არის პოლიციასა და საზოგადოებას შორის თანამშრომლობა, რომელიც უზრუნველყოფს დანაშაულთან და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევებთან დაკავშირებულ პრობლემათა გადაჭრაში საზოგადოების მონაწილეობას.
პრიორიტეტებს განეკუთვნება სამინისტროს სისტემაში პოლიციის საქმიანობის არსებული სტანდარტების შემდგომი დახვეწა საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. დაინერგება პოლიციელთა საქმიანობის შეფასების ობიექტური სისტემა, რაც უზრუნველყოფს პოლიციელთა პროფესიონალიზმის ამაღლებას, უნარ-ჩვევების დახვეწასა და თანამშრომელთა მუშაობის ეფექტიანობის გაზრდას; აღნიშნული მიმართულებით სამინისტრო მჭიდროდ თანამშრომლობს ამერიკელ პარტნიორებთან.
პოლიცია გააგრძელებს საზოგადოებასა და მის საჭიროებებზე ორიენტირებას. სწორედ აქედან გამომდინარე, კვლავ პრიორიტეტად რჩება პოლიციასა და საზოგადოებას შორის ნდობისა და თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება. პოლიციის საქმიანობაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ადამიანის უფლებების პატივისცემას, კანონიერების, პროპორციულობის, თანასწორობისა და ნეიტრალობის პრინციპების დაცვას. შსს-ს ერთ-ერთ პრიორიტეტს აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამებში ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების სწავლება წარმოადგენს.
გაიზრდება საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის შესაძლებლობები. გაგრძელდება პოლიციის ახალი შენობების მშენებლობა, ასევე არსებულის რეაბილიტაცია, შსს–ს ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება. იზრდება და იხვეწება შსს-ს კრიმინალისტიკური ექსპერტიზის შესაძლებლობები.
დაგეგმილია თანამედროვე სტანდარტების დროებითი მოთავსების იზოლატორების (დმი) მშენებლობა. ასევე, არსებული იზოლატორების რეაბილიტაცია და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება. დაკავებულთა სამედიცინო მომსახურების გასაუმჯობესებლად, დროებითი მოთავსების ყველა იზოლატორში დასაქმდებიან ექიმები.
გაგრძელდება ბრძოლა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას, მათ შორის, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.
ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად რჩება ნარკოტიკულ საშუალებათა არალეგალურ ბრუნვასთან ბრძოლა, ასევე, ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეული წარმატების შენარჩუნება. შსს

გააგრძელებს აქტიურ მუშაობას დაბალანსებული ნარკოპოლიტიკის მიმართულებით. გაძლიერდება ბრძოლა ტრეფიკინგის წინააღმდეგ. აღნიშნული მიმართულებით იგეგმება სამართალდამცავთა პროფესიული უნარ–ჩვევების შემდგომი განვითარება.

სამინისტროსთვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით ძალადობის ფაქტების შემცირება და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება, როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში. დაიხვეწება პოლიციელთა მიერ ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების მექანიზმები. დიდი ყურადღება დაეთმობა ოჯახში ძალადობის, აგრეთვე არასრულწლოვანებთან დაკავშირებული ძალადობის, ნარკომანიის, ტრეფიკინგის, საგზაო უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას.

პრიორიტეტებს განეკუთვნება მიგრაციული პროცესების ეფექტიანი მართვა. შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში 2014 წლის სექტემბერში შეიქმნა მიგრაციის დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყანაში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ პირთა გამოვლენასა და მათ მიერ ქვეყნის დატოვების უზრუნველყოფაზე. ადამიანის უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტების შესაბამისად აშენდა და ექსპლოატაციაში შევიდა უკანონოდ მყოფ პირთა დროებითი განთავსების ცენტრი. ამოქმედდა არალეგალ მიგრანტთა გამოვლენის ელექტრონული პროგრამა. უმჯობესდება სასაზღვრო უსაფრთხოება. დაგეგმილია სასაზღვრო ინფრასტრუქტურის (მათ შორის სანაპირო დაცვის ინფრასტრუქტურის) მშენებლობა/რეაბილიტაცია, ასევე სანაპირო დაცვის ფლოტის მოდერნიზაცია. გაუმჯობესდება მესაზღვრეთა სამუშაო პირობები.

საგანგებო სიტუაციების ეფექტიანი მართვისა და ერთიანი ორგანიზების მიზნით განხორციელდა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სისტემის რეფორმა. შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი გარდაიქმნა საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოდ და მასში გაერთიანდა რეგიონალური და მუნიციპალური სამაშველო და სახანძრო-სამაშველო დანაყოფები. უმჯობესდება შსს-ს საგანგებო სიტუაციებზე, მათ შორის, ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ (ქბრბ) საფრთხეებზე რეაგირების შესაძლებლობები. დაგეგმილია საგანგებო სიტუაციების სამსახურების სტანდარტების დაახლოება ევროკავშირის ერთიანი სამოქალაქო თავდაცვის მექანიზმთან.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ სფეროდ რჩება ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოების პოლიტიკა. შემუშავდა და დამტკიცდა ქბრბ საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

შსს დიდ ყურადღებას დაუთმობს ნორმატიული ბაზის დახვეწას, მომსახურების ხარისხის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას. გაიზრდება შსს-ს შესაძლებლობები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებისა და პერსონალის პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების გზით. სამინისტროს საჭიროებების შესაბამისად გადამუშავდება არსებული და შემუშავდება ახალი სპეციალური პროფესიული სასწავლო პროგრამები. შსს-ს აკადემიში 2015 წლის სექტემბრიდან სწავლება დაიწყება საბაკალავრო პროგრამაზე.

შს სამინისტრო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თანამშრომელთა სოციალურ დაცვას. გაიზრდება პოლიციელთა სოციალური დაცვის გარანტიები და სამხედრო პირების სოციალური დაცვის გარანტიასთან გათანაბრდება.

სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმა

სასჯელაღსრულების სისტემის პრიორიტეტია მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა უფლებების დაცვა. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შეუქცევადად გაგრძელდება საცხოვრებელი ფართობით, კვების რაციონით, სამედიცინო პროგრამებით, ჰიგიენური და სანიტარიული პირობებითა და პატიმართა მიმართ მოპყრობის ევროპულ სტანდარტებთან მიახლოების პროცესი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასჯელაღსრულების სისტემაში არასათანადო მოპყრობის პრევენციას, ადამიანის უფლებათა შიდა მონიტორინგის გაძლიერებასა და სისტემის გამჭვირვალობისთვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმას.

სასჯელაღსრულების სისტემის განვითარების მნიშვნელოვანი მიმართულებაა მსჯავრდებულთა რისკებად დაყოფა, მათი შესაბამის დაწესებულებებში რისკების მიხედვით გადანაწილების მექანიზმის

შექმნა და პრაქტიკაში სრულყოფილად დანერგვა, რაც ამ სფეროში თვისობრივად ახალი მიდგომაა. თავად დაწესებულებების კლასიფიკაციაც მოხდება რისკების მიხედვით. გაიხსნება განსაკუთრებული რისკისა და დაბალი რისკის დაწესებულებები.

აქტიურად დაინერგება სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა, რომელიც წარმატებით ხორციელდება არასრულწლოვანთა დაწესებულებებში. სრულწლოვან მსჯავრდებულებში პირველ ეტაპზე სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა განხორციელდება ქალ მსჯავრდებულთა დაწესებულებაში, დაბალი რისკისა და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში. საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, განხორციელდება პირობით ვადამდე გათავისუფლების არსებული მოდელის გადახედვა. პირობით ვადამდე გათავისუფლების ახალი მოდელი, სასჯელის ინდივიდუალურ დაგეგმვასთან ერთად, გახდება მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროგრამების წარმატებული განხორცილების ეფექტური ინსტრუმენტი.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება სასჯელაღსრულების სისტემის ინსტიტუციური რეფორმის მიზნით: ჩამოყალიბდება ერთიანი უწყება; გაიმიჯნება სამოქალაქო და სპეციალური თანამდებობები; დაინერგება თანამშრომელთა წინასწარი მომზადებისა და სერტიფიცირების წესი; მოწესრიგდება თანამშრომელთა სტატუსთან, სოციალურ და სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებული საკითხები; უსაფრთხოების სამსახურებისა და სოციალური სამსახურის საქმიანობაში დაინერგება ახალი მიდგომები და მუშაობის თანამედროვე მეთოდები; ასოცირების შეთანხმების მოთხოვნების შესაბამისად, დაინერგება ახალი სტანდარტები პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით.

გაგრძელდება პენიტენციური ჯანდაცვის კუთხით მიმდინარე მთელი რიგი მნიშვნელოვანი რეფორმები, რომელებსაც შედეგად უკვე მოჰყვა დაფინანსების, ადმინისტრირების, ინფრასტრუქტურის, პროგრამებისა და სერვისების კომპონენტების არსებითი გაუმჯობესება, მსჯავრდებულთა სიკვდიალიანობის შემცირება.

დაინერგა პირველადი ჯანდაცვის მოდელი, დამტკიცდა პენიტენციური ჯანდაცვის სტანდარტი და ბაზისური მედიკამენტების ნუსხა, მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა მოწყვლად ჯგუფებზე ზრუნვისა და საჭიროებებზე ორიენტირებული მოვლის სისტემის განსავითარებლად. წარმატებით მიმდინარეობს C ჰეპატიტის, ტუბერკულოზის, აივ ინფექცია-/შიდსის პროგრამები. გაგრძელდება აქტიური მუშაობა პენიტენციური ჯანდაცვის სამოქალაქო ჯანდაცვაში ინტეგრაციისა და პენიტენციური ჯანდაცვის შემდგომი განვითარების კუთხით. იგეგმება სუიციდის პრევენციისა და მეთადონით დეტოკსიკაციის პროგრამების შემდგომი გაფართოება.

პენიტენციურ ჯანდაცვის სისტემაში გაგრძელდება მუშაობა შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებებით: სამედიცინო პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების განვითარება და ადმინისტრირების შემდგომი დახვეწა, სამედიცინო სერვისების გაფართოება და ხარისხის შენარჩუნება, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და სხვა მოწყვლად ჯგუფებზე ზრუნვის მუდმივი განვითარება.

მუშაობა გაგრძელდება მსჯავრდებულთა რისკების შეფასებისა და სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუმენტის გასაუმჯობესებლად, რომელიც ამ ეტაპზე აქტიურად ამოქმედდა.

იგეგმება პრობაციის სისტემის შესაძლებლობის განვითარება სხვადასხვა სახის არასაპატიმრო სასჯელთა ეფექტური გამოყენების თვალსაზრისით, დაინერგება არასრულწლოვან და სრულწლოვან მსჯავრდებულთა ელექტრონული მონიტორინგის სისტემა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფარგლებში ამოქმედდება წინასასამართლო ანგარიშის სისტემა, რაც ხელს შეუწყობს არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებზე ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას და გაზრდის სასამართლო გადაწყვეტილების ხარისხს.

საჯარო მმართველობის და საჯარო სამსახურის რეფორმა

ეფექტური საჯარო ადმინისტრირების სისტემა დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს. 2012 წლის შემდეგ, საქართველოს მთავრობამ საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელება დაიწყო, აღნიშნული, ერთი მხრივ, მიზნად ისახავს მთავრობის მიერ კარგი მმართველობის და დემოკრატიის განხორცილებას, ხოლო, მეორე მხრივ, ევროკავშირის საჯარო

სივრცესთან დაახლოებას. აღნიშნული რეფორმა გავრცელდება შემდეგ სფეროებზე: პოლიტიკის დაგეგმვის სისტემა, ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სამსახურში, ანგარიშვალდებულება, საჯარო ფინანსების მართვა, სახელმწიფო სერვისების მიწოდება და ადგილობრივი თვითმმართველობა.
რეფორმის განხორციელების შედეგად შეიქმნება პოლიტიკის დაგეგმვის ისეთი სისტემა, რომელიც გააძლიერებს კავშირს პოლიტიკისა და ბიუჯეტის დაგეგმვას შორის. ამასთან ერთად შეიქმნება პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშგების ძლიერი მექანიზმები.
საჯარო მმართველობის რეფორმა გრძელვადიან პერსპექტივაში სამართლებრივი და ინსტიტუციონალური გარემოს მუდმივ გაუმჯობესებას ისახავს მიზნად, რაც საბოლოო ჯამში ეფექტური პოლიტიკის პროცესს განაპირობებს.
საჯარო რეფორმის განუყოფელი ნაწილი საჯარო სამსახურის რეფორმაა. ქმედითი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბება მნიშვნელოვანია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისათვის. კერძოდ, საჯარო სამსახურის რეფორმის იმპლემენტაციის შედეგად ხდება პოლიტიკისაგან თავისუფალი, ღია და ეფექტური საჯარო სამსახურის ჩამოყალიბება; იქმნება საჯარო სამსახური, რომელსაც საფუძვლად ექნება თანამიმდევრული და მკაფიო სამართლებრივი ჩარჩო; ყალიბდება კარიერულ წინსვლაზე დაფუძნებული პროფესიული საჯარო მოხელის ინსტიტუტი, საჯარო მოხელეს მუდმივი განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საშუალება ეძლევა. ეს ყოველივე კი კარიერულ წინსვლაზე, დამსახურებასა და პროფესიულ განვითარებაზე დაფუძნებული საჯარო სამსახურის არსებობის საწინდარია.
აღნიშნული პროცესის საფუძველს წარმოადგენს მთავრობის ერთობლივი ძალისხმევის შედეგად შემუშავებული საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფცია, რომელსაც დაეყრდნობა ახალი კანონი საჯარო სამსახურის შესახებ.
საჯარო სექტორში შემავალი თითოეული უწყების ჩართულობისა და საჯარო სამსახურის სისტემის ერთიანობის უზრუნველყოფის, ასევე საჯარო უწყებების თანამედროვე ინსტიტუციური მოწყობის მიზნით, მიმდინარეობს ცენტრალური საჯარო უწყებების ფუნქციური ანალიზი.
საჯარო სამსახურის ეფექტურობისა და გადახალისების შესაძლებლობის გაზრდისა და საჯარო სამსახურში კვალიფიციური კადრების მოზიდვის მიზნით გაგრძელდება ისეთი ინიციატივები, როგორიცაა საჯარო უწყებებში სტაჟირების მიმდინარე პროგრამა.
ამასთანავე, საჯარო სამსახურის რეფორმის კონტექსტში გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული საჯარო სამსახურის ფორმირების ხელშეწყობის მიზნით, უკვე ამუშავდა მამხილებელთა დაცვის ინსტიტუტი, იგეგმება საჯარო მოხელეთა ეთიკის კოდექსის შემუშავება და ინერგება კორუფციასთან ბრძოლის ისეთი ძლიერი და ქმედითი მექანიზმი, როგორიცაა თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემა.

ადამიანის უფლებების დაცვა

ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმოება მთავრობის უმთავრესი პრიორიტეტია. ადამიანის უფლებათა სფეროში სხვადასხვა სექტორში საქმიანობის ეფექტიანობის კიდევ უფრო გაზრდისა და კოორდინაციისათვის საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა და პარლამენტმა დაამტკიცა „ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2014-2020“.
„ადამიანის უფლებათა სტრატეგიაში“ გაწერილია სახელმწიფოს გრძელვადიანი ხედვა და პრიორიტეტები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, მათ შორის, ნებისმიერი უმცირესობის უფლებების დაცვის კუთხით. ამ სტრატეგიის წარმატებულად განხორციელების მიზნით, მთავრობამ შეიმუშავა და დაამტკიცა 2-წლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ქვეყნის წინაშე მდგარ ძირითად გამოწვევებს და მუდმივად განახლდება. შექმნილია სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის მონიტორინგის მექანიზმი.

განათლება და მეცნიერება

განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარება-სრულყოფა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს მთელ საგანმანათლებლო

სივრცეში გარანტირებულ სასწავლო-აკადემიურ თავისუფლებასა და ადმინისტრაციული თუ ფინანსური მართვის ავტონომიურობის მაღალ დონეს.

განათლების მდგრადი განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის საფუძველზე, განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის სისტემის განვითარება; განათლების სისტემაში თანასწორობის, ხელმისაწვდომობისა და ინკლუზიის უზრუნველყოფა; განათლებისა და მეცნიერების ხარისხის გაუმჯობესება, შედეგზე ორიენტირებული ხარისხის მართვისა და მხარდაჭერის სისტემების სრულყოფა; განათლების სისტემის დაწესებულებების ავტონომიურობისა და ინსტიტუციონალური განვითარების უზრუნველყოფა; საგანმანათლებლო და სამეცნიერო სისტემის ყველა დონეზე ჩართული ადამიანური რესურსების განვითარება; საზოგადოების ჩართულობისა და სოციალური პარტნიორობის გაძლიერება; განათლებისა და მეცნიერების მართვის სისტემის სრულყოფა და განათლებისა და მეცნიერების სისტემის დაფინანსების მექანიზმების დახვეწა.

განათლების ხელმისაწვდომობის უზრულველყოფის მიზნით გაგრძელდება ყველა ის პროექტი, რომელიც 2013 წელს დაიწყო: მოსწავლეებისათვის უფასო სასკოლო სახელმძღვანელოების გადაცემა; მათი ტრანსპორტით მომსახურება; უსაფრთხო სასკოლო გარემოს კონცეფციის განხორციელება; ფსიქოლოგის, სპეციალური მასწავლებლის, ექიმის მომსახურება; კარიერის დაგეგმვის ხელშეწყობა; ინკლუზიური განათლების პროგრამებისა და რესურსების განვითარება; საუნივერსიტეტო უფასო პროგრამების განხორციელება; სახელმწიფოს მიერ პროფესიული განათლების დაფინანსება; დოქტორანტების დაფინანსება და სხვა სოციალური თუ საგანამანთლებლო პროგრამები.

შემუშავებული სტრატეგიის შესაბამისად, განათლების სისტემის სხვადასხვა დონეზე განხორციელდება ცვლილებები. 2015-2016 სასწავლო წლიდან ამოქმედდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა. მომზადდება კვალიფიციური კადრები განახლებული საუნივერსიტეტო პროგრამით, ხელს შევუწყობთ მოქმედი მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას, დაინერგება სრულყოფილი შეფასების სისტემა, მოწესრიგდება პედაგოგთა სახელფასო პოლიტიკა და გაუმჯობესდება მოსწავლეთა სასწავლო შედეგები.

2015 წლიდან მილენიუმის კორპორაციის მეორე კომპაქტის ფარგლებში თანამედროვე მეთოდოლოგიით გადამზადდება ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების ყველა მასწავლებელი საქართველოს მასშტაბით. ასევე კომპაქტის ფარგლებში დამტკიცდება საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების სტანდარტი და სკოლები აღიჭურვება თანამედროვე ლაბორატორიებით.

დამტკიცდება გრიფირების ახალი წესი, რომლის ფარგლებშიც განახლებული სასწავლო გეგმის მიხედვით შეიქმნება ახალი სახელმძღვანელოები. დაიწყება სკოლამდელი განათლების კომპონენტის დანერგვა სკოლამდელ დაწესებულებებში. ეთნიკური უმცირესობების განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად დასრულდება მუშაობა პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტზე და ამოქმედდება შესაბამისი პროგრამები. გაგრძელდება სასკოლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ახალი სკოლების მშენებლობა.

პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, გაგრძელდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნება/განვითარება.

ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად დამტკიცდება ევროპული მეთოდოლოგიითა და კერძო სექტორის მონაწილეობით დამუშავებული პროფესიული სტანდარტების პროექტები და დაინერგება მომზადებული მოდულური პროგრამები. კერძო სექტორთან თანამშრომლობით გადაიხედება საწარმოო პრაქტიკის კომპონენტი და შემუშავდება პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების მოდელი. შრომის ბაზრის სისტემური კვლევის შედეგების მიხედვით შემდგომში გადახალისდება პროფესიული პროგრამები. ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ამოქმედდება პროფესიულ განათლებაში კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის სისტემა. აღმოიფხვრება საგანმანათლებლო ჩიხი, რაც გზას გაუხსნის პროფესიული სასწავლებლის სტუდენტებს უმაღლესი განათლებისაკენ. გაგრძელდება მუშაობა სტუდენტთა საერთო საცხოვრებლების რეაბილიტაციაზე/მშენებლობაზე.

ეტაპობრივად განხორციელდება განათლების სისტემის ყველა დონის ინსტიტუციონალური აკრედიტაციის კონცეფცია, რომელიც გულისხმობს შედეგზე ორიენტირებულ შეფასებასა და ხარისხის

მონიტორინგის ქმედითი მექანიზმების დანერგვას. განხორციელდება აკრედიტაციის პროცესის ინტერნაციონალიზაცია, განსაკუთრებით უმაღლესი განათლების ნაწილში, რაც გაზრდის სანდოობას და ხელს შეუწყობს საქართველოში გაცემული ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტების საერთაშორისოდ ცნობასა და აღიარებას. იგეგმება საგამოცდო სისტემის გადახედვა ოპტიმიზაციის თვალსაზრისით და პარალელურად დაიწყება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვისა და დაფინანსების ახალი მექანიზმების დანერგვა.

ბოლონიის პროცესში საქართველოს გაწევრიანების კონტექსტში მთავრობა აქტიურად მუშაობს ევროპული განათლების სივრცეში ქვეყნის ინტეგრაციისათვის. ამ მხრივ მიმდინარეობს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს, უმაღლესი განათლების სფეროში შეფასების მექანიზმებისა და სტანდარტების გადახედვა.

ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებაში მეცნიერების როლისა და ეფექტიანობის გაზრდის უზრუნველსაყოფად შეიქმნა კვლევისა და ინოვაციების საბჭო საქართველოს პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით. აღნიშნული საბჭო უზრუნველყოფს სამეცნიერო დარგების განვითარების ხელშეწყობას, რათა მაქსიმალურად რეალიზებულ იქნეს ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალი და მოხდეს მისი კომერციალიზაციის ხელშეწყობა. მეცნიერების დაფინანსების, მათ შორის მეცნიერთა ხელფასის ზრდის პარალელურად, შემუშავდება შედეგზე ორიენტირებული შეფასების სისტემა, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება მეცნიერების განვითარების შემდგომი ეტაპები. მომზადდება საკანონდებლო ცვლილებები კვლევითი დაწესებულებების საქმიანობისა და მეცნიერთა ხელშეწყობის მიზნით. დაიწყება მუშაობა კვლევითი დაწესებულებების ინსტიტუციური მოწყობის საკითხებზე.

ევროკავშირთან სრულფასოვანი ინტეგრაციის გზაზე გადაიდგმება ქმედითი ნაბიჯები. გაღრმავდება ურთიერთობები საერთაშორისო კვლევით ცენტრებთან, დასრულდება მოლაპარაკებები ინფაქტფაქტორიანი სამეცნიერო ჟურნალების გამოცემაზე. საქართველოს გაუჩნდება ახალი შესაძლებლობები საბუნებისმეტყველო, ზუსტი და საინჟინრო მიმართულებების განვითარებისა და საერთაშორისო კვლევებში ჩართვისათვის. გაგრძელდება მოლაპარაკება ევროკავშირის უმსხვილეს სამეცნიერო პროგრამაში „ჰორიზონტი 20/20“ საქართველოს სრულფასოვან ჩართვაზე.

სამოქალაქო ინტეგრაცია და ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები კვლავაც აქტიურად ჩართვებიან ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებსა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში; ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული ყველა სახელმწიფო პროგრამა განხორციელდება მათი წარმომადგენლების მონაწილეობით.

სახელმწიფოს უმთავრესი პრიორიტეტი იქნება სახელმწიფო ენის სწავლების ეფექტიანი პროგრამების განხორციელება, რაც სამოქალაქო ინტეგრაციის აუცილებელი წინაპირობაა. სახელმწიფო ხელს შეუწყობს სახელმწიფო ენის შესწავლის პროცესს, აგრეთვე, უზრუნველყოფს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთათვის ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას.

ხელი შეეწყობა როგორც ქართულ მედიაში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა პრობლემების, მიღწევების, კულტურისა და სხვა მნიშვნელოვანი თემების რეგულარულად გაშუქებას, ასევე ეროვნული უმცირესობების წვდომის გაუმჯობესებას მედიასა და ინფორმაციაზე. სახელმწიფო ხელს შეუწყობს ეროვნული უმცირესობების კულტურის, ენის, ტრადიციებისა და ღირებულებების დაცვას. ეროვნული უმცირესობების თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად, განხორციელდება ისტორიული ძეგლებისა და მუზეუმების დაცვა და განვითარება.

სახელმწიფო ხელს შეუწყობს საზოგადოების ცოდნის გაღრმავებას ეროვნული და რელიგიური უმცირესობების ღირებულებების, კულტურის, ისტორიისა და რელიგიის მიმართულებით, აგრეთვე, საზოგადოებაში ტოლერანტობისა და კულტურული პლურალიზმის დამკვიდრებას და კულტურათაშორისი და რელიგიათაშორისი დიალოგისა და კავშირების განვითარებას.

წინა წლებში განხორციელებული პოლიტიკის შეფასების საფუძველზე, შემუშავდება სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის ახალი სტრატეგია და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანი იქნება მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, ერთი მხრივ, ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობა და, მეორე მხრივ, საქართველოს საზოგადოებაში მათი სრულფასოვანი ინტეგრაციის უზრუნველყოფა.

საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები

საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარი ამოცანებია: ქვეყნის უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის განმტკიცება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, მათ შორის საქართველოს ოკუპირებული რეგიონების დამოუკიდებლობის არაღიარების პოლიტიკის გაგრძელება; ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია; ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავება; მეზობელ და რეგიონის სახელმწიფოებთან ურთიერთობების განმტკიცება; რუსეთის ფედერაციასთან დაძაბული ურთიერთობების დეესკალაცია და საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და მისი საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობის პატივისცემის საფუძველზე ურთიერთობის ნორმალიზაცია; ევროპის ქვეყნებთან მჭიდრო, ურთიერთსასარგებლო პარტნიორული თანამშრომლობის გაღრმავება.

საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებაა საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვა და საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან კონტაქტების განმტკიცება. გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მრავალმხრივი და ორმხრივი საერთაშორისო სახელშეკრულებო ბაზის განვრცობას და საერთაშორისო ორგანიზაციების ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმებში საქართველოს სახელმწიფო პერიოდული ანგარიშების მომზადებისა და წარდგენის კოორდინაციას.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ამ კუთხით, საგარეო უწყების ძალისხმევა მიმართული იქნება ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენის პროცესში საერთაშორისო ჩართულობის გაზრდისა და არაღიარების პოლიტიკის განმტკიცებისკენ; ომით გაყოფილ და საოკუპაციო ხაზებით დაშორიშორებულ საქართველოს მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენისა და ურთიერთობების გაღრმავებისკენ. რუსეთ-საქართველოს შორის არსებული კონფლიქტის მოგვარების მიზნით, საქართველოს მთავრობა გააგრძელებს კონსტრუქციულ მონაწილეობას ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატში, რომელიც შეიქმნა 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულების უზრუნველსაყოფად.

ამერიკის შეერთებულ შტატებთან, როგორც საქართველოს მთავარ მოკავშირესთან, ურთიერთობას საქართველო წარმართავს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით განსაზღვრული ოთხი მიმართულების გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს უსაფრთხოებასა და თავდაცვას; ეკონომიკას, ვაჭრობასა და ენერგეტიკას; დემოკრატიულ მმართველობასა და სამოქალაქო საზოგადოებას; ხალხთაშორის და კულტურულ კონტაქტებს. ქარტიას საქართველო განიხილავს როგორც საკუთარი საზოგადოების წინაშე ვალდებულებას. საქართველო მიმართავს სერიოზულ ძალისხმევას შეერთებულ შტატებთან სავაჭრო და საინვესტიციო სფეროში მაღალი დონის დიალოგის გაღრმავებისაკენ, ორ ქვეყანას შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების დადების შესაძლებლობის ჩათვლით, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული პარტნიორობის განმტკიცებას.

საქართველოს საგარეო პოლიტიკა ითვალისწინებს მეზობელ და რეგიონის სახელმწიფოებთან მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას. მაქსიმალურ ძალისხევას გამოვიჩენთ, რათა კიდევ უფრო გაღრმავდეს თანამშრომლობა რეგიონში მიმდინარე ეკონომიკური და ენერგეტიკული პროექტების განხორციელებისათვის, რაც რეგიონს ეკონომიკურად უფრო მიმზიდველს გახდის და გაზრდის მის უსაფრთხოებას.

საქართველოს, მისი სტრატეგიული გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით, თავისი წვლილი შეაქვს ისტორიული აბრეშუმის გზის გააქტიურებასა და მისი პოტენციალის სრულად ათვისებაში. ამ მხრივ, საყურადღებოა, რომ 2015 წლის 9 მარტს პეკინში ხელი მოეწერა ჩინეთსა და საქართველოს შორის „ახალი აბრეშუმის გზის - ეკონომიკური სარტყელის“ განვითარებისთვის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პრემიერ–მინისტრის ინიციატივით, 2015 წლის 15-16 ოქტომბერს საქართველოში გაიმართება „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი“, მაღალი დონის დიალოგი დაინტერესებული სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით, რომელზეც განიხილება აბრეშუმის გზის

მარშრუტზე ტრანსპორტის, ენერგეტიკისა და ვაჭრობის სფეროებში, ასევე ადამიანებს შორის კონტაქტების კუთხით პარტნიორობის განმტკიცების შესაძლებლობები.
უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობის პატივისცემის საფუძველზე საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზება, რისი საწინდარიც უნდა გახდეს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის დეოკუპაცია და ოკუპირებული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების გაუქმება.
საქართველოს საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებაა ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობის შემდგომი განვითარება, რომელსაც ქვეყნისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, მათ შორის, საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტების - ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის, საქართველოს დემოკრატიული განვითარების შეუქცევადობის, მშვიდობიანი გზით ქვეყნის დეოკუპაციის უზრუნველყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.
დიდი ყურადღება დაეთმობა, ასევე, ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის, ახლო აღმოსავლეთის, არაბული სამყაროს, აფრიკის, ჩრდილოეთ ამერიკის, აზიისა და ოკეანეთის რეგიონებთან ურთიერთსასარგებლო ორმხრივი თუ მრავალმხრივი ურთიერთობების განვითარებას გლობალური პარტნიორობის კონტექსტში. ამ კუთხით, წარმატებულად მიმდინაროებს ორმხირივი და მრავალმხრივი საერთაშორისო სახელშეკრულებო ბაზის განვრცობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ფინანსურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში.
საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებაა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მათ ფარგლებში არსებულ ინსტიტუტებთან აქტიური თანამშრომლობა, მათ შორის, ქვეყნის შიგნით მიმდინარე დემოკრატიული რეფორმების წარმატების უზრუნველყოფის, კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციათა როლის გაზრდის, ომით გაყოფილ საქართველოს მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენისა და ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების შექმნის მიმართულებებით.
გაგრძელდება შესაბამისი ძალისხმევა მმართველობის დემოკრატიული სისტემის შემდგომი განვითარების მიმართულებით. მნიშვნელოვანი იქნება ეკონომიკური დიპლომატიის განხორციელება, საქართველოს ეკონომიკური განვითარების, მათ შორის, უცხოურ ინვესტიციათა მოზიდვისა და საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებში ქვეყნის სრულფასოვანი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

ინტეგრაცია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია. ეს არის ქართული საზოგადოების თავისუფალი და ურყევი არჩევანი, რომელსაც საქართველოს მოსახლეობა განვითარების მთავარ ორიენტირად მიიჩნევს და რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს, როგორც ევროპული ტიპის ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფოს, აღმშენებლობასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.
ამ მხრივ საქართველოს მთავრობა აქტიურად გააგრძელებს წარმატებით დაწყებულ ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელებას ყოველწლიური ეროვნული სამოქმედო გეგმის შესაბამისად. ჩვენი ამოცანაა, საქართველოს მოსახლეობამ დროულად მიიღოს ევროკავშირის სტანდარტებსა და ფასეულობებთან დაახლოების სარგებელი.
მნიშვნელოვანი პროგრესია სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის მიმართულებით. განხორციელდა შესაბამისი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული კომპლექსური რეფორმები.
მთავრობა აქტიურად გააგრძელებს „აღმოსავლეთ პარტნიორობისა“ და „მობილურობა პარტნიორობისათვის“ ფარგლებში თანამშრომლობას ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებთან.
საქართველოს მთავრობა გააგრძელებს ინტენსიურ თანამშრომლობას სამოქალაქო საზოგადოებასთან ევროინტეგრაციის საკითხებზე.
გაგრძელდება ევროკავშირის დახმარების ფარგლებში პროექტების განხორციელება საქართველოში მიმდინარე რეფორმების მხარდასაჭერად, მათ შორის ასოცირების შეთანხმების შესაბამისად საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციისა და ეროვნული

სტანდარტების ევროკავშირის სტანდარტებთან და ნორმებთან დაახლოების მიზნით. 2014-2017 წლებში ევროკავშირის მიერ გამოყოფილი 410 მლნ. ევრომდე ფინანსური დახმარება მიზნად ისახავს მხარდაჭერას შემდეგ პრიორიტეტულ სფეროებში: საჯარო სექტორის რეფორმა, სოფლის მეურნეობა, კანონის უზენაესობა და სხვა, ასევე საექსპერტო მხარდაჭერა ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებების განხორციელებისათვის.

იგეგმება საქართველოს აქტიური მონაწილეობა ევროკავშირის დაფინანსებით მიმდინარე ეროვნულ, რეგიონულ და თემატურ პროგრამებში, რაც ხელს შეუწყობს როგორც საქართველოს სახელმწიფო უწყებების ინსტიტუციონალურ გაძლიერებას, ისევე რეგიონული თანამშრომლობის განვითარებას ენერგეტიკის, ტრანსპორტის, გარემოს დაცვის, ტურიზმის, განათლების, კულტურისა და სხვა პრიორიტეტულ სფეროებში.

მიმდინარე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობა გააგრძელებს აქტიურ მუშაობას ნატოს უელსის სამიტზე მიღებული „არსებითი პაკეტის“ (Substantial Package) განხორციელებისთვის, რომლის მთავარი მიზანიც საქართველოსთვის ალიანსში გაწევრიანებისთვის მზადებაში დახმარებაა. 2015 წლის ბოლომდე გაიხსნება და ამუშავდება ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრი.

საქართველომ მიაღწია ნატოსთან ურთიერთობის იმ ეტაპს, როდესაც შემდგომი ინტეგრაციული ნაბიჯები მნიშვნელოვანწილად წევრი სახელმწიფოების პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. 2015 წლის განმავლობაში ქართული მხარისთვის პრიორიტეტული იქნება მომავალ წელს ვარშავაში გასამართი ნატოს სამიტისთვის სათანადოდ მომზადება. შესაბამისად, საქართველო განაგრძობს აქტიურ მუშაობას ნატოს წევრი ქვეყნების დედაქალაქებთან, რათა ვარშავის სამიტზე მოხდეს ნატოში გაწევრიანების გზაზე ქვეყნის მიერ მიღწეული პროგრესის ჯეროვანი ასახვა. საქართველო, ნატოს ასპირანტი ქვეყნის სტატუსით, კვლავ გააგრძელებს მუშაობას ნატოში ინტეგრაციის მექანიზმების - წლიური ეროვნული პროგრამის შესრულებისა და ნატო-საქართველოს კომისიის დღის წესრიგის ეფექტიანი განხორციელების მიმართულებით.

აღნიშნულის გარდა, საქართველო მაქსიმალურად გამოიყენებს *თავსებადობის პლატფორმის* ფარგლებში, შვედეთთან, ავსტრალიასთან, ფინეთსა და იორდანიასთან ერთად *გაძლიერებული შესაძლებლობების პარტნიორობის ჯგუფში* გაწევრიანებით მიღებულ შესაძლებლობებს.

საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს გლობალური უსაფრთხოებისა და მშვიდობის განმტკიცების საქმეში. ჩვენი ქვეყანა კვლავაც რჩება ჩართული ავღანეთში ნატო-ს ეგიდით მიმდინარე „მტკიცე მხარდაჭერის“ (Resolute Support) მისიაში. მიმდინარე წლიდან 2018 წლის ჩათვლით საქართველო ასევე მონაწილეობას მიიღებს ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში (NATO Response Force/NRF).

საქართველოს ასევე დიდი წვლილი შეაქვს ევროკავშირის მიერ წარმოებულ სამშვიდობო ოპერაციებში. 2014-2015 წლებში შეიარაღებული ძალების ასეულმა წარმატებით დაასრულა მონაწილეობა ევროკავშირის მისიაში ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში (EUFOR/EUMAM RCA). იგეგმება ქართველი სამხედროების წარგზავნა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის ახალ სამხედრო მრჩეველთა მისიასა და მალიში, ევროკავშირის საწვრთნელ მისიაში (EUTM MALI).

აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველო აქტიურად თანამშრომლობს გლობალური კოალიციის ფარგლებში, რომლის მთავარ ამოცანას ახლო აღმოსავლეთში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

საქართველო მომავალშიც განაგრძობს საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე არსებულ გამოწვევებთან, მათ შორის, საერთაშორისო ტერორიზმთან და ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან აქტიურ ბრძოლას და ასევე ენერგეტიკული უსაფრთხოების, შეიარაღებაზე კონტროლისა და გაუვრცელებლობის უზრუნველყოფის სფეროში საკუთარი წვლილის შეტანას. გადაიდგმება ნაბიჯები საერთაშორისო არენაზე საქართველოსა და მისი პოტენციალის, მათ შორის, ქვეყნის რეფორმატორული გამოცდილების გარე სამყაროსათვის ობიექტურად და პოზიტიურად წარმოჩენის მიმართულებით.

2015 წელს საქართველოს მთავრობა გააქტიურებს ძალისხმევას, რათა შენარჩუნდეს და გამყარდეს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისადმი საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერა. ეფექტიანად გაგრძელდება „ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ 2014-

2017 წლებისთვის საქართველოს მთავრობის სტრატეგიის“, 2015 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელება. მოხდება სამთავრობო უწყებებისა და სტრატეგიულ კომუნიკაციაში ჩართული სხვა ორგანიზაციების ძალისხმევის კონსოლიდაცია, რომლის მიზანია ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებული არასწორი გზავნილებისა და მითების გაქარწყლება და თითოეული მოქალაქისთვის ინტეგრაციის სარგებლის შესახებ დეტალური და ობიექტური ინფორმაციის მიწოდება. სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელებაში აქტიურადაა ჩართული საინფორმაციო ცენტრი ევროკავშირისა და ნატოს შესახებ.

მიგრაცია

უკანასკნელი წლების განმავლობაში მიგრაციის სფეროში განხორციელებულმა ინსტიტუციურმა და საკანონმდებლო რეფორმებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის წარმატებით განხორციელებაში.

ამჟამად მოქმედი მიგრაციის სტრატეგიის (2013-2015 წ.წ.) განხორციელების შეფასებისას გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე, მთავრობა გეგმავს საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის შემუშავებას, რომელიც გაითვალისწინებს მიგრაციის სფეროში დღეისათვის არსებულ გამოწვევებს და განსაზღვრავს მომავალი 5 წლის განმავლობაში ამ მიმართულებით ქვეყნის პრიორიტეტულ მიზნებსა და ამოცანებს.

მიმდინარეობს მუშაობა მიგრაციის ერთიანი ანალიტიკური სისტემის შექმნაზე, რომელიც სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოში არსებული მონაცემთა ბაზებიდან მოახდენს მიგრაციასთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაციის მოგროვებას და დამუშავებას, რაც ხელს შეუწყობს პროგნოზირებად მახასიათებლებზე დაყრდნობით მიგრაციის სფეროში სიღრმისეული ანალიტიკის წარმოებას.

მიმდინარეობს საქართველოს 2015 წლის მიგრაციის პროფილის ახალი ფორმატით შემუშავება, რომლის მიზანია, თავი მოუყაროს და გააანალიზოს მიგრაციის სფეროში არსებული ყოვლისმომცველი ინფორმაცია.

მიგრაციის მართვის სისტემის კიდევ უფრო გაუმჯობესების მიზნით, გაგრძელდება მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ინსტიტუციურად გაძლიერება, კომისიის სამდივნოს ანალიტიკური შესაძლებლობების განვითარების მეშვეობით.

ეკონომიკური პოლიტიკა

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი მიზანია ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლება, რაც მიიღწევა მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის პირობებში, როდესაც ყველა მოქალაქე სარგებლობს ეკონომიკური ზრდით მოტანილი სიკეთით და, ამავე დროს, უზრუნველყოფილია მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობა ეკონომიკური განვითარების პროცესში.

მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა როგორც ინკლუზიური ზრდის, ისე ეკონომიკური პოლიტიკით განსაზღვრული ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელებისთვის. საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა ემყარება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს, რაც გულისხმობს საკუთრების უფლების განუხრელ დაცვას, ბაზარზე თავისუფალ კონკურენციას და კერძო სექტორის თავისუფლებას მცირე, ეფექტიანი და გამჭვირვალე მთავრობის პირობებში.

საქართველოს მთავრობის მიერ ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებით განხორციელებისათვის უმნიშვნელოვანესია კერძო სექტორის, როგორც ინკლუზიური ზრდისა და განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალის განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა, მისი კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობა და იმ სფეროების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, სადაც კერძო სექტორის შესაძლებლობები სუსტი და შეზღუდულია.

ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებები იქნება: სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება; მეწარმეობის, მათ შორის, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, რათა გაიზარდოს

ამ უკანასკნელის როლი და წილი ეკონომიკაში; კერძო სექტორისთვის ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ახალი ფინანსური ინსტრუმენტების განვითარების გზით; საქართველოს ეკონომიკის რეგიონალური და გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლება ქვეყნის შედარებითი უპირატესობების გონივრული გამოყენების გზით; საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომი განვითარება, რაც უზრუნველყოფს საქართველოს საქონლისა და მომსახურების ექსპორტის ზრდას; ექსპორტზე ორიენტირებული წარმოება და მაღალი დამატებული ღირებულების მქონე პროდუქციის შექმნისკენ მიმართული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობა, რაც არის დასაქმების შესაძლებლობების ზრდის, ასევე, თანამედროვე და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის წყარო; აგრეთვე, მომსახურების სფეროს განვითარება, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ფართო მასებისათვის სამუშაო ადგილების შექმნას და მოსახლეობის ფართო ჩართულობას ეკონომიკური განვითარების პროცესებში. ასევე, მნიშვნელოვანია მწვანე ეკონომიკის პრინციპების დანერგვისა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოების ხელშეწყობა.

ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებები:

ბაზარზე თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობა განავითარებს აღსრულების ეფექტიან მექანიზმებს, მათ შორის, დამოუკიდებელი ინსტიტუტის გაძლიერების გზით. ამასთან, ხელს შეუწყობს კომპანიების ზრდისა და განვითარებისათვის ხელშემშლელი ხელოვნური ბარიერების აღმოფხვრას. საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისა და ინვესტორთა ნდობის ასამაღლებლად, განახლდება საინვესტიციო კანონმდებლობა.

ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის, საქართველოს მთავრობა ხელს შეუწყობს კომერციული დავების გადაწყვეტაში მედიაციის განვითარებას მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად და უზრუნველყოფს მათ დამოუკიდებლობას.

ბიზნესის განვითარებისათვის სტაბილური და პროგნოზირებადი გარემოს შესაქმნელად, ბიზნესთან დაკავშირებული კანონმდებლობის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მაქსიმალური გამჭვირვალობა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა. ამასთან, ბიზნესისათვის დამატებითი ტვირთის მოხსნის მიზნით ვითარდება რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) სისტემა, რომლის მიზანიც არის როგორც ახალი საკანონმდებლო ინიციატივების, ისე არსებული საკანონმდებლო აქტების გავლენის შეფასება ბიზნესგარემოსა და ეკონომიკაზე.

ღია ბაზრის პირობებში კონკურენტული გარემოს უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობა ნერგავს საერთაშორისოდ აღიარებულ ვაჭრობის დაცვის ინსტრუმენტებს, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას და შესაბამისად - დასაქმების შესაძლებლობების გაზრდას.

სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და საჯარო-კერძო პარტნიორობის (PPP) მექანიზმის ეფექტიანი გამოყენების მიზნით, დონორთა დახმარებით, დაწყებულია და მიმდინარეობს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება. საქართველოში არსებული სპეციფიკისა და რეალობის გათვალისწინებით, საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით, შემუშავდება საჯარო-კერძო პარტნიორობის ეფექტიანი მექანიზმი.

საინვესტიციო გარემოს შემდგომი სრულყოფისთვის, საქართველოს მთავრობა ევროპის რეკონსტრუქტუციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) თანამშრომლობით ქმნის ინვესტორთა საბჭოს, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ მთავრობის, ბიზნესისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. აღნიშნული საბჭო იქნება დიალოგის ერთგვარი პლატფორმა მთავრობასა და ბიზნესს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებისა და ინიციატივებისა და იდეების გაცვლისთვის.

საქართველოს მთავრობის მიზანია სახელმწიფო ქონების რაციონალური გამოყენება და ასევე გამოუყენებელი აქტივების ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვა, მისი კერძო საკუთრებაში მოქცევის გზით. ამ მიზნით, აქტიურად გაგრძელდება პრივატიზება, დასრულდება სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული ქონების სრულმასშტბიანი ინვენტარიზაციის პროცესი, განხორციელდება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოების ოპტიმიზაცია. მთავრობა უზრუნველოფს სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზების პროცესის გამჭვირვალედ და ეფექტურად წარმართვას.

მეწარმეობის, მათ შორის, მცირე და საშუალო და დამწყები ბიზნესის დასახმარებლად სახელმწიფო ხელს

შეუწყობს მცირე და საშუალო მეწარმეთა უნარების ამაღლებას, ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობას, დამწყები ბიზნესის, ასევე მეწარმეთა საექსპორტო პოტენციალის გაძლიერებას და ინოვაციებთან და ტექნოლოგიებთან წვდომას. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის და საქართველოში ამ კუთხით საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის და პოლიტიკის დანერგვის მიზნით, მუშავდება მცირე და საშუალო ბიზნესის სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა. ყოველივე ეს დადებითად აისახება როგორც დასაქმების შესაძლებლობების, ისე თვითდასაქმების ზრდაზე. ყურადღება მიექცევა მთიან რეგიონებში მცირე მეწარმეობის განვითარებას.

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, 2014 წლის თებერვალში შეიქმნა მეწარმეობის განვითარების სააგენტო, რომლის მთავარ მიზანს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობა წარმოადგენს. სააგენტო სხვადასხვა ფინანსური და არაფინანსური ინსტრუმენტების საშუალებით ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო, ასევე დამწყები ბიზნესის განვითარებას. სააგენტოს საქმიანობის მთავარი მიმართულებებია ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა, სამეწარმეო უნარების ამაღლება, ექსპორტის წახალისება და განვითარება, DCFTA-ს მოთხოვნებთან ბიზნესის ადაპტაციის ხელშეწყობა, კონსულტაციების გაწევა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე არსებულ მოთხოვნებთან და რეგულაციებთან მიმართებით და სხვა.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიზნით, მეწარმეობის განვითარების სააგენტო გააგრძელეებს სამთავრობო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ეფექტიან იმპლემენტაციას, რომელიც ითვალისწინებს როგორც ბიზნესის დაწყებისა და განვითარების მსურველთათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდას, ასევე ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას და ტექნიკურ დახმარებას კონსულტირების, ინოვაციებსა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის და სხვა მიმართულებებით. რეგიონებში, განსაკუთრებით კი ეკონომიკურად მოწყვლად რეგიონებში, ეკონომიკური აქტიურობის წასახალისებლად, „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში დაიწყო მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მიკრო და მცირე სამეწარმეო აქტივობების ხელშეწყობას ფინანსური მხარდაჭერის და სამეწარმეო უნარების ამაღლების კუთხით.

საინვესტიციო სახსრების მოზიდვის ალტერნატიული გზების დანერგვისა და ფინანსების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, საქართველოს მთავრობა ხელს შეუწყობს ქვეყანაში კაპიტალის ბაზრის განვითარებას. მიმდინარეობს მუშაობა კაპიტალის ბაზრის რეფორმაზე, რომლის მიზანია კაპიტალის ბაზრის განვითარებისა და მისი ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

დანაზოგების ზრდის ხელშესაწყობად, რომელიც ასევე მნიშვნელოვანია გრძელვადიან საინვესტიციო რესურსებზე ხელმისაწვდომობისთვის, მიმდინარეობს მუშაობა დეპოზიტების დაზღვევის სისტემის რეფორმაზე. მიმდინარეობს მუშაობა ისეთი სისტემის შემუშავებაზე, რომელიც უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, დეპოზიტების დაზღვევას, ხოლო, მეორე მხრივ, სტიმულს მისცემს დამატებითი ფინანსური რესურსების აკუმულირებას ფინანსურ ინსტიტუტებში.

ექსპორტის განსავითარებლად და წასახალისებლად მნიშვნელოვანია დამატებითი ფინანსური მხარდაჭერის შესაძლებლობების განვითარება. ამ მიზნით მიმდინარეობს მუშაობა ექსპორტის დაკრედიტების ინსტიტუტის ჩამოსაყალიბებლად, რომლის მთავარი მიზანი იქნება ექსპორტის პოტენციალის მქონე კომპანიების ხელშეწყობა. საერთაშორისო პარტნიორთან მჭიდრო თანამშრომლობით დაინერგება ექსპორტის დაკრედიტების საქართველოსთვის მორგებული მოდელი, როგორც პროდუქტების, ასევე სერვისების კუთხით.

საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის, ექსპორტის ხელშეწყობისა და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციისთვის, საქართველოს მთავრობა გააღრმავებს თანამშრომლობას არსებულ და პოტენციურ სავაჭრო პარტნიორებთან.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების განვითარებას ორმხრივ, მრავალმხრივ და რეგიონალურ ფორმატებში.

გააქტიურდება მოლაპარაკებები აშშ-თან სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობების გაღრმავების საკითხებზე.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, საქართველოს მთავრობის მიზანია

ევროკავშირის ბაზარზე ინტეგრაცია, რისი წინაპირობაცაა თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველ შეთანხმების (DCFTA) იმპლემენტაცია. DCFTA-ის წარმატებით განხორციელების მიზნით შემუშავდა 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმა. გეგმის თანახმად, განხორციელდება კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან და შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება, რაც ხელს შეუწყობს ქართული პროდუქციის თავისუფალ განთავსებას ევროკავშირის ბაზარზე. ამასთან, მთავრობა ევროკავშირთან და სხვა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ერთად ხელს შეუწყობს კერძო სექტორის DCFTA-ის მოთხოვნებთან ადაპტაციას.

საქართველოს მთავრობის მიზანია ყველა მეზობელ და რეგიონის ქვეყანასთან, მათ შორის რუსეთის ფედერაციასთან, სტაბილური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება, რაც ხელს შეუწყობს საექსპორტო და საინვესტიციო ნაკადების ზრდას.

საქართველოს მთავრობის მიზანია, ქვეყნის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ჩამოაყალიბოს ერთიანი სატრანსპორტო სისტემა, სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენებისა და რეგიონში ვაჭრობასა და ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვაში მისი როლის შესრულებისთვის. სატრანზიტო დერეფნის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად გაღრმავდება საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემებში ინტეგრაცია და რეგიონალური თანამშრომლობა. აზიის განვითარების ბანკთან მჭიდრო თანამშრომლობით მუშავდება ტრანსპორტის პოლიტიკის დოკუმენტი.

საქართველოს მთავრობის მიზანია სატრანსპორტო სისტემების სრულყოფა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, მულტიმოდალური და ინტერმოდალური გადაზიდვებისა და ლოგისტიკური ცენტრების განვითარების ხელშეწყობის გზით. სამოქალაქო ავიაციის სფეროში საქართველოს მთავრობა ხელს უწყობს „ღია ცის“ პოლიტიკის გატარებას. მთავრობა უზრუნველყოფს „ევროგაერთიანებასა და მის წევრ სახელმწიფოებს და საქართველოს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ“ შეთანხმების იმპლემენტაციას, რაც უზრუნველყოფს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სფეროში ფრენის უსაფრთხოების, საავიაციო უშიშროების, გარემოს დაცვის, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და სხვა მიმართულებების ევროპულ დონეზე განვითარებას და საქართველოს საავიაციო სივრცის ევროპის ერთიან საჰაერო სივრცეში ინტეგრაციას.

საქართველოს მთავრობა განავითარებს მცირე ავიაციას და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას მთიან რეგიონებში, რაც ხელს შეუწყობს ამ რეგიონების ეკონომიკურ განვითარებას.

საზღვაო ტრანსპორტის სფეროში, მთავრობის პრიორიტეტს სანავსადგურე ინფრასტრუქტურის განვითარება წარმოადგენს. აღნიშნული მიზნით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ანაკლიაში ახალი ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის საკითხს. ნავსადგური აშენდება რამდენიმე ეტაპად და საბოლოოდ მისი წლიური გამტარუნარიანობა 100 მილიონ ტონა ტვირთს მიაღწევს. ანაკლიის პორტის მშენებლობა არა მარტო მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის ამაღლებაზე, არამედ გაზრდის საქართველოს როლს რეგიონში და აქცევს მას ლოგისტიკურ ჰაბად.

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესაბამისად, საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს საქართველოს კანონდებლობის, დაახლოებას ტრანსპორტის სფეროში ევროკავშირის დირექტივებსა და რეგულაციებთან, რაც ხელს შეუწყობს სატრანსპორტო ოპერაციების უსაფრთხოებისა და უშიშროების ზრდას.

ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის სრულად რეალიზების მიზნით, რეგიონული თანამშრომლობის განვითარება მთავრობის პრიორიტეტული მიმართულებაა. საქართველო აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა რეგიონალურ პროგრამებსა, პროექტებსა და საპროექტო ინიციატივებში („ტრასეკა, „ვიკინგი“, „სილქ ვინდი“, „ლაპის ლაზური“). განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბაქო-თბილი-ყარსის რკინიგზის პროექტს, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს აზიასა და ევროპიას შორის ტვირთების გადაზიდვისთვის საჭირო დროს და ჩვენი ქვეყნის გავლით დამატებითი ტვირთნაკადების მოზიდვის საწინდარია. საქართველოს მონაკვეთზე მშენებლობის დასრულება მიმდინარე წლის ბოლოსთვის იგეგმება.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება ქვეყნისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია, რადგან ამ დარგის განვითარება ყველაზე მოკლე პერიოდში შექმნის მაღალანაზღაურებად სამუშაო ადგილებს და ხელს შეუწყობს ეკონომიკის სხვა დარგების განვითარებას.

საქართველოს მთავრობის პრიორიტეტია, რომ ქვეყანამ, როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში, მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს რეგიონში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა (ICT) და ინოვაციების ექსპორტის კუთხით; ქვეყანაში ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობის, ინტელექტუალური პროდუქტების, ინოვაციების და ტექნოლოგიების საექსპორტო პროდუქციად ქცევის, საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების და ინოვაციების საქართველოს მეცნიერებისა და ეკონომიკის ყველა სფეროში შეღწევის და აღნიშნული ინსტრუმენტებით მათი კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, ქვეყანაში ინოვაციური ეკოსისტემის ჩამოსაყალიბებლად ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის და მისგან გამომდინარე სტრატეგიის და მიზნობრივი პროგრამების განხორციელების მიზნით, 2014 წლის თებერვალში შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო.

მნიშვნელოვნად გაიზარდება როგორც საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) სპეციალისტთა რაოდენობა, ისე ამ სფეროდან მიღებული შემოსავლები.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ინტერნეტიზაციის საკითხებს. ქვეყნის დასახლებული პუნქტები უზრუნველყოფილი იქნება მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ ინფრასტრუქტურით, რომლის მისაღწევადაც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა.

გაგრძელდება რეგიონების კომპიუტერიზაციის პროცესი და ცოდნის დონის ამაღლება კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებით.

კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამოყენებითი კვლევების განხორციელების ხელშეწყობა მათი სახელმწიფო დაფინანსების ეფექტიანობის ზრდით.

სახელმწიფო ინოვაციების და ტექნოლოგიების მიმართულების განვითარების, ასევე საინოვაციო საქმიანობის ხელშეწყობისათვის, მოხდება შესაბამისი ინფრაქტრუქტურის - ტექნოლოგიური პარკების, აქსელერატორების, ICT ინკუბატორების, სამრეწველო- ინოვაციების ლაბორატორიების (FabLab) ფორმირება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს საქართველოში პირველი ტექნოპარკის მშენებლობა.

საქართველოს მთავრობა ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას, რაც ეკონომიკური აღმავლობის, ასევე შემოსავლებისა და დასაქმების შესაძლებლობების ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. ხელი შეეწყობა ტურისტული ინფრასტრუქტურისა და ახალი ტურისტული პროდუქტების განვითარებას, ისევე როგორც არსებულის დივერსიფიკაციას. ჩატარდება რეგულარული კვლევები ტურიზმის განვითარების, მომსახურების ხარისხისა და ზრდის ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორების იდენტიფიკაციისა და დაძლევის მიზნით.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა რეგიონულ დონეზე ტურიზმის განვითარებას, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის წახალისებას; ასევე ხელი შეეწყობა საქართველოში საშუალოფასიანი და საოჯახო სასტუმროების განვითარებას. ინვესტიციების მოზიდვისა და ექსპორტის წახალისების მიმართულებით საქართველოს მთავრობა ინტენსიურად ითანამშრომლებს ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან, რაც გამოიხატება დიასპორული ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობაში, დიასპორის დახმარებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში, ასევე თანამემამულეების ადგილსამყოფელ ქვეყნებში ქართული პროდუქციის პოპულარიზაციასა და ექსპორტის ზრდაში. ეს ხელს შეუწყობს როგორც ეკონომიკური ზრდის წახალისებას, ისე ქართული დიასპორის საქართველოსთან კავშირის შენარჩუნებასა და გაძლიერებას.

საქართველოს მთავრობის ენერგეტიკული პოლიტიკა

ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრესი მიმართულებაა ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება, იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივი შემცირება ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსების ათვისების, მოწოდების წყაროებისა და მარშრუტების დივერსიფიკაციის გზით.

მზარდი და კონკურენტული ეკონომიკის პირობებში ქვეყანაში ცხოვრების დონის ამაღლების

აუცილებელი წინაპირობაა ენერგომატარებლების ხელმისაწვდომობა. ამ ამოცანის უზრუნველსაყოფად მთავრობა გააგრძელებს მუშაობას ისეთი პრიორიტეტული მიმართულებით, როგორიცაა ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენება, რომელიც საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ეტაპობრივად ჩაანაცვლებს იმპორტს და გაზრდის ექსპორტის პოტენციალს, ამასთან, უზრუნველყოფს ენერგეტიკული სექტორის მზადყოფნას ეკონომიკის ენერგოტევადი დარგების განვითარების შემთხვევაშიც.

ენერგეტიკის სექტორში საინვესტიციო პოლიტიკა დაეფუძნება დამატებითი გენერაციის სიმძლავრეების შექმნას და საჭირო მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას. ამასთან, საინვესტიციო პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს გრძელვადიან პერსპექტივაში, განსაკუთრებით კი ელექტროენერგეტიკის დარგში, სტაბილური სატარიფო პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობა. სახელმწიფოს მხრიდან უზრუნველყოფილი იქნება ხელსაყრელი და მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა ენერგეტიკაში კერძო ინვესტიციების მოზიდვის მიზნით. უფრო ეფექტიანი გახდება სახელმწიფოს მხრიდან ინვესტიციების ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება, გამარტივებული და გამჭვირვალე პროცედურების დანერგვა.

ადგილობრივი რესურსების ათვისების კუთხით, პრიორიტეტად რჩება განახლებადი ენერგიის წყაროების ოპტიმალურად ათვისება ტექნიკური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნებისა და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნული პრიორიტეტების პარალელურად, განხორციელდება ენერგოდამზოგველი და ენერგოეფექტური პოლიტიკა ქმედითი ღონისძიებების განხორციელებისა და შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობის გზით.

ადგილობრივი და რეგიონალური მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ასევე იქნება ენერგეტიკული პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება. მაგისტრალური გაზსადენებისა და მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის მშენებლობა-რეკონსტრუქცია უზრუნველყოფს სტაბილურ და საიმედო ენერგომომარაგებას.

ადგილობრივი მომხმარებლებისათვის მომსახურების გასაუმჯობესებლად, დასრულდება მთელი ქვეყნის მასშტაბით ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროგრამა, ხოლო რეგიონების გაზიფიცირება განხორციელდება ტექნიკური და ეკონომიკური მიზანშეწონილობის გათვალისწინებით.

ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის ფარგლებში ასევე პრიორიტეტულია ევროკავშირის ენერგეტიკულ კანონმდებლობასთან დაახლოება. შესაბამისი რეფორმებისა და რეგულაციების ცვლილებებით მოხდება ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის ხელშეწყობა, ბაზრის ლიბერალიზაცია და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს რეგიონალური ვაჭრობის განვითარებას, სატრანზიტო და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

შრომის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა

მთავრობის პრიორიტეტული მიმართულებაა ეფექტიანი და ცივილიზებული შრომის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა. შრომის ბაზრის ფორმირების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნებია: ქვეყნის ადამიანური რესურსების რაციონალური გამოყენება; ეფექტიანი დასაქმების ხელშეწყობა; უმუშევრობის თანამიმდევრული შემცირება და სამუშაო ძალის ხარისხობრივი სრულყოფა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2014 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა: საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმა; ,,შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის დანერგვისა და განვითარების კონცეფცია და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა''; ,,საქართველოში უწყვეტი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი მომსახურების განვითარების კონცეფცია და 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმა''.

მიმდინარე წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი ,,შრომითი მიგრაციის შესახებ'', რომელიც ადგენს შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფო მმართველობის განხორციელების მექანიზმებს.

მიმდინარე და მომდევნო წელს საჯარო სამსახურების დაძმობილების ევროკავშირის პროგრამის (Twinning) „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურების (ESS) შესაძლებლობათა განვითარება

საქართველოში“ მხარდაჭერით, მოხდება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი მომსახურების განვითარების უზრუნველყოფა, რაც მოქალაქეებს მისცემს პროფესიული და კარიერული განვითარების შესაძლებლობას.

ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისა და ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, გადაიდგა აქტიური ნაბიჯები ისეთი მექანიზმის შესაქმნელად, რომელიც შეამოწმებს შრომის პირობებს, აღჭურვილი იქნება შესაბამისი ადმინისტრაციული და აღმასრულებელი უფლებამოსილებით და ეტაპობრივად დანერგავს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტებს.

შრომის უსაფრთხოების არსებული პირობების შემოწმების მიზნით, შეიქმნა შრომის პირობების ინსპექტირების სამსახური, რომელიც შეიმუშავებს/სრულყოფს შესაბამის სამართლებრივ ბაზას, უზრუნველყოფს შემუშავებული/განახლებული ტექნიკური რეგლამენტების/სტანდარტების დანერგვას და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან ერთად შეიმუშავებს საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის შესაბამის მექანიზმებს.

ინსპექტირების სისტემის დანერგვისთვის აუცილებელი მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელების მიზნით, ამოქმედდა „შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა'', რომელიც უზრუნველყოფს სისტემური დარღვევების გამოვლენას, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესაბამისი სტანდარტების შემუშავება/გადასინჯვას და საკანონმდებლო წინადადებების მომზადებას.

შრომისა და დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით საერთაშორისო ორგანიზაციებსა და პარტნიორ ქვეყნებთან აქტიური თანამშრომლობა გაგრძელდება.

ჯანმრთელობის დაცვა

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციების თანახმად, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის ზრდის თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი მიღწევა იყო 2013 წელს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დანერგვა, რომელმაც საქართველოს ყველა მოქალაქე უზრუნველყო სამედიცინო მომსახურების საბაზისო პაკეტით.

ჯანდაცვის სფეროს პოლიტიკისა და პროგრამების, მათ შორის, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შემდგომი განვითარება მიზნად ისახავს მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას. საქართველოს მოსახლეობა უფრო მეტად არის დაცული ჯანდაცვის გამო კატასტროფული დანახარჯებისა და გაღარიბების რისკებისაგან. გრძელდება მუშაობა ხარისხიანი სამედიცინო მომსახურებისა და სამკურნალო საშუალებების გაუმჯობესებისა და მეტი ხელმისაწვდომობისთვის.

ევროკავშირთან ასოცირების დღის წესრიგის შესაბამისად ყურადღება გამახვილდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავება/გაუმჯობესებაზე, ისეთი პრიორიტეტული მიმართულებებით, როგორიცაა გადამდები ინფექციური დაავადებების კონტროლი, ნარკომანია და ფსიქიკური ჯანმრთელობა, სისხლისა და ორგანოთა დონაცია, თამბაქოს კონტროლი და რეგულაციები ჯანდაცვის სერვისების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით.

გაიზრდება საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ეფექტიანობა ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების გაუმჯობესებისა და პირველადი ჯანდაცვის დონეზე მეტი ძალისხმევის მიმართვის გზით. ჯანდაცვის სფეროში დაფინანსების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით განიხილება სამედიცინო მომსახურების მსოფლიოში აპრობირებული დაფინანსების ინტეგრირებული სისტემის დანერგვა, რომელიც უფრო ეფექტიანს გახდის სამედიცინო სერვისზე სახელმწიფო დანახარჯებს. პროგრამული გამოსავლებისა და სახელმწიფო რესურსების ხარჯთეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით, მიმდინარეობს ჯანდაცვის პროგრამული დაფინანსების (ინდივიდუალურ დაავადებებზე ორიენტირებული ჯანდაცვის 20 პროგრამის, მათ შორის, დაავადებათა ადრეული გამოვლენის, დიაბეტის, იშვიათი დაავადებების) შემდგომი გაუმჯობესება, სამეცნიერო მტკიცებულებებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება სამედიცინო მომსახურების ხარისხის მართვის სისტემების შემუშავება/დანერგვაზე, როგორც საყოველთაო ჯანდაცვის, ისე კერძო სადაზღვევო სქემებით

მიწოდებული მომსახურების ფარგლებში; შემუშავდება და ეტაპობრივად დაინერგება ხარისხის მართვის მექანიზმები (ხარისხის ინდიკატორების სისტემური მონიტორინგის, შიდა აუდიტის, აკრედიტაციისა და ანგარიშგების) როგორც ამბულატორიული, ისე ჰოსპიტალური და ლაბორატორიული სერვისების ფარგლებში; განხორციელდება სამედიცინო განათლებისა და სერტიფიცირების ძირეული რეფორმები როგორც დიპლომამდელ, ისე დიპლომისშემდგომ და უწყვეტი სამედიცინო სწავლების ეტაპებზე.

ჯანდაცვის სექტორში არსებული ინფრასტრუქტურის ანალიზის, სამედიცინო სერვისების დონეების განსაზღვრისა და მოსახლეობის განსაკუთრებული საჭიროებების (მაგ., მაღალმთიან რაიონებში და კონფლიქტის ზონების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის) შესაბამისად, მთავრობა ხელს შეუწყობს ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის შემდგომ განვითარებას როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ინვესტიციების ხელშეწყობით. პირველ ეტაპზე რეგიონალიზაციის, რეფერალისა და ხარისხის მართვის გაუმჯობესების სისტემები დედათა და ბავშვთა სამსახურებს შეეხება, ხოლო ეტაპობრივად გაფართოვდება სხვა ამბულატორიულ, სტაციონარულ თუ სასწრაფო სამედიცინო სამსახურების მასშტაბით.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურების შეფასების შედეგად დაიწყო რეფორმა, რომლის შედეგადაც მთელი საქართველოს მასშტაბით სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურებას სახელმწიფო მიაწვდის. სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურების გაუმჯობესებისათვის მიმდინარეობს კადრების სწავლების პროგრამა, იგეგმება ავტოპარკის განახლება ქვეყნის მასშტაბით და დისპეტჩერიზაციის სერვისების სისტემური გაუმჯობესება.

2015 წლის 21 აპრილს ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს საქართველოს მთავრობასა და კომპანია "გილეადს" შორის, რომლის მეშვეობითაც საფუძველი ჩაეყარა მსოფლიოში უნიკალურ პროექტს საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციას. პროექტი ხელს შეუწყობს ჰეპატიტით გამოწვეული ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირებას, ახალი შემთხვევების აღმოცენების პრევენციას.

საპენსიო უზრუნველყოფა და სოციალური პოლიტიკა

შემცირდება მოსახლეობის სიღარიბითა და ხანდაზმულობით გამოწვეული სოციალური რისკები. ხელი შეეწყობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და სხვა მოწყვლად ჯგუფებს, მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ჩამოყალიბდება დაგროვებითი საპენსიო სისტემის ძირითადი პრინციპები, რომლითაც მოქალაქის მიერ პენსიის მიღების საფუძველი იქნება მისი საპენსიო შენატანებით დაგროვებული სახსრები.

საპენსიო სისტემის არსებითი რეფორმა, რომელიც ამ სისტემის დაგროვებით პრინციპზე გადასვლას ითვალისწინებს, დაეფუძნება სავალდებულო საპენსიო დაზღვევას. რეფორმის შედეგად, სისტემაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ კერძო საპენსიო ინსტიტუტები. პენსიის ოდენობა დამოკიდებული იქნება მხოლოდ სადაზღვევო სტაჟისა და სადაზღვევო შენატანის რაოდენობაზე. სახელმწიფოს ექნება გამოკვეთილი მარეგულირებელი ფუნქცია, რათა სისტემამ შეინარჩუნოს სტაბილურობა. გარდა ამისა, არასრული სტაჟისა და სადაზღვევო შენატანის მქონე მოქალაქეებს დაენიშნებათ (ან შეევსებათ) სოციალური პენსია. რაც შეეხება იმ პენსიონერებს, რომლებიც რეფორმის საწყის ეტაპზე იმყოფებიან ან მიაღწევენ საპენსიო ასაკს, სახელმწიფოსგან მიიღებენ სოციალურ პენსიას არანაკლებ საარსებო მინიმუმისა.

სოციალური პოლიტიკის კუთხით სოციალური დახმარების პროგრამის მიზნობრიობა იზრდება. შეიცვალა ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგია, სუბიექტური შეფასების მინიმიზაციის, კრიტერიუმების გადახედვის, სოციალური ინფორმაციის მენეჯმენტის სისტემის გაძლიერების და ადმინისტრირების სქემის გაუმჯობესების გზით. ახალი მეთოდოლოგია უკეთ ასახავს ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებებს. შემოღებული იქნება სოციალური დახმარების დიფერენცირებული სისტემა, შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან უფრო მეტ დახმარებას მიიღებენ ის ოჯახები, რომლებიც მეტად საჭიროებენ დახმარებას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა) ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით გათვალისწინებული

ღონისძიებები განხორციელება გაგრძელდება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის“ შესაბამისად.
გაგრძელდება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაეროს კონვენციის პრინციპებისა და ვალდებულებების პროგრესული რეალიზება. ეტაპობრივად განხორციელდება შშმ პირთა შეფასების სისტემის „სამედიცინო“ მოდელიდან „სოციალურ“ მოდელზე გადასვლა; სოციალური მომსახურების განვითარება დაემყარება ბენეფიციართა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული ხარისხიანი მომსახურების ხელმისაწვდომობის პრინციპს.
გაგრძელდება ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმა, დეინსტიტუციონალიზაციის, ოჯახების გაძლიერებისა და ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობის მიმართულებით.

ადგილობრივი თვითმმართველობა

ძლიერი ადგილობრივი თვითმმართველობა დემოკრატიის, სამოქალაქო საზოგადოებისა და ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტია. მისი დანიშნულებაა მართოს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები დამოუკიდებლად, საკუთარი პასუხისმგებლობით და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით.
2014 წლის თებერვალში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ დეცენტრალიზაციის, სუბსიდიარობისა და მართვის ეფექტიანობის პრინციპების გათვალისწინებით ქმნის სათანადო სამართლებრივ საფუძვლებს თვითმმართველობის შემდგომი განვითარებისთვის - მუნიციპალიტეტების ტერიტორიული ოპტიმიზაციის, ადგილობრივი თვითმმართველობების ინსტიტუციური და რესურსული გაძლიერებისა და მუნიციპალური მომსახურებების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიმართულებით. გაგრძელდება რეფორმირებული სისტემის შემდგომი სრულყოფა, ინსტიტუციური, საფინანსო-ეკონომიკური და მართვის ეფექტიანობის უზრუნველყოფის კუთხით, მათ შორის, ფისკალური დეცენტრალიზაციისა და მუნიციპალიტეტების მატერიალურ-ქონებრივი უზრუნველყოფის მიმართულებით.
ჩამოყალიბდება ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების ეფექტიანი სისტემა. ამასთან, სულ უფრო მეტ მუნიციპალიტეტში გაიხსნება მომსახურების ცენტრები, რომელსაც ექნება მოქალაქისათვის საჯარო მომსახურების გაწევის ფუნქციები. ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიული რეორგანიზაციის პროცესში მაქსიმალურად იქნება შესწავლილი ადგილობრივი ადამიანური და მატერიალური რესურსები, სოფლების ურთიერთთავსებადობა სათემო მუნიციპალიტეტების შესაქმნელად და სხვა სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები.
მოხდება ქალაქების ურბანული განვითარება; მუნიციპალიტეტებში გაჩნდება ახალი მიზიდულობის ცენტრები; მუნიციპალიტეტში შემავალ ყოველ დასახლებას (სოფელს, დაბას, ქალაქს) კანონით ექნება გარანტირებული ამ დასახლებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობის ქმედითი მექანიზმები;

რეგიონალური განვითარების პოლიტიკა

საქართველოს მთავრობა ადასტურებს, რომ რეგიონალური განვითარების პოლიტიკა არის მისი ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი, რომელიც მოწოდებულია გადამწყვეტი როლი ითამაშოს მდგრადი ეკონომიკური ზრდისა და საერთო ეროვნული წარმატების მიღწევაში. იგი მიზნად ისახავს, რომ კომპლექსური და ქმედითი რეგიონული განვითარების პოლიტიკის შედეგად დაკმაყოფილდეს მოქალაქეთა მისწრაფებები როგორც ტრადიციული გათანაბრებითი მიდგომების გამოყენებით, ასევე მაღალეფექტიანი ეკონომიკური პროცესების ადგილებზე ხელშეწყობისა და რეგიონების კონკურენტუნარიანობის ზრდის საფუძველზე. საქართველოს მთავრობა ეფექტიანი რეგიონული პოლიტიკის განხორციელების პირობად განიხილავს კონკრეტული რეგიონების შედარებითი უპირატესობების, მათი სტრუქტურული სპეციფიკის, სხვადასხვა სექტორების გრძელვადიანი განვითარების შესაძლებლობების, არსებული რესურსების გარდაქმნის პოტენციალის გამოვლენასა და ოპტიმალურ გამოყენებას. საქართველოს მთავრობა გააგრძელებს ინტენსიურ მუშაობას „2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამისა“ და სხვადასხვა რეგიონის განვითარების არსებული სტრატეგიების სრულფასოვანი, თანამიმდევრული და ინკლუზიური განხორციელებისათვის,

რაც, პირველ რიგში, გულისხმობს სათანადო წესით შემუშავებული სამოქმედო გეგმების განხორციელებას და შესაბამისი მონიტორგინის ქმედითი ინსტრუმენტების დანერგვას.
საქართველოს მთავრობა შეიმუშავებს რეგიონული განვითარების მარეგულირებელ ჩარჩო კანონს, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის მდგრადი რეგიონული განვითარების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველყოფის ინსტიტუციურ მექანიზმებს, გეგმარებითი რეგიონებისა და განვითარების დაგეგმვის დოკუმენტების შექმნის წესს, რეგიონალური განვითარების დაგეგმვის, ფინანსური უზრუნველყოფისა და განხორციელების საერთო პროცესს.
გარდა ამისა, საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ ეკონომიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად იგეგმება სპეციალური სტიმულირების ინსტრუმენტების შექმნა, რისთვისაც შემუშავებული იქნება მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ საქართველოს ახალი კანონი.
ასევე, შეიქმნება რეგიონალური მნიშვნელობის პროექტებში მუნიციპალიტეტების ინტერესების ასახვისა და მათი მონაწილეობის ქმედითი მექანიზმები. მოხდება ცალკეული სოციალურ-ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული განვითარების საკითხების და შესაბამისი დაგეგმვისა და განხორციელების მხარდამჭერი ინსტიტუციონალური მექანიზმების შექმნისა და სრულყოფის ხელშეწყობა რეგიონულ დონეზე.

ინფრასტრუქტურის განვითარება

საჯარო ინფრასტრუქტურის განვითარება რეგიონალური განვითარებისა და სიღარიბის შემცირების ხელშეწყობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაცაა. ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ქმედითი ხელშეწყობა, - სათანადო პირობების შექმნა ამ მიმართულებით არსებული სუსტი ადგილების დაძლევისა და აღმოფხვრისათვის.
გეოპოლიტიკური ფაქტორის გათვალისწინებით, უნდა მოხდეს საქართველოს მაქსიმალური ინტეგრირება საერთაშორისო პროექტებში. გეოგრაფიული მდებარეობიდან და სატვირთო გადაზიდვების ავტოტრანსპორტზე დატვირთვიდან გამომდინარე გაგრძელდება ახალი მაგისტრალური გზების მშენებლობა, არსებული გზების რეკონსტრუქცია სატრანსპორტო-საექსპლუატაციო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება-მოდერნიზება.
ინფრასტრუქტურის განვითარების სხვა პრიორიტეტული მიმართულებებია: ქვეყნის მასშტაბით ნარჩენების განთავსება და დახარისხება ევროპული სტანდარტების მიხედვით; საქართველოს რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის სასმელი წყლის 24-საათიანი მიწოდების რეჟიმით უზრუნველყოფა; საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში წყალმომარაგების, წყალარინების სისტემის მოწყობა-რეკონსტრუქცია და ზოგადად სისტემის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება.
საქართველოს მოსახლეობის სტიქიური მოვლენების - მეწყერების, წყალმოვარდნებისაგან დაცვის მიზნით, გაგრძელდება პრევენციული ღონისძიებების (ნაპირდაცვითი და მეწყერსაწინააღმდეგო სამუშაოები, ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებები) შემდგომი გატარება.
ამასთან, პროექტების ოპტიმალური კოორდინაციისა და თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მიდგომების დასანერგად, უფრო ეფექტიანად გამოვიყენებთ დონორებთან მრავალწლიან ურთიერთობებს.

სოფლის მეურნეობის განვითარება

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია სოფლის მეურნეობის განვითარება, რისი უპირველესი გარანტია იქნება მკაფიოდ განსაზღვრული აგრარული პოლიტიკა და სოფლის მეურნეობის სექტორში ფინანსური რესურსების მნიშვნელოვნად გაზრდა.
საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული ხედვა ითვალისწინებს მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობაში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, სურსათის უვნებლობის და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას და სოფლად სიღარიბის დაძლევას.

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების განხორციელების პროცესში რეფორმები გატარდება კომპლექსურად ყველა მიმართულებით, განსაკუთრებით სურსათის უვნებლობის სფეროში. ქართველ მეწარმეებს ექნებათ საშუალება ეტაპობრივად დანერგონ საერთაშორისო და ევროპული სტანდარტები. შედეგად გაიზრდება ხარისხიანი პროდუქციის წარმოებისა და მიწოდების მასშტაბები, რაც ხელს შეუწყობს პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას ევროპულ ბაზარზე.

სოფლის მეურნეობის დაფინანსების წყარო იქნება სახელმწიფო ბიუჯეტი, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ცალკეული დონორი ქვეყნების მიერ გაცემული სესხები, გრანტები და კერძო ინვესტიციები (ადგილობრივი და უცხოური).

აგრარული პოლიტიკის განხორციელების ფარგლებში ხელი შეეწყობა სასოფლო-სამეურნეო მიწის ბაზრის განვითარებას; შეიქმნება ფერმერთა რეესტრი; სასოფლო-სამეურნეო სექტორი უზრუნველყოფილი იქნება მომსახურებითა და ნედლეულით; გაძლიერდება და განვითარდება სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო, სალიზინგო და სადაზღვევო სისტემა; მცირე და საშუალო ფერმერები უზრუნველყოფილი იქნებიან ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით; გაგრძელდება ფერმერული კოოპერატივების/ასოციაციების აქტიური განვითარება. დაგეგმილია სასოფლო-სამეურნეო გადამმუშავებელი საწარმოების, შემნახველი, დამახარისხებელი, შემფუთავი და სადისტრიბუციო სექტორების განვითარება. გაძლიერდება აგრარულ სექტორში დასაქმებულთა საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურება და სამეცნიერო-კვლევითი უზრუნველყოფა. მოხდება ბიზნესგარემოს გაჯანსაღება და სტიმულირება; უზრუნველყოფილი იქნება სასურსათო უსაფრთხოება, სურსათის უვნებლობა და აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნება. გაგრძელდება რეგიონალური და სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც თავისთავად მოიცავს სარწყავი და დამშრობი სისტემების რეაბილიტაციას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ხარისხიანი კონდიციური თესლისა და ნერგის წარმოების განვითარებას.

აღნიშნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად, გაიზრდება აგრარულ სექტორში წარმოების მასშტაბები, რენტაბელურობა, კონკურენტუნარიანობა, სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან მიღებული შემოსავლები და გაუმჯობესდება რეგიონებში მოსახლეობის ცხოვრების პირობები. უახლოეს წლებში აგროსასურსათო სექტორში შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები, გაიზრდება თვითდასაქმებულთა კეთილდღეობა, შემცირდება უმუშევრობა სოფლად. საქართველოში წარმოებული აგროსასურსათო პროდუქცია დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე.

საგადასახადო პოლიტიკა

მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა უზრუნველყოფს კერძო სექტორისა და უცხოური ინვესტიციებისათვის, ასევე ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისათვის მიმზიდველი და სტაბილური საგადასახადო გარემოს შექმნას.

მუშავდება არაერთი სხვა საკანონმდებლო ინიციატივა. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ფარგლებში, განხორციელდება საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლიბასთან დაახლოება

ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდება ეფექტური საბაჟო კონტროლის პროცედურები.

განხორციელდება საგადასახადო კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება არაპირდაპირი გადასახადების (დღგ, აქციზი) ნაწილში.

სახელმწიფო გადასახადის გადამხდელს განიხილავს როგორც პარტნიორს ქვეყნის აღმშენებლობასა და მოსახლეობისათვის გაუმჯობესებული სახელმწიფო სერვისის მიწოდებაში. აქედან გამომდინარე, გაგრძელდება მუშაობა ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ საგადასახადო ვადლებულებების შესრულების მიმართულებით. გაგრძელდება დიალოგი ბიზნესის წარმომადგენლებთან, იმისათვის, რომ მათი ობიექტური, პრაქტიკული პრობლემები გათვალისწინებული იყოს საკანონმდებლო დონეზე. შემოსავლების სამსახურში შეიქმნება ინფორმაციული ბაზა (ნორმატიული აქტები, საგადასახადო და სასამართლო დავების შედეგად ჩამოყალიბებული პრაქტიკა), რაც შესაძლებელს გახდის გადამხდელთან სისტემურ ერთიან მიდგომას, რომლის საფუძველზეც გამოიცემა საჯარო გადაწყვეტილებები. გაგრძელდება მუშაობა გადასახადის ადმინისტრირების გამარტივებისა და საგადასახადო სანქციების

ოპტიმიზაციის მიმართულებით. ბიზნესის ინტერესების გათვალისწინებით, დაიხვეწება საგადასახადო კონტროლის პროცედურებისა და საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების მარეგულირებელი ნორმები. განხორციელდება საგადასახადო დავების განხილვის არსებული სისტემის სრულყოფა. გაგრძელდება ადგილობრივი წარმოების განვითარებისა და საქონლის/მომსახურების ექსპორტის ხელშეწყობისათვის შესაბამისი საგადასახადო მექანიზმების შემუშავება და დანერგვა.

მონეტარული პოლიტიკა

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, მონეტარულ პოლიტიკას ახორციელებს ეროვნული ბანკი, რომელიც დამოუკიდებელია მის საქმიანობაში. საქართველოს მთავრობა ხელს შეუწყობს ეროვნულ ბანკს - მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებაში. ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები განისაზღვრება პარლამენტის დადგენილების შესაბამისად;

რეგიონში მიმდინარე პროცესებისა და ლარის გაცლითი კურსის ცვლილებიდან გამომდინარე, წარმოქმნილი გამოწვევების ფონზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის ურთიერთშეთანხმებული განხორციელება და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა ადეკვატური პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად. მიუხედავად აღნიშნული გამოწვევებისა, საქართველოს მთავრობა შეინარჩუნებს ლარის მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმს, რომელიც ყველაზე შესაფერისია საქართველოსთვის.

ხელი შეეწყობა კომერციულ ბანკებს შორის ჯანსაღ კონკურენციას; დაინერგება დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, რომელიც დანაზოგების ზრდისა და დაბანდების სტიმულირების საიმედო მექანიზმი გახდება.

ფისკალური პოლიტიკა

სახელმწიფო განაგრძობს საჯარო ფინანსების მართვის სრულყოფას იმისათვის, რომ ბიუჯეტით, ერთი მხრივ, დაფინანსდეს პრიორიტეტული სფეროები და სოციალური ხარჯები, ხოლო, მეორე მხრივ, ხელი შეეწყოს ქვეყნის ეკონომიკის სტიმულირებას და ამავე დროს შენარ~ჩუნებულ იქნეს ქვეყნის ფისკალური სტაბილურობა.

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში, ბიუჯეტირების მიმართულებით დასახული და განხორციელებული ღონისძიებები უზრუნველყოფს საჯარო ფინანსების ეფექტიან მართვას და გამჭვირვალობას, სხვადასხვა სექტორის განვითარების მიზნით დასახული პოლიტიკის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების მობილიზებას ფისკალური მდგრადობის შენარჩუნების პირობებში და სოციალური ვალდებულებების დაფარვის პარალელურად ეკონომიკის ზრდის ხელშემწყობი ფისკალური პოლიტიკის გატარებას.

მუშაობა გრძელდება დაგეგმვის ერთიან სტანდარტებზე, რომელიც დაუკავშირდება, როგორც ეროვნულ, ისე დარგის და სხვა სექტორულ საშუალოვადიან სტრატეგიულ დოკუმენტებს. საშუალოვადიანი გეგმები გამოყენებული იქნება როგორც ეფექტიანი ინსტრუმენტი ფისკალური სტაბილურობის მისაღწევად. ეკონომიკის სტიმულირების მიზნით, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდის პარალელურად, შესაძლებელია კონკრეტულ პერიოდში გაიზარდოს საბიუჯეტო დეფიციტი, თუმცა, საშუალოვადიან პერიოდში შენარჩუნებული იქნება მისი დაბალი მაჩვენებელი. რეგიონში მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე, მაკროეკონომიკური და ფისკალური ინდიკატორების სწორი პროგნოზირება და სტაბილურობა განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენს. საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში მნიშვნელოვანია ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური ინდიკატორების ისეთ მაჩვენებლებში შენარჩუნება, რომლებითაც შესაძლებელი იქნება გაუმჯობესდეს სარეიტინგო კომპანიების შეფასებები და ქვეყანა იყოს მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატის თვალსაზრისით.

გაგრძელდება მუშაობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების მიმართულებით. საბიუჯეტო დაგეგმვის პროცესის გასაუმჯობესებლად გაუმჯობესდება სახელმწიფო და ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საშუალოვადიანი

პროგნოზირების პროცესი; მოხდება პროგნოზების არეალის გაფართოება იმისათვის, რომ ეკონომიკის სექტორები უფრო ფართოდ იყოს მოცული; გაიზრდება პროგნოზების დროითი არეალი, რაც გაზრდის ფისკალური სექტორის გრძელვადიანი დაგეგმვის შესაძლებლობას.

ფისკალური პოლიტიკა წარიმართება გონივრულად, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სახელმწიფო ვალის მდგრადობა. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ლარის გაცვლითმა კურსმა უარყოფითად იმოქმედა მშპ-თან მიმართებაში სახელმწიფო ვალის მოცულობაზე, საერთაშორისოდ აღირებული სტრანდარტების მიხედვით, მისი მაჩვენებელი მაინც რჩება დაბალ ნიშნულზე, შეესაბამება საშუალოვადიანი სტრატეგიით განსაზღვრულ სამიზნე მაჩვენებელს და ბევრად ნაკლებია კანონმდებლობით დაშვებულ ნორმასთან შედარებით. აღნიშნული პოზიტიურად მოქმედებს საქართველოს სუვერენულ რეიტინგზე და ამარტივებს საკრედიტო რესურსის მოზიდვის შესაძლებლობას. მთავრობა განაგრძობს სელექციურ მიდგომას საინვესტიციო/ინფრასტრუქტურული პროექტების შესარჩევად, რომლებიც მაქსიმალურად შეღავათიანი ფინანსური რესურსით ფინანსდება, რათა უზრუნველყოფილი იყოს სახელმწიფო ვალის პორტფელის მდგრადობა. მთავრობა ასევე გააგრძელებს ფასიანი ქაღალდების გამოშვებას და საშინაო საკრედიტო რესურსის გამოყენებას, რაც მათ შორის, ხელს შეუწყობს ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას.

გაგრძელდება მუშაობა პროგრამული ბიუჯეტის დანერგვისა და შესაბამისი მეთოდოლოგიის დახვეწის მიმართულებით, მათ შორის, შემუშავდება მეთოდოლოგიური მითითებები მხარჯავი დაწესებულებებისათვის, რაც მათ პროგრამული ბიუჯეტის მომზადების შიდა პროცესის ეფექტიანად მართვის უზრუნველყოფაში დაეხმარება. უზრუნველყოფილი იქნება შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების სრულყოფილად დანერგვა. ბიუჯეტით განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამების, აგრეთვე მათი მოსალოდნელი შედეგების წარმოდგენის მექნიზმები მიუახლოვდება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს. გაგრძელდება მუშაობა ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და ინფორმაციულობის გაზრდის მიზნით და უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს მოქალაქეებისათვის ყველა საინტერესო და საჭირო ინფორმაციის მარტივი ფორმით მიწოდება.

ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის (eBudget) ფუნქციონალური შესაძლებლობების გაფართოების და მასში საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ფორმირების პროცესის სრულად მოქცევის ფონზე კვლავ გაგრძელდება მუშაობა საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემის ფუნქციონალების დახვეწის მიმართულებით, რაც გააუმჯობესებს საჯარო ფინანსების კონსოლიდირების პროცესს და შესაბამისად საჯარო ფინანსების მართვის ინსტრუმენტებს. დასრულდება საჯარო ფინანსების სახაზინო სისტემაში მოქცევის პროცესი იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის, რომელთა სახაზინო მომომსახურებაზე გადასვლა საბიუჯეტო კანონმდებლობით არის განსაზღვრული. საჯარო ფინანსების მთლიანად ხაზინის ერთიან ანგარიშთა სისტემაში მოქცევით უზრუნველყოფილი იქნება ყველა დონის ბიუჯეტის, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბიუჯეტების, სრული და დროული ანგარიშგება. საჯარო სექტორში ამაღლდება ფინანსური ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალეობის ხარისხი.

ეტაპობრივად დაინერგება საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო დარიცხვის სტანდარტები, რომელთანაც სრული შესაბამისობის მიღწევის შემდეგ, ყოველწლიურად გამოქვეყნდება მთავრობის ფინანსური ანგარიშგება, დაფუძნებული დარიცხვის მეთოდზე.

შემუშავდება ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის ერთიანი მიდგომა და ინსტრუქცია, რომლის შედეგადაც მხარჯავ დაწესებულებებში გაუმჯობესდება მენეჯერული ანგარიშვალდებულება, მენჯერული და ფინანსური კონტროლის მექანიზმები და ჩამოყალიბდება ფინანსური მართვის ელემენტები. გაიზრდება შიდა აუდიტორთა კვალიფიკაცია და საქმიანობის ეფექტიანობა. შესაბამისად, დაიხვეწება როგორც შიდა, ისე გარე კონტროლისა და აუდიტის მექანიზმები საჯარო ფინანსების მართვის სფეროში. საბიუჯეტო პროცესის გასაუმჯობესებლად უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შემუშავებული დასკვნებისა და რეკომენდაციების გამოყენების ეფექტიანი მექანიზმი.

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება საქართველოს მთავრობის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. მთავრობის მიზანია დანერგოს „მწვანე ეკონომიკის" პრინციპები და ხელი შეუწყოს „მწვანე ბიზნესის" განვითარებას.

ქვეყანაში გარემოს მართვის ხარისხის გასაუმჯობესებლად, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნების შესაბამისად, ეტაპობრივად დაინერგება ევროპული გარემოსდაცვითი პრინციპები და სტანდარტები. საქართველო გააგრძელებს ორმხრივი და მრავალმხრივი გარემოსდაცვითი ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

დაიხვეწება და განახლდება გარემოსდაცვითი სამართლებრივ-ნორმატიული ბაზა ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა: ნარჩენების მართვა, წყლის რესურსების მართვა, ატმოსფერული ჰაერის დაცვა, ტყის მართვა, ბუნებრივი და ანთროპოგენური საფრთხეების რისკების შემცირება, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოება, ბიომრავალფეროვნების დაცვა, ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა, სანებართვო და სალიცენზიო საქმიანობა, გარემოზე ზემოქმედების შეფასება და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება.

მოხდება გარემოს მონიტორინგის სისტემის ეტაპობრივი გაფართოება და მოდერნიზება.

გატარდება სატყეო სექტორის რეფორმა, რომელიც მიმართული იქნება ქვეყნის ტყეების მდგრადი მართვის სისტემის დანერგვისა და მათი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისკენ. გაძლიერდება ტყის მართვისთვის პასუხისმგებელი ინსტიტუციები.

ეტაპობრივად დაინერგება წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის სისტემა, რომელიც დაეფუძნება საუზო მართვის ევროპულ პრინციპებს.

ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად, ეტაპობრივად გამკაცრდება თხევადი საწვავის ხარისხობრივი ნორმები. გაუმჯობესდება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების/ემისიების აღრიცხვის სისტემა. მოხდება ჰაერის ხარისხობრივი ნორმების ევროსტანდარტებთან შესაბამისობა.

გაუმჯობესდება გარემოზე ზემოქმედების არსებული სანებართვო სისტემა და შეიქმნება ევროსტანდარტებთან დაახლოებული ახალი სანებართვო რეგულაციები. დაინერგება სექტორული სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სისტემა.

ბუნებრივი რესურსების მართვისა და რაციონალური გამოყენების მიზნით, გაუმჯობესდება ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზირების სისტემა.

გაეროს გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის ვალდებულებებიდან გამომდინარე, ნიადაგის ეროზიების შემცირების, გაუდაბნოების თავიდან აცილებისა და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შესანარჩუნებლად, შემუშავდება მიწის რესურსების მდგრადი გამოყენების მექანიზმები.

„ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის" (2014-2020) შესაბამისად, გატარდება ბიომრავალფეროვნების დაცვისათვის საჭირო ღონისძიებები. შემუშავდება ქვეყანაში ბიოუსაფრთხოების ეროვნული სისტემა.

გაფართოვდება დაცული ტერიტორიების ქსელი და გაუმჯობესდება მათი მართვა. განხორციელდება ღონისძიებები დაცული ტერიტორიებისა და მასთან დაკავშირებული ეკოტურიზმის განვითარების ხელშესაწყობად.

შეიქმნება და დაინერგება ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემა. დამტკიცდება ნარჩენების მართვის სტრატეგია და ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმა, რომელიც მიმართული იქნება ნარჩენების მართვის ევროპული მეთოდების გამოყენებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ.

სამრეწველო ავარიების პრევენციისა და კონტროლის სფეროში დაინერგება ევროკავშირის მიდგომები; გაუმჯობესდება ბუნებრივი სტიქიური მოვლენების რისკების შეფასების მექანიზმები; ჩამოყალიბდება/გაუმჯობესდება სტიქიური მოვლენების პროგნოზირებისა და მოსახლეობის ადრეული გაფრთხილების სისტემა.

გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციის შესაბამისად, მომზადდება კლიმატის ცვლილებასთან

დაკავშირებული „ეკონომიკის დარგებისა და ეკოსისტემების ადაპტაციის ეროვნული გეგმა“ და „დაბალემისიანი განვითარების ეროვნული სტრატეგია“. განხორციელდება კლიმატის ცვლილების შემარბილებელი და საადაპტაციო ღონისძიებები.

გაუმჯობესდება გარემოსდაცვითი სახელმწიფო კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებას, გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის პრევენციას, გამოვლენასა და აღკვეთას.

გაძლიერდება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმი, შემცირდება ბირთვული და რადიოლოგიური საფრთხეების რისკები, მოხდება მოსახლეობის დაცვა მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისგან. შემუშავდება რადიოაქტიური ნარჩების მართვის სამართლებრივი ბაზა. მოხდება ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროს ინსტიტუციური გაძლიერება.

ხელი შეეწყობა ქვეყანაში მდგრადი განვითარებისა და „მწვანე ეკონომიკის” პრინციპების დანერგვას.

შემუშავდება/დაიხვეწება გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის მექანიზმები. გატარდება ღონისძიებები გარემოსდაცვითი განათლებისა და ცნობიერების ამაღლების ხელშესაწყობად.

იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა უფლებების დაცვა და მხარდაჭერა

სახელმწიფო პასუხს აგებს თითოეული დევნილი და ომით დაზარალებული მოქალაქის წინაშე - მის სიცოცხლეზე, ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებაზე, სოციალურ ინტეგრაციაზე, საცხოვრებელ პირობებზე, დასაქმებაზე, საკუთრების დაცვასა და შინ დაბრუნებაზე. სახელმწიფო, იძულებით გადაადგილებით გამოწვეული სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს დევნილთა უფლებების დაცვას იძულებით გადაადგილების მთელ პერიოდში და ყველა ღონეს იხმარს დევნილთა პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტისთვის, მათი ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში განსახლების, შემოსავლის წყაროების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის, სოციალური ინტეგრაციისა და სხვა საკითხების გადაწყვეტისათვის, რათა დევნილთათვის შეიქმნას უსაფრთხო და ღირსეული ცხოვრებისათვის აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური პირობები.დევნილი მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველსაყოფად მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებამდე ქვეყნის სხვა ნაწილში ინტეგრაციის პროცესში, სახელმწიფო უზრუნველყოფს დევნილთა ჩართვას სასოფლო სამეურნეო პროგრამებში, სოფლის მეურნეობაში ჩართული დევნილების მხადაჭერას სათანადო ინფრასტრუქტურით, ძირითადი საშუალებებით აგრობიზნესის ინკუბატორების შექმნასა და არსებულ(ებ)ის წახალისება, სოფლის მეურნეობის შერეული კოოპერატივების განვითარებას. სახელმწიფო აღიარებს მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დატოვებული უძრავი ქონების რესტიტუციის უფლებას, რაც მემკვიდრეობით გადადის. ეს უფლება შენარჩუნდება დევნილთათვის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის შემთხვევაშიც. სახელმწიფო განსაკუთრებულ ძალისხმევას მიმართავს დევნილთა დაბრუნების, დასახლებისა და რეინტეგრაციის დაგეგმვისა და განხორციელების უზრუნველსაყოფად. დევნილთა დაბრუნების წინაპირობად იქცევა ომებით დაშორიშორებულ ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ საზოგადოებებს შორის ურთიერთნდობის აღდგენა, ფართო საერთაშორისო ჩართულობა, პოლიტიკურ მოლაპარაკებებზე დაფუძნებული კონფლიქტების მოგვარების სტრატეგიის რეალიზაცია.

კონფლიქტების მოგვარება

კონფლიქტების მოგვარების საკითხი მთავრობის საგარეო და საშინაო დღის წესრიგის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. აქტუალური გამოწვევების ფონზე, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საერთაშორისო რეაქციის მობილიზებას რუსეთის საოკუპაციო პოლიტიკისა და ანექსიისაკენ მიმართული ნაბიჯების საპასუხოდ, ასევე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, განსაკუთრებით ყველაზე მოწყვლად, გალისა და ახალგორის რაიონებში, ადამიანის უფლებების დაცვისა და მონიტორინგის ეფექტური მექანიზმების შექმნას, საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით.

ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების, როგორც საერთაშორისო ჩართულობით საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული მნიშვნელოვანი პლატფორმის, მხარდაჭერასთან ერთად, გაგრძელდება

მზადყოფნა და მუშაობა აფხაზურ და ოსურ საზოგადოებასთან პირდაპირი დიალოგისათვის. კონფლიქტების პოლიტიკური მოგვარების საკითხებთან დაკავშირებულ პოზიციათა პრინციპული განსხვავების მიუხედავად, ქართველმა, აფხაზმა და ოსმა საზოგადოებებმა ერთად უნდა აიღონ პასუხისმგებლობა როგორც რეგიონის, ისე მომავალი თაობების უსაფრთხოებისათვის. საჭიროა მოლაპარაკებების დაწყება უსაფრთხოების გარანტიების თაობაზე, რომლის მექანიზმი უნდა შეიქმნას საერთაშორისო ორგანიზაციების/პარტნიორების ფორმატში (მაგ., ევროკავშირი, ეუთო ან გაერო). ამასთან, მნიშვნელოვანია ჰუმანიტარული საკითხების გადაწყვეტა და ნდობის აღდგენისათვის შემდგომი ნაბიჯების გადადგმა. შესაბამისად, გაგრძელდება მხარდაჭერა სახალხო დიპლომატიის, სოციალური და ეკონომიკური რეაბილიტაციისა და ბიზნესპროექტების განხორციელების მიმართულებით. კვლავაც წახალისდება ოჯახური, ნათესაური და პირადი ურთიერთობები, რომლებსაც ინარჩუნებს „გამყოფი ხაზის“ ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობა.

მეგობარი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით, მნიშვნელოვნად გაფართოვდება არასამთავრობო სექტორის პროექტების მხარდაჭერა, რომლებიც ხელს შეუწყობს მხარეებს შორის დიალოგს პოლიტიკური ექსპერტების დონეზე, ასევე ბიზნესმენების, ჟურნალისტების, ქალების, ფერმერების, ეკოლოგების, მედიცინის მუშაკების, სტუდენტებისა და სხვა ,,ინტერესთა ჯგუფების“ შექმნას.

მთავრობის სტრატეგიული ამოცანაა, გამყოფი ხაზების მიმდებარე, კონფლიქტით დაზარალებული ოჯახების ადგილზე დამაგრების მიზნით, აღნიშნული რეგიონებისა და სოფლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, რისთვისაც ამოქმედდება უკვე შემუშავებული შესაბამისი სტრატეგია. აღნიშნული სტრატეგია, თავის მხრივ, ეფუძნება უკვე განხორციელებულ და მიმდინარე პროექტებს სასმელი და სარწყავი წყლის სისტემების აღდგენის, სკოლების რეაბილიტაციის, ამბულატორიების მოწყობის, გაზიფიკაციის, უმაღლესი განათლების დაფინანსების, ადგილობრივი მოსახლეობის მიზნობრივი მატერიალური დახმარებისა და სხვა მიმართულებებით. გაგრძელდება დონორებსა და პარტნიორებთან მუშაობა გამყოფი ხაზების მიმდებარე რეგიონების დახმარებისა და განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ხელშეწყობის გაგრძელების მიმართულებით.

შემუშავებისა და განხილვის პროცესშია კონფლიქტების მოგვარების სახელმწიფო სტრატეგიის ახალი სამშვიდობო ხედვა და მიდგომები, რაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პრინციპის დაცვის პირობებში, შერიგების, პირდაპირი დიალოგისა და ნდობის აღდგენის თანამედროვე მიდგომებს დაეფუძნება. გაგრძელდება დაწყებული სამუშაო ისეთი სამართლებრივ-ინსტიტუციური მექანიზმების შესაქმნელად, რომლებიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას შესაძლებლობას მისცემს, თავისუფალად ისარგებლოს საქართველოს მოქალაქეებისთვის სხვადასხვა სფეროში დაწესებული ნებისმიერი შეღავათითა და მომსახურებით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ეს შეეხება ასევე საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებით საქართველოს მოქალაქეებისათვის გათვალისწინებულ სარგებელსა და შესაძლებლობებს სხვადასხვა სფეროში და საქართველოს ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის თაობაზე დიალოგიდან გამომდინარე პერსპექტივებს.

შესაბამისად, მთავრობის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა იქნება, აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებს სრულფასოვნად მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოს ევროინტერგაციის პროცესის შესახებ, მათ შორის როგორც კონკრეტული სარგებლის, ისე იმ ღირებულებების თაობაზე, რასაც საქართველოს ევროპული განვითარების გზა გულისხმობს ადამიანის უფლებების, თავისუფლებების, იდენტობისა და თვითმყოფადობის დაცვის თვალსაზრისით; გააცნოს ასოცირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებისა (DCFTA) და საქართველოსა და ევროკავშირს შორის უვიზო მიმოსვლის თაობაზე დიალოგიდან გამომდინარე პერსპექტივები. კონფლიქტების მოგვარების წარმატებისათვის გადამწყვეტი იქნება დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემების მოგვარების დაჩქარება. ამ მიმართულებებით სახელმწიფო პოლიტიკის წარმატებამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის საზოგადოებები უნდა დაარწმუნოს ერთიან, ევროპულ სახელმწიფოში ცხოვრების უპირატესობაში.

თავდაცვის სისტემა და შეიარაღებული ძალები

თავდაცვის სფეროში საქართველოს მთავრობის ძირითადი მიზანია ინსტიტუციონალურად გამართული და დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული თავდაცვის სისტემის შექმნა და ნატოსთან თავსებადი, პროფესიონალი, ღირსეული და ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეების ადეკვატური შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება. თავდაცვის უწყებას ნატოში გაწევრიანების გზაზე ერთ-ერთი წამყვანი როლი ეკისრება. შესაბამისად, მისი განსაკუთრებული პრიორიტეტი ალიანსში გაწევრიანების ყველა წინაპირობის დაკმაყოფილება და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ქმედითი წვლილის შეტანაა.

დასახული მიზნების მისაღწევად თავდაცვის სფეროში არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, რასაც როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ პოზიტიური შეფასებები მოჰყვა. 2014-15 წლებში ნატოს ხელმძღვანელობის და ექსპერტების მიერ არაერთხელ აღინიშნა თავდაცვის სამინისტროს მიღწევები გამჭვირვალობის გაზრდის, კორუფციის რისკების შემცირების და ინსტიტუციონალური რეფორმების განხორციელების კუთხით.

თავდაცვის სისტემის სამომავლო გეგმები და პრიორიტეტები დეტალურად არის გაწერილი უწყების სტრატეგიულ და კონცეპტუალურ დოკუმენტებში.

თითოეული ახალი ინიციატივა ეფუძნება მიღებული გამოცდილების, არსებული საჭიროებებისა და შესაძლებლობებისა და წარმატებული საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზს. არსებული უსაფრთხოების გარემოს გათვალისწინებით, რეგიონალური საფრთხეებისა და რისკების და შეზღუდული რესურსების პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს შეიარაღებული ძალების პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა, განხორციელების ოპტიმალური ვადების დადგენა, პრიორიტეტული მიმართულებების დაბალანსებულად განვითარება და საერთაშორისო დახმარების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენება.

მიმდინარე და დაგეგმილ ინსტიტუციონალურ რეფორმებს შორის მნიშვნელოვანია თავდაცვის სისტემის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა, თავდაცვის მართვის სრულყოფა, თავდაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესება, ნატოსთან თავსებადობის ამაღლება და საერთაშორისო თანამშრომლობა.

გამჭვირვალობის მაღალი დონის შენარჩუნების და კორუფციის პრევენციის მიზნით საქართველოს თავდაცვის სამინისტრო 2013 წლიდან აქტიურად არის ჩართული ნატოს „კეთილსინდისიერების ამაღლების“ პროგრამაში, რომლის მიზანია ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემების გამჭვირვალობის და ეფექტიანობის გაზრდა. 2015 წელს თავდაცვის სამინისტროში შეიქმნა თავდაცვის სამინისტროს კეთილსინდისიერების ამაღლებისა და ანტიკორუფციული გარემოს მონიტორინგის საბჭო.

უფლებების დაცვის ნაწილში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამხედრო მოსამსახურეთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების გამყარებას და გენდერული დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აღმოფხვრა-პრევენციას, რისთვისაც შემუშავდა და დამტკიცდა „თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგია”.

მართვის სისტემის გასაუმჯობესებლად ამოქმედდა გადაწყვეტილებების მიღების სამდონიანი სისტემა. ეს სისტემა თავდაცვის უწყების თითოეული სტრუქტურული ერთეულის სხვადასხვა რანგის თანამშრომელს საშუალებას აძლევს, აქტიური მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

თავდაცვის სფეროსთვის მიკუთვნებული საკითხების უკეთ რეგულირებისთვის გრძელდება მუშაობა მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პროცედურების გადახედვა-განახლებაზე. ასევე ორგანიზაციული უზრუნველყოფის სისტემების დანერგვა. მიმდინარეობს მუშაობა საკადრო მართვის პროგრამული უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემის (HRMS) დანერგვაზე.

სამინისტროს მნიშვნელოვანი პრიორიტეტია პროგრამული ბიუჯეტის, რესურსების მართვის და შესყიდვების დაგეგმვის სისტემების შემდგომი განვითარება. აღნიშნული მიმართულებით მიმდინარეობს პარტნიორი ქვეყნების, ექსპერტების და მრჩეველთა ინსტიტუტების გამოცდილების გაზიარება. ყურადღება დაეთმობა ფინანსური გამჭვირვალობის კიდევ უფრო გაზრდას.

რესურსების მართვის სისტემის სამოქმედო და ეკონომიური ეფექტიანობის გაზრდის მიზნით დაგეგმილია სტანდარტიზაციის და კოდიფიკაციის დანაყოფების შექმნა. ერთი მხრივ, მოხდება თავდაცვის სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სტანდარტებში მოქცევა, რაც ხელს შეუწყობს ხარისხის ამაღლებას და ხარჯების შემცირებას, ხოლო, მეორე მხრივ, განხორციელდება მატერიალურ ტექნიკური ბაზის აღრიცხვის ნატოს სტანდარტებთან თავსებადობის უზრუნველყოფა. განხორციელდება ლოგისტიკის მართვის ელექტრონული სისტემის შექმნა შეიარაღებული ძალებისთვის.

შიდა კონტროლის მექანიზმების დასახვეწად განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შიდა აუდიტის დეპარტამენტის სრულად ამოქმედებასა და სხვა შიდა მაკონტროლებელი სტრუქტურების ეფექტიანობის ამაღლებას.

თავდაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესების თვალსაზრისით, პრიორიტეტულია შემდეგი მიმართულებები: განათლება, სამხედრო წვრთნები, სამხედრო დოქტრინები, მართვა და კონტროლი, მობილურობა და კონტრმობილურობა, სამხედრო დაზვერვის სისტემა, საარტილერიო შესაძლებლობები, ჯავშანსაწინააღმდეგო შესაძლებლობები, საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობები, სპეციალური ოპერაციების ძალები, სამხედრო პოლიციის შესაძლებლობები, ლოგისტიკის სისტემა, რეზერვის სისტემის განვითარება, კიბერთავდაცვითი შესაძლებვლობების განვითარება, სამხედრო ინფრასტრუქტურა.

გრძელდება მუშაობა ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა-განხორციელებაზე, კერძოდ, სამხედრო ბაზების, ყაზარმების და სასადილოების აშენება-კეთილმოწყობაზე, რაც სამხედრო მოსამსახურეებს მისცემს შესაძლებლობას, მათზე დაკისრებული მოვალეობები ადეკვატურ და ღირსეულ პირობებში შეასრულონ.

წვრთნებისა და განათლების სისტემის შემდგომი რეფორმირება ფოკუსირებული იქნება ამოცანებზე ორიენტირებული და რეალურ საბრძოლო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებული, და ერთობლივი საერთაშორისო წვრთნების ჩატარებაზე, ასევე, სამხედრო მოსამსახურეთა განათლების პროგრამების და შესაბამისი სასწავლო პროცესების დახვეწაზე. უახლოეს მომავალში საქართველოს სამხედრო განათლების სისტემა მოიცავს აბსოლუტურად ყველა საფეხურს სამხედრო მოსამსახურის საკარიერო ზრდის პროცესის უზრუნველსაყოფად. ასევე, დიდი ყურადღება ეთმობა პროფესიული განვითარების და სასწავლო ცენტრების ჩამოყალიბებას და არსებულის განვითარებას.

სამხედრო მოსამსახურეთა სოციალური უფლებების დაცვის მიზნით გრძელდება მუშაობა დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეების მხარდაჭერის პროგრამებზე, დაჭრილი და დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახების დახმარებაზე, სამხედრო მოსამსახურეების სამედიცინო და კვებითი უზრუნველყოფის ხარისხის ამაღლებაზე და საპენსიო სისტემის რეფორმაზე.

თავდაცვის უწყების საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი ორიენტირი სამომავლოდაც იქნება ნატოს, ევროკავშირსა და სტრატეგიულ პარტნიორებთან თანამშრომლობის გაღრმავება. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ნატოსა და ევროკავშირთან აღებული ვალდებულებების შესრულებაზე, მნიშვნელოვანი რესურსები მიემართება ნატოს უელსის სამიტზე მინიჭებული ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის დროული და ეფექტიანი განხორციელებისკენ. საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობებისა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად, თავდაცვის უწყება გააგრძელებს ინტენსიურ თანამშრომლობას თავდაცვის სფეროში ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში. აქტიურად წარმართავს თანამშრომლობას როგორც ორმხრივ ისე მრავალმხრივ ფორმატში პარტნიორ ქვეყნებთან და განავითარებს თანამშრომლობას ახალ პარტნიორებთან. გაარძელებს რეგიონში უსაფრთხოების განმტკიცების ხელშეწყობას რეგიონის ქვეყნებთან ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში თანამშრომლობის გაღრმავების გზით.

თავდაცვის სამინისტრო განაგრძობს აქტიურ თანამშრომლობას პარტნიორ ქვეყნებთან, ნატოსთან, ევროკავშირსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში.

აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვნად გაღრმავდა ალიანსთან თანამშრომლობა. საქართველო ნატოს სხვა ასპირანტ ქვეყნებს შორის ერთ-ერთ ყველაზე თავსებად პარტნიორად არის აღიარებული. ნატოს უელსის სამიტზე ალიანსის წევრმა ქვეყნებმა საქართველოს „გაძლიერებული შესაძლებლობების პარტნიორი“

ქვეყნის სტატუსი მიანიჭეს და ნატოში გაწევრიანების დაჩქარების მიზნით მხარდაჭერის არსებითი პაკეტი (Substantial NATO-Georgia Package) შესთავაზეს, რომელიც განამტკიცებს ქვეყნის უსაფრთხოებას, გააძლიერებს თავდაცვისუნარიანობას და კიდევ უფრო აამაღლებს ნატოსთან თავსებადობას, რაც თავისთავად დააჩქარებს ალიანსში გაწევრიანების პროცესს.

შესაბამისად, თავდაცვის სამინისტროს მთავარ ამოცანას არსებითი პაკეტით განსაზღვრული ინიციატივების წარმატებით განხორციელება წარმოადგენს.

გარდა ამისა, თავდაცვის სამინისტრო აგრძელებს ალიანსთან ეფექტურ თანამშრომლობას ნატო-საქართველოს კომისიის, ყოველწლიური ეროვნული პროგრამის, დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესის, ნატო-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის სამუშაო გეგმის, ნატოს ნდობის ფონდის, პროფესიული განვითარების პროგრამის, სამხედრო განათლების განვითარების პროგრამის, გონივრული თავდაცვის ინიციატივისა და სხვა თანამშრომლობის ინსტრუმენტების ფარგლებში.

საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში და მომავალშიც გააგრძელებს ნატოსა და ევროკავშირის ეგიდით წარმოებულ საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილეობას.

აღსანიშნავია, რომ საქართველო 2016 წლამდე ალიანსთან ერთად ავღანეთში მტკიცე მხარდაჭერის (Resolute Support Mission) მისიაში იქნება ჩართული. 2015 წლიდან 900-მდე ქართველი მოსამსახურე აშშ-ისა და გერმანიის სარდლობის ქვეშ წარმატებით ასრულებს დაკისრებულ ამოცანებს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მონაწილეობს ნატოს შეკავშირებული ძალების ინიციატივაში ნატოსთან თავსებადობის ამაღლების მიზნით. 2015 წლიდან საქართველოს ერთი ქვეითი ასეული ჩართულია ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში.

საქართველო გააგრძელებს ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში (CSDP) მიმდინარე კრიზისების მართვის ოპერაციებში მონაწილეობას, კერძოდ, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე მისიაში (EUMAM RCA) და ევროკავშირის საწვრთნელ მისია მალიში (EUTM Mali) ქართველი სამხედროების მონაწილეობას.

თავდაცვის სამინისტრო წარმატებით შეასრულებს ევროკავშირის ასოცირების განრიგის ფარგლებში განსაზღვრულ თავდაცვის ვალდებულებებს.

გაგრძელდება ეუთოსა და გაეროს წინაშე აღებული ვალდებულებებისა და შესაბამისი რეკომენდაციების შესრულება.

დღევანდელ მსოფლიოში თავდაცვის დიპლომატია სულ უფრო მზარდ მნიშვნელობას იძენს.

საქართველოს თავდაცვის უწყება ამ მიმართულებითაც გამორჩეულად აქტიური იქნება. მომავალში საქართველო საერთაშორისო ასპარეზზე წარმოდგენილი იქნება არა მხოლოდ საერთაშორისო მისიებში ჩართული სამხედრო ძალით, არამედ როგორც თავდაცვის ინსტიტუციონალურ განვითარებაში განსაკუთრებული პოზიტიური გამოცდილების ექსპორტიორი ქვეყანა.

დიასპორაზე ზრუნვა

მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს, მათ ჩართულობას ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებში, აგრეთვე კავშირების განმტკიცებას საქართველოსა და იმ ქვეყნებს შორის, სადაც საქმიანობენ ჩვენი თანამემამულეები.

მთავრობა გააგრძელებს ზრუნვას უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებში, განსაკუთრებით კი, სასკოლო ასაკის ბავშვებში ქართული ენის ცოდნის და ქართული ცნობიერების ამაღლებაზე. უცხოეთში მოქმედი ქართული ეთნოკულტურული კომპონენტის მქონე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის გაგრძელდება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს საგანმანათლებლო სტანდარტების გათვალისწინებით სასწავლო პროგრამების შექმნა და პედაგოგთა გადამზადება. თურქეთში მცხოვრები ქართველებისათვის მომზადდა ქართული ენის სასწავლო პროგრამა, რომელიც დამტკიცდა თურქეთის რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ.

მთავრობა გააგრძელებს, აგრეთვე, უცხოეთში ქართულენოვანი სკოლების, ქართული საკვირაო სკოლების, ანსამბლების, სპორტული გუნდების და უცხოეთში არსებული სხვა ტიპის დიასპორული ორგანიზაციების ტრადიციულ მხარდაჭერასა და დახმარებას. საზღვარგარეთ მცხოვრები

თანამემამულეებისათვის ქართული ენის დისტანციური მეთოდით სწავლების მიზნით მიმდინარეობს მუშაობა პროექტზე ,,ქართული ონლაინ სკოლა“, რომლის პროგრამული ნაწილი დასრულებულია და მიმდინარეობს მუშაობა ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხზე.
მთავრობა გააგრძელებს ზრუნვას უცხოეთში მდებარე ქართული ისტორიულ-კულტურული ობიექტების მოძიებისათვის, მოვლა-პატრონობისთვის, რესტავრაციისა და შესაძლებლობის შემთხვევაში – საქართველოსთვის გადმოცემისთვის. მიმდინარეობს ლევილის მამულის საქართველოსთვის გადმოცემასთან დაკავშირებით შექმნილი პარიტეტული კომისიის მუშაობის პროცესი.
მთავრობა შეუწყობს ხელს უცხოეთში ქართული დიასპორული ორგანიზაციების (პროფესიული, სამეცნიერო, კულტურული, ახალგაზრდული და სხვ.) დაფუძნებასა და მათ საქმიანობას. დიასპორული ორგანიზაციების სათანადო აღრიცხვის, მათთან ოპერატიული კომუნიკაციის და დიასპორული ღონისძიებების მასშტაბურად დაგეგმვა-განხორციელების მიზნით შეიქმნება დიასპორული ორგანიზაციების რეესტრი, სადაც თავს მოიყრის ინფორმაცია საზღვარგარეთ არსებული ქართული დიასპორული ორგანიზაციების, მათი დამფუძნებლებისა და ხელმძღვანელების, ორგანიზაციის მიზნებისა და განხორციელებული საქმიანობის შესახებ. პერსპექტიული დასავლური განათლების მქონე ახალგაზრდებისათვის ხორციელდება დიასპორული სტაჟირების პროექტი, რომლის ფარგლებში ამ ეტაპზე საქართველოს სახელმწიფო უწყებებში სტაჟირება გაიარა 40-მდე სტუდენტმა.
ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მოთხოვნებიდან გამომდინარე, მთავრობა ეტაპობრივად უზრუნველყოფს ემიგრანტებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებას. მთავრობა გააგრძელებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების ინფორმირების მიმართულებით.

კულტურა

სახელმწიფოს კულტურის პოლიტიკა მიმართულია ქვეყნის ეროვნული და კულტურული იდენტობის შენარჩუნებისაკენ. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების თანახმად, მიმდინარეობს ინტენსიური თანამშრომლობა ევროკავშირთან, რათა შემუშავდეს და დაინერგოს ინკლუზიური კულტურის პოლიტიკა. ამასთან, მიმდინარეობს მუშაობა რომ უზრუნველყოფილი იყოს „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ“ იუნესკოს 2005 წლის კონვენციის განხორციელება.
გაგრძელდება ქართული კულტურის მსოფლიოს კულტურულ სივრცეში ინტეგრაცია საერთაშორისო ინსტრუმენტების მხარდაჭერის გზით. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგმება, რათა კულტურის სფერო ინტეგრირებული იყოს ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების პროცესში. ქართული კულტურის განვითარების, პოპულარიზაციასა და მისი ევროპულ სივრცეში ინტეგრაციის მიზნით, მიმდინარე წლის 24 თებერვალს, ბრიუსელში ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის თანახმადაც საქართველო ევროკავშირის პროგრამა - “Creative Europe”-ის („შემოქმედებითი ევროპა“) წევრი გახდა. დაიწყო საქართველოში „შემოქმედებითი ევროპის“ ოფისის შექმნა და მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურების შეთანხმება ევროკომისიასთან.
არსებითი ღონისძიებები გატარდება კულტურის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებისა და მისი ევროპის კანონმდელობასთან ჰარმონიზაციის მიზნით. ამისათვის, საერთო ჯამში შემუშავდება ცვლილებები და დამატებები მთელ რიგ საკანონმდებლო აქტებში.
ამასთანავე, დაწყებულია და მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება „კულტურული მემკვიდრეობის კოდექსის“ შემუშავება. კოდექსით გაერთიანდება კულტურული მემკვიდრეობის სფეროში მოქმედი ყველა საკანონმდებლო აქტი და იმავდროულად დაიხვეწება კულტურული მემკვიდრეობის მართვის მექნიზმები, მათ შორის პროფესიული რეგულირების საკითხები კულტურული მემკვიდრეობის სფეროში.
მიმდინარეობს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და მასში შემავალი საქვეუწყებო ორგანიზაციების ინსტიტუციური რეფორმები. ICCROM-თან თანამშროლობით დაწყებულია რეგიონული სასწავლო პროგრამის შემუშავება და სასწავლო ცენტრის (ტრეინინგ პლატფორმის) ჩამოყალიბება საქართველოში.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რეაბილიტაციის პროცესი წარიმართება საერთაშორისო კონვენციების, მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების, იუნესკოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით. გაგრძელდება 2014-15 წლებში დაწყებული კომპლექსური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების: მუცოს არქიტექტურული კომპლექსის, ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსის, სოფ. ჩაჟაშის, ნოქალაქევის არქიტექტურული კომპლექსის, გრაკლიანი გორის მუზეუმ-საიტის მოწყობის, გეგუთის სასახლის (არქეოლოგია-კონსერვაცია), ასევე სქურის ეკლესიის რეაბილიტაცია, ბებრის-ციხის გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები, ნოღას ციხის რეაბილიტაცია, ბაგინეთის არქეოლოგია, დაგეგმილია მთელი რიგი ძეგლებისსარეაბილიტაციო სამუშაოები. ხორციელდება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის სისტემისა და კულტურული მემკვიდრეობის გეოინფორმაციული სისტემის (GIS) განვითარება;

გაგრძელდება კულტურის სფეროს ფინანსური გაძლიერების და კაპიტალური დანახარჯების პროგრამა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ-ების (84 ორგანიზაცია) ინფრასტრუქტურული სახის საჭიროებების შესწავლა.

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სახელოვნებო განათლების სასწავლებლების სახელმწიფო ხელშეწყობას, სახელოვნებო განათლებას. სახელმწიფოს ხელშეწყობით მაგისტრანტები ეუფლებიან სამაგისტრო პროგრამას, ხორციელდება პროფესიული პროგრამები, რეგიონებიდან შერჩეული განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოზარდები ეუფლებიან სამუსიკო ხელოვნებას. ხელი ეწყობა საქართველოს მოქალაქეების სწავლას უცხოეთის უმაღლეს სახელოვნებო სასწავლებლებსა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე. ხელი შეეწყობა მოსწავლეებისა და სტუდენტების მონაწილეობას საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებში, დიპლომანტი რეჟისორების სადიპლომო სპექტაკლების განხორციელებას რეგიონების სახელმწიფო თეატრებში.

თანამედროვე ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, პრიორიტეტების შესაბამისად, ხდება საუკეთესო პროექტების შერჩევა და განხორციელება: ქართული წიგნისა და ლიტერატურის, მუსიკალური, სახვითი, თეატრალური და კინოხელოვნების მიმართულებებით, ეროვნულ უმცირესობათა კულტურის მხარდაჭერა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრირება ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. განსაკუთრეული ყურადღება ექცევა 2018 წელს ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე საქართველოს სტუმარი ქვეყნის სტატუსით წარდგენასთან დაკავშირებულ მზადებას.

გაგრძელდება რეგიონებში კულტურული ცხოვრების აღორძინება და განვითარება, რაც გამოიხატება რეგიონების კინოთეატრების აღჭურვით, მუნიციპალიტეტებთან ერთად კულტურისა და დასვენების პარკების რეაბილიტაციით, კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციით, სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და მოსწავლეთა მეთოდური დახმარების ღონისძიებებით, ფოლკლორული ანსამბლების ტექნიკური მხარდაჭერით, თეატრალური დასებისა და სტუდიების საქმიანობის ხელშეწყობითა და პოპულარიზაციით.

კვლავაც უზურუნველყოფილი იქნება ისეთი პრინციპების გატარება, როგორიცაა, საქართველოს მოქალაქეების თავისუფალი საქმიანობა კულტურის სფეროში და ხელისუფლების ჩაურევლობა შემოქმედებით პროცესში.

საგანგებო ღონისძიებები გატარდება ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, დასაცავად. სახელმწიფო ენაზე იზრუნებს სახელმწიფო, რათა გარანტირებული იყოს ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვა. „ქართული ანბანის სამი უძველესი სახეობის ცოცხალ კულტურას“ მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი და განესაზღვრა ეროვნული კატეგორია. მომზადდა შესაბამისი ნომინაცია და წარედგინა იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კომიტეტს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში აღიარებისთვის.

დასახული ამოცანების შესასრულებლად, ფართო კონსულტაციებისა და საზოგადოების ჩართულობით მუშავდება კულტურის პოლიტიკის გრძელვადიანი სტრატეგია 2025 წლამდე და კულტურის სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა 2016-2017 წლისათვის.

სპორტი და ახალგაზრდობა

საქართველოს მთავრობა კვლავაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ახალგაზრდებში ჯანმრთელი ცხოვრების წესის დანერგავასა და პოლულარიზაციას. სპორტში არსებული ვითარების შესწავლის, კვლევისა და ანალიზის საფუძველზე შემუშავდა და დამტკიცდა სპორტის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი 2014-2020, შემუშავების პროცესშია სპორტის განვითარების სტრატეგიული, კონკრეტული გეგმა, რომლის ძირითადი მიმართულებაა ხელმისაწვდომობა. პენტინეციარულ სისტემაში ხელმისაწვდომი ხდება სხვადასხვა სპორტის სახეობის დაუფლება და არაფორმალური განათლების მიღება, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს საზოგადოებაში მათი შემდგომი ინტეგრაციისა და ადაპტაციის პროცესს.

პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით შემუშავებული და მიღებული იქნება საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი სპორტის პოპულარიზაციისა და ქვეყანაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად. მთელი ქვეყნის მასშტაბით გაგრძელდება არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი რეაბილიტაცია და მშენებლობა, რეგიონებში სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრების შექმნა და მათი აღჭურვა მოდერნიზებული ინვენტარით. გაგრძელდება გრძელვადიანი სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების დაფინანსება. სამომავლოდ საქართველო უმასპინძლებს არაერთ საერთაშორისო სპორტულ ფორუმს.

გაგრძელდება სპორტული ფედერაციებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების საქმიანობაში ჩაურევლობის პოლიტიკა.

ახლად დაფუძნებული ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი იმუშავებს თანამედროვე ევროპული სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო სისტემით სასპორტო განათლების რეგიონალურ ცენტრად ჩამოყალიბების მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სპორტის მეცნიერების, მათ შორის, სპორტის მედიცინისა და სპორტის სამართლის განვითარებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული პროფესიული სპორტული განათლების მიღებას.

საქართველოს მთავრობა აგრძელებს ახალგაზრდების და ახალგაზრდული ორგანიზაციების მიერ პროექტების ინიცირებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას და მათ მიერ ინიცირებული პროექტების მხარდაჭერა და დაფინანსებას. ამ მიზნით სხვა და სხვა უკვე დანერგილი პროგრამების საშუალებით სპორტისა და ახალგარზდობის სამინისტრო დაეხმარება ახალგაზრდებს პროექტების მართვისთვის აუცილებელი უნარჩ-ჩვევებისა და შესაძლებლობების განვითარებაში და დაეხმარება მათი ინოვაციური პროექტების მართვის მდგრად განვითარებაში.

საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით განხორციელდა ახალგაზრდობის პრობლემებისა და გამოწვევების კვლევა, რომელიც საფუძვლად დაედო ქვეყნის ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების რეფორმირებულ სამოქმედო გეგმას. კანონმდებლობით მოწესრიგდება გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდობის მონაწილეობა ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების დონეზე, განისაზღვრება მათი საქმიანობის ფორმები. შემუშავდება სტრატეგია არაფორმალური განათლების აღიარებისათვის და შესაბამისი სტანდარტები არაფორმალური განათლების სფეროში; მხარდაჭერილი იქნება მოხალისეობა.

ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისა და ახალგაზრდული პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად, შეიქმნა სპორტსმენთა ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს ოლიმპიური თამაშებისა და სხვა საერთაშორისო შეჯიბრებებისთვის საქართველოს სპორტსმენთა მაღალ დონეზე მომზადებას და წარმატებით ასპარეზობას

ქვეყნის ყველა რეგიონში გაგრძელდება ახალგაზრდული ცენტრების ინფრასტრუქტურის ხელშეწყობა; ცენტრების ფუნქციონირებისათვის შემუშავდება ევროპული სტანდარტების შესაბამისი ახალგაზრდული პროგრამები. სახელმწიფოებრივი აზროვნების, ევროპული, დემოკრატიული და სამოქალაქო ღირებულებების პოპულარიზაციისთვის დაიხვეწება ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერის პროგრამა.

რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების დასაქმების, ასევე ადგილობრივი ახალგაზრდული არასამთავრობო სექტორის წახალისების მიზნით, გაგრძელდება მასშტაბური რეგიონალური საგრანტო კონკურსები სხვადასხვა პროგრამული პრიორიტეტის შესაბამისად. რეგიონში მცხოვრები, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ახალგაზრდების გააქტიურებისა და ინტეგრირების მიზნით განხორციელდება სპეციალური ადაპტირებული პროგრამები. ახალგაზრდობის თვითრეალიზაციისა და ნიჭის გამოსავლენად განხორციელდება შესაბამისი კულტურულ-შემოქმედებითი, სამეცნიერო და სპორტული ღონისძიებები. ქვეყნის ახალგაზრდობის ევროატლანტიკურ სივრცესთან დაახლოების მიზნით, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და პარტნიორ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის საფუძველზე განხორციელდება შესაბამისი ახალგაზრდული პროგრამები.

თავი II

ძირითადი საბიუჯეტო და მაკროეკონომიკური პარამეტრები

მაკროეკონომიკური პოლიტიკის ამოცანები

საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფისაკენ, რომლის მისაღწევად ძირითადი პრიორიტეტებია:

- ეკონომიკის სტაბილიზაცია და მომდევნო ეტაპზე ეკონომიკის მდგრადი და მაღალი ტემპით ზრდა;
- ინფლაციის დონის ერთნიშნა მაჩვენებლის შენარჩუნება;
- უმუშევრობის დონის შემცირება;
- საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება;

საშუალოვადიანი მაკროეკონომკური პროგნოზები

ცხრილი1. ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორები

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
	ფაქტ.	ფაქტ.	ფაქტ.	მოსალ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.
რეალური მშპ (ზრდის ტემპი)	6.4	3.3	4.6	2.8	3.0	5.5	5.5	5.5
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	26,167.3	26,847.4	29,150.5	31,465.0	34,191.5	37,875.6	41,756.9	45,815.7
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	3,523.4	3,596.6	3,676.2	3,716.6	3,819.9	4,231.5	4,665.2	5,118.6
სამომხმარებლო ფასების ინდექსი (საშუალო პერიოდის განმავლობაში)	-0.9	-0.5	3.1	4.0	5.5	5.0	4.5	4.0
მიმდინარე ანგარიში (პროცენტულად მშპ-თან)	-11.7	-5.8	-10.0	-10.3	-9.8	-9.3	-8.6	-7.8

მშპ

2015 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი 2.8 პროცენტის ფარგლებში გაიზრდება. საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკური ზრდა პოტენციური ზრდის ფარგლებში ჩამოყალიბდება და 2016-2019 წლებში 5.0 პროცენტი იქნება. 2019 წელს ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი 45.8 მილიარდ ლარამდე გაიზრდება, ხოლო მშპ ერთ სულ მოსახლეზე 2014 წელთან შედარებით 5.8 ათასი ლარით გაიზრდება და 12 285 ლარს გაუტოლდება.

მშპ-ს გრძელვადიან ზრდაში წარმმართველი როლი ექნება ინვესტიციების და ექსპორტის ზრდას.

ფასები

საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკას, რაც ითვალისწინებს ეკონომიკის განვითარებისათვის არსებული დონისათვის ოპტიმალური ინფლაციის განსაზღვრას და მის მიღწევას. 2015-2016 წლებისათვის ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 5 პროცენტს შეადგენს, ხოლო გრძელვადიან პერიოდში ნავარაუდევია ამ მაჩვენებლის კლება.

არსებული ტენდენციებიდან გამომდინარე, 2016 წელს ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებელი 5.5 პროცენტს შეადგენს, ხოლო 2017-2019 წლებში საშუალოდ 4.5 პროცენტის დონეზე იქნება.

მიმდინარე ანგარიშის ბალანსი

2014 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ს 10.0 პროცენტი შეადგინა. 2015 წელს პროგნოზირებულია მიმდინარე დეფიციტის ზრდა, ხოლო 2016-2019 წლებში ნავარაუდევია მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის თანმიმდევრული კლება და 2019 წელს მშპ-ს 7.8 პროცენტი იქნება.

მიმდინარე ძირითადი ეკონომიკური ტენდენციები

მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა

2014 წელს, მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო რეალურმა ზრდამ 4.6 პროცენტი შეადგინა. გასული წლის პირველ სამ კვარტალში ეკონომიკურმა ზრდამ 5.8 პროცენტი შეადგინა. თუმცა, ეკონომიკის ზრდის ტემპი მეოთხე კვარტალში შემცირდა და 1.7 პროცენტი გახდა.

2015 წლის იანვარ-სექტემბერში მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო რეალურმა ზრდამ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან 2.7 პროცენტი შეადგინა. 2015 წლის I კვარტალის საშუალო რეალურმა ზრდამ 3.3 პროცენტი, ხოლო მეორე კვარტალში 2.5 პროცენტი შეადგინა.

ეკონომიკური ზრდის დარგობრივი სტრუქტურა

2014 წელს ეკონომიკური ზრდის წარმმართველი ფაქტორი იყო ინვესტიციები. ინვესტიციების როლი ეკონომიკური ზრდაში სავარაუდოდ შენარჩუნდება 2015 წელსაც, რადგანაც მოხმარებისა და ექსპორტის კუთხით მნიშვნელოვანი რისკ ფაქტორები არსებობს.

2015 წლის ცხრა თვეში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელმა 2.7 პროცენტი შეადგინა.

2015 წლის პირველ ნახევარში ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში წარმართველი როლი მშენებლობას, საფინანსო საქმიანობას უჭირავთ. ეკონომიკური ზრდის დარგობრივი სტრუქტურაში ყველაზე სწრაფად გაიზარდა მშენებლობა 15.7 პროცენტით, საფინანსო საქმიანობა 9.7 პროცენტით, სასტუმროები და რესტორნები 7.9 პროცენტით, ტრანსპორტი 6.8 პროცენტით.

კერძო სექტორის როლი ეკონომიკურ ზრდაში

2014 წელს ეკონომიკურ ზრდაში აშკარა წარმმართველი როლი ეჭირა კერძო სექტორს. 2014 წელს პროდუქციის გამოშვება სამეწარმეო სექტორში გაიზარდა 12.8 პროცენტით, ხოლო ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა - 11 ათასი ადამიანით.

2015 წლის პირველ ნახევარში ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა გაიზარდა 13.3 პროცენტით, ხოლო პროდუქციის გამოშვება 17.5 პროცენტით. გაზრდილია ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 60 ათასი ადამიანით, ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 4.8 პროცენტით.

ფასები

2015 წლის ოქტომბერში, 2014 წლის ოქტომბერთან შედარებით სამომხმარებლო ფასები 5.8 პროცენტით გაიზარდა. ინფლაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა სამომხმარებლო კალათის სამმა სასაქონლო ჯგუფმა მოახდინა: სურსათისა და უალკოჰოლო სასმელები ფასების ზრდამ 4.1 პროცენტი, ჯანმრთელობის დაცვამ 11.1 პროცენტით, ხოლო ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთებამ 13.1 პროცენტით გაზარდა.

2015 წლის იანვარ-ოქტომბერში ინფლაციამ 5.2 პროცენტი შეადგინა.

ლარის გაცვლითი კურსი

2015 წლის 1 ნოემბრისათვის 2014 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ლარი აშშ დოლართან მიმართებაში 27 პროცენტით გაუფასურდა. აღნიშნული გაუფასურება გამოწვეულია ერთის მხრივ აშშ დოლარის გამყარებით, ხოლო მეორე მხრივ რუსეთში და რუსეთის ეკონომიკასთან მჭიდროდ დაკავშირებული ეკონომიკების ქვეყნებში ეკონომიკური კრიზისით. აღნიშნულ პერიოდში ლარი ევროსთან მიმართებაში 16 პროცენტით გაუფასურდა. ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი, რაც წარმოადგენს ლარის საშუალო კურსს სავაჭრო პარტნიორების კურსთან გაუფასურდა 7.9 პროცენტით.

ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

2014 წლის განმავლობაში, საგადასახადო შემოსავლები გადაჭარბებით შესრულდა. 2015 წლის იანვარ-ოქტომბრის ნაერთი ბიუჯეტის ფაქტიურმა საგადასახადო შემოსავლების ზრდამ წინა წელთან 10.9 პროცენტი შეადგინა, რაც ნომინალურ გამოსახულებაში 641.5 მლნ ლარს შეადგენს.

საგარეო ვაჭრობა

2015 წლის იანვარში-ოქტომბერში ექსპორტი 24 პროცენტით შემცირდა (593 მლნ აშშ დოლარი), ძირითადად შემცირება დსთ-ის ქვეყნებზე მოდის (44 პროცენტი), მათ შორის აზერბაიჯანში 54%, რუსეთში 46%, სომხეთში 37%, უკრაინაში 62% და ყაზახეთში 51%. ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტი 2.3 პროცენტით გაიზარდა. იმპორტი შემცირდა 10 პროცენტით (718 მლნ აშშ დოლარი).

მიმდინარე ანგარიშის ბალანსი

მიმდინარე ანგარიშის ბალანსის მაღალი დეფიციტი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ მოწყვლადობის წყაროს წარმოადგენს. საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა

მიმართული იქნება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის 8-9 პროცენტის ფარგლებში შენარჩუნებისაკენ. 2014 წელს, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 10.0 პროცენტს შეადგენს. თუმცა, 2015 წელს მოსალოდნელია მისი ზრდა.

საკრედიტო რეიტინგები

საქართველო აგრძელებს თანამშრომლობას საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან „Standard & Poor's", „Fitch" და „Moody's". ამჟამად საქართველოს Standard & Poor's"-თან და „Fitch"-თან "BB- " სტაბილური რეიტინგი აქვს, ხოლო Moody's"-თან "Ba3" პოზიტიური.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის მარტში რეგიონში შექმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარების მიუხედავად, სარეიტინგო სააგენტო Moody's-მა საქართველოსთვის უცვლელი დატოვა რეიტინგი Ba3 და პერსპექტივა კვლავ პოზიტიური მიანიჭა და დადებითად შეაფასა ეკონომიკური პოლიტიკის პასუხები.

ეკონომიკის მოკლე მიმოხილვა

ეკონომიკური ზრდა

2015 წლის 9 თვეში ეკონომიკა 2.7 პროცენტით გაიზარდა. 2015 წლის იანვარ-სექტემბერში ეკონომიკურმა ზრდამ 2.7 პროცენტი შეადგინა. ამასთან, მშპ 2014 წელს, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5.8 პროცენტით გაიზარდა.

2015 წლის სექტემბერში ეკონომიკური აქტივობა 15.1 პროცენტით გაიზარდა. ეკონომიკური აქტივობა გაიანგარიშება დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა დეკლარირებული ბრუნვის ოპერატიული მონაცემებზე დაყრდნობით. ეკონომიკური აქტივობა სექტემბერში 15.1 პროცენტით, 2015 წლის იანვარ-სექტემბერში საწარმოთა ეკონომიკური აქტივობა, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 13.5 პროცენტით გაიზარდა. ეკონომიკურ აქტივობაში წარმმართველი დარგებია საფინანსო საქმიანობა (52.0%), კომუნალური მომსახურების გაწევა (43.0%), სასტუმრო და რესტორნები (27%) და მშენებლობა (18.5%).

2015 წელს პირველ ნახევარში ეკონომიკური ზრდის წარმმართველი სექტორებია მშენებლობა, საფინანსო საქმიანობა, სასტუმროები და რესტორნები და ტრანსპორტი.

2015 წლის პირველი ნახევრში ეკონომიკური ზრდის დარგობრივი სტრუქტურაში ყველაზე სწრაფად გაიზარდა მშენებლობა 15.7 პროცენტით, საფინანსო საქმიანობა 9.7 პროცენტით, სასტუმროები და რესტორნები 7.9 პროცენტით, ტრანსპორტი 6.8 პროცენტით.

2015 წლის სექტემბერში ეკონომიკური აქტივობა 15.1 პროცენტით გაიზარდა, ყველაზე დიდი ზრდა კომუნალური მომსახურების გაწევაში დაფიქსირდა 63.0 პროცენტი, საფინანსო სექტორში 36.0 პროცენტი, მშენებლობა 25.7 პროცენტი და სასტუმროები და რესტორნები 13.5 პროცენტი.

ფასები

2015 წლის ოქტომბერში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ 0.8 პროცენტი შეადგინა. ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაში ძირითადი გავლენა იქონია სურსათისა და უალკოჰოლო

სასმელების, ჯანმრთელობის დაცვის და სასტუმროები, კაფეები და რესტორნების ფასების ცვლილებებმა. პირველ ჯგუფში ფასები გაიზარდა 0.9 პროცენტით, რაც თვის ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 0.26 პროცენტული პუნქტით აისახა. ხოლო ჯანმრთელობის დაცვაში ფასები გაიზარდა 2.0 პროცენტით, რამაც თვის ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 0.2 პროცენტული პუნქტის ტოლი წვლილი შეიტანა. ხოლო სასტუმროები, კაფეები და რესტორნების ჯგუფზე ფასები გაიზარდა 2.0 პროცენტით, რამაც 0.11 პროცენტული პუნქტით მოახდინა გავლენა ინდექსის მთლიან ცვლილებაზე.

2015 წლის ოქტომბერშიში 2014 წლის ოქტომბერთან შედარებით ინფლაციის დონემ 5.8 პროცენტი შეადგინა. ინფლაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა სამომხმარებლო კალათის სამმა სასაქონლო ჯგუფმა მოახდინა. სამომხმარებლო კალათის ყველაზე მსხვილ სასაქონლო ჯგუფში - სურსათი და უალკოჰოლო სასმელების ფასების ზრდამ 4.1 პროცენტი, ჯანმრთელობის დაცვა 11.3 პროცენტი, ხოლო ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება ჯგუფზე ფასები გაიზარდა 13.1 პროცენტით.

ფისკალური პოლიტიკა

გრძელვადიანი პერიოდისთვის **მთავრობის სტრატეგიაა** ფისკალური მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის შენარჩუნებას და მაკროეკონომიკურ სტაბილურობას;

2016-2019 წლებისთვის ***ფისკალური პოლიტიკის ამოცანებს*** წარმოადგენს:

- სახსრების მიმართვა ისეთ პრიორიტეტულ მიმართულებებზე, როგორიცაა საპენსიო უზრუნველყოფა, სოციალური სფერო, ჯანდაცვა განათლება, სოფლის მეურნეობა, ინვესტიციები ინფრასტრუქტურის განვითარებისათვისა და მოსახლეობის დასაქმებისათვის;
- ბიუჯეტის დეფიციტის ნიშნულის ისეთი მოცულობის ფარგლებში შენარჩუნება, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას;
- სახელმწიფო ფინანსების მართვის შემდგომი სრულყოფა.

საქართველოს 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

2014 წელს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების სახით მობილიზებულია 8 118.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 102.7%-ია (ცხრილი 2).

გადასახადების სახით მობილიზებულია 7 241.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 100.2 %-ია, ხოლო მშპ-თან მიმართებაში 24.8% შეადგინა. მათ შორის :

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 1 938.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 905.0 მლნ ლარი) 101.8%-ია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 6.6%-ია.
- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 828.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (912.0 მლნ ლარი) 90.9%-ია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 2.8%-ია.
- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 3 298.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3 274.0 მლნ ლარი) 100.7%-ია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 11.3%-ია.

- აქციზის სახით მობილიზებულია 810.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (739.0 მლნ ლარი) 109.6%-ია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 2.8%-ია.
- იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 94.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (100.0 მლნ ლარი) 94.9%-ია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 0.3%-ია.
- ქონების გადასახადის სახით მობილიზებულია 245.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (275.0 მლნ ლარი) 89.4%-ია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 0.8%-ია.
- სხვა გადასახადის სახით მობილიზებულია 24.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (25.0 მლნ ლარი) 97.8%-ია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 0.1%-ია.

გრანტების სახით მობილიზებულია 279.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 194.1%-ია.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 597.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (535.0 მლნ ლარი) 111.7%-ია.

ცხრილი 2. ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები

მლნ ლარი

დასახელება	ნაერთი ბიუჯეტი				
	გეგმა	ფაქტი	+/-	%	% მშპ-სთან
შემოსავლები	**7,909.0**	**8,118.8**	**209.8**	**102.7**	**27.8**
გადასახადები	**7,230.0**	**7,241.6**	**11.6**	**100.2**	**24.8**
საშემოსავლო გადასახადი	1,905.0	1,938.8	33.8	101.8	6.6
მოგების გადასახადი	912.0	828.8	-83.2	90.9	2.8
დამატებული ღირებულების გადასახადი	3,274.0	3,298.5	24.5	100.7	11.3
აქციზი	739.0	810.2	71.2	109.6	2.8
იმპორტის გადასახადი	100.0	94.9	-5.1	94.9	0.3
ქონების გადასახადი	275.0	245.9	-29.1	89.4	0.8
სხვა გადასახადი	25.0	24.5	-0.5	97.8	0.1
გრანტები	**144.0**	**279.5**	**135.5**	**194.1**	**1.0**
სხვა შემოსავლები	**535.0**	**597.8**	**62.8**	**111.7**	**2.0**

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 114.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (100.0 მლნ ლარი) 114.7%-ია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 0.4%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 58.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (70.0 მლნ ლარი) 83.1 %-ია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 0.2%-ია.

ვალდებულებების ზრდის ხარჯზე 2014 წელს მობილიზებულ იქნა 1 565.3 მლნ ლარი, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 5.4%-ს შეადგენს.

2014 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები სხვადასხვა სფეროების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- ***სოციალური სფერო - 2 174,9 მლნ ლარი;***

- *განათლება - 739,7 მლნ ლარი;*
- *ჯანმრთელობის დაცვა - 652,9 მლნ ლარი;*
- *ენერგეტიკა - 85,2 მლნ ლარი;*
- *ტრანსპორტი - 580,7 მლნ ლარი;*
- *დასვენება, კულტურა, სპორტი, რელიგია - 190,3 მლნ ლარი;*
- *თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 1 545,4 მლნ ლარი.*

- 2014 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება მოიპოვეს საერთაშორისო ოპერაციების ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელებისას გარდაცვლილ ან ამ მისიებში მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების გამო გარდაცვლილ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა ოჯახის წევრებმა, ასევე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, აგრეთვე 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრებმა, თითოეულმა ოჯახმა 500 ლარის ოდენობით. სულ საანგარიშო პერიოდში საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამული კოდიდან გადარიცხულ იქნა 1 334.9 მლნ ლარი.
- სოციალური დახმარებების პროგრამის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ღატაკი და უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის სოციალური დახმარებისა და ბავშვთა ინსტიტუციებიდან ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნებასთან დაკავშირებული რეინტეგრაციის შემწეობის გაცემა, ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობებით უზრუნველყოფა და შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სულ სოციალური დახმარებების გასაცემად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართა სულ 614.9 მლნ ლარი.
- 2014 წლის 1 მარტიდან ერთ დევნილზე, ლტოლვილსა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირზე გასაცემი ყოველთვიური შემწეობა გაიზარდა და განისაზღვრა 45 ლარით.
- 2014 წელს „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით“ ეტაპობრივად მთლიანად ჩანაცვლდა (2014 წლის 1 სექტემბრიდან სრულად) ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამა.
- ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამის ფარგლებში ხორციელდებოდა სამიზნე ჯგუფების, მათ შორის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის, სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატების, დევნილი მოსახლეობის, მზრუნველობამოკლებული ბავშვების, საჯარო სკოლების და ზოგიერთი საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის, სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირების, ასევე 0-5 წლის (ჩათვლით) ასაკის ბავშვების, საპენსიო ასაკის მოსახლეობის, სტუდენტების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფა. საანგარიშო პერიოდში ქვეყნის მასშტაბით საქართველოს მოქალაქეებისათვის სამედიცინო დაზღვევის ფინანსური ხელმისაწვდომობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში მიიმართა 68.2 მლნ ლარი.
- „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის“ ფარგლებში (სრულად ამოქმედდა 2014 წლის 1 სექტემბრიდან), რომლის მიზანია ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე საქართველოს მოსახლეობისათვის ფინანსური უზრუნველყოფის შექმნა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობაზე, საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება გადაუდებელ სტაციონარულ და ამბულატორიულ მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. პროგრამამ მოიცვა ასევე, გეგმიურ ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებები (გეგმიური ქირურგული ოპერაციები მ.შ.

კარდიოქირურგიული და ონკოლოგიური ოპერაციები, ონკოლოგიურ პაციენტთა მკურნალობა, მშობიარობა, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები და ა.შ.). სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 335.6 მლნ ლარი.

- იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში (არსებულ უბნებში) შენობების, წყალმომარაგების სისტემის, საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის, სანიაღვრე არხების, სასმელი წყლის შიდაკომუნიკაციური ქსელების, გზებისა და შიდა ქუჩების რეაბილიტაციაზე, ახალი საცხოვრებელი უბნის მშენებლობაზე, ასევე საცხოვრებელი სახლებისა და ბინების შეძენისთვის მიმართული იქნა 139.0 მლნ ლარი;
- საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების მიზნით, გზების მოვლა-შენახვაზე ახალი მაგისტრალების, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე დახარჯული იქნა 526.4 მლნ ლარი;
- წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციაზე მიმართული იქნა 106.9 მლნ ლარი;
- საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დახარჯულ იქნა 173.0 მლნ ლარი;
- სხვადასხვა რეგიონში ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიიმართა 307,6 მლნ ლარი, ხოლო სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 49,7 მლნ ლარი;
- ქვეყნის მასშტაბით არსებული 2 081 საჯარო და 239 კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დასაფინანსებლად მიიმართა 374.6 მლნ ლარი.
- ყველა საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის, სასკოლო სახელმძღვანელოებისა და სამუშაო რვეულების გადასაცემად გაწეული ხარჯების დაფინანსების მიზნით მიიმართა 14.2 მლნ ლარზე მეტი;
- საქართველოს ყველა საჯარო სკოლის პირველკლასელ მოსწავლეს, დამრიგებლებსა და წარჩინებულ მოსწავლეებს გადაეცათ პორტატული კომპიუტერები, ასევე რიგი საჯარო სკოლები და პროფესიული სასწავლებელები აღიჭურვნენ კომპიუტერული ტექნკით, ამ მიზნით სულ მიიმართა დაახლოებით 23.7 მლნ ლარი;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების რეაბილიტაციისათვის მიიმართა 89.7 მლნ ლარი;
- ღვინის კომპანიების მიერ მიღებული და გადამუშავებულია სულ 122.2 ათასი ტონა ყურძენი, ხოლო სუბსიდირებულია - 108.5 ათასი ტონა. აღნიშნულის მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართა 31.0 მლნ ლარი.
- 50.0 მლნ ლარი მიიმართა მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის დაფინანსების, ერთწლიანი კულტურების წარმოების აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარების, ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების საწარმოო საშუალებების მიწოდების მიზნით, 10.0 მლნ ლარი - აგროდაზღვევის ღონისძიებების დაფინანსების უზრუნველსაყოფად, ხოლო 4.0 მლნ ლარი - ვაშლის და 2.0 მლნ ლარი - მანდარინის მოსავლის რეალიზაციის და ხელშეწყობის მიზნით.
- სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაციისთვის მიიმართა 50.1 მლნ ლარი. მათ შორის: სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის დასაფინანსებლად და სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის შეძენის მიზნით 36.1 მლნ ლარი, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მიმდინარე ექსპლუატაციის ხარჯების და კომპანიის სხვა მიმდინარე ხარჯების ნაწილობრივი სუბსიდირების მიზნით 14.0 მლნ ლარი.
- სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაციასა და აღჭურვაზე მიიმართა 30,4 მლნ ლარზე მეტი;
- საქართველოს ენერგოსისტემის გასაუმჯობესებლად მიიმართა 95,5 მლნ ლარზე მეტი;

საქართველოს 2015 წლის ბიუჯეტის მოსალოდნელი მაჩვენებლები

ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების მოცულობა 2015 წელს განისაზღვრა 8 895.0 მლნ ლარით, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 28.3%-ს გაუტოლდა.

გადასახადების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 7 980.0 მლნ ლარით, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 25.4%-ს შეადგენს. მათ შორის:

- საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 2 238.0 მლნ ლარს.
- მოგების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 1 004.0 მლნ ლარს.
- დამატებული ღირებულების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 3 525.0 მლნ ლარს.
- აქციზის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 860.0 მლნ ლარს.
- იმპორტის გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 68.0 მლნ ლარს.
- ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 260.0 მლნ ლარს.
- სხვა გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებლი 25.0 მლნ ლარს.

გრანტების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 280.0 მლნ ლარით, ხოლო მშპ-ს მიმართ 0.9 %-ის ფარგლებში;

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 635.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ს მიმართ 2.0%-ს შეადგენს;

არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები თანხების მოცულობა განისაზღვრა 355.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ს 1.1%-ია.

ფინანსური აქტივების კლებით მისაღები თანხების მოცულობა განისაზღვრა 86.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ს 0.3%-ია.

ვალდებულებების ზრდის მოცულობა განისაზღვრა 1 320,0 მლნ ლარით, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 4.2%-ია.

2015 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოსაყოფი ასიგნებები სხვადასხვა სფეროების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- *სოციალური სფერო - 2 203.2 მლნ ლარი,*
- *განათლება -848,3 მლნ ლარი;*
- *ჯანმრთელობის დაცვა -822,5 მლნ ლარი;*
- *ენერგეტიკა - 12,4 მლნ ლარი;*
- *ტრანსპორტი - 588.7 მლნ ლარი;*
- *დასვენება, კულტურა, სპორტი, რელიგია - 199,6 მლნ ლარი;*
- *თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 1 576,5 მლნ ლარი.*

➢ მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფისთვის გამოყოფილია 1 390.0 მლნ ლარი, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებებსა და სამშვიდობო ოპერაციებში დაღუპულთა ოჯახებზე ყოველთვიურად 1 000 ლარიანი

კომპენსაციების გაცემა, ამასთან 2015 წლის სექტემბრიდან განხორციელდა ასაკით პენსიონერთათვის პენსიის ზრდა 10 ლარის ოდენობით;

- სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციართა სოციალური დახმარებებისთვის გამოყოფილია 631.0 მლნ ლარი;
- მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით და სახელმწიფო ჯანმრთელობის სხვა პროგრამებით უზრუნველყოფის მიზნით სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებისათვის გათვალისწინებულია 752.2 მლნ ლარზე მეტი.
- 2015 წელს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის დაგეგმილია 510.0 მლნ ლარამდე;
- რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის, აგრეთვე წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციასთვის მიიმართება 360.0 მლნ ლარამდე;
- სხვადასხვა რეგიონებში ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიიმართება 355.0 მლნ ლარი, ხოლო სოფლის მხარდაჭერის პროგრამისთვის გათვალისწინებულია 50.0 მლნ ლარის მიმართვა;
- ყველა პირველკლასელი და წარჩინებული მოსწავლე და მათი დამრიგებელი უზრუნველყოფილია სპეციალური სასწავლო პროგრამით აღჭურვილი ნეტბუკით, ხოლო ყველა მოსწავლე სახელმძღვანელოებით;
- სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მიმართულ იქნება 210.0 მლნ ლარამდე მეტი, მათ შორის სამელიორაციო სისტემის მოდერნიზაციისთვის - 67 მლნ ლარი, შეღავათიანი აგროკრედიტების გაცემის მიზნით 30 მლნ ლარი და მცირემიწიან ფერმერთა საზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის მიზნით 50.0 მლნ ლარი;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა სახლების მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის გამოყოფილია 90.0 მლნ ლარამდე;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების რეაბილიტაციისათვის დაგეგმილია 70 მლნ ლარამდე მიმართვა;
- საქართველოს ენერგოსისტემის გასაუმჯობესებლად გამოყოფილია 80 მლნ ლარამდე;
- სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაციასა და აღჭურვაზე მიიმართება 31.0 მლნ ლარზე მეტი.

საქართველოს 2015 წლის ბიუჯეტის 10 თვის შესრულების მაჩვენებლები

2015 წლის იანვარ-ოქტომბერში, ნაერთ ბიუჯეტში შემოსავლების სახით მობილიზებულია 7 255.6 მლნ ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 83.5 პროცენტს შეადგენს. ხოლო გადასახადების ფაქტიური მაჩვენებელი წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 83.5 პროცენტია.

2015 წლის 10 თვის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულება

	2015 გეგმა	10 თვე ფაქტი	% შესრულება
შემოსავლები	**8,685,000.0**	**7,255,637.5**	**83.5%**
გადასახადები	7,820,000.0	6,526,625.1	83.5%
გრანტები	285,000.0	215,734.7	75.7%
სხვა შემოსავლები	580,000.0	513,277.7	88.5%

საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 1 778.2 მლნ ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის (2 097.0 მლნ ლარი) 84.8%-ია.

მოგების გადასახადიდან მობილიზებულია 871.2 მლნ ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის (951.0 მლნ ლარი) 91.6%-ია.

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მობილიზებულია 2 897.4 მლნ ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის (3 506.0 მლნ ლარი) 82.6%-ია. დღგ-ს გადასახადის ფაქტიური მაჩვენებელი 6.9 პროცენტით (186.9 მლნ ლარი) მეტია გასული წლის მაჩვენებელზე.

აქციზის გადასახადიდან მობილიზებულია 709.9 მლნ ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის (900.0 მლნ ლარი) 78.9 %-ია.

იმპორტის გადასახადიდან მობილიზებულია 56.4 მლნ ლარი, რაც რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის (68.0 მლნ ლარი) 83.0%-ია.

ქონების გადასახადიდან მობილიზებულია 193.2 მლნ ლარი, რაც რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის (273.0 მლნ ლარი) 70.8%-ია.

სხვა გადასახადიდან მობილიზებულია 20.3 მლნ ლარი.

გრანტების სახით მობილიზებულია 215.7 მლნ ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის (285.0 მლნ ლარი) 75.7%-ია.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 513.3 მლნ ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის (580.0 მლნ ლარი) 88.5%-ია.

საქართველოს 2016-2019 წლების შემოსულობების პროგნოზი

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლების გაკეთებისას გათვალისწინებულ იქნა ფისკალურ სფეროში მომხდარი ცვლილებები და მის მიერ გამოწვეული შესაძლო შედეგები. პროგნოზული გათვლებით, 2016-2019 წლებში, ზრდის ტენდენცია ექნება ბიუჯეტში მობილიზებული თანხების მოცულობას. 2016 წლისთვის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი მშპ-ს-თან მიმართებაში 28.0%-ს მიაღწევს, ხოლო გადასახადების წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 25.4%-ს გაუტოლდება.

2016 წელს ნაერთი ბიუჯეტის სხვა შემოსავლების წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ სავარაუდოდ 1.9%-ს გაუტოლდება. ხოლო არაფინანსური და ფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მისაღები თანხების მოცულობა მშპ-თან მიმართებაში შესაბამისად 0.8 და 0.3 პროცენტამდეა ნავარაუდევი.

ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის პროგნოზი			2016 წლის პროგნოზი			2017 წლის პროგნოზი			2018 წლის პროგნოზი			2019 წლის პროგნოზი		
	ნაერთი ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი	ნაერთი ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი	ნაერთი ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი	ნაერთი ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი	ნაერთი ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი	ნაერთი ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი
შემოსავლები	**8,118.8**	**7,434.6**	**1,743.0**	**8,895.0**	**8,100.0**	**2,025.0**	**9,590.0**	**8,555.0**	**1,955.0**	**10,264.0**	**9,219.0**	**2,195.0**	**11,228.0**	**10,123.0**	**2,405.0**	**12,133.0**	**10,968.0**	**2,615.0**
გადასახადები	7,241.6	6,847.0	394.6	7,980.0	7,520.0	460.0	8,685.0	7,980.0	705.0	9,449.0	8,694.0	755.0	10,408.0	9,603.0	805.0	11,313.0	10,453.0	860.0
გრანტები	279.4	278.7	1,056.3	280.0	280.0	1,230.0	255.0	255.0	920.0	225.0	225.0	1,150.0	200.0	200.0	1,300.0	190.0	190.0	1,450.0
სხვა შემოსავლები	597.8	308.9	292.1	635.0	300.0	335.0	650.0	320.0	330.0	590.0	300.0	290.0	620.0	320.0	300.0	630.0	325.0	305.0
ხარჯები	**7,369.1**	**7,117.8**	**1,310.1**	**7,768.0**	**7,741.0**	**1,257.0**	**8,530.0**	**8,160.0**	**1,290.0**	**8,840.0**	**8,640.0**	**1,350.0**	**9,360.0**	**9,210.0**	**1,450.0**	**9,955.0**	**9,815.0**	**1,590.0**
შრომის ანაზღაურება	1,521.9	1,296.2	225.7	1,580.0	1,360.0	220.0	1,670.0	1,440.0	230.0	1,730.0	1,450.0	280.0	1,850.0	1,600.0	250.0	1,930.0	1,650.0	280.0
საქონელი და მომსახურება	1,143.6	875.4	268.2	1,165.0	915.0	250.0	1,240.0	990.0	250.0	1,320.0	1,050.0	270.0	1,430.0	1,100.0	330.0	1,500.0	1,150.0	350.0
პროცენტი	248.4	244.8	6.8	330.0	325.0	5.0	485.0	480.0	5.0	345.0	340.0	5.0	335.0	325.0	10.0	325.0	315.0	10.0
სუბსიდიები	625.8	274.5	351.3	670.0	255.0	415.0	675.0	250.0	425.0	730.0	420.0	310.0	760.0	430.0	330.0	780.0	420.0	360.0
გრანტები	12.1	1,067.7	0.0	75.0	1,250.0	55.0	40.0	960.0		25.0	1,175.0		25.0	1,325.0		30.0	1,480.0	
სოციალური უზრუნველყოფა	2,791.1	2,547.7	243.4	3,030.0	2,795.0	235.0	3,350.0	3,060.0	290.0	3,620.0	3,315.0	305.0	3,800.0	3,480.0	320.0	4,120.0	3,750.0	370.0
სხვა ხარჯები	1,026.2	811.5	214.7	918.0	841.0	77.0	1,070.0	980.0	90.0	1,070.0	890.0	180.0	1,160.0	950.0	210.0	1,270.0	1,050.0	220.0
საოპერაციო სალდო	**749.7**	**316.8**	**432.9**	**1,127.0**	**359.0**	**768.0**	**1,060.0**	**395.0**	**665.0**	**1,424.0**	**579.0**	**845.0**	**1,868.0**	**913.0**	**955.0**	**2,178.0**	**1,153.0**	**1,025.0**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**1,329.2**	**979.3**	**349.9**	**1,325.0**	**605.0**	**720.0**	**1,441.0**	**940.0**	**501.0**	**1,929.0**	**1,249.0**	**680.0**	**2,473.0**	**1,663.0**	**810.0**	**2,783.0**	**1,793.0**	**990.0**
ზრდა	1,443.9	1,059.9	384.0	1,680.0	900.0	780.0	1,721.0	1,165.0	556.0	2,049.0	1,349.0	700.0	2,523.0	1,693.0	830.0	2,823.0	1,823.0	1,000.0
კლება	114.7	80.6	34.1	355.0	295.0	60.0	280.0	225.0	55.0	120.0	100.0	20.0	50.0	30.0	20.0	40.0	30.0	10.0
მთლიანი სალდო	**-579.5**	**-662.5**	**83.0**	**-198.0**	**-246.0**	**48.0**	**-381.0**	**-545.0**	**164.0**	**-505.0**	**-670.0**	**165.0**	**-605.0**	**-750.0**	**145.0**	**-605.0**	**-640.0**	**35.0**

	2014 წლის ფაქტი			2015 წლის პროგნოზი			2016 წლის პროგნოზი			2017 წლის პროგნოზი			2018 წლის პროგნოზი			2019 წლის პროგნოზი		
დ ა ს ა ხ ე ლ ებ ა	ნაერთი ბიუჯეტი	საბალანსო ბიუჯეტი	ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი	ნაერთი ბიუჯეტი	საბალანსო ბიუჯეტი	ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი	ნაერთი ბიუჯეტი	საბალანსო ბიუჯეტი	ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი	ნაერთი ბიუჯეტი	საბალანსო ბიუჯეტი	ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი	ნაერთი ბიუჯეტი	საბალანსო ბიუჯეტი	ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი	ნაერთი ბიუჯეტი	საბალანსო ბიუჯეტი	ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი
ფინანსური აქტივების ცვლილება	**421.7**	**347.5**	**59.5**	**673.0**	**638.0**	**45.0**	**444.0**	**290.0**	**164.0**	**610.0**	**455.0**	**155.0**	**380.0**	**240.0**	**140.0**	**325.0**	**295.0**	**30.0**
ზრდა	**478.8**	**419.6**	**60.8**	**773.0**	**723.0**	**60.0**	535.0	**380.0**	**165.0**	640.0	**485.0**	**155.0**	410.0	**270.0**	**140.0**	375.0	**325.0**	**50.0**
ვალუტა და დეპოზიტები	*204.5*	*147.4*	*57.1*	*322.0*	*322.0*		*100.0*		*100.0*	*210.0*	*105.0*	*105.0*	*80.0*	*40.0*	*40.0*	*105.0*	*105.0*	
სესხები	*107.9*	*105.8*	*3.7*	*168.2*	*158.2*	*20.0*	*233.0*	*223.0*	*20.0*	*250.0*	*250.0*		*230.0*	*230.0*		*220.0*	*220.0*	
აქციები და სხვა კაპიტალი	*166.4*	*166.4*		*282.8*	*242.8*	*40.0*	*202.0*	*157.0*	*45.0*	*180.0*	*130.0*	*50.0*	*100.0*		*100.0*	*50.0*		*50.0*
კლება	57.1	72.1	1.3	100.0	85.0	15.0	91.0	90.0	1.0	30.0	30.0	0.0	30.0	30.0	0.0	50.0	30.0	20.0
ვალუტა და დეპოზიტები	*0.0*			*14.0*		*14.0*	*0.0*			*0.0*			*0.0*			*20.0*		*20.0*
სესხები	*57.1*	*72.1*	*1.3*	*86.0*	*85.0*	*1.0*	*91.0*	*90.0*	*1.0*	*30.0*	*30.0*		*30.0*	*30.0*		*30.0*	*30.0*	
აქციები და სხვა კაპიტალი	*0.0*	*0.0*		*0.0*			*0.0*			*0.0*			*0.0*			*0.0*		
ვალდებულებების ცვლილება	**1,001.2**	**1,010.0**	**-23.5**	**871.0**	**884.0**	**-3.0**	**825.0**	**835.0**	**0.0**	**1,115.0**	**1,125.0**	**-10.0**	**985.0**	**990.0**	**-5.0**	**930.0**	**935.0**	**-5.0**
ზრდა	1,569.8	1,569.7	1.7	1,330.0	1,330.0	20.0	1,275.0	1,275.0	20.0	1,600.0	1,600.0	0.0	1,650.0	1,650.0	0.0	1,700.0	1,700.0	0.0
საგარეო	*996.9*	*996.9*		*1,015.0*	*1,015.0*	*0.0*	*1,075.0*	*1,075.0*		*1,200.0*	*1,200.0*		*1,250.0*	*1,250.0*		*1,300.0*	*1,300.0*	
საშინაო	*572.9*	*572.8*	*1.7*	*315.0*	*315.0*	*20.0*	*200.0*	*200.0*	*20.0*	*400.0*	*400.0*		*400.0*	*400.0*		*400.0*	*400.0*	
კლება	568.6	559.7	25.2	459.0	446.0	23.0	450.0	440.0	20.0	485.0	475.0	10.0	665.0	660.0	5.0	770.0	765.0	5.0
საგარეო	*503.4*	*503.4*	*0.0*	*382.0*	*382.0*		*375.0*	*375.0*		*400.0*	*400.0*		*590.0*	*590.0*		*695.0*	*695.0*	
საშინაო	*65.2*	*56.3*	*25.2*	*77.0*	*64.0*	*23.0*	*75.0*	*65.0*	*20.0*	*85.0*	*75.0*	*10.0*	*75.0*	*70.0*	*5.0*	*75.0*	*70.0*	*5.0*
ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**

თავი III

მხარჯავი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების და რიცხოვნობის ზღვრული მოცულობები, მათ მიერ დაგეგმილი პროგრამები და მათი დაფინანსება

დასახელება	ოფიციალური ანგარიშგება	2016	2017	2018	2019
საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	1,331.0	60,031.7	62,874.6	65,854.0	68,979.0
საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	150.0	9,800.0	9,800.0	9,800.0	9,800.0
საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი	38.0	2,000.0	2,000.0	2,000.0	2,000.0
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	262.0	20,000.0	20,000.0	20,000.0	20,000.0
სახელმწიფო აუდიტის სამსახური	370.0	14,517.2	14,952.7	15,401.3	15,863.3
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	494.0	58,527.5	61,107.0	63,377.0	25,475.0
არჩევნების ჩატარების ღონისძიებები		*34,371.4*	*36,172.0*	*38,172.0*	
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	99.0	3,400.0	3,400.0	3,400.0	3,400.0
საქართველოს უზენაესი სასამართლო	184.0	7,650.0	7,800.0	8,000.0	8,500.0
საერთო სასამართლოები	1,783.0	52,000.0	55,000.0	58,000.0	60,000.0
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	80.0	2,700.0	2,700.0	2,700.0	2,700.0
სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთსა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში	34.0	900.0	900.0	900.0	900.0
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში	32.0	700.0	700.0	700.0	700.0
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	33.0	800.0	800.0	900.0	900.0
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტში	33.0	800.0	800.0	800.0	800.0
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთის, ყაზბეგის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტში	32.0	650.0	650.0	700.0	700.0
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში	32.0	650.0	650.0	650.0	650.0
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტში	32.0	650.0	650.0	650.0	650.0
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	33.0	1,000.0	1,000.0	1,000.0	1,000.0
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში	33.0	700.0	700.0	780.0	780.0
ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	60.0	3,100.0	3,100.0	3,100.0	3,100.0
დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	20.0	1,200.0	1,200.0	1,200.0	1,200.0
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	31.0	1,350.0	1,350.0	1,350.0	1,350.0

დასახელება	ეროვნულ ფინანსებში	2016	2017	2018	2019
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	4,785.0	90,000.0	95,000.0	95,000.0	95,000.0
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	804.0	95,000.0	107,000.0	110,850.0	120,000.0
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	376.0	237,000.0	255,000.0	265,000.0	280,000.0
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	1,753.0	68,500.0	70,500.0	72,500.0	76,500.0
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	4,967.0	153,800.0	160,000.0	165,000.0	170,000.0
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	760.0	110,000.0	125,400.0	130,450.0	135,500.0
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	42,257.0	670,000.0	720,000.0	780,000.0	840,000.0
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	29,908.0	595,000.0	620,000.0	622,600.0	625,800.0
საქართველოს დაზვერვის სამსახური		15,000.0	17,000.0	18,000.0	20,000.0
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	1,816.0	892,370.0	1,028,500.0	1,057,000.0	1,107,000.0
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	6,964.0	97,000.0	97,000.0	97,000.0	97,000.0
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	285.0	85,000.0	95,000.0	100,000.0	110,000.0
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	3,225.0	3,162,000.0	3,326,500.0	3,571,500.0	3,821,500.0
საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო	144.0	32,000.0	35,000.0	35,000.0	35,000.0
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	1,259.0	292,850.0	300,000.0	305,000.0	310,000.0
საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	2,057.0	35,100.0	43,577.0	46,370.0	49,952.0
საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	349.0	90,000.0	101,034.0	94,434.0	92,984.0
საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	3,634.0	55,000.0	55,000.0	55,000.0	55,000.0
საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	123.0	4,500.0	4,725.0	4,960.0	5,200.0
სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი	184.0	44,100.0	47,900.0	53,100.0	58,500.0
სსიპ – კონკურენციის სააგენტო	43.0	2,000.0	2,300.0	2,500.0	3,000.0
ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	90.0	3,500.0	3,500.0	3,500.0	3,500.0
საქართველოს საპატრიარქო		25,000.0	25,000.0	25,000.0	25,000.0
სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო		3,500.0	3,800.0	3,800.0	3,800.0
სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი	221.0	7,800.0	8,210.0	8,370.0	8,480.0
სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური	39.0	1,300.0	1,300.0	1,300.0	1,300.0
სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო	38.0	2,300.0	2,700.0	2,800.0	2,900.0
სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	26.0	1,400.0	2,000.0	2,500.0	3,000.0
პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი	43.0	2,100.0	2,100.0	2,100.0	2,100.0
საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	43.0	1,300.0	1,500.0	1,500.0	1,500.0
სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური	240.0	5,800.0	7,500.0	7,600.0	7,800.0
სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	106.0	7,450.0	8,000.0	8,000.0	8,000.0
სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	39.0	5,600.0	5,600.0	5,600.0	5,600.0
სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური	32.0	2,150.0	2,150.0	2,150.0	2,150.0
ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი	7.0	260.0	260.0	260.0	260.0
სსიპ -განათლების საერთაშორისო ცენტრი	12.0	6,500.0	7,000.0	7,500.0	8,000.0
საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი	81.0	5,200.0	5,200.0	5,200.0	5,200.0
საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	3,850.0	100,000.0	110,000.0	115,000.0	125,000.0
სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი		300.0	300.0	300.0	300.0

მხარჯავი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებები 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში გადანაწილდეს შემდეგი პრიორიტეტების ფარგლებში:

- ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება
- რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
- განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება
- მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება
- ინსტიტუციონალური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა
- იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი
- საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია
- სოფლის მეურნეობა
- სასამართლო სისტემა
- გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი. ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს:

- ✓ შრომის, სოციალური და ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- ✓ სოციალური დახმარებების, პენსიებისა და სხვადასხვა ფულადი თუ არაფულადი სახელმწიფო (მ.შ. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული) ბენეფიტების მიმღებთა გამოვლენა, დადგენა, აღრიცხვა, დახმარების დანიშვნა და გაცემის ორგანიზება;
- ✓ ქვეყანაში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება/განხორციელება;
- ✓ სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების ზედამხედველობა, შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენცია;
- ✓ შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ შესაბამისი სტანდარტების შემუშავება/გადასინჯვა;
- ✓ სამედიცინო საქმიანობის ხარისხის კონტროლი და უსაფრთხოება;
- ✓ საზოგადოების გარკვეული ფენების სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საჭიროებებისათვის გამიზნული პროგრამების შემუშავება, დამტკიცება, განხორციელების კონტროლი და შედეგების მონიტორინგი;
- ✓ ეპიდსაწინააღმდეგო და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შემუშავება და მათზე ზედამხედველობა;
- ✓ საექიმო, საექთნო და ფარმაცევტული სპეციალობების ნუსხის განსაზღვრა;
- ✓ ადამიანით ვაჭრობისა (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელება;
- ✓ სსიპ-სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მართვაში არსებული ფილიალების მართვა;

მოსახლეობის სოციალური დაცვა

მოქალაქეთათვის კანონმდებლობით გარანტირებული სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზაცია, მიზნობრივი სოციალური ჯგუფების მატერიალური მდგომარეობის შემსუბუქება და შშმ პირთა (მათ შორის ბავშვთა), ხანდაზმულთა და მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია, რომელთა უზრუნველყოფაც ხორციელდება პრევენციული, სარეაბილიტაციო, ალტერნატიული, ოჯახის გასაძლიერებელი მომსახურებებით და დამხმარე საშუალებებით;

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საპენსიო ასაკის მოსახლეობის პენსიით (ქალები 60 წელი, მამაკაცები 65 წელი) და სპეციფიკური კატეგორიების (ძალოვანი სტრუქტურების, პროკურატურის, სამოქალაქო ავიაციის, პარლამენტის ყოფილი წევრების, უმაღლესი რანგის დიპლომატების და სხვა) სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფა;

მიზნობრივი სოციალური ჯგუფებისთვის გაიცემა:

- ✓ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისათვის საარსებო შემწეობები;

- ✓ მიზნობრივი ჯგუფებისთვის სოციალური პაკეტი;
- ✓ ლტოლვილთა-დევნილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა შემწეობები;
- ✓ რეინტეგრაციის შემწეობა;
- ✓ დემოგრაფიული მდგომარეობის ფულადი ბენეფიტები;
- ✓ ორსულობის და მშობიარობის, ბავშვის მოვლის ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარება;
- ✓ შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა

ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე მოსახლეობის ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა; დაავადებათა პრევენციის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის საფრთხეებისათვის მზადყოფნის და საპასუხო რეაგირების უზრუნველყოფა;

გეგმური ამბულატორიული, გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული, გეგმური ქირურგიული მომსახურება, ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია; მშობიარობისა და საკეისრო კვეთის სერვისების დაფინანსება. ბენეფიციართა გარკვეული ჯუფების (მაგ.: სოციალურად დაუცველი, საპენსიო ასაკი, ვეტერანები) შესაბამისი მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენცია; იმუნიზაცია, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ხელშეწყობა, ასევე, ისეთი გადამდები დაავადებების, როგორიცაა ტუბერკულოზი, მალარია, ვირუსული ჰეპატიტები, აივ-ინფექცია, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელების კონტროლი;

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოსახლეობის სპეციალიზებული დახმარებით უზრუნველყოფა; დიაბეტით დაავადებული პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება; თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებული პაციენტების დიალიზით, თირკმლის ტრანსპლანტაციითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ინკურაბელური პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტთა მკურნალობითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სამედიცინო ტრანსპორტირებისა და სოფლად ამბულატორიული მომსახურებით უზრუნველყოფა; რეფერალური დახმარების უზრუნველყოფა; სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება;

საქიმო სპეციალობის მაძიებელთა დიპლომისშემდგომი/სარეზიდენტო მზადების დაფინანსება მაღალმთიანი და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებისათვის დეფიციტურ და პრიორიტეტულ საქიმო სპეციალობებში.

სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჯანდაცვითი ინფრასტრუქტურის, შენობა-ნაგებობებისა და აღჭურვილობის განახლება, სამედიცინო დაწესებულებებში დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მინიმალური სტანდარტის უზრუნველყოფა;

სამედიცინო დაწესებულებათა მშენებლობა, აღჭურვა და ფუნქციონირების ხელშეწყობა.

შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა

შრომის ბაზარზე, შრომის უსაფრთხოების მიმართულებით არსებული მდგომარეობის შესწავლა; შრომის დაცვის ნორმების გაუმჯობესება/სრულყოფა და ამის საფუძველზე, რეკომენდაციების მეშვეობით, დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შრომითი ურთიერთობების გაუმჯობესება;

სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია-კონსულტირება, მომსახურებების განვითარება, შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საჭიროების მქონე პირთა დასაქმების ხელშემწყობა, შრომის ბაზრის მოთხოვნის პერიოდული კვლევების განხორციელება და სამუშაოს მაძიებელთა დროებით დასაქმების ხელშეწყობა;

ავტორიზებულ-აკრედიტირებულ პროფესიულ სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში რეგისტრირებული სამუშაოს-მაძიებლების მომზადება-გადამზადება;

მონაცემთა შეგროვების მეთოდიკის შემუშავება და დანერგვა;

ინფორმაციის წყაროების გამოვლენა და სრულყოფა დამატებითი კვლევების საფუძველზე; შრომის ბაზრის კომპონენტთა უწყვეტი კვლევა; შრომის ბაზრის მონაცემთა ანალიზის შედეგების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ინფორმაციის გავრცელება;

უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა

ქვეყნის აგრარულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და რეფორმების განხორციელება ეროვნული ტრადიციებისა და საერთაშორისო გამოცდილებით;

წყალსაცავების, სარწყავი და დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია;

სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაცია და სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის შეძენა;

ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის ღონისძიებების განხორციელება;

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობა;

სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების გადამუშავების და შენახვა-რეალიზაციის რგოლების უზრუნველყოფა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით;

აგროსექტორში დაზღვევის განვითარების ხელშეწყობა;

სანერგე მეურნეობების მოწყობის და მრავალწლიანი კულტურების ბაღების გაშენების ხელშეწყობა;

კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გაველურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია;

თანამედროვე სტანდარტების ჩაის გადამამუშავებელი სიმძლავრეების შექმნა;

მანდარინის (არასტანდარტული) მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობა;

სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა

სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი ბიზნეს ოპერატორების ინსპექტირება, სამომხმარებლო ბაზრის მონიტორინგი და სურსათის ლაბორატორიული კვლევა;

თურქულის, ჯილეხის, ცოფის, ბრუცელოზის, ტუბერკულოზის, ნოდულარული დერმატიტის, ცხვრისა და თხის ყვავილის, ყირიმ კონგოს ჰემორეგიული ცხელების და სხვა დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური და იძულებითი ღონისძებების განხორციელება;

ლაბორატორიული კვლევები, სადეზინფექციო სამუშაოების უზრუნველყოფა და ლეშების გაუვნებლობა ინსენერატორის მეშვეობით;

ცხოველთა იდენტიფიკაცია/რეგისტრაციის სისტემის ფუნქციონირება;

ვეტერინარული აფთიაქებისა და სამკურნალოების მონიტორინგი;

საკარანტინო და მავნე ორგანიზმების გავრცელების წინააღმდეგ შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება და პესტიციდების/აგროქიმიკატების ხარისხის კონტროლი;

რეკომენდაციების გამოცემა ფერმერთა ზოგადი ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით;

ცხოველთა განსაკუთრებით საშიში ინფექციური და არაინფექციური დაავადებების, მცენარეთა საკარანტინო და სხვა საშიში მავნე ორგანიზმების და სასოფლო-სამეურნეო კულტურების ლაბორატორიული კვლევა;

მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება

მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების, ახალი სამომხმარებლო ბაზრების ათვისების და მომხმარებლის უხარისხო ღვინოპროდუქციისგან დაცვის განხორციელდება:

ქართული ღვინოპროდუქციის საერთაშორისო და ადგილობრივი დეგუსტაციების, კონკურსების, გამოფენების და პრეს ტურების მოწყობა, რომლის ფარგლებშიც ჩატარდება სხვადასხვა წარმომადგენლობითი და კულტურული ღონისძიებები;

სპეციალიზირებული უცხოური ჟურნალებისათვის საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ სტატიების მომზადება-გამოქვეყნება;

სარეკლამო რგოლების დამზადება და ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით საჭირო სხვა ღონისძებების განხორციელება;

ქართული ღვინისა და კულინარიის შესახებ საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობა, როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე.

ღვინის კომპანიების საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრებისათვის ლოჯისტიკური მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელება;

ალკოჰოლიანი სასმელების სასერთიფიკაციო ან/და სერტიფიცირებული პარტიებიდან აღებული ნიმუშების შედარების უზრუნველსაყოფად ლაბორატორიული კვლევის ჩატარება;

მევენახეობის კადასტრის დანერგვა;

ვენახების ფართობების აღრიცხვა;

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი წიპწების და მერქნის შესწავლის ხელშეწყობა მოლეკულური გენეტიკის და ამპელოგრაფიის მეთოდებით, თანამონაწილეობა არქეოლოგიურ გათხრებში წიპწების მოპოვების მიზნით;

ვაზის აბორიგენული ჯიშების და ველური ვაზის შესწავლის ხელშეწყობა, მოლეკულური გენეტიკის და ამპელოგრაფიის მეთოდებით;

კვლევები არქეოლოგიურ მასალაზე ღვინის ნაშთების აღმოჩენის მიზნით;

სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების განხორციელება

საქართველოს ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა რეგიონების ნიადაგების მდგომარეობის შესწავლა და სათანადო ღონისძიებების გატარება;

ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების გენოფონდის მოძიება, აღდგენა, კონსერვაცია, საკოლექციო და სადედე ნარგაობების შექმნა;

ხილისა და ბოსტნეულის შენახვისუნარიანობისა და ნედლად შენახვის ტექნოლოგიების კვლევა-შემუშავება;

საქართველოში გავრცელებული შინაური ცხოველების, ფრინველების, თევზებისა და სასარგებლო-სამეურნეო მწერების ექსპედიციური კვლევა, გენეტიკური ბანკის შექმნა.

განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა

განათლებისა და მეცნიერების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, ამ სფეროში არსებული ყოველი რგოლის საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი;

საქართველოს ყველა მოქალაქისათვის განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა;

ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემის შექმნა და განვითარება, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემების სრულყოფა, მეცნიერების განვითარებისა და სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განხორციელება;

საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან ჰარმონიზაცია, საზოგადოების თითოეულ წევრთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად განათლების ხარისხზე ზრუნვა, მისი მუდმივი გაუმჯობესება და ქართული საგანმანათლებლო სივრცის მიმართ ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოების ნდობის ამაღლება;

ეროვნული შეფასებების, ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავების, დანერგვისა და განვითარების სისტემის სრულყოფა და მისი მუშაობის უზრუნველყოფა;

ეროვნული სასწავლო გეგმის ხელშეწყობის მიზნით I-VI და VII-XII კლასის სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირება;

საგანმანათლებლო დაწესებულებების განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების სრულყოფა;

მოდულარული საგანმანათლებლო პროგრამების კონცეფციის დანერგვისთვის საკანონმდებლო ბაზისა და შესაბამისი ინსტიტუციური და საოპერაციო შესაძლებლობების შექმნა;

შრომის ბაზრის კვლევებით იდენტიფიცირებული პროფესიებისათვის პროფესიული სტანდარტების შემუშავება და არსებული პროფესიული სტანდარტების გადახედვა განახლებული მეთოდოლოგიის და საერთაშრისო გამოცდილების საფუძველზე;

პროფესიული განათლების სფეროში დისტანციური სწავლების კონცეფციის მომზადება და პილოტირება;

დამსაქმებელთან თანამშრომლობით შესაბამისი პროფესიული მოდულური საგანამანათლებლო პროგრამების შექმნა.

ზოგადი განათლება

ზოგადი განათლების ღიაობა და თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველასთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ინკლუზიური სწავლების გაფართოება;

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ჩართვა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა, რომლებიც მათ შესაძლებლობას მისცემს, სრულად განახორციელონ მათთვის დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები;

მასწავლებელთა კვალიფიკაციის დონის ამაღლება და მათი ხელფასების ეტაპობრივი ზრდა.

ეროვნული შეფასებების, ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავების და აკრედიტაციის სისტემების ჩამოყალიბება, სწავლების ხარისხის დადგენისა და შეფასების მეშვეობით ზოგადსაგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და მართვა;

საჯარო სკოლის ყველა კლასის მოსწავლეებისათვის და კერძო სკოლის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილი სხვა კატეგორიების მოსწავლეების სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა;

სკოლებში იმ მოსწავლეების ტრანსპორტირების პროცესის ხელშეწყობა, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ დასახლებულ პუნქტებში (სოფელი, დაბა) სადაც არ ფუნქციონირებს სკოლები და მანძილი სოფლებს შორის შესამჩნევია, ასევე აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები.

ეთნიკურად არაქართველი მოსწავლეებისათვის ქართული ენის სწავლების ხელშეწყობა;

საერთაშორისო ასპარეზზე ქართველი ახალგაზრდების კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება;

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის აღმოფხვრა და დისციპლინის გაუმჯობესება.

პროფესიული განათლება

მოსახლეობის პროფესიულ-საგანმანათლებლო მოთხოვნილების დაკმაყოფილება, პირის პროფესიული განვითარების, პროფესიული კარიერისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობა;

პროფესიული განათლებისა და მომზადების ერთიანი, ხარისხიანი და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება;

პროფესიული განათლების განვითარების 2013–2020 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელება;

პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა;

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სახელმწიფო ენის ცოდნის დონისა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობებისა და საჯარო სკოლების ადმინისტრაციების თანამშრომელთა გადამზადება;

ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება;

მაღალკვალიფიციური, შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება ინფორმაციული ტექნოლოგიების სხვადასხვა მიმართულებით;

ერთიანი საინფორმაციო სისტემის დანერგვა (მათ შორის, საჯარო სკოლებში), ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლისა და სწავლების მეთოდების შემოღება და თანამედროვე სასწავლო გარემოს შექმნა შესაბამისი ინტერნეტკავშირის უზრუნველყოფით.

უმაღლესი განათლება

უმაღლესი განათლების სფეროში განსახორციელებელი რეფორმების მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს განვითარებისა და საკუთრივ უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული ინტელექტუალური პოტენციალის მიზნობრივად გამოყენება, ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადებისა და მათი შემდგომი განვითარების ხელშეწყობა, სამეცნიერო კვლევის პირობების შექმნა, სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის ინტეგრირებისათვის ხელშეწყობა;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტელექტუალური და მატერიალური პოტენციალის ინტეგრაციის ხელშეწყობა;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთათვის სკოლის გამოსაშვები და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების ხელშეწყობა; საერთო სამაგისტრო გამოცდების, პროფესიული ტესტირებისა და მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდების ჩატარება;

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულ საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების უზრუნველყოფა;

წარჩინებული სტუდენტების სტიპენდიით უზრუნველყოფა;

უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების ხელშეწყობით საერთაშორისო კავშირების განმტკიცება, განათლების სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობა;

განსაკუთრებით ნიჭიერი სტუდენტების ხელშეწყობა;

მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა

სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ინტელექტუალური და მატერიალური პოტენციალის ინტეგრაციის ხელშეწყობა;

აკადემიური პერსონალის მობილობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისება;

სამეცნიერო გრანტების დაფინანსებით ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო ტექნოლოგიური კვლევების განხორციელების ხელშეწყობა;

მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების დაფინანსება;

დოქტურანტურის საგანმანათლებლო პროგრამის საგრანტო დაფინანსება;

მეცნიერების აღდგენისა და განვითარებისათვის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ხელშეწყობა;

სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის განსხვავებული ფორმების ამოქმედება;

მეცნიერთა და ახალგაზრდა მკვლევართა საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისება;

სამეცნიერო კვლევების მართვის ოპტიმალური სქემის შემუშავება;

საინოვაციო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა.

საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება

საქართველოს განათლების სისტემაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სასკოლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;

თანამედროვე უნარ-ჩვევების დაუფლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების უკეთ დაძლევის მიზნით საჯარო სკოლების პირველკლასელი მოსწავლეების უზრუნველყოფა პერსონალური კომპიუტერებით („ნეთბუქებით“), ხოლო წარჩინებული ახალგაზრდების დაჯილდოება კომპიუტერული ტექნიკით;

ოთხ წლიან პერიოდში ყველა საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, ასევე 150 ახალი საჯარო სკოლის აშენება და 300 მომავლის კლასის გახსნა;

საჯარო სკოლებში ინფორმაციული-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარება თანამედროვე სასწავლო გარემოს შესაქმნელად;

სამინისტროს სისტემაში შემავალი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების მშენებლობა - რეაბილიტაცია, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ინვენტარითა და ტექნიკით მომარაგება.

ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს

ზოგადი განათლების ხარისხის განვითარების მიზნით საქართველოს რეგიონებში საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურის და სასწავლო გარემოს გაუმჯობესება;

სკოლის მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების ტრენინგების და საკლასო, ეროვნული და საერთაშორისო შეფასებების განხორციელება;

საკლასო, ეროვნული და საერთაშორისო შეფასებების განხორციელება;

ადგილობრივი ეკონომიკისათვის რელევანტური, ბაზრის მოთხოვნების შესაფერისი, პროფესიული განათლების ხელშეწყობა;

მაღალი ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება მეცნიერების, ტექნოლოგიების, საინჟინრო და მათემატიკის დარგში;

საბუნებისმეტყველო და საინჟინრო სფეროში ბაკალავრიატის ამერიკული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტების გაძლიერება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა

რეგიონული განვითარების პოლიტიკის შემუშავება, დეცენტრალიზაციის პოლიტიკის შემუშავება. ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური გაძლიერებისა და მუნიციპალური მომსახურების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის სფეროში წინადადებების შემუშავება. სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა სექტორებსა და დარგებში დეცენტრალიზაციის პროცესის ხელშეწყობა და კოორდინაცია;

საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება;

მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების გაზრდის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტების მიერ ადგილობრივი მოსახლეობისთვის ხარისხიანი საჯარო სერვისების მიწოდების, მუნიციპალიტეტებში სოციალური გარემოსა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად;

ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის დანერგვა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების უზრუნველყოფის ხელშეწყობა და კოორდინაცია;

კონპეტენციის ფარგლებში მუნიციპალური ტერიტორიული ოპტიმიზაცია და გაძლიერება;

სახელმწიფო ზედამხედველობის ეფექტური მექანიზმების შექმნა;

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის განვითარების, დაპროექტებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საკითხებში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სახელმწიფოებრივი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების კოორდინაცია;

საქართველოს მოსახლეობის წყლით მომარაგების სისტემების დანერგვისა და ხელშეწყობის ღონისძიებათა განხორციელების უზრუნველყოფა;

საქართველოს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურისთვის მომზადებისა და გაწვევის სამუშაოთა კოორდინაცია;

საქართველოში (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა) არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობასთან, მართვასთან და დახურვასთან, ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობასთან და მართვასთან დაკავშირებული საკითხების განსაზღვრა და გადაწყვეტა;

უფლებამოსილების ფარგლებში, რეგიონებში სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია;

დასახლებებთან და საკურორტო ცენტრებთან, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან ასევე, მოსაზღვრე ქვეყნებთან მისასვლელი საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია-მოდერნიზაცია და განვითარება;

სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით სამუშაოების ჩატარება;

საავტომობილო გზებზე სატრანსპორტო გადაზიდვების, მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა;

ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა-რეაბილიტაცია სატრანსპორტო გადაზიდვების საერთაშორისო კოლიდორებში საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის კონკურენტუნარიანობის გაზრდისთვის, ავტოტრანსპორტის ნაკადების გამტარუნარიანობის ამაღლებისა და უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფისთვის.

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა მომსახურებების შესყიდვა;

სახელმწიფო მნიშვნელობის (ადმინისტრაციული, სტრატეგიული, სამხედრო, პოლიციური და სხვა დანიშნულების) ობიექტების სამშენებლო-სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება;

ნაპირდაცვითი სამუშაოების უზრუნველყოფა;

ქვეყანაში ტურიზმის განვითარების მიზნით სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება;

მუნიციპალიტეტებში (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა) არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობა, მართვა და დახურვა, ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობა და მართვა.

წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოსახლეობის და დაწესებულებების ეკოლოგიურად სუფთა, გაფილტრული, ზედაპირული გრუნტის წყლების მოხვედრისგან დაცული სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდების რეჟიმით უზრუნველყოფა;

საქართველოს დიდ ქალაქებსა და სოფლებში წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემების აღდგენა-რეაბილიტაცია;

მუნიციპალიტეტებში წყალსადენის სათავე ნაგებობების მოწყობა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია;

ტურისტულ-დასასვენებელ ცენტრებში წყალმომარაგების ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა

საცხოვრებელი სახლების მშენებლობა-რეაბილიტაცია დევნილი მოსახლეობისთვის, სოციალური დაცვის, ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ინტეგრაციის ხელშესაწყობად;

იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურ დასახლებებში ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ეკონომიკური და სექტორული (ტრანსპორტი, მშენებლობა) პოლიტიკა და მისი განხორციელების კოორდინაცია

ეკონომიკური პროცესების ანალიზი, სექტორული კვლევა ქვეყნის ეკონომიკის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოსავლენად;

მაკროეკონომიკური სტატისტიკური მონაცემების ანალიზი და შესაბამისი ანგარიშის მომზადება;

არსებული კანონმდებლობის, ასევე ახალი ნორმატიული აქტების პროექტების სამეწარმეო გარემოზე რეგულირების გავლენის შეფასება (RIA), არსებული ეკონომიკური სიტუაციის ანალიზი და ახალი ტენდენციების გამოვლენა ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით;

ეკონომიკის პრიორიტეტული სექტორების შესწავლა და დეტალური კვლევების განხორციელება;

კაპიტალის ბაზრის რეფორმისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციისათვის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება;

რეგიონალური და მრავალმხრივი სავაჭრო ურთიერთობებისა და რეჟიმების ანალიზი და მათი განვითარებისათვის რეკომენდაციების მომზადება;

ექსპორტის ხელშეწყობისათვის საქართველოს საგარეო ვაჭრობის შედეგების ანალიზი, ახალი საექსპორტო ბაზრებისა და პროდუქციის იდენტიფიკაცია, სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებისათვის რეკომენდაციების შემუშავება;

„მწვანე ზრდის“ ეროვნული კონცეფციის მომზადება, რომელშიც გაერთიანებული იქნება ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების, სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების მნიშვნელოვანი ასპექტები;

„დაბალემისიიანი განვითარების სტრატეგიის (LEDS)“ შემუშავებისა და განხორციელების მიზნით მშენებლობის, ტრანსპორტისა და მრეწველობის სექტორებში შემარბილებელი ღონისძიებების მომზადება (სტრატეგია ითვალისწინებს გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას სათბური გაზების (GHG) ემისიების შემცირების ხარჯზე);

მდგრად ეკონომიკურ განვითარებასთან („მწვანე ეკონომიკასთან”) დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში საზოგადოების ცნობიერების ამაღლება საინფორმაციო ვებ პორტალის (www.greengeorgia.ge) მუდმივი განახლების, სემინარებისა და საჯარო ლექციების მეშვეობით;

ყოველწლიური ბიზნეს ფორუმის გამართვა საქართველოში და უძრავი ქონების საერთაშორისო გამოფენაზე „MIPIM” მონაწილეობა (ქ.კანში) საქართველოში არსებული საინვესტიციო პროექტების და შესაძლებლობების გაცნობისა და ქვეყანაში დამატებითი ინვესტიციების შემოდინებისა და უძრივი ქონების სექტორის განვითარების მიზნით;

საპენსიო სისტემის რეფორმის ფარგლებში დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება: შენატანების შეგროვებისა და ადმინისტრირების ორგანოს იდენტიფიცირება, სისტემის ოპერატორების დიზაინის და პერსონიფიცირებული ანგარიშგების სისტემის დანერგვა, აქტივების მართველი ფონდის შერჩევა და ლიცენზირება, რეგულირების გეგმის შექმნა (მოიცავს საინვესტიციოს, მმართველობის პრინციპებს, რისკების მართვის დირექტივებს და სხვა) და კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა;

აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით ტრანსპორტის ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტის და მისი სამოქმედო გეგმის შემუშავება;

ევროპის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოვების მიზნით საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების (AA) და ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში ტრანსპორტის სფეროსთან დაკავშირებული დირექტივების და რეგულაციების იმპლემენტაცია;

ადგილობრივი გადამზიდველების საერთაშორისო სატრანსპორტო ბაზარზე გამარტივებული პროცედურებით შესვლის ხელშეწყობისათვის სხვადასხვა ქვეყნებთან საერთაშორისო შეთანხმებების გაფორმება;

ევროპიდან აზიისა და უკუმიმართულებით სარკინიგზო ტრანსპორტით სატვირთო გადაზიდვების გამარტივებული პროცედურებით გადაზიდვის მიზნით, მრავალმხრივი შეთანხმებების გაფორმება;

ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა, სატრანზიტო გადაზიდვების განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკის განვითარება და განხორციელება;

სამოქალაქო ავიაციისა და საზღვაო ტრანსპორტის სფეროს უსაფრთხოების დონის გაუმჯობესება და ასევე, ამ სფეროებში მომხდარი სატრანსპორტო შემთხვევებისა და ინციდენტების მოკვლევისა და პრევენციული ზომების გატარება;

მშენებლობის სფეროში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ხელშეწყობა და სამშენებლო პროდუქციის წარმოების განვითარება, საქართველოში წარმოებული სამშენებლო პროდუქციის საერთაშორისო ბაზრობა-გამოფენებში მონაწილეობის ხელშეწყობა და აასევე, შიდა და საერთაშორისო ბაზარზე მშენებლობის და სამშენებლო მასალების პოპულარიზაცია;

ქვეყნის სივრცითი მოწყობის გენერალური სქემის, მუნიციპალიტეტების სივრცითი მოწყობის გეგმების, დასახლებათა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმების შემუშავების უზრუნველყოფა და აგრეთვე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სივრცითი მოწყობის სქემების შემუშავების ხელშეწყობა;

სამშენებლო სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროპულ და საერთაშორისო ნორმებთან და ამ მიზნით, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის/თანამშრომლობის გაღრმავება;

სარეკრეაციო ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის I და II სტადიაზე პროექტების შეთანხმება;

ინვესტიციების გაზრდისა და ეკონომიკის განვითარების მიზნით სახელმწიფო ქონების, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქტივების, სახელმწიფო საწარმოთა ეფექტური მართვა/განკარგვის და გამჭვირვალობის ხელშეწყობა;

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მეწარმეობის განვითარება მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის, ექსპორტის განვითარების ხელშეწყობის, დამწყები და ასევე, არსებული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ტექნიკური დახმარების აღმოჩენისა და კომპანიებისათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გამარტივების გზით;

ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების მიზნით, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა, რომელიც საქართველოს მასშტაბით ითვალისწინებს დარგობრივი სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიების (ფაბლაბების) და საზოგადოებრივი ინოვაციების ცენტრების (CIC) ფორმირებას, საქართველოში აუთსორსზე ორიენტირებული სპეციალისტების მომზადებას საინფორმაციო ტექნოლოგიების პრიორიტეტული მიმართულებებით და საქართველოს ინოვაციური შესაძლებლობების გაზრდას და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ინოვაციის აქსელერაციისა და ახალი ტექნოლოგიისა და პროდუქტის კომერციალიზაციის მოდელის შექმნით;

ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საფოსტო კავშირის შემდგომი განვითარების მიზნით, თანამედროვე და უნივერსალური საფოსტო მომსახურებების დანერგვა,

საქართველოს გლობალურ სავაჭრო სივრცეში ინტეგრირება, მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური დონის ამაღლება, საინფორმაციო საზოგადოების მშენებლობის პროცესების დაჩქარება;

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მაშტაბით შიდა ფრენების სუბსიდირება;

ქვეყანაში საზღვაო პროფესიული საგანმანათლებლო სფეროს ხელშეწყობა.

ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება

ტექნიკურ და სამშენებლო სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება, რომელიც ითვალისწინებს ევროპის ახალი და გლობალური მიდგომის 16 დირექტივასთან დაახლოებას;

ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის განვითარება, რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში, აღნიშნულ სისტემის ხარვეზებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებას, შეფასებას და შესაბამისი პროცედურების შემუშავებას ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად და ასევე, ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ინსტიტუციური განვითარების გეგმის შემუშავებას, ტექნიკური რეგლამენტების შესაბამის კანონქვემდებარე ნორმატიული ბაზის შექმნას და სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების შესაბამისად;

საკანონმდებლო ვაკუუმის აღმოსაფხვრელად შესაბამის სფეროებში ტექნიკური რეგლამენტების შემუშავება და მათი გამოყენებით მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებზე ინსპექტირების განხორციელება;

სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება

ქართული პროდუქციის უცხოურ ბაზარზე შეღწევისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების, სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროების საერთაშორისო და ევროპის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად განვითარების მიზნით:

- ✓ საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მომსახურების სფეროს და დიაპაზონის გაფართოვება;
- ✓ ეტალონების მიკვლევადობის უზრუნველყოფა, მიღწეული საერთაშორისო აღიარების შენარჩუნება/გაფართოვება და აღიარების მიღწევა გაზომვების ახალ მიმართულებებში;
- ✓ საქართველოს სტანდარტად მიღებული საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების რაოდენობის ზრდა, სტანდარტების რეესტრისა და სტანდარტების კატალოგის გაუმჯობესებული წარმოება, სტანდარტების ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის მომსახურების ელექტრონული საშუალებების გაუმჯობესება და სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტების ფუნქციონირების ეფექტიანობის გაუმჯობესება;
- ✓ ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დანერგვა საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001 შესაბამისად;

- ✓ სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროში პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, ასევე სააგენტოს თანამშრომელთა უნარების გაძლიერება საზოგადოებასთან ურთიერთობის, მარკეტინგისა და კომუნიკაციის სფეროებში;
- ✓ საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებში ინტეგრაცია და მათ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) და ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების (TBT) ნაწილის შესაბამისად.

აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება

ქვეყანაში წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის, მათ შორის აკრედიტაციის სისტემის განვითარება და მისი საქმიანობის დახვეწა საერთაშორისოდ აღიარებული მოთხოვნების შესაბამისად, რაც მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს აკრედიტაციის ცენტრის აკრედიტაციის რეგიონული (EA – European Cooperation for Accreditation) და შემდგომ, საქართველოს ეკონომიკის საჭიროებების მიხედვით, საერთაშორისო ორგანიზაციის (ILAC – International Laboratory Committee) წევრობის მისაღწევად.

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

საქართველოს ტურიზმის პოპულარიზაციისა და ქვეყნის ცნობადობის ამაღლების მიზნით: საერთაშორისო და ტურისტულ გამოფენა-ბაზრობაში მონაწილეობა, პრეზენტაციების, პრეს და გაცნობითი ტურების მოწყობა მსოფლიოს წამყვანი ტურ-ოპერატორებისა და მასმედიის წარმომადგენლებისთვის, მსოფლიოს წამყვან ტელეარხებზე რეკლამების განთავსება, საპრომოციო მასალების ბეჭდვა და მისი გავრცელება საბორტე ჟურნალებსა და სხვადასხვა საერთაშორისო ბეჭდვით მედიაში, მიზნობრივ ბაზრებზე პრეზენტაციების მოწყობა და მარკეტინგული კამპანიების ჩატარება, ინტერნეტ სივრცეში მარკეტინგული კამპანიის სწრაფად და ეფექტურად განხორციელება;

სხვადასხვა ქვეყნებთან, საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის გამყარების მიზნით სხვადასხვა ფორუმებში, კონფერენციებში/სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა;

ტურიზმის შემდგომი განვითარებისათვის კურორტებისა და საკურორტე პოტენციალის კვლევების განხორციელება;

ახალი ტურისტული პროდუქტის განვითარებისა და არსებულის დივერსიფიკაციისათვის კონკრეტული მიმართულებების პოტენციალის კვლევა და შემუშავებული მარშრუტების მარკირების ჩატარება;

საინფორმაციო დაფების განთავსება ტურისტულად მიმზიდველ დიდ ქალაქებში და მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში საქართველოს აეროპორტებში „გათავისუფლებული ფრენების" მომსახურების ხარჯების ანაზღაურება (მათ შორის, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა)

საქართველოს ევროპის ერთიან საჰაერო სივრცეში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავება;

საერთაშორისო ანტიტერორისტული საქმიანობის ხელშეწყობა კომპეტენციის ფარგლებში;

ფრენების უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების დონის ამაღლება;

აშშ-ს სამხედრო ავიაციის საჰაერო ნავიგაციით და პილოტაჟით უზრუნველყოფა;

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებსა და „პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამაში მონაწილე სხვა სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულების უზრუნველყოფა.

ბაქო - თბილისი - ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა - ახალქალაქი - კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა- კომპენსაცია

ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის ხელშეწყობის მიზნით, მარაბდიდან კარწახის მიმართულებით თურქეთის საზღვრამდე მდებარე კერძო მიწის ნაკვეთების გამოსყიდვა და ამ პროცესთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა, შესასყიდი მიწის ნაკვეთების ტექნიკური და იურიდიული ბაზის მომზადება ნასყიდობის გარიგების გასაფორმებლად, საკუთრების უფლების რეგისტრაცია მყიდველზე, პრობლემური ნაკვეთების იურიდიული და ტექნიკური ბაზის გამართვა და ინდივიდუალური საკომპენსაციო შეთავაზების მომზადება თანდართული გრაფიკული მონაცემებით და რუკით.

ინოვაციური ეკოსისტემის განვითარება (IBRD)

საქართველოში ინოვაციური ეკოსისტემის შექმნის მიზნით:

- ✓ საქართველოს რეგიონებსა და სოფლებში ინოვაციური ცენტრების ფორმირება;
- ✓ მომავლის სპეციალობების მიმართულებით კვალიფიციური კადრების გადამზადება და ტრენერების მომზადება;
- ✓ დამწყები მაღალტექნოლოგიური კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა;
- ✓ საგრანტო პროგრამების განხორციელება, რომლებიც ითვალისწინებენ ინტერნეტიზაციისა და კომპიუტერიზაციის პროგრამის დაფინანსებას (მათ შორის კომპიუტერული წიგნიერებისა და ელექტრონული კომერციის განვითარება).

სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

„საქართველოსა და ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ" (ECAA) შეთანხმების გათვალისწინებული რეგულაციებისა და დირექტივების ქართულ საავიაციო კანონმდებლობაში ასახვა;

საქართველოს საავიაციო დარგისათვის პრიორიტეტული რეგულაციებისა და დირექტივების განსაზღვრა, მათი დანერგვის დროში გაწერა, სამართლებრივი ანალიზი და ამ მიზნით, შესაბამისი დასკვნებისა და წინადადებების შემუშავება;

ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) PART 145-ის, PART M-ის, PART 147-ის და PART 66- ის რეგლამენტების დანეგრვა;

სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსასწორებლად მაკორექტირებელი ღონისძიებების ამუშავება.

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

საზღვაო-სავაჭრო ფლოტსა და საზღვაო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურაში დასაქმების მიზნით კვალიფიციური კადრების მომზადება;

სტუდენტების მიერ არჩეული პროფესიისათვის საჭირო პრაქტიკული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენის მიზნით, სასწავლო პროცესის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებით უზრუნველყოფა და ასევე, ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და უზრუნველყოფა, რომლებიც სტუდენტებში განავითარებენ მართვისა (ლიდერობისა) და კვლევისათვის აუცილებელ ანალიზის უნარ-ჩვევებს.

სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო

საქართველოს დროშით მცურავი სავაჭრო ფლოტის და საქართველოს ნავსადგურების საზღვაო უსაფრთხოების და უშიშროების უზრუნველყოფა;

ზღვაზე ძებნა-გადარჩენის ოპერაციების წარმოება;

მეზღვაურთა მომზადებისა და სერტიფიცირების სისტემის გამართული ფუნქციონირება;

საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება.

სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო

საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მომზადება;

ელექტრონული აღრიცხვის ბაზის სისტემის სრულყოფა;

სააგენტოს სპეციალისტთა და მეწარმეთა (მენეჯერები/მძღოლები) გადამზადება;

თანამედროვე სიმულატორების დანერგვა;

საერთაშორისო აქტივობების გაძლიერება;

დარგის მონიტორინგის ეფექტური მექანიზმების შემუშავება;

სავიზო პროცედურების ხელშეწყობა;

ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის განვითარების ხელშეწყობა;

ქართველი გადამზიდავების შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილებისათვის სხვადასხვა ქვეყნებთან ორმხრივი შეთანხმებების, ECMT-ს სისტემის ფარგლებში და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სერთიფიკატების, ავტორიზაციების და ნებართვების გაცემა.

სსიპ - საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური

სამსახურის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით სანავიგაციო ნიშნებისა და მოწყობილობების ჩანაცვლება/მოდერნიზაცია;

უსაფრთხო ნაოსნობის მხარდასაჭერად სანავიგაციო ქაღალდის და ელექტრონული რუქების ახალი სახეობებისა და მონაცემების განვითარება/კორექტირება;

რეკომენდირებული გზების განვითარება და შუქურების ჩამონათვალის, ზღვის მოქცევის სიებისა და სხვა საზღვაო პუბლიკაციების შეთანხმება/გამოცემა;

სამსახურის საზღვაო სანავიგაციო მოწყობილობებისა და საშუალებების სამეთვალყურეო მონიტორინგული სისტემით უზრუნველყოფა;

სანავიგაციო გაფრთხილებების გავრცელების არეალის გაზრდა;

რთული მეტეო პირობების დროს გემების წინასწარი ინფორმირება კატასტროფის თავიდან ასაცილებლად;

ინფორმაციის მიღების, გადაცემისა და დამუშავების თანამედროვე ავტომატიზირებული მართვის სისტემის დანერგვა;

პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა;

ჰიდროგრაფიულ კონფერენციებში და სემინარებში მონაწილეობის მიღება.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სახელმწიფო ფინანსების მართვა

ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო დეფიციტის დაბალი მაჩვენებლის შენარჩუნება;

მაკროეკონომიკური ანალიზის და პროგნოზირების გასაუმჯობესებლად მეთოდოლოგიის დახვეწა და მისი არეალის გაფართოება, გრძელვადიანი პროგნოზირების გაუმჯობესება, მაკროეკონომიკური განვითარების სცენარების მოდელირების სრულყოფა, ფისკალური რისკების მართვის და შეფასების სისტემის ჩამოყალიბება;

სახელმწიფო პრიორიტეტების დაფინანსების უზრუნველყოფა სათანადო რესურსებით;

სათანადო ფინანსური რესურსის მობილიზებისათვის დონორ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ეფექტური თანამშრომლობის შენარჩუნება;

საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან ურთიერთობის კოორდინაცია;

მთავრობის პრიორიტეტული მიმართულებებისა და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად, საგარეო წყაროებიდან მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობებით რესურსების მობილიზება;

დამატებითი საინვესტიციო რესურსების მოზიდვის პარალელურად სახელმწიფო საგარეო ვალის მართვის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბების გაგრძელება, ვალის მდგრადობის შენარჩუნება, როგორც საშუალოვადიან, ასევე გრძელვადიან პერიოდში;

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის შემდგომი განვითარების მიზნით, სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენება, არსებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის მიზნების შესაბამისად;

საგადასახადო პოლიტიკის შემდგომი სრულყოფა, მათ შორის საკანონმდებლო ბაზის შემდგომი გაუმჯობესების და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზების მიზნით, გადასახადის გადამხდელებს შორის საგადასახადო ტვირთის უკეთესი განაწილება, მეწარმეთა მოთხოვნებისა და საჭიროებების მაქსიმალურად გათვალისწინება, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, საგადასახადო შემოსავლების სახით ბიუჯეტში სათანადო რესურსის მობილიზების უზრუნველყოფა;

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის სრულყოფა, შიდა აუდიტის სუბიექტების საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის სრულყოფილი ფუნქციონირება.

შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება

ნებაყოფლობითი კანონმორჩილების წახალისება; გადასახადის გადახდისგან თავის არიდების წინააღმდეგ ბრძოლა; მომსახურების სფეროების ოპტიმიზაცია; ევროკავშირთან ინტეგრაციული პროცესის ხელშეწყობა;

ვაჭრობის ხელშეწყობის ინსტრუმენტებისა და საბაჟო, სანიტარიული, ფიტოსანიტარიული სასაზღვრო კონტროლის აღსრულების გაუმჯობესება.

ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია

საფინანსო და ეკონომიკურ სფეროში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენტუნარიანი გარემოს ხარისხის ამაღლება, კანონიერი სამეწარმეო საქმიანობის დაცვა და სამსახურში მწყობრი სისტემის ჩამოყალიბება;

საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში პერსონალის შერჩევის კრიტერიუმებისა და პროცედურების კუთხით დაგროვილი გამოცდილების შესწავლა; უცხო ქვეყნის შესაბამის უწყებებთან ერთობლივი კონფერენციების და სემინარების ჩატარება გამოცდილების გაზიარების მიზნით;

საქართველოს ეკონომიკურ საზღვრებზე კონტროლის გამკაცრება გადასახადების თავის არიდების ფაქტების აღკვეთის მიზნით, ასევე პრევენციული ღონისძიებების გატარება შემდგომში დანაშაულის ჩადენის თავის არიდების მიზნით.

ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა

ფინანსთა სამინისტროს ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის საჭირო საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნა, განვითარება, მომსახურება, მდგრადობისა და საიმედოობის უზრუნველყოფა; ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციული და ანალიტიკური მხარდაჭერა; ფინანსთა სამინისტროსთვის მნიშვნელოვანი IT პროდუქტების, ელექტრონული სერვისებისა და მომსახურების კვლევა და ანალიზი; პროგრამული უზრუნველყოფის ახალი სისტემების შექმნა, დანერგვა და მომსახურება; ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციული და კიბერ უსაფრთხოების ხელშეწყობა; ფინანსთა სამინისტროს, სხვა სახელმწიფო უწყებებისა და ორგანიზაციების ვებ-გვერდების შექმნა; ელექტრონული მთავრობის კომპონენტების განვითარება და შესაბამისი სახელმწიფო და მუნიციპალური სერვისების მიწოდება; ფინანსთა სამინისტროს საინფორმაციო სისტემების ქვეყნის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცეში ინტეგრაცია.

საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება

ფინანსთა სამინისტროს სისტემაში პროფესიული განვითარების სისტემის ჩამოყალიბება, ჩატარებული ტრენინგის საჭიროებათა ანალიზის მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო პროექტების განხორციელება, თანამდებობრივი ტრენინგებისა და კარიერის განვითარებაზე მიმართული სასწავლო პროგრამებისა და პროექტების განხორციელება;

სისტემაში პროფესიული ცოდნის დონის ამაღლების მიზნით მსოფლიოს წამყვან სასწავლო დაწესებულებებთან ერთად სასწავლო და ტრენინგ-პროგრამების შემუშავება-განხორციელება, მათ შორის, ნიდერლანდების ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის

მემორანდუმისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად განხორციელებული სასწავლო პროგრამის ფარგლებში;

ფინანსთა სამინისტროს სისტემისთვის, ასევე, სხვა ორგანიზაციებისთვის ახალი კადრების შერჩევის ხელშეწყობა;

სახელმწიფოს მიერ კერძო სექტორის განვითარების, ასევე, სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესებისკენ მიმართული რეფორმების აქტიური მხარდაჭერა სხვადასხვა სახის სასწავლო - შემეცნებითი, სემინარული და საკონფერენციო ტიპის პროექტების განხორციელების გზით.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა

ენერგეტიკის უსაფრთხოების სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, სახელმწიფო სტრატეგიისა და სახელმწიფო პროგრამების შესრულების მონიტორინგი და მათი განხორციელების კოორდინაცია.

საქართველოს ენერგეტიკის დარგში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა.

ელექტროენერგიის დამატებითი, ალტერნატიული და განახლებადი წყაროების მოძიების, ენერგიის შემცველი წყაროების უპირატესი ათვისებისა და ამ კუთხით დარგის სტაბილური განვითარების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება.

ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა.

არსებული წილობრივი განაწილების ხელშეკრულებების შესრულების მონიტორინგი, მოქმედი ინვესტორების საქმიანობის კოორდინაცია, აღნიშნულის ფარგლებში ნავთობისა და გაზის ოპერაციების მონოტორინგი, კომპანიების ყოველწლიური სამუშაო გეგმების და ბიუჯეტების განხილვა, შეთანხმება და შესრულების მონიტორინგი.

ინვესტორებისაგან ყველა სახის ტექნიკური ინფორმაციის მიღება, დამუშავება, სისტემატიზაცია, ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა, ნავთობისა და გაზის ოპერაციების, ნავთობის გადამუშავების, გაზის დამუშავების და ნავთობგაზპროდუქტების ტრანსპორტირების საქმიანობის ერთიანი მარეგულირებელი საფუძვლების შექმნა.

ნავთობისა და გაზის რესურსების ათვისების და ნავთობის გადამუშავების სფეროში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა.

შავი ზღვის შელფის საქართველოს ნაწილზე ნახშირწყალბადების რესურსების ათვისების მიზნით პოტენციური ინვესტორების მოძიება.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში (იმერეთის, კახეთის, შიდა და ქვემო ქართლის, სამეგრელოს, რაჭის, გურიისა და სამცხე-ჯავახეთის) გაზის გარეშე არსებული სოფლების (დაახლოებით 113 სოფელი) გაზიფიცირება.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის ანაზღაურება შესაბამის პერიოდებში პროგრამით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის.

ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია

სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ჰიდროელექტროსადგურების (ენგურჰესი, ვარდნილჰესების კასკადის პირველი საფეხური) საპროექტო სიმძლავრეზე გაყვანა, ელექტროენერგიის საპროექტო პარამეტრზე გაყვანა, სადგურის საიმედოობის ამაღლება.

სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება

ქვეყანაში არსებული მაღალი და საშუალო ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა რეაბილიტაცია, მეზობელ ქვეყნებთან არსებული ელექტროგადამცემი ხაზების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა. სისტემის მოძველებული ქვესადგურების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა და სხვადასხვა სიმძლავრის ახალი ქვესადგურების მშენებლობა. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის განვითარებისათვის შესაბამისი ელექტროგადამცემი ქსელის მოწყობა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა

ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით დევნილთა, ლტოლვილთა, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა, თავშესაფრის მაძიებელთა, რეპატრიანტთა მიგრაციული ნაკადების რეგულირება, მათი დროებითი ან მუდმივი განსახლების ორგანიზება, ადაპტაციისათვის და საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის საჭირო პირობების შექმნა და სოციალური დაცვა;

დევნილი მოსახლეობის თვითკმარობის გაზრდა, სახელმწიფოზე მათი დამოკიდებულების შემცირება-აღმოფხვრა და უკიდურესად გაჭირვებული, დაუცველი დევნილების ერთიან სოციალურ პროგრამებში ინტეგრირება საერთო კრიტერიუმების საფუძველზე;

რეპატრიანტის სტატუსის მაძიებელთა აპლიკაციების სისტემატიზაცია, ანალიზი და განხილვა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად;

არალეგარული მიგრაციის პრევენცია, დროებითი ლეგალური შრომითი მიგრაციის შესაძლებლობის გაზრდა;

რეადმისიის ხელშეკრულების საფუძველზე დაბრუნებულთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფა და შესაბამისი მონაცემთა ბაზის შექმნა;

ოკუპირებულ ტერიტორიებზე უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მოთხოვნის მქონე დევნილების გამოკვეთა, აღნიშნული ქონების შემდგომი პრივატიზაციის პროცესის მოსამზადებლად;

ეკომიგრანტთა განსახლების ორგანიზება და ახალ საცხოვრებელ ადგილებზე მათი ადაპტაცია-ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა.

განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება

იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მიმართ 2015-2016 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების ღონისძიებების განხორციელება, მათთვის საცხოვრებელი ფართის (შეძენა, აშენება, რეაბილიტაცია) კერძო საკუთრებაში გადაცემა;

დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით, თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში მდებარე შენობების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებთან და ახალი საცხოვრებელი ბინების მშენებლობასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა;

სავალალო მდგომარეობაში მყოფ დევნილთა ჩასახლების ობიექტების შესწავლა და შემდგომში მათი რეაბილიტაცია, დევნილთა, ლტოლვილისა ან ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა რაოდენობის დაზუსტება და ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსება სათანადო სამართლებრივი აქტის საფუძველზე;

იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ფულადი დახმარების გაწევა, სამინისტროს მიერ დადგენილი წესით (მ.შ. ფართების დაქირავების მიზნით დევინლთა ოჯახების ყოველთვიური სოციალური დახმარების გაცემა);

დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით, რეაბილიტირებული და ახალაშენებული შენობების ელექტროენერგიის, გარე საკანალიზაციო, ბუნებრივი აირის და წყლის სისტემების მიერთება და მოწყობა, სათანადო სამართლებრივი აქტის საფუძველზე;

იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, დევნილთა საკუთრებაში არსებულ ობიექტებში ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულების თანადაფინანსება, სათანადო სამართლებრივი აქტის საფუძველზე;

გრძელვადიანი განსახლებისათვის განსაზღვრულ ობიექტებში (აშენებული, რეაბილიტირებული) დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ღონისძიებების დასრულებამდე, ობიექტების დაცვის მომსახურების შესყიდვა;

დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა

დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით, მათი პრობლემების გრძელვადიანი, მდგრადი და საჭიროებას მორგებული ფორმით გადაწყვეტა;

დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის მიმართულებით პროგრამის შემუშავება;

მონაცემთა ერთიანი ბაზის შემუშავება, რომელშიც აისახება ქვეყანაში მოქმედი სახელმწიფო, საერთაშორისო და ადგილობრივი არასათავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნეს-სექტორის მიერ განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმაცია და ამ კუთხით ბედეფიციართა ინფორმირებულობის უზრუნველყოფა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა

კულტურის, კულტურული მემკვიდრეობისა და ხელოვნების სფეროებში ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია;

ერთიანი სამუზეუმო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა;

კულტურის სფეროში განსაკუთრებით ნიჭიერ ბავშვთა და ახალგაზრდა შემოქმედთა მხარდაჭერა;
საზღვარგარეთ საქართველოს კულტურის ცენტრების შექმნის ხელშეწყობა, კულტურის დღეების, გაცვლითი გასტროლების, კონკურსების, ფესტივალებისა და გამოფენების ორგანიზება;

კულტურულ ღირებულებათა დაცვა, მათი შესწავლა და პოპულარიზაცია.

ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ

ქვეყნის პოპულარიზაციის და მისი პოზიტიური იმიჯის ჩამოყალიბების მიზნით ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც გააღვივებენ ინტერესს საქართველოს მიმართ და დაუმკვიდრებენ მას სათანადო ადგილს ევროპული ცივილიზაციის ისტორიულ და მიმდინარე კონტექსტში;

პროგრამა ორიენტირებულია ევროკავშირის წევრ და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის გზით საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების გაღრმავებაზე, საერთაშორისო თანამშრომლობასა და სხვადასხვა პროგრამებში მონაწილეობაზე, ასევე საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით ქართული კულტურის პოლიტიკის გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებაზე;

სახელოვნებო ორგანიზაციებში კრეატიული აზროვნების დანერგვა-ხელშეწყობა, ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის ტრადიციების დაცვა და განვითარება;

კლასიკური და თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაციის მიზნით სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობის უზრუნველყოფა და ანალოგიურ ღონისძიებათა საქართველოში მოწყობა;

ქვეყანაში ხელოვნების პოპულარიზაცია, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში საერთაშორისო თეატრალური, მუსიკალური, სახვითი, კინო და საბალეტო ხელოვნების, წიგნის ფესტივალების, კონცერტებისა და გამოფენების მოწყობა-ხელშეწყობა;

საქართველოს რეგიონებში კულტურისა და ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა, მნიშვნელოვანი ახალი და არსებული ღონისძიებების ხელშეწყობა-განვითარება; სახელოვნებო ინსტიტუციებისა და ორგანიზაციების მდგრადი განვითარების ხელშეწყობა; პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; კულტურული და სახელოვნებო საკომუნიკაციო და თანამშრომლობითი პლატფორმის ხელშეწყობა;

შემოქმედებითი (მათ შორის ფოლკლორული) კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების სხვადასხვა ქვეყნებში გასამართ ფესტივალებში, კონკურსებსა და გამოფენებში მონაწილეობის ხელშეწყობა;

რეგიონებში თეატრების ხელშეწყობა, აგრეთვე მათი სადადგმო ხარჯების დაფარვის თანადაფინანსება;

კულტურის სფეროს მდგრადობის და ფინანსური გაძლიერების უზრუნველყოფა;
საინვესტიციო პროექტების შერჩევა, მომზადება, განხორციელება და მონიტორინგი.

სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობა

ქვეყანაში სახელოვნებო განათლების დონის ამაღლება, სახელოვნებო განათლების სისტემის მოწესრიგება, წარმატებული შედეგების პოპულარიზაცია, საზოგადოებაში სახელოვნებო განათლების მიმართ ინტერესის გაღრმავება, ამ მიზანს ემსახურება სამინისტროსადმი დაქვემდებარებული სსიპ უმაღლესი სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების და სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო სასწავლებლების განვითარების მხარდაჭერა, თითოეული მათგანის მისიის შესაბამისი, შედეგებზე ორიენტირებული პროგრამების დაფინანსებით. პროგრამის აუცილებლობა განპირობებულია ქვეყნის სახელოვნებო განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადობის, დიპლომების ვალიდობისა და მობილობის აუცილებლობით, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების აუცილებლობით.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა

მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, კულტურის უძრავი და მოძრავი ძეგლების კულტურულ ღირებულებათა აღრიცხვა;

საქართველოს მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ტექნიკური ხელშეწყობა და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, დაცვა და პოპულარიზაცია. ინფრასტრუქტურის განვითარება, სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო ღონისძიებების განხორციელება;

სამუზეუმო კოლექციების დიაგნოსტიკა, ექსპონატთა რესტავრაცია, აღრიცხვა, ინვენტარიზაცია და პასპორტიზაცია;

UNESCO-ს ვალდებულებების შესრულება, ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებულ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მონიტორინგი, შესწავლა, შესაბამის სახელმწიფოებთან ერთად ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

გარემოს დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება, რეგულირება და მართვა

გარემოს დაცვისა და მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა;

ნარჩენების, ქიმიური ნივთიერებების, წყლის, ატმოსფერული ჰაერის, ბიომრავალფეროვნების სახელმწიფო მართვა; მიწის დეგრადაციასთან ბრძოლის ღონისძიებების განხორციელება;

გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობების ჩამონათვალის სრულყოფა და ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვა;

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაგეგმილი საქმიანობების შესწავლა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება;

ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული ცხოველთა (მათ შორის საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების) აღრიცხვის და მდგომარეობის შეფასების საფუძველზე მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა;

წითელი ნუსხის მიღმა დარჩენილი ცხოველთა სახეობების მდგომარეობის შეფასება, სანადირო სახეობებად განსაზღვრისა და რიგ შემთხვევაში დაცვის უფრო ქმედითი ზომების დანერგვა;

გარემოს დაცვის სფეროში საინფორმაციო კამპანიებისა და ღონისძიებების ჩატარება, სახელმწიფო, არასამთავრობო, ბიზნეს და საერთაშორისო სექტორთან თანამშრომლობის გაძლიერება;

დაინტერესებული მხარეებისთვის სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობა

გარემოსდაცვითი სახელმწიფო კონტროლის სისტემის სრულყოფა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებას, გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის პრევენციას, გამოვლენასა და აღკვეთას;

კანონდარღვევათა ეფექტური შემაკავებელი პირობების შექმნა და რეგულირების ობიექტების მიერ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ნებაყოფლობითი შესრულების სათანადო დონის მიღწევა.

დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა

დაცული ტერიტორიების გაფართოება, ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტებისა და ცოცხალი ორგანიზმების დაცვა და აღდგენა ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების მიზნით;

საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა გენოფონდის დაცვა ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად;

უნიკალური და იშვიათი ორგანული, თუ არაორგანული ბუნებრივი წარმონაქმნების დაცვა მათი შენარჩუნების მიზნით;

დაცულ ტერიტორიებზე პათოლოგიური კვლევების ჩატარება, დაზიანებული ფართობების დადგენა და მავნებლებთან ბრძოლის მიზნით შესაბამისი პრეპარატების შეძენა;

დაცულ ტერიტორიებზე, საჭირო აღჭურვილობის გამოყენებით, ხანძრების სწრაფი პრევენციის განხორციელება;

დაცულ ტერიტორიებზე არსებული საძოვრების ხარისხობრივი მაჩვენებლების დადგენა და გამოყენება, ტყის ინვენტარიზაცია;

საქართველოში დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციის, ეკოტურიზმის განვითარების და ტურისტების მოზიდვა-დაინტერესების მიზნით დაცული ტერიტორიების სარეკლამო და სააგიტაციო ღონისძიებების ჩატარება;

საზოგადოებაში ეკოლოგიური განათლების, საზოგადოების ცალკეული ჯგუფების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისა და ქცევის გაუმჯობესების მიზნით საჭირო ღონისძიებების გატარება;

ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ გარემოში რეკრეაციის, ჯანმრთელობის დაცვისა და ტურიზმისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა საქართველოს ეკოტურისტული პოტენციალის გაზრდის მიზნით;

ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის დაცვის, აღდგენისა და განვითარების ხელშეწყობა თვითმყოფადი ისტორიულ-კულტურული გარემოს აღდგენისათვის და მის შესანარჩუნებლად;

საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის გრძელვადიანი ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა შემდეგი ორი კომპონენტის განხორციელებით: დაცული ტერიტორიების სისტემის შემოსავლების საკმარისი და პროგნოზირებადი დონის მიღწევა და დაცული ტერიტორიების მართვის ეფექტიანობისა და შესაძლებლობების გაზრდა;

სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა

ტყის მართვის ქმედითი სისტემის ჩამოყალიბების მიზნით სატყეო სექტორის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება და ეროვნული სატყეო კონცეფციის დოკუმენტით გათვალისწინებული ქმედებების ეტაპობრივი განხორციელება;

სატყეო სფეროში არსებული საკანონმდებლო და მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფა;

ტყეების ეფექტურად მართვისა და ტყის ფიზიკური დაცვის გაუმჯობესების მიზნით ეროვნული სატყეო სააგენტოს ინსტიტუციონალური გაძლიერებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის მართვისა და განვითარების უზრუნველყოფა;

სააგენტოს თანამშრომელთა უწყვეტი სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა;

სატყეო-სამეურნეო გზების გაყვანის სამუშაოების განხორციელება ახალი ტყეკაფების გამოყოფისა და ათვისების მიზნით; ტყის ჩახერგილობისაგან გაწმენდა, ძირნაყარის გამოტანა და ნარჩენების განთავსება დადგენილი წესით;

მოსახლეობის მერქნულ რესურსზე (მ.შ. სათბობი შეშა) მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა;

ხე-ტყის დამზადების მიზნით შესაბამისი ფართობების გამოვლენა და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელება; ტყის მოვლის და აღდგენის ღონისძიებების განხორციელება;

სატყეო უბნებში ტყის დროებითი სანერგეების მოწყობა, სადაც მოხდება ნერგების გაზრდა და უზრუნველყოფილი იქნება ამავე უბნებში ტყის გაშენების ღონისძიებები;

ტყეების პათოლოგიური გამოკვლევების ჩატარება და დასკვნების საფუძველზე მავნებლებ-დაავადებების ბრძოლის ღონისძიებების განხორციელება;

აქტიურად ხანძარსაშიში სატყეო უბნების იდენტიფიცირება და შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის მინერალიზებული ზოლების მოწყობა, პირველადი ხანძარსაწინააღმდეგო და ცეცხლმაქრი საშუალებებისა და შესაბამისი აღჭურვილობის შეძენა;

ტყის აღრიცხვის ღონისძიებების განხორციელება, ტყის მართვის გეგმების შემუშავება და ტყეების მდგომარეობის შესახებ მონაცემების მიღების, ანალიზისა და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების დაგეგმვის ეფექტური სისტემის დანერგვა;

სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის საფუძველზე ტყის ფონდის გარე კონტურების დაზუსტება, ტყის ფონდის ფრაგმენტაციის თავიდან აცილების მიზნით.

ეროვნული სანაშენე მეურნეობის სისტემის ჩამოყალიბება და მართვა

სახელმწიფო ტყის ფონდის აღდგენის მიზნით მაღალი ხარისხის წიწვოვანი და ფოთლოვანი ხემცენარეების გამოყვანა;

მაღალი ხარისხის ნერგების გამოყვანა ქარსაფარი ზოლების აღდგენა-განაშენიანებისათვის, მუნიციპალიტეტებისა და ქალაქგამწვანების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კერძო მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის;

ტყის ჯიშთა სარგავი მასალის გამოყვანისათვის ტრადიციული მეთოდისა (ღია გრუნტში) და ასევე კონტეინერული მეთოდის (სასათბურე მეურნეობაში) გამოყენება;

გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ენდემური ჯიშის ფაუნის წარმომადგენელთა სახეობების აღდგენის და შენარჩუნების ღონისძიებები;

საქართველოს „წითელი ნუსხაში“ შეტანილი სახეობების დაცვა-აღდგენის ხელშეწყობა.

გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის პროგრამა

სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა;

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობის უზრუნველყოფა სათანადო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების გზით;

გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისთვის - საქართველოს ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის კოორდინაციის უზრუნველყოფა;

შესაბამისი სპეციალისტების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზების უზრუნველყოფა;

მონაცემების სისტემატიზაციის, მათზე ხელმისაწვდომობის გაზრდისა და გამარტივების მიზნით გარემოსდაცვით მონაცემთა სისტემის შექმნა, გარემოსდაცვითი ინფორმაციის და ანალიტიკური ანგარიშების მომზადებისა და დაინტერესებული საზოგადოებისთვის მიწოდების მოქნილი მექანიზმის უზრუნველყოფა.

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვა

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავება, სახელმწიფო რეგულირება და კონტროლის განხორციელება;

რადიოაქტიური მასალების, მაიონებელი გამოსხივების გენერატორების, რადიოაქტიური ნარჩენების, მათი მფლობელი ორგანიზაციების და პროფესიული დოზების უწყებრივი რეესტრის შექმნა და მისი წარმოება;

რადიოაქტიურ ნარჩენებთან მოპყრობის სახელმწიფო რეგულირება, მართვა და კონტროლი;

საქართველოში გარემოს რადიაციული მდგომარეობის მონიტორინგის კოორდინაცია;

ბირთვული და რადიაციული ავარიის, ინციდენტის, ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების არალეგალური მიმოქცევის, სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე, საბაჟო და სატრანსპორტო ტერმინალებზე რადიაციული განგაშის შემთხვევებზე რეაგირება;

ქვეყანაში არსებული რადიაციული მდგომარეობის შესახებ საქართველოს მთავრობისათვის წარსადგენი ყოველწლიური ანგარიშის მომზადება;

ბირთვული და რადიაციული საქმიანობების ავტორიზაცია;

ბირთვული და რადიაციული საქმიანობის სახელმწიფო კონტროლი ინსპექტირების განხორციელების გზით;

გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება, პრევენცია და ბუნებრივი რესურსების მართვა

ჰიდრომეტეოროლოგიურ პარამეტრებზე სტანდარტული და სპეციალიზირებული დაკვირვების სისტემების შემენა და დანერგვა;

ქვეყნის მასშტაბით გეოლოგიურად და ჰიდროლოგიურად საშიში არეალების დადგენა;

სტიქიური უბედურების თავიდან აცილების მიზნით, სხვადასხვა სახის დაკვირვების/მონიტორინგის წარმოება და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის გაფართოება (რეაბილიტაცია/მოდერნიზაცია/მოწყობა);

სტიქიური უბედურების თავიდან აცილების მიზნით, ადრეული შეტყობინებების სისტემების დანერგვა (ამინდისა და ჰიდროლოგიური პროგნოზების თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისება) სპეციალიზებული აეროლოგიური, აგრომეტეოროლოგიური, ოზონომეტრული და სხვა სახის დაკვირვებების წარმოება;

გარემოს დაბინძურების დონის შეფასება, მონიტორინგი, ინფრასტრუქტურის განახლება/მოწყობა;

გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებით ანგარიშების მომზადება/გავრცელება;

ქვეყნის სიმდიდრის – სასარგებლო წიაღისეულის (გარდა ყველა სახის ნახშირწყალბადების) შესახებ ინფორმაციის სრულყოფა, მის შემდგომ მოპოვება და განკარგვა;

სანაპირო ზონების ინფრასტრუქტურის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა, სანაპირო ზონებში მიმდინარე მორფოდინამიკურ პროცესებზე უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილებისა და რიგ შემთხვევაში აღნიშნული პროცესების გაუმჯობესების გზით;

სახელმწიფო გეოლოგიური რუკების შედგენა;

სააგენტოსა და საქართველოს „წიაღის შესახებ ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო ფონდში“ დაცული მასალის ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა შემდგომში უფრო ეფექტურად გამოყენებისათვის.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

საგარეო პოლიტიკის განხორციელება

საერთაშორისო არენაზე ქვეყნის ინტერესების გატარება, საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებისა და დასახული ამოცანების შესრულება;

საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით საქართველოს დეოკუპაციისა და ოკუპანტი სახელმწიფოს მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის უზრუნველყოფა, ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის განმტკიცება;

რუსეთზე საერთაშორისო თანამეგობრობის ზეწოლის გაძლიერების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რათა მან სრულად შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება. რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ძალის გამოუყენებლობის ვალდებულების აღება;

ოკუპირებული რეგიონების მიმართ საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელება;

ევროკავშირთან საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის გაძლიერება; „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ძალაში შესასვლელად რატიფიკაციის დროულად განხორციელებისთვის

ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან მუშაობა;საქართველო–ევროკავშირის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) იმპლემენტაციის კოორდინაცია.

ნატო–ში გაწევრიანების პროცესის ხელშეწყობა;

ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავება და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მიზნების მიმართ მათი მხარდაჭერის უზრუნველყოფა, ასევე, ევროპის სკეპტიკოსი ქვეყნების მხარდაჭერის მოპოვება საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიმართულებით;

აშშ-სთან ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავება პოლიტიკის, უსაფრთხოებისა და თავდაცვის, ეკონომიკის, ვაჭრობის, ენერგეტიკისა და ჰუმანიტარულ სფეროებში, ასევე, აშშ–თან სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით გათვალისწინებული პროექტების განხორციელება და მისი როლის გაძლიერება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერის პროცესში

რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება;

დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია სუამ-ის და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) ფორმატში რეგიონული და რეგიონთაშორისი თანამშრომლობის გაძლიერება და კონკრეტული პროექტების განხორციელება;

წარმომადგენლობების გახსნა საქართველოსათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ქვეყნებში ან/და არსებული წარმომადგენლობების მიერ დაფარვის არეალის გაფართოება;

რეგიონისა და მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოსთან სავაჭრო-ეკონომიკურ, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და კულტურულ-ჰუმანიტარულ სფეროებში ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის გააქტიურება და გაღრმავება; რეგიონში არსებული ვითარების გათვალისწინებით, მეზობელ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობის დინამიკის შენარჩუნება და კიდევ უფრო გაღრმავება;

ქართული პროდუქციისთვის ახალი ბაზრების მოპოვება, ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციების მოზიდვა, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და სტიმულირება;

საზღვარგარეთ ქართული კულტურისა და ინტელექტუალური პოტენციალის წარმოჩენის ხელშეწყობა;

უცხოეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვა, მათთვის შეღავათიანი პირობების შექმნა და სოციალური უსაფრთხოების დონის ამაღლება.

მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ამაღლება;

დიპლომატიური სასწავლო ცენტრის სრულყოფა (ცენტრის გაფართოება, თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება, ახალი პროგრამების შემუშავება და არსებული პროგრამების დახვეწა);

მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება მსოფლიოს წამყვან დიპლომატიურ სკოლებთან და აკადემიებთან;

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის ბიბლიოთეკის გამდიდრება;

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა

ფიზიკური აღრზდისა, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში ქვეყნის ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, დაგეგმვა და მისი რეალიზების კოორდინაცია;

სპორტის განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნა და ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა;

ერთიანი სპორტული კლასიფიკაციის შემუშავება და დამტკიცება, სპორტის სახეობათა, პროფესიული და მოყვარულთა სპორტული კლუბებისა და ორგანიზაციების სტატუსის განსაზღვრა;

სპორტში აკრძალულ მასტიმულირებელ საშუალებათა (დოპინგი) გამოყენების აღმოფხვრის ღონისძიებათა განხორციელება;

სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში საინვესტიციო და საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობა;

ახალგაზრდა მეცნიერთა, სპორტსმენთა და შემოქმედთათვის სახელმწიფო მხარდაჭერა, კომპეტენციის ფარგლებში სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროში სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და შესაბამის უწყებებთან ერთად მათი განხორციელება;

კომპეტენციის ფარგლებში სპორტთან და ახალგაზრდობასთან დაკავშირებული კანონის პროექტების შემუშავება;

სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები

საქართველოში მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის სახეობების განვითარება, სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი რეაბილიტაცია. ეროვნული, სხვადასხვა ასაკობრივი და ქალთა ნაკრებებისათვის ყველა საჭირო პირობის შექმნა;

ქვეყნის ნაკრები გუნდების მზადება და მონაწილეობა საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები, პირველობები, მსოფლიო და ოლიმპიური თამაშები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები);

საქართველოს ჩემპიონატების, პირველობების ჩატარება, სპორტული რეზერვის და მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადება, სპორტის შემდგომი პოპულარიზაცია და სპორტის პროპაგანდა;

ოლიმპიური და პარაოლიმპიური თამაშებისათვის მეტი ოლიმპიური ლიცენზიის მოსაპოვებლად საქართველოს ნაკრები გუნდების მზადება და ოლიმპიადებზე საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობის უზრუნველყოფა; პარასპორტსმენთათვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის განვითარება;

საქართველოს კადეტთა და იუნიორთა ნაკრები გუნდების წევრობის კანდიდატების მომზადება;

ქართული სპორტის წარმატებების ამსახველი მასალების შეკრება, დაკომპლექტება, აღრიცხვა, შენახვა-დაცვა, შესწავლა და პოპულარიზაცია.

უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, ევროპის საგანმანათლებლო მოდელის პოპულარიზაცია და დანერგვა, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება.

სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები

საქართველოში მცხოვრები წამყვანი სპორტსმენებისა და მწვრთნელების, ნაკრებების მომსახურე პერსონალის, ოლიმპიური ჩემპიონების, საჭადრაკო ოლიმპიადების გამარჯვებულების, ვეტერანი სპორტსმენებისა და სპორტის მუშაკების დახმარება და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საწვრთნელი პროცესის წარმართვისათვის ხელის შეწყობა.

ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები

სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო ახალგაზრდულ სტრუქტურებთან თანამშრომლობა, ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა და წახალისება, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, თავისუფალი დროის შინაარსიანად და ეფექტურად ხარჯვის ორგანიზება, საქართველოს ახალგაზრდობის ინტელექტუალური, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა, ფორმირება და სრულყოფა;

ახალგაზრდა და პოტენციურად მომგებიანი ბიზნეს იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა;

ბავშვთა და ახალგაზრდობის გონებრივ, ფიზიკურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე ზრუნვა, სხვადასხვა კატეგორიის სოციალურად დაუცველ ბავშვებზე ზრუნვის ხელშეწყობა, მოზარდთა ინტერესების შესაბამისად პროფილური წრეების, ცენტრების, კლუბების და სტუდიების შექმნის ხელშეწყობა. ბავშვებისა და ახალგაზრდების შემეცნებით შემოქმედებითი და დასვენება გაჯანსაღების ფართომასშტაბიანი პროგრამების განხორციელება;

კულტურულ-შემოქმედებითი, შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებების მოწყობა, ქართველი ახალგაზრდების ჩართვა სხვადასხვა ღონისძიებებში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, ახალგაზრდების ცოდნისა და უნარების გაღრმავება სხვადასხვა მიმართულებით;

პროგრამა „მომავლის ბანაკის“ ფარგლებში ქართველი და უცხოელი ახალგაზრდების აქტიური დასვენებით უზრუნველყოფა;

პროგრამა „ახალგაზრდული ფესტივალის“ ფარგლებში კულტურულ-შემოქმედებითი, შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებების მოწყობა, ქართველი ახალგაზრდების ჩართვა სხვადასხვა აქტივობებში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, ახალგაზრდების ცოდნისა და უნარების გაღრმავება სხვადასხვა მიმართულებით.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის ადმინისტრირება, ორგანიზაციული და ანალიტიკური მხარდაჭერა; უწყებათაშორისი საბჭოს სამდივნოს ანალიტიკური შესაძლებლობების გაძლიერება და მონიტორინგის მექანიზმის დახვეწა;

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სექტორული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების ყოველწლიური განახლება; იმპლემენტაციის პროცესში უწყებათაშორისი საქმიანობის კოორდინაცია; წლიური პროგრესის შესახებ ანგარიშების მომზადება;

მართლმსაჯულების სექტორის რეფორმის საბიუჯეტო დახმარების პროგრამის ფინანსური შეთანხმების პირობების შესრულების ხელშეწყობა; პირობების შესრულების შესახებ ანგარიშის მომზადება და ევროპის კავშირის დელეგაციისათვის წარდგენა;

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის იმპლემენტაციის ხელშეწყობა; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შესაბამისად რეფორმაში ჩართულ უწყებებში პროფესიონალთა სპეციალიზაციის კოორდინირება და არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განრიდების მექანიზმის დახვეწა; არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულების ხელშეწყობა;

ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და მისი განხორციელების 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის პერიოდული განახლება, ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავება, ანტიკორუფციული პოლიტიკის შესრულების ახალი მონიტორინგის მეთოდოლოგიის მიხედვით შესაბამისი ანგარიშების შემუშავება და გამოქვეყნება; ანტიკორუფციული საბჭოს საქმიანობის ანგარიშების მომზადება და საქართველოს მთავრობისათვის წარდგენა; ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და იმპლემენტაციის პროცესში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით უწყებათაშორისი საქმიანობის კოორდინაცია; საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული რეკომენდაციების

შესრულების უზრუნველყოფა, მათი იმპლემენტაციის შესახებ სახელმწიფო ანგარიშის მომზადების უზრუნველყოფა და საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე ანგარიშგება; ანტიკორუფციული პოლიტიკისა და რეფორმების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება;

ეროვნულ დონეზე ღია მმართველობის პარტნიორობის საკოორდინაციო-საკონსულტაციო მექანიზმის – ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის საქმიანობის ხელშეწყობა; ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში დაგეგმილ საერთაშორისო ღონისძიებებში საქართველოს წარმომადგენლობის მონაწილეობის უზრუნველყოფა; ღია მმართველობა საქართველოს 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავება, შემუშავების პროცესში საჯარო კონსულტაციების გამართვა, სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი, შესრულების შუალედური და საბოლოო ანგარიშების მომზადება;

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ არსებული საკანონმდებლო ბაზის გადასინჯვა, ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი ნორმების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის, პრაქტიკაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის და ცალკეულ საკანონმდებლო აქტში გაბნეული ნორმების ერთ ნორმატიულ აქტში გაერთიანების მიზნით შემუშავებული ინფორმაციის თავისუფლების კანონის იმპლემენტაციის ხელშეწყობა;

ღია მონაცემთა ერთიანი პორტალის – data.gov.ge – განვითარების ხელშეწყობა;

მთავრობის მიერ დამტკიცებული საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციის საფუძველზე საჯარო სამსახურში ეთიკის ნორმების, პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმების გაუმჯობესების, აგრეთვე, ანაზღაურების, წახალისებისა და დაწინაურების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება;

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოებში და საერთაშორისო საარბიტრაჟო ტრიბუნალებსა და უცხო ქვეყნის სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობა. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი კანონმდებლობათა დაახლოების ვალდებულებების შესრულება;

ნარკოვითარების მონიტორინგის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა; ნარკომანიასთან ბრძოლის საკოორდინაციო საბჭოს ეფექტიანი, გამჭვირვალე მუშაობის ხელშეწყობა; გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, ნარკომანიასთან ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განახლება, გაგრძელდება 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი, მონიტორინგის შედეგების შესახებ ანგარიში გამოიცემა ყოველწლიურად. შემდგომი წლების სამოქმედო გეგმის შემუშავება და მათი იმპლემენტაციის კოორდინაცია; პრევენციის ერთიანი დოკუმენტის შემუშავება, რომელიც მოიცავს ნარკოპოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებას და მისი იმპლემენტაციის მონიტორინგი;

ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგი) ბრძოლა; გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულება; ადამიანთა წამებისა და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლა; საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაცია.

გამოძიებაზე ზედამხედველობის, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის პროგრამა

დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, ეფექტიანი გამოძიების საპროცესო ზედამხედველობის წარმოება და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება - შემუშავდება იურიდიული პირების მიერ ჩადენილი კორუფციული დანაშაულის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის სახელმძღვანელო, რაც ხელს შეუწყობს გამომძიებლებისა და პროკურორების მიერ აღნიშნული დანაშაულის გამოძიებისა და საპროცესო ზედამხედველობის განხორციელებას;

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი დაცვის უზრუნველყოფა – ადამიანის უფლებების დაცვა გამოძიების მიმდინარეობისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესში; ამ სფეროში სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების დარღვევის გამომწვევი მიზეზების დადგენა და საერთაშორისო და უფლებადამცველი ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინება; ოჯახური ძალადობის, წამების, არასათანადო მოპყრობის, უმცირესობათა უფლებების დარღვევის ფაქტებზე ეფექტური და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა;

პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსის შემუშავება და მიღება - შემუშავდება პროკურატურის მუშაკთა ახალი, პროკურატურის წინაშე არსებული გამოწვევების შესაბამისი ეთიკის კოდექსი; აღმოიფხვრება არსებული კოდექსის ბუნდოვანი ნორმები; მოხდება ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული გადაცდომების კონკრეტიზაცია;

პროკურატურაში სამუშაო გარემოსა და პროკურორთა მოტივაციის სისტემის გაუმჯობესება – დაიხვეწება სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა; შეიქმნება პროკურორთა საჭიროებებზე მორგებული და ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული პროგრამები; განხორციელდება პროკურორთა დატვირთვის ელექტრონული მოდულის იმპლემენტაცია;

საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება – პროკურატურის საქმიანობის გამჭვირვალობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნება მასმედიასთან ურთიერთობის ეფექტური მექანიზმები, მოხდება საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების არსებული მექანიზმების სრულყოფა; დაიხვეწება მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ინსტიტუტი, შეიქმნება ადგილობრივი საბჭოები;

პროკურატურის როლის გაზრდა დანაშაულის პრევენციის პროცესში – ამ მიმართულებით შემუშავდება სტრატეგია და განხორციელდება საჭირო საკანონმდებლო ცვლილებები;

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება – განხორციელდება პროკურორთა გადამზადება არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებზე. ამასთან, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში იქნება მოყვანილი არასრულწლოვანთა მიმართ იძულებითი ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკა.

ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

ეროვნული საარქივო ფონდის ელექტრონული დოკუმენტების არქივის შექმნა, ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოების ცენტრალიზაცია, დოკუმენტების საცავებში ხანძარქრობისა და კლიმატის კონტროლის თანამედროვე სტანდარტების ტექნოლოგიების დანერგვა, საოფისე შენობა-ნაგებობების, საცავებისა და სხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია/რეკონსტრუქცია და რემონტი, აგრეთვე მოქალაქეთა მომსახურების სისტემის განვითარება და სრულყოფა;

ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოების ცენტრალიზაცია ემსახურება დოკუმენტების დაცვის პირობების გაუმჯობესებას, ფინანსური და ადამიანური რესურსების დაზოგვას, ასევე, მენეჯმენტის ეფექტურობის ამაღლებას და გულისხმობს ადგილობრივი არქივების დოკუმენტების განთავსებას რეაბილიტირებულ 4 რეგიონულ არქივში (ქუთაისი, ზუგდიდი, ახალციხე, გორი). ამასთან, გარემონტებული ან/და რეაბილიტირებული საცავები და საოფისე შენობები აღჭურვილი იქნება კლიმატის კონტროლის და ხანძარქრობის თანამედროვე სისტემებით, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტების დაცულობის უმაღლეს დონეს;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქუთაისის, ახალციხისა და გორის არქივების მშენებლობა, თბილისის არქივის საგამოფენო სივრცისა და დამატებითი საცავის სამშენებლო/სარემონტო სამუშაოები, ასევე არსებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, რაც გულისხმობს ამორტიზებული შენობების რეაბილიტაცია/რეკონსტრუქციას და შესაბამისი ტექნიკით და ინვენტარით აღჭურვას;

მოქალაქეთა ელექტრონული მომსახურების სისტემაში დღეისათვის გამოიყენება მკვლევართა აღრიცხვისა და მართვის სისტემა, საარქივო დოკუმენტების (ფოტო, ვიდეო, ფონო, ტექსტური დოკუმენტები, რუკები) ელექტრონული კატალოგები, გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა (GIS) და სივრცითი ძიების პროგრამა, ონლაინ მომსახურების სისტემა (განცხადებების მიღება და ცნობების გაცემა ვებ-გვერდის საშუალებით) და ა.შ. აღნიშნული სისტემების განვითარება, როგორც პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება, მოიცავს არსებული ელექტრონული პროგრამების ახალი პარამეტრების შემუშავებას, ასევე არსებული მოდულების განახლება-დახვეწას;

პროგრამის ფარგლებში ეროვნული საარქივო ფონდის ელექტრონული დოკუმენტების არქივის შექმნა ემსახურება საარქივო დოკუმენტების დედნების დაუზიანებლად შენახვა-შენარჩუნებასა და ამ დოკუმენტებზე ელექტრონულად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. აღნიშნული მიმართულების ფარგლებში საჭიროა დამატებითი სპეციალური ტექნიკის, ინვენტარის შეძენა და სასერვერო ინფრასტრუქტურის განვითარება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა გადამზადება და სასწავლო ცენტრის განვითარება

ტრენინგ საჭიროებათა ანალიზის საფუძველზე, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ტრენინგების სრული ციკლი (დაგეგმვა, ორგანიზება, ჩატარება და შეფასება). გარდა სატრენინგო მოდულისა, პროგრამა აგრეთვე მოიცავს ღონისძიებებს ტესტირების მიმართულებით, რაც გულისხმობს საკონკურსო, საატესტაციო და საკვალიფიკაციო ტესტირების ორგანიზებას და ჩატარებას ქვეყნის მასშტაბით;

პროგრამის ერთ-ერთი მიმართულებაა სტუდენტებისთვის ისეთი თემატური პროექტების განხორციელება, როგორიცაა საზაფხულო და ზამთრის სკოლები საქართველოსა და რეგიონული მასშტაბით, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული ადამიანური რესურსების განვითარებას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება პროექტი „საჯარო მოხელის ბიბლიოთეკა“, რომლის მიზანია საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტების განვითარების ხელშეწყობა და სახელმწიფო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება. პროექტის ფარგლებში ასევე ითარგმნება უცხოურენოვანი ლიტერატურა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება საქართველოს სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანიზაციებისა და ყველა სხვა დაინტერესებული პირისთვის;

პროგრამის ფარგლებში ასევე გაგრძელდება პროექტი „50 საჯარო მოხელე“, რომელიც გულისხმობს ახალგაზრდების პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, მათთვის საჯარო სამსახურის მუშაობის პრინციპების გაცნობასა და პრაქტიკული გამოცდილების მიღებას.

ელექტრონული მმართველობის განვითარება

პროგრამა მიზნად ისახავს მოქალაქეებისათვის, ბიზნესისა და არასამთავრობო სექტორისათვის სახელმწიფოს ელექტრონული სერვისების უსაფრთხოდ, ეფექტურად, ერთი ფანჯრის პრინციპით მიწოდების ხელშეწყობას, აგრეთვე სახელმწიფო ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის ინფორმაციის, საინფორმაციო სისტემებისა და ტექნოლოგიების ურთიერთთავსებადობის საშუალებით მონაცემების ეფექტიანად და უსაფრთხოდ გაცვლის უზრუნველყოფას;

აღნიშნული მიზნით შექმნილია მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა, რომელიც წარმოადგენს აპარატურულ/პროგრამულ კომპლექსს. პროგრამის ფარგლებში აღნიშნულ ინფრასტრუქტურაში ჩართული სერვისებისა და გაცვლილი მონაცემების მასშტაბების ზრდასთან ერთად დაგეგმილია მისი მუდმივი განვითარება და დახვეწა, ტექნიკური და პროგრამული მხარდაჭერა. მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის საფუძველზე, თავის მხრივ, შექმნილია მოქალაქეებისა და ბიზნესისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ახალი პროდუქტი - მოქალაქის პორტალი, რომელშიც თავმოყრილია სახელმწიფო და ბიზნესსექტორის მიერ რეალიზებული სხვადასხვა ელექტრონული სერვისი. პროგრამის ფარგლებში აღნიშნულ პორტალში მომავალშიც ინტეგრირდება ყველა ის ელექტრონული სერვისი, რომელთაც ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები სთავაზობენ მოქალაქეებს, ბიზნესს თუ არასამთავრობო სექტორს. პროგრამის ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებები აგრეთვე უზრუნველყოფს ამ სერვისების და მონაცემების ეფექტურ და უსაფრთხო გაცვლას;

პროგრამის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულებაა კიბერუსაფრთხოების საკითხები, რაც არა მხოლოდ კომპიუტერული ინციდენტების გამოვლენას, პრევენციასა და შედეგების მართვას გულისხმობს, არამედ ამ სფეროში შესაბამის საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზებასა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებსაც მოიცავს;

პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა აგრეთვე საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობის მხარდამჭერი სისტემის ეფექტური ოპერირება, საკონტეინერო გადაზიდვების პროცესში (იმპორტ/ექსპორტი) ჩართულ კერძო და სახელმწიფო სუბიექტებს შორის ინფორმაციის მიმოცვლის პროცესის გამარტივება, რაც თავის მხრივ, საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართული მხარეების ეფექტურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს;

ელექტრონულ სერვისებზე ხელმისაწვდომობასთან ერთად, პროგრამა უზრუნველყოფს სამოქალაქო და ბიზნეს სექტორისთვის საჯარო, სტრუქტურირებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას. აღნიშნული მიზნით პროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს და მუდმივად ვითარდება ღია მონაცემების ქართული პორტალი (data.gov.ge).

ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის განვითარება

სახელმწიფო უწყებების მომსახურება IT სერვისების სრული სპექტრით, რაც მოიცავს: ქსელურ უზრუნველყოფას, ელფოსტის სერვისს, ონლაინკომუნიკაციის საშუალებებს, ტელევიდეოკონფერენციას, დროისა და დავალებების მართვის პროგრამულ უზრუნველყოფას, უსაფრთხოების ერთიანი პოლიტიკის გატარებას, არასასურველი და მავნე ელექტრონული ფოსტის, პროგრამებისა და ვირუსებისგან დაცვას, სახელმწიფო სტრუქტურებისათვის ერთიანი IT მხარდაჭერის ქოლცენტრის შექმნასა და ინციდენტების მართვას, ციფრული ტელეფონიის სერვისს, სახელმწიფო ორგანიზაციებში დასაქმებულთა კომპიუტერული ტექნიკის ადგილზე მომსახურებას და სხვ;

პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო ორგანიზაციებში პროცესების ავტომატიზებისა და ელექტრონულ მმართველობაზე გადასვლის მიზნით, ჩატარდება შესაბამისი კვლევები და შემუშავდება კონკრეტული ინოვაციური ბიზნეს გადაწყვეტილებები, რომლებიც მორგებული იქნება დამკვეთის ბიზნეს პროცესებზე. აღნიშნულის საფუძველზე მოხდება როგორც ახალი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა, ასევე არსებულის გაუმჯობესების მიმართულებით მუშაობა;

ონლაინსამუშაო სივრცის შექმნა და დანერგვა, რაც გულისხმობს ყველა სამსახურებრივი დოკუმენტის შექმნასა და დამუშავებას მხოლოდ ერთ, კონკრეტულ პროგრამაში. ეს სისტემა გაამარტივებს დოკუმენტების დამუშავების ყველა ეტაპზე მათზე ხელმისაწვდომობას და დაიცავს ინფორმაციას დაკარგვისა თუ დაზიანებისაგან;

პროგრამის ფარგლებში დანერგილია ქლაუდტექნოლოგია (ღრუბლოვანი ტექნოლოგია). დასაგეგმ და შემდგომ წლებში ქვეპროგრამა გულისხმობს სერვისის შემდგომ განვითარებას როგორც პროგრამული, ასევე გამოთვლითი სიმძლავრეების და მასშტაბების მიმართულებით, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ქლაუდინფრასტრუქტურით (IaaS) სარგებლობის გაფართოებას.

დანაშაულის პრევენცია და ინოვაციური პროგრამები

ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია - მათი საზოგადოების სრულფასოვან წევრებად დაბრუნების ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება, რომლებიც თავის მხრივ სამი ძირითადი ეტაპისგან შედგება. პირველ ეტაპზე აქცენტი კეთდება ბენეფიციარის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარებაზე; მეორე ეტაპზე ბენეფიციარი ერთვება პროფესიული გადამზადების კურსებზე, არსებული გამოცდილებისა და განათლების გათვალისწინებით; მესამე ეტაპზე კი, აქცენტი კეთდება ბენეფიციარის დასაქმებაზე;

დანაშაულის პირველი დონის პრევენცია, რომელიც გულისხმობს ახალგაზრდების დახმარებას ფიზიკურ, შემეცნებით, გონებრივ და სოციალურ განვითარებაში. აღნიშნული მიმართულების ღონისძიებები აგებულია არაფორმალური განათლების პრინციპზე, რომელიც მიზნად ისახავს ჯანსაღი და კონკურენტუნარიანი საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობას და ახალგაზრდებში მოხალისეობრივი კულტურის განვითარებას; დანაშაულის მეორე დონის პრევენცია, რომლის მიზანია მოზარდების (დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფი არასრულწლოვნები) ენერგია და პოტენციალი სასარგებლო აქტივობებისკენ მიმართოს. ამ მიმართულების ფოკუსჯგუფებია: ანტისოციალური/დელიქვენტური ქცევის მქონე ახალგაზრდები, განათლების სისტემიდან გასული არასრულწლოვნები, სახელმწიფო ზრუნვიდან გასული ახალგაზრდები, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი პირები, რომელთაც კანონსაწინააღმდეგო ქცევა ჩაიდინეს და მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა ოჯახის არასრულწლოვანი წევრები;

არასრულწლოვანთა განრიდება და მედიაცია, რომელიც ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანს, რომელიც არ არის ნასამართლევი, შესაძლებლობას აძლევს, პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე განერიდოს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და ჩაერთოს შესაბამის პროგრამაში, რომელიც მის რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციაზე იქნება ორიენტირებული;

მედიაციის ინსტიტუციონალური განვითარება, რომლის ფარგლებშიც იგეგმება მედიაციის როლის, მოქმედების არეალის გაზრდა და მისი ინსტიტუციონალური ჩარჩოს გაუმჯობესება. ამ მიმართულებით მუშაობა წარიმართება მედიაციის ფორმებისა და სფეროების გაფართოებაზე, მათ შორის, სისხლის სამართალის სფეროშიც.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა

სახელმწიფო სერვისების განვითარება და მათზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის დონეზე. აღნიშნული მიზნების მისაღწევად დაგეგმილია რამდენიმე მიმართულების პროგრამების განხორციელება;

ქვეყნის მასშტაბით მრავალმოსახლე და მუნიციპალური ცენტრიდან მოშორებულ სოფლებში პროგრამის ფარგლებში აშენდება საზოგადოებრივი ცენტრები, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა სოფლიდან გაუსვლელად მიიღებს როგორც სახელმწიფო (სერვისების განვითარების სააგენტოს, საჯარო რეესტრის, ეროვნული არქივის, სოციალური მომსახურების სააგენტოს და სხვ.), ისე კერძო სექტორის (საბანკო, ტელესაკომუნიკაციო და სხვ.) და მუნიციპალური სერვისები. გარდა ამისა, ასევე იგეგმება

საზოგადოებრივი ცენტრების კონცეფციის განვითარება საჯარო ბიბლიოთეკების ბაზაზე, რომელიც გულისხმობს შერჩეული სოფლის ბიბლიოთეკების ინფრასტრუქტურის გამართვას, ტექნიკითა და ინტერნეტით უზრუნველყოფას და თანამშრომელთა გადამზადებას. გარდა ამისა, საზოგადოებრივი ცენტრების ინფრასტრუქტურულ ბაზაზე იგეგმება სამოქალაქო ჩართულობის ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება, რაც მიზნად ისახავს ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდას, განათლებას და მათი შესაძლებლობების განვითარებისთვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფას;

პროგრამა აგრეთვე მოიცავს სამოქალაქო რეესტრის წარმოებას, რაც გულისხმობს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციას, საიდენტიფიკაციო დოკუმენტების გაცემას, მოქალაქეობა-მიგრაციის პროცედურების წარმართვას, მიგრაციულ პოლიტიკასთან დაკავშირებულ საქმიანობას, მოსახლეობის ერთიანი რეესტრის წარმოებას, დოკუმენტის აპოსტილირებისა და ლეგალიზაციის წარმოებას. აღნიშნული საინფორმაციო რესურსები, კერძოდ, მოსახლეობის რეესტრი ასევე საარჩევნო სიის ძირითადი საფუძველია. ქვეყნის მასშტაბით იგი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე კრიტიკულ რესურსს. შესაბამისად, მისი ხარისხის უზრუნველყოფა პროგრამის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა.
პროგრამის არანაკლებ მნიშვნელოვანი მიმართულებაა დამისამართების პრობლემის გადაჭრა საქართველოში. პროექტი გულისხმობს თითოეული მოქალაქის რეგისტრაციის მონაცემების დაკავშირებას ახალ მისამართებთან. მისამართების ახალი რეესტრის გამოყენება საშუალებას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული მოქალაქეთა არაკორექტულ და არარსებულ მისამართზე რეგისტრაციის ფაქტები; ეს კი მოსახლეობის რეესტრისა და საარჩევნო სიის ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი წინაპირობაა;

ახალი მომსახურებების დანერგვა, რომელიც ქვეყნის მასშტაბით როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სტრუქტურებში გააუმჯობესებს მომხმარებელთა მომსახურების დონეს. მოხდება ციფრული ხელმოწერისა და ციფრული შტამპის განვითარება, რომელიც შექმნის დისტანციური ბიზნესურთიერთობის დამყარების საშუალებას, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნება დროის და ფინანსური რესურსების დაზოგვა. ასევე, იგეგმება ბიომეტრიული იდენტიფიკაციის სისტემის განვითარება, რაც მოიცავს მე-3 თაობის ბიომეტრიული პასპორტების გასაცემად ინფრასტრუქტურის განვითარებას და აღნიშნული თაობის პასპორტების შეთავაზებას მოქალაქეებისთვის – ევროკავშირის ვიზა-ვიზალიბერალიზაციის პროცესის მოთხოვნების შესაბამისად;

პროგრამის ფარგლებში მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნო, კომისიის შესაბამის წევრ უწყებებთან ერთად, მუშაობს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დოკუმენტებზე. კომისიის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, სამდივნო გეგმავს რიგი ღონისძიებების გატარებას, რაც, ერთი მხრივ, მიმართული იქნება მიგრაციის სფეროში ეროვნული საკანონმდებლო ბაზის განვითარებისკენ, ხოლო მეორე მხრივ, ჩამოაყალიბებს იმ ეფექტიან მექანიზმებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება მიგრაციული პოლიტიკის პრაქტიკაში გატარება.

მიწის ბაზრის განვითარება (WB)

„ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების“ პროექტის „მიწის ბაზრის განვითარების კომპონენტის'' განხორციელება, 11 საპილოტე არეალში (12 დასახლებული პუნქტი) მიწების რეგისტრაცია. დარეგისტრირდება როგორც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, ასევე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები. პროგრამის მიზანია შერჩეულ საპილოტე არეალებში ყველა სახის მიწის რეგისტრაცია, რაც ხელს შეუწყობს ურბანული ტერიტორიების ფარგლებს გარეთ მიწის ბაზრის განვითარებას, დანაწევრებული მიწის ნაკვეთების კონსოლიდაციის პროცესს, გაზრდის საკუთრების უფლების დაცულობის ხარისხს, ხელს შეუწყობს პრივატიზაციის პროცესს და გაზრდის ინვესტიციებს სოფლის მეურნეობაში. პილოტ-პროექტის მიზანია შემუშავდეს მეთოდოლოგია რათა მიწის პირველადი რეგისტრაცია დასრულდეს მთელი ქვეყნის

მასშტაბით. აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად შერჩეულ იქნა არეალები მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემატიკის მიხედვით. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში 30 თვის განმავლობაში დაზუსტდება და დარეგისტრირდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. 1992 წლიდან დაწყებული, მიწის რეგისტრაციასა და საკადასტრო რუკების შედგენასთან დაკავშირებული არაერთი რეფორმის ჩატარების მიუხედავად, საქართველოს ურბანული ტერიტორიების ფარგლებს გარეთ სასოფლო მიწების უმეტესობა ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ რეგისტრირებული ან/და აღრიცხული ერთიან საკადასტრო მონაცემთა ბაზაში. სავარაუდოდ, არსებული 4 მილიონი მიწის ნაკვეთიდან (კერძო, სახელმწიფო და მუნიციპალური საკუთრება), დაზუსტებული მონაცემებით, დაახლოებით 1.2 მლნ. (25-30%) მიწის ნაკვეთია რეგისტრირებული. მიმდინარე სტატისტიკური მონაცემებით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების (რომლებიც ძირითადად ქალაქების ტერიტორიებზეა განლაგებული) რეგისტრაციების რაოდენობა მნიშვნელოვნად აჭარბებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეგისტრაციების რაოდენობას. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეგისტრაციის სიხშირე ძალიან დაბალია, რეგისტრირებულია 50%-ზე ნაკლები მიწა მუნიციპალიტეტების მიხედვით (რაც მერყეობს 5%-ზე ნაკლებიდან რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, 20–30%–მდე დასავლეთ საქართველოს მუნიციპალიტეტებში, 25-დან 50%-მდე კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში).

იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა

მომხმარებლისთვის ერთი ფანჯრის პრინციპით სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების სერვისების მაღალი ხარისხით მიწოდება, სახელმწიფო სერვისების განვითარების ხელშეწყობა, აგრეთვე მომხმარებლისთვის მრავალფეროვანი და ინოვაციური სერვისების შეთავაზება. აღნიშნული მიზნების მისაღწევად პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალი სერვისების ინტეგრირება იუსტიციის სახლების ფარგლებში;

არსებული და ახალი მომსახურების ხარისხის კონტროლი და განვითარება სხვადასხვა ტიპის კვლევებისა და პროექტების საფუძველზე; გაგრძელდება იუსტიციის სახლების მშენებლობა და არსებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, რათა ქვეყნის მასშტაბით გაფართოვდეს ერთი ფანჯრის პრინციპით სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების სერვისების ეფექტური მიწოდება.

ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია და მთარგმნელობითი ცენტრის განვითარება

ნორმატიული აქტების, კანონმდებლობით სავალდებულო წესით გამოსაქვეყნებელი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების, სასამართლო გადაწყვეტილებების, სხვა დოკუმენტებისა და ინფორმაციის, აგრეთვე ნორმატიული აქტების ოფიციალური თარგმანის „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე გამოქვეყნება; ნორმატიული აქტების სახელმწიფო აღრიცხვისა და სისტემატიზაციის, სამართლებრივი აქტების საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრის წარმოება; საქართველოს კანონმდებლობის სისტემატიზაცია და საკონტროლო მდგომარეობაში მოყვანა ელექტრონული სახით;

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების განხორციელებასა და შემდგომ ანგარიშგებასთან დაკავშირებული ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის ქართულ ენაზე თარგმნა, ასევე, საქართველოს კანონმდებლობის/კანონპროექტების ინგლისურ ენაზე თარგმნა;

განხორციელდა სატრენინგო პროგრამა „იურიდიული თარგმნის უნარის განვითარება“, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 25 თანამშრომელი, რომლებმაც ასევე გაიარეს მოსამზადებელი კურსი და წარმატებით ჩააბარეს გამოცდა ILEC-ში (საერთაშორისო სერტიფიკატი იურიდიულ ინგლისურში). მათგან 10 თანამშრომელი გადამზადდა ტრენერად , ისინი თარგმნა/რედაქტირებასთან ერთად მოამზადებენ ახალ კადრებს;

ჩატარდა ტრენინგი მთარგმნელობითი კომპიუტერული პროგრამის “SDL Trados Studio”-ს გამოყენებაში, ევროკავშირის პროექტის „კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, საქართველოში“ (Capacity Building in International Relations, Georgia) ფარგლებში. კომპიუტერული პროგრამა „SDL Trados Studio“ ზრდის თარგმანის პროცესის პროდუქტიულობას. „SDL Trados Studio“-ს სერვერზე მიმდინარეობს ერთიანი მთარგმნელობითი მეხსიერების (TM) და ერთიანი ტერმინოლოგიური ბაზის (TB) განთავსება და პერიოდული განახლება;

სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ გეგმავს სამართლებრივ თარგმანში სასერთიფიკატო კურსების დანერგვას, რაც ხელს შეუწყობს კვალიფიციური კადრების მომზადებასა და შემდგომ მათ მთარგმნელობით ცენტრში დასაქმებას;

ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩება კადრების დივერსიფიცირება ინგლისურ და ქართულ მიმართულებებად. 2016 წლიდან ცენტრი გეგმავს ქართული მიმართულების განყოფილების ამოქმედებას და განვითარებას;

დაინტერესებული პირებისა თუ მიზნობრივი ჯგუფების პროფესიული საქმიანობისა და საინფორმაციო მიზნებისათვის საჭირო სხვადასხვა ნორმატიული აქტების, წიგნებისა და იურიდიული ლიტერატურის ბეჭდური ვერსიების ხელმისაწვდომობის მიზნით ფუნქციონირებას განაგრძობს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ სტამბა, რომელიც უზრუნველყოფს იურიდიული ლიტერატურის - საკანონმდებლო აქტების, წიგნების, სამეცნიერო ნაშრომებისა და სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიური ლექსიკონების ბეჭდვასა და გამოცემას. ასევე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი უწყებებისთვის საქმიანი ქაღალდების დამზადებასა და პოლიგრაფიული მომსახურების გაწევას.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ განსახორციელებელი პროგრამები მომსახურების ხარისხის განვითარებას ემსახურება, რაც უზრუნველყოფს თითოეული მომხმარებლისთვის პროცედურების გამარტივებას სწრაფი, ინოვაციური, მრავალფეროვანი სერვისების მიწოდებით. სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“, როგორც ბიზნესისა და ქონების რეგისტრაციის განმახორციელებელი სუბიექტი, წამყვანი მმართველობითი ფუნქციის მქონე ორგანო ქვეყანაში სტაბილური საკორპორაციო ურთიერთობებისა და ჯანსაღი ბიზნესგარემოს დამკვიდრებისთვის განსაზღვრავს რამოდენიმე ძირითად მიმართულებას: ეროვნულ–გეოდეზიური საფუძვლების შექმნა, რაც გულისხმობს გეოდეზიური პუნქტების კოორდინატებისა და სიმაღლეების განსაზღვრას ახალ სახელმწიფო სისტემაში. საჭიროა ჩატარდეს შემდეგი ტიპის სამუშაოები: ძველსა და ახალ სახელმწიფო კოორდინატთა სისტემებს შორის ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრა, სიმაღლური სანიველირო რეპერების მოკვლევა, ჩატარებული სანიველირო სვლების პირველადი დამუშავება და საბოლოო გაწონასწორება გრავიმეტრიულ მონაცემებზე დაყრდნობით. ახალი ციფრული ტოპოგრაფიული რუკების შექმნის მიზნით შედგება სამუშაოების ტექნიკური პროექტი, პრობლემური არეალების შერჩევა, გამოკვლევა და საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა, სახელმწიფო ამზომველების ქსელის ფორმირება, მიწის ნაკვეთების აზომვების განხორციელება „GEO-CORS“-ის (მუდმივმოქმედი საინფორმაციო სისტემა საქართველოში) გამოყენებით. აღნიშნული სისტემა შესაძლებელს ხდის მიწის აზომვას დაჩქარებული მეთოდითა და გაცილებით იაფი აღჭურვილობით, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს უძრავი ქონების ბაზარზე მოქმედი საამზომველო კომპანიების ბიზნესის წარმოების განვითარებას. საქართველოს ტერიტორია უნდა დაიფაროს ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მონაცემებით. განახლებული ციფრული ტოპოგრაფიული რუკები ერთ-ერთი მთავარი საფუძველია ადგილმდებარეობის დეტალური შესწავლისთვის, დასახლებული პუნქტების შესაბამისი ინფრასტრუქტურის, საავტომობილო და სარკინიგზო გზების, სამელიორაციო სისტემების, ელექტრო

გადამცემი ხაზებისა და სხვადასხვა სახის საქროექტო საძიებო სამუშაოების განსახორციელებლად. საჭიროა შეიქმნას ტერიტორიების ახალი ციფრული ქართულენოვანი ტოპოგრაფიული რუკები.

აუცილებელია საჯარო რეესტრის IT ინფრასტრუქტურის სრულყოფა, როგორც არსებული ელექტრონული სერვისების უწყვეტად და სწრაფად მომსახურება, ასევე სამომავლო მზარდი დატვირთვებისთვის ინფრასტრუქტურის გაფართოება. ერთ–ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ძველი მასალების დამუშავება, დიგიტალიზება, აღრიცხვა, სისტემატიზაცია. რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის ამოქმედებამდე წარმოებული ქაღალდის დოკუმენტაცია საჭიროებს დამუშავებას, დასკანირებას და ცენტრალიზებული ელექტრონული არქივის შექმნას, სისტემატიზაციას, ციფრულ ფორმატში გადატანასა და ამ გზით მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. სააგენტოს მიერ დაგეგმილია რეგიონებში არსებულ ქონებაზე უფლებათა რეესტრის მონაცემთა შესაბამის ელექტრონულ პროგრამაში დამუშავება/განახლება და დასკანირება, რისთვისაც საჭიროა რეგიონებში საძიებო ბაზების გარეშე არსებული აღნიშნული საარქივო დოკუმენტების აღწერა, საძიებო ბაზების შედგენა და თბილისში გადმოტანა დამუშავება/დასკანირებისთვის. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში არსებული არაძებნადი ყველა სახის მოქალაქეთა საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების ერთად თავმოყრა, შესაბამის ელექტრონულ პროგრამაში აღწერა, საძიებო კატალოგის შედგენა, დიგიტალიზება და ეფექტურად დაცვის უზრუნველყოფა განაპირობებს საკუთრების უფლების დასაცავად მაღალი სტანდარტების დანერგვას და საჯარო რეესტრის მონაცემთა უტყუარობის უზრუნველყოფას, სარეგისტრაციო/საინფორმაციო მომსახურების განხორციელებისა და საჯარო ინფორმაციაზე წვდომის გამარტივებას, ცენტრალიზებულ და მოწესრიგებულ არქივს.

მეწარმეთა და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციას დაქვემდებარებული იურიდიული პირების სარეგისტრაციო დოკუმენტაციის აღრიცხვა-სისტემატიზაცია; საქმიანობის რეესტრის შექმნა და შესაბამისად სტატისტიკური მონაცემების არსებობა; ბიზნესის პირველადი ელექტრონული რეგისტრაციის დანერგვა და მოქალაქეზე მორგებული, გამარტივებულიმომსახურება;
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ეროვნულ სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება. სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურა არის ქვეყნის მართვის პროცესის გაუმჯობესების მსოფლიოში აპრობირებული ტექნოლოგიური საშუალება, რომლის შექმნა საქართველოში, მისი რთული ფიზიკურ-გეოგრაფიული, სოციალური, ეკონომიკური, გეოპოლიტიკური და სხვა გარემოებებიდან გამომდინარე, კიდევ უფრო აქტუალური ხდება.მისი, როგორც საინფორმაციო ქსელურ–ანალიტიკური სისტემის მთავარი პრინციპია მონაცემების გახსნილი, დეცენტრალიზებული, მაგრამ კოორდინირებული მართვა, რომელიც ორიენტირებულია მრავალფუნქციურ მოხმარებაზე და გაზიარებაზე.

აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა

აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ განხორციელებული მომსახურებების შეუფერხებლად და უწყვეტად მიწოდების უზრუნველყოფა - შემოსული საქმეების ნაკადის ეფექტიანი მართვა, დაგროვებული საქმეების შემცირება, აღმასრულებლებისა და აღსრულების პოლიციელთა რიგებში ადამიანური რესურსის რაოდენობრივი ოპტიმიზაცია. თანამშრომელთა შესაბამისი კვალიფიკაციის უზრუნველყოფა.

სააღსრულებო სისტემის მუშაობაზე საზოგადოებრივი ცნოებიერების ამაღლება არსებული მომსახურებების დახვეწასა და საზოგადოებისთვის საინტერესო ახალი მომსახურებების დანერგვის ტენდენციის შენარჩუნება. ახალი სერვისების იმპლემენტაციაზე მსჯელობა და შესაბამისი რისკების და შესაძლებლობის გათვლა/ანალიზი. მოქალაქეთა ვალდებულებების ერთჯერად შემსუბუქების საკითხთა პროექტირება, რომელთა არსებული და პროგნოზირებადი მატერიალური მდგომარეობიდან

გამომდინარე მოვალე ვერ შეძლებს ვალდებულების შესრულებას. ბიზნესპროცესების გაციფრულება. სააღსრულებო წარმოების პროცესში ელექტრონული მხადამჭერი სისტემების განვითარება.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება

პენიტენციური სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების მიზნით შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. ურთიერთობების კოორდინაცია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან და ორგანიზაციებთან, თანამშრომლობის ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების გაფორმება;

პენიტენციურ დაწესებულებებში ინფრასტრუქტურის სრულყოფა და შესაბამისი მანქანა/დანადგარებითა და ინვენტარით აღჭურვა. მსჯავრდებულ/ბრალდებულთა საცხოვრებელი და ყოფითი პირობებისა გაუმჯობესება, რბილი ინვენტარის განახლება და პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებების შეძენა;

პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფთათვის განათლების მიღება - სახელობო და პროფესიული სწავლების პროგრამების განსაზღვრით. ასევე მსჯავრდებულ/ბრალდებულთა რესოციალიზაციის მიზნით მათ დასაქმების უზრუნველყოფის ხელშეწყობა და საწარმოო ზონის შექმნა;

პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ პირთა უზრუნველყოფა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით. ამასთანავე, პენიტენციური ჯანდაცვის სტანდარტის შესაბამისად პრევენციული და პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება ჰიგიენის, გადამდები დაავადებების კონტროლის და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის კუთხით;

პენიტენციურ სისტემაში მყოფ მსჯავრდებულ/ბრალდებულთა სამართლებრივი გარანტიების გაძლიერება - პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობის შენარჩუნებით და ცნობიერების ამაღლებით.

სრულყოფილი პრობაციის სისტემა

სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება;

სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება და მათში პრობაციონერების ჩართულობა;

არასრულწლოვანთათვის სასჯელის სახედ შინა პატიმრობასთან დაკავშირებული შესაბამისი ღონისძიებების გატარების ხელშეწყობა.

ახალი თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებების ამოქმედება ქალ მსჯავრდებულთათვის, რომელთა ბაზაზე მოხდება მათი რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის პერსონალის პროფესიული მომზადება-გადამზადების გზით ქვეყანაში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში მიმდინარე რეფორმების, სასჯელაღსრულების სიტემაში ევროპის საბჭოსა და გაეროს სტანდარტების მოთხოვნათა დანერგვისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობა;

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა;

სტრატეგიული ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან, აკადემიურ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვადასხვა ქვეყნების შესაბამის სასწავლო დაწესებულებებთან;

სისტემაში მისაღები და მომუშავე კადრების ტესტირების ინსტიტუტის დანერგვა და მისი ჩატარება მოთხოვნილებისამებრ, სისტემაში კვალიფიციური კადრების მიღებისა და ადგილზე მათი ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა;

მოქმედი სასწავლო პროგრამების განახლება და ახალი პროგრამების მომზადება ადგილობრივი რესურსებისა და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, სწავლების ხარისხის სისტემატური გაუმჯობესების უზრუნველყოფა;

განათლებისა და პროფესიული განვითარების ხარისხის უზრუნველყოფა და სასწავლო პროგრამების განვითარება;

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემებში ახლად დანერგილი მენტორინგის ინსტიტუტის განვითარება;

ახალი სახელმძღვანელოების მომზადება, ბიბლიოთეკის განვითარება;

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნების მხარდაჭერა და შესაძლებლობების განვითარება

ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველმყოფი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

თავდაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

არსებული უსაფრთხოების გარემოდან გამომდინარე და ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, ასევე, საქართველოს შეიარაღებულ ძალებზე დაკისრებული ამოცანების ეფექტიანად შესასრულებლად არსებული თავდაცვითი შესაძლებლობების შენარჩუნება;

თავდაცვის სამინისტროზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების უზრუნველყოფა.

ეროვნული უსაფრთხოების გარემოს გათვალისწინებით, საქართველოს შეიარაღებული ძალების მზადყოფნა შესაძლო სამხედრო აგრესიის შესაკავებლად და რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებაში მონაწილეობის მიღება. საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეებიდან და გამოწვევებიდან გამომდინარე შეიარაღებული ძალების თანამედროვე შეიარაღებითა და ტექნიკით უზრუნველყოფა.

სამხედრო წვრთნა და განათლება

სამხედრო მოსამსახურეების წვრთნისა და განათლების სისტემის გაუმჯობესება. მაღალხარისხიანი და რეალურ საბრძოლო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებული წვრთნა და თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებით მომზადება მაღალკვალიფიციური პირადი შემადგენლობის ჩამოსაყალიბებლად. სამხედრო სწავლებები, სასწავლო კურსები, სიმულაციური საშუალებების განვითარება, სამხედრო განათლებასა და დაწყებით სამხედრო მომზადება, ასევე, სპეციალიზაციის კურსები.

სოციალური და სამედიცინო უზრუნველყოფა

თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების პერსონალისა და მათი ოჯახის წევრების, დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრების ასევე, სამოქალაქო პირებისათვის სოციალური და სამედიცინო დახმარების გაწევა. ამბულატორული, სტაციონარული მკურნალობა, სამედიცინო რეაბილიტაცია და დისპანსერიზაცია. ასევე, შეიარაღებული ძალებისათვის ხელმისაწვდომი, ხარისხიანი და მრავალპროფილიანი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა, მორალურ-ფსიქოლოგიური და სოციალურ მხარდაჭერა.

მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობის და კომპიუტერული სისტემები

პროგრამა მოიცავს კავშირგაბმულობის და ინფორმაციულ სისტემების, საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება და კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა. თანამედროვე დაცული კომუნიკაციების მიერ უზრუნველყოფილი უსაფრთხო, უწყვეტი კავშირი და კოორდინირებულ მოქმედებები. მონაცემებისა და ინფორმაციის უსაფრთხოების დაცვის მიზნით მოწინააღმდეგის მხრიდან საზიანო ქმედებების თავიდან აცილება, უარყოფითი შედეგების შემცირება და ყველა ელემენტის ფუნქციონირების უმოკლეს ვადებში აღდგენა. ქვედანაყოფების მობილური და სტაციონალური მართვისა და კონტროლის სისტემის დახვეწა.

ინფრასტრუქტურის განვითარება

სამხედრო ინფრასტრუქტურის განვითარება, კერძოდ, სამხედრო ბაზების, ყაზარმების და სასადილოების აშენება-კეთილმოწყობა, რაც აუცილებელია სამხედრო მოსამსახურეებისათვის მათზე დაკისრებული მოვალეობები ადეკვატურ და ღირსეულ პირობებში შესასრულებლად. ასევე, კვების სისტემის გამართვა, რაც თავის მხრივ მოიცავს შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციას, წყალმომარაგების სისტემის განვითარებას, სასადილო ინვენტარით აღჭურვას და საველე სასადილოების და სამზარეულო კონტეინერების უზრუნველყოფას. სამხედრო ბაზების რეაბილიტაცია-განვითარება, წვრთნების და სწავლებების უზრუნველყოფა ინფრასტრუქტურით, საინჟინრო ნაგებობისა და კომუნიკაციების რეაბილიტაცია და განვითარება.

საერთაშორისო თანამშრომლობა

საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანება, რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების

ხელშეწყობა; თანამშრომლობის გაღრმავება ნატოსთან, ევროკავშირთან და სხვა საერთაშრისო ორგანიზაციებთან თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში. ალიანსის წინაშე აღებული ვალდებულებების და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მონაწილეობის მიღება ნატოს ეგიდით წარმოებულ მტკიცე მხარდაჭერის მისიასა (RSM) და ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში (NRF). აქტიური თანამშრომლობა ევროკავშირთან ასოცირების დღის წესრიგისა და ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში და მონაწილეობის მიღება ევროკავშირის ეგიდით წარმოებულ მისიებში - ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა (EUMAM RCA), მალი (EUTM Mali) და უკრაინა (EEAM Ukraine). პროგრამა ასევე ითვალისწინებს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში საერთაშორისო კონფერენციებისა და ღონისძიებების ორგანიზებას.

სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა

საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად და ქვეყნის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის განვითარებისათვის თავდაცვის სფეროში სამეცნიერო-კვლევების განხორციელება. ენერგოუსაფრთხოების სფეროში სამეცნიერო ტექნიკური სამუშაოების გაღრმავება, საწარმოო ბაზის განახლება და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, შეიარაღებულ ძალებში არსებული შეიარაღების და ტექნიკური საშუალებების მოდერნიზება და აღდგენა. ასევე, მრეწველობის და მათ შორის, მანქანათმშენებლობის რიგი დარგების განვითარება, ახალი ტექნოლოგიური პროცესების კვლევა და ოპტიმიზაცია.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება

ქვეყანაში საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უსაფრთხოების დონის ამაღლების მიზნით, საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, ოპერატიულ-სამძებრო ინფორმაციის გაცვლა, ერთობლივი ოპერაციების ჩატარება და სხვა მსგავი საკითხები, რომლებიც განხორციელდება პოლიციის ატაშეების, ორმხრივი ხელშეკრულებების, ნაცვალგების პრინციპის და საერთაშორისო, მათ შორის რეგიონული ორგანიზაციების მეშვეობით;

საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობა და სამართლებრივი ბაზის განვითარება. ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების მომზადება და გაფორმებასთან დაკავშირებულ საქმიანობა და შემდგომში მისი მონიტორინგი;

დანაშაულის პრევენციის მიზნით სამინისტროს აქტიური თანამშრომლობა საზოგადოებასთან;

სისხლის სამართლის რეფორმის ფარგლებში საინფორმაციო კამპანიების ჩატარება დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში მოქალაქეთა თვითშეგნების ამაღლებისა და ჩართულობისთვის და საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით არსებული მიღწევების შენარჩუნების მიზნით, სხვა დაინტერესებულ სახელმწიფო უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობის განვითარება. ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ახალ სამოქმედო გეგმის პროექტზე მუშაობისას „პომპიდუს ჯგუფის“ ექსპერტების მონაწილეობის უზრუნველყოფა;

ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) საფრთხეებისადმი ერთიანი მექანიზმის ჩამოყალიბება, რომელიც ორიენტირებული იქნება ქბრბ ინცინდენტების მართვის ისეთ კომპონენტებზე, როგორებიცაა პრევენცია, გამოვლენა, მზადყოფნა და რეაგირება;

ქბრბ კუთხით არსებული მდგომარეობის მუდმივი შესწავლისა და შეფასების, ახალი საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების საფუძველზე სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პერიოდული განახლება და აღნიშნული მიმართულებით შსს–ს შესაძლებლობების განვითარება;

ევროკავშირსა და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის დიალოგის ფარგლებში აღებული ვალდებულებების თანახმად, საქართველოში ევროკავშირისა და საერთაშორისო სტანდარტების დაცვით, ორგანიზებული დანაშაულის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი და ინსტიტუციონალური ჩარჩოს ჩამოყალიბება;

წინასწარი დაკავების საკნებში მოთავსებულთა რეგისტრაციის, სამედიცინო შემოწმების და წინასწარი დაკავების იზოლატორებზე რეგულარული მონიტორინგის უზრუნველყოფა. ასევე მოთავსებულთა ინფორმირება (საპროცესო უფლებების შესახებ), დაკავებულ პირთათვის საკვების მიწოდება და სანიტარული პირობების გაუმჯობესება;

დროებითი მოთავსების იზოლატორებში ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, არაადამიანური მოპყრობის აღკვეთა და დაკავებული და ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფი პირებისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოს შექმნა;

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კონტროლირებადი სივრცის მაქსიმალურად გაკონტროლება და კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა გამოსავლენა და აღკვეთა;

სანაპირო დაცვის შესაძლებლობების შემდგომი განვითარება, მცურავი საშუალებების მეშვეობით საქართველოს საზღვაო სივრცეში სამართლებრივი რეჟიმის დაცვის კონტროლი, სამართალდარღვევათა პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა, საქართველოსა და უცხო ქვეყნის გემების საქმიანობის მონიტორინგი, ზღვაოსნობისა და ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ზღვაზე ძებნა-გადარჩენის ოპერაციების განხორციელება, ნავსადგურის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებათა კონტროლი, ზღვის მხრიდან სტრატეგიული ობიექტების დაცვა;

სამძებრო-სამაშველო ოპერაციების დღისით და ღამით, რთული მეტეოპირობების მიუხედავად სრულყოფილად ჩატარება;

სამინისტროს სისტემაში დასაქმებულ ქალთა საერთო მაჩვენებლის გაზრდის მიზნით ქალთა რეკრუტირების ახალი პოლიტიკის შემუშავება;

სამინისტროს ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების სრული რეაბილიტაცია და ახალი შენობების მშენებლობა, დაცვითი სისტემებით უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

ეროვნული საგანძურის, დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საპატრიარქოს დაცვის უსაფრთხოების დონის ამაღლება

დიპლომატიური მისიების და მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტების, ეროვნული საგანძურის, საპატრიარქოსა და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვით უზრუნველყოფა;

დაცვის პოლიციის ავტოფარეხის რეკონსტრუქცია, ავტოპარკის განახლება და ობიქტებისათვის, რომლებიც მუდმივ მეთვალყურეობას საჭიროებენ, საგუშაგო ჯიხურების დამზადება და მათი მონტაჟი;

საპატრულო-საგუშაგო ჯგუფის ეკიპირების განახლება;

ობიექტების თანამედროვე დაცვითი საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემებით აღჭურვა.

სამართალდამცავი სრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება, საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია, სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება

განათლების საერთაშორისო სტანდარტების უზრუნველყოფა და ევროპულ საპოლიციო განათლებასთან დაახლოება, სპეციალური პროფესიული პროგრამების ბაზაზე სამინისტროში მისაღები და მოქმედი თანამშრომლების მომზადება/გადამზადება;

პრაქტიკული უნარების გამომუშავებისათვის არსებული ინფარსტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ასევე ახალი ობიექტების დამატება;

სამაგისტრო პროგრამის „საპოლიციო რეგულირების სამართალი“-ს შემდგომი განვითარება; არსებული შენობა ნაგებობების სათანადოდ აღჭურვა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;

სამაგისტრო პროგრამის „პოლიციის მაგისტრის“ კურსის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება საშუალო რგოლის პოლიციელისათვის დამახასიათებელი უნარები და მენეჯერული თვისებები;

საქართველოს უახლოესი ისტორიის ამსახველი უმნიშვნელოვანესი მასალების დაცვის ხარისხის გაუმჯობესება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოსამსახურეთა დაჭრისა და დასახიჩრების ფაქტების შემთხვევაში თანამშრომელთა მკურნალობა და მათი ჯანმრთელობის რეაბილიტაცია, აგრეთვე სამინისტროს მოსამსახურეთა, თადარიგში დათხოვნილ პირთა მათი ოჯახების წევრთა და სამინისტროს სასწავლო დაწესებულებების მსმენელთა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა;

სამინისტროს თანამშრომელთა ავადობისა და შრომისუუნარობის შემცირება, დისპანსერიზაცია, სამკურნალწამლო საშუალებებით უზრუნველყოფა, სტაციონალური მკურნალობა, ავადობის მიზეზების შესწავლა, დაჭრილთა სამედიცინო რეაბილიტაცია, პენსიონერთა და უნარშეზღუდულთა სამედიცინო შემოწმება;

დადგენილი წესით სამხედრო-საექიმო კომისიის ორგანიზება და ჩატარება. შესაძლო საბრძოლო მოქმედებების დროს დაჭრილთათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა და ევაკუაციის ორგანიზება.

სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა

სახელმწიფო რეზერვების მატერიალური ფასეულობების რაოდენობრივი და ხარისხობრივი დაცულობის კონტროლი შენახვის პუნქტებში;

საპასუხისმგებლო შენახვაზე მიბარებული სახელმწიფო რეზერვის მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა და კონტროლი;

სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დაგროვებისა და მისი სწორად მართვის საკითხებში მეთოდოლოგიის შემუშავება და მარაგების შევსება.

სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება

ქვეყანაში სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლებისთვის საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მასზე მზადყოფნის, რეაგირებისა და მიყენებული ზიანის აღმოფხვრისათვის საჭირო სამუშაოების უზრუნველყოფის მიზნით საქმიანობის ორგანიზება, ასევე სამოქალაქო უსაფრთხოების ამოცანების გადასაწყვეტად სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის განხორციელების კოორდინირება;

საქართველოს კანონით „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ გათვალისწინებული კანონქვემდებარე აქტების შემუშავება და მიღება;

სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერება.

სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა

საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ VI თავით გათვალისწინებულ ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 20 დეკემბრის მართვის მოწმობების შესახებ დირექტივის მოთხოვნებიდან გამომდინარე მოქმედი კანონმდებლობის ეტაპობრივად დაახლოვება ევროკავშირის კანონმდებლობასთან სხვადასხვა სფეროში, სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის მისაღები პრაქტიკული გამოცდების ჩაბარების წესის ცვლილების უზრუნველყოფა, სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის ავტოდრომის ან დახურული მოედნის გარეთ ქალაქის მასშტაბით ჩატარება და აღნიშნულის უზრუნველსაყოფად შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებების შეძენა და ინფრასტრუქტურის მოწყობა;

იარაღის შეძენის, შენახვის და ტარების, იარაღისა და საბრძოლო მასალის გადატანა-გადაზიდვის ან გადაგზავნის, იარაღის ცალკეული ეგზემპლარების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის, ტირის, სასროლეთის ან/და სასროლო-სანადირო სტენდის გახსნის ნებართვების და იარაღის რეგისტრაციის, მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებზე გირავნობის, სატრანსპორტო საშუალებების, ნომრიანი აგრეგატებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მათი მისაბმელების რეგისტრაციის (რეგისტრაციაში ცვლილებები) პრცედურების დახვეწა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა ღონიძიებების დაფინანსება.

საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირება

საქმიანობის სფეროში შემავალი საგანგებო სიტუაციებისა და გადაუდებელი დახმარების აუცილებლობის შემთხვევათა შესახებ შეტყობინებების მიღების, დამუშავების და მათზე რეაგირებისათვის შესაბამისი სუბიექტებისათვის ინფორმაციის დროული მიწოდების, საგანგებო სიტუაციებისა და გადაუდებელი დახმარების აუცილებლობის სხვა შემთხვევათა მართვის შესახებ უფლებამოსილ სუბიექტებთან კოორდინირებული მუშაობის, საგანგებო სიტუაციებსა და გადაუდებელი დახმარების აუცილებლობის შემთხვევებზე რეაგირების განმახორციელებელი უფლებამოსილი სუბიექტების დანიშნულების ადგილას მისვლამდე თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მოქალაქეთათვის შესაბამისი კონსულტაციების გაწევის და აუცილებელი პირველადი ინფორმაციის მიწოდების მიზნით საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და შესაბამისი ინოვაციების დანერგვა;

გადაუდებელი დახმარების ინციდენტის ტიპების და საქმის პრიორიტეტების გამნსაზღვრელი პროგრამის დანერგვა (ProQA);

საგანგებო სიტუაციებისა და გადაუდებელი დახმარების აუცილებლობის შემთხვევებზე ქცევისა და მოქმედების აუცილებელი წესების შესახებ საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება;

საგანგებო სიტუაციებისა და გადაუდებელი დახმარების აუცილებლობის შემთხვევების შესახებ შესაბამისი სასწავლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა შესაბამის დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან თანამშრომლობით;

მომსახურების ხარისხისა და ოპერატიულობის ამაღლების მიზნით ქ. თბილსში (ვაშლიჯვარი) ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის დამთავრება და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა;

განსაკუთრებულ სიტუაციებში 112-ში შემომავალი ზარის უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით ალტერნატიული ცენტრის მშენებლობა (ქ. რუსთავი) და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

ნატო-საქართველოს კომისიის მუშაობის კოორდინაცია;

საქართველოს 2016 წლის წლიური ეროვნული პროგრამის შემუშვება, განხორციელების მონიტორინგი და კოორდინაცია; 2016 წლის წლიური ეროვნული პროგრამის იმპლემენტაციის თვითშეფასების დოკუმენტის მომზადება;

საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის კოორდინაციის სახელმწიფო კომისიის მუშაობის წარმართვა;

ნატო-საქართველოს არსებითი ღონისძიებების პაკეტის განხორციელების ხელშეწყობა;

ნატო-ს 2016 წლის ვარშავის სამიტისათვის მოსამზადებელ სამუშაოებში მონაწილეობის მიღება;

საზოგადოების ინფორმირება როგორც ნატო-სა და ევროკავშირის, ასევე ამ გაერთიანებებთან საქართველოს ურთიერთობების შესახებ;

„ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა“ და „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის“ 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება, განხორციელების კოორდინაცია და მონიტორინგი;

ევროკავშირის ინიციატივების - „აღმოსავლეთ პარტნიორობის” (Eastern Partnership) და „პარტნიორობა მობილურობისათვის” (Mobility Partnership) ფარგლებში თანამშრომლობის განვითარება;

ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ საქართველოს მთავრობის 2014-2017 წლების სტრატეგიის 2016 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინაცია;

საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის მუშაობის წარმართვა;

ევროკავშირის დახმარების ფარგლებში გათვალისწინებული საერთაშორისო ფინანსური შეთანხმებების მომზადება და ხელმოწერა;

მიმდინარე ევროკავშირის პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების ეფექტური კოორდინაცია;

დახმარების მიმღები დარგობრივი უწყებების შესაძლებლობების გაზრდა ევროკავშირის დახმარების პროექტების განხორციელების პროცედურების შესახებ.

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

ქართული დიასპორის მაქსიმალური ჩართვა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით მათთვის კონკრეტული პროექტების შეთავაზება და მათი პოპულარიზაცია;

ყოველწლიურად საქართველოში ქართული დიასპორის დღისა და გლობალური დიასპორული კვირეულის აღნიშვნა და ამ დღეებისადმი მიძღვნილ კულტურულ ღონისძიებებში ქართული დიასპორის წარმომადგენელთა ჩართვა;

უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების, საზღვარგარეთ არსებული დიასპორული ორგანიზაციების, საკვირაო სკოლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების, მხარდამჭერი ღონისძიებების დაფინანსება, ქართული სახლების არეალის გაფართოება; საზღვარგარეთ არსებულ კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვის, ქართული ენის სწავლების და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობა.

საქართველოში და საზღვარგარეთ ბიზნეს-სამეცნიერო ფორუმების გამართვა, ქართული კომპანიების დიასპორულ ორგანიზაციებთან დაკავშირება, უცხოეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენებისათვის საინვესტიციო პროექტების შეთავაზება და საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად ქართული დიასპორის კავშირების გამოყენება.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მცხოვრებ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენის, მათი შერიგებისა და დეოკუპაციისათვის საფუძვლის მომზადების მიზნით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჰუმანიტარული, სოციალ-ეკონომიკური და ნდობის გაღრმავების მიმართულებით განსახორციელებელი პროექტების ხელშეწყობა და კოორდინაცია.

ეთნიკური უმცირესობების ხარისხიანი განათლებით უზრუნველყოფა, სახელმწიფო ენის სწავლების ხელშეწყობა, მათი პოლიტიკური და სამოქალაქო მონაწილეობის გაუმჯობესება, ეთნიკური უმცირესობების მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, მათი კულტურული მემკვიდრეობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობა.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

საარჩევნო გარემოს განვითარება

მიუკერძოებელი, გამჭვირვალე და მაღალპროფესიულ დონეზე ადმინისტრირებული არჩევნების ჩატარება კანონმდებლობის დაცვით და ყველა პირობის შექმნა, რათა ამომრჩევლებმა და სხვა ჩართულმა მხარეებმა თავისუფლად განახორციელონ საარჩევნო უფლება;

ინსტიტუციური გაძლიერება: საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობის, პროფესიონალიზმისა და სანდოობის განმტკიცება, ეფექტური საბიუჯეტო პოლიტიკის და უწყვეტ ორგანიზაციულ და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული სისტემის დამკვიდრება, დემოკრატიული პროცესების განვითარებაში წვლილის შეტანა;

სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლება: საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით საარჩევნო პროცესებში სამოქალაქო ჩართულობის დონის ამაღლება, ამომრჩეველთა აქტივობის ზრდისა და ინფორმირებული არჩევანის გაკეთების ხელშეწყობა;

საარჩევნო გარემო: საარჩევნო პროცესებში ჩართული მხარეების აქტიური მონაწილეობით მაქსიმალურად ინკლუზიური საარჩევნო გარემოს შექმნა, კანონმდებლობის დახვეწის პროცესის ხელშეწყობა;

საარჩევნო პროცესების დაგეგმვა, ყველა ტიპის არჩევნების ჩატარების ორგანიზაციული, სამართლებრივი და ტექნიკური უზრუნველყოფა.

არჩევნების ჩატარების ღონისძიებები

არჩევნების ღონისძიებების სამართლებრივი, ორგანიზაციული, ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

საიმიჯო-სარეკლამო კამპანიის წარმოება საარჩევნო პერიოდში;

ამომრჩევლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;

ინკლუზიური საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა;

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა კვალიფიკაციის ამაღლება.

საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება არჩევნებში ჩართული მხარეებისთვის;

ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა;

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების ჩატარება;

,,მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების“ შესახებ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული ფონდის ფუნქციების შესრულება.

პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება

”მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარებისა და ჯანსაღი კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის საარჩევნო თემატიკაზე საგრანტო კონკურსების ჩატარება და გრანტებისათვის ბიუჯეტით განსაზღვრული თანხების განაწილების უზრუნველყოფა.

სასამართლო სისტემა

მოსამართლეთა ვაკანტური ადგილების ეტაპობრივად შევსება. შესაბამისად საკვალიფიკაციო გამოცდებისა და კონკურსების ორგანიზება, მოსამართლედ გამწესება იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სასწავლო კურსის გავლის შემდეგ;

სასამართლო შენობების სარემონტო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება;

ნაფიცი მსაჯულების და მსაჯულობის კანდიდატების უზრუნველყოფა კანონმდებლობით დადგენილი ყველა იმ ხარჯის ანაზღაურებით, რომელიც დაკავშირებულია მათ მიერ საკუთარი მოვალეობის შესრულებასთან;

მოსამართლეთა ჯანმრთელობის დაზღვევით უზრუნველყოფა;

საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების გამჭირვალობის და საჯაროობის პროცესის გაგრძელება;

საზოგადოებისათვის სასამართლო რეფორმის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ფუნქციონირების გაძლიერების ღონისძიებები

საქართველოს ტერიტორიაზე, თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობაზე გეგმიური და მოულოდნელი (დაუგეგმავი) მონიტორინგის განხორციელება;

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;

მონიტორინგის ანგარიშების მომზადება და მათი წარდგენა;საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშების გამოცემა და სხვადასხვა დონეზე წარდგენა;

ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევების შესახებ განცხადების/საჩივრების მიღება, განხილვა და შესაბამისი რეაგირება;

შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი, მათი განხორციელების შეფასება;

საქართველოს სახალხო დამცველის რეგიონული ოფისების მუშაობის მხარდაჭერა და მათი გაზრდა;ადამიანის უფლებათა სფეროში საგანმანათლებლო კამპანიების განხორციელება, მათ შორის სოციალური რეკლამის დამზადება და მედიის საშუალებით გავრცელება;სამიზნე აუდიტორიებისთვის საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელება;

საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენის ყოველთვიური გამოცემა;ადამიანის უფლებათა თემატიკაზე ყოველთვიურად საჯარო დებატების გამართვა, კონკურსების ჩატარება, სხვადასხვა პუბლიკაციების გამოცემა და გავრცელება;ტოლერანტობის კულტურის განვითარებისა და თანასწორუფლებიანი გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა;უმრავლესობისა და უმცირესობის ჯგუფებს შორის მრავალმხრივი დიალოგის ხელშეწყობა;

ეროვნული და რელიგიური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა;

რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობის მონიტორინგი, არსებული ტენდენციების გამოკვეთა და ანალიზი, ტოლერანტობის საკითხებზე რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადება და წარდგენა შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისთვის;მთავრობის ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის და შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგი, რელიგიათა და ეროვნულ უმცირესობათა საბჭოების ჩართულობით;
ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის ზედამხედველობა, როგორც ცენტრში, ისე რეგიონებში; არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების დაწესებულებების მონიტორინგის გაძლიერება;სკოლამდელი დაწესებულებების მონიტორინგი;

24 საათიანი სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი არასრულწლოვნების მომზადების ზედამხედველობა სამზრუნველო დაწესებულებიდან გასვლის მიმართულებით;

საქართველოში გენდერული თანასწორობის დაცვის კუთხით არსებული ეროვნული და საერთაშორისო აქტების შესრულების მონიტორინგი,სახალხო დამცველის აპარატში შემოსული გენდერული თანასწორობის საკითხის დარღვევასთან დაკავშირებული განცხადება/საჩივრების შესწავლა და შესაბამისი დასკვნების/რეკომენდაციების/წინადადებების პროექტების მომზადება;

საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედ სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ორგანოების და ორგანიზაციების საქმიანობის, გამოცდილების განზოგადება და საქართველოში დანერგვის ორგანიზება;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგი;
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესების ადვოკატირება;

გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით“ დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე მონიტორინგის განხორციელება;

ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესწავლა და მონიტორინგი;

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულება;

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის მონიტორინგის განხორციელება თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში.

სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი

სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა

სტატისტიკური საქმიანობისას გამოსაყენებელი სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების შემუშავება;
სტატისტიკური სამუშაოების პროგრამების შემუშავება;
სტატისტიკური კვლევების მართვის და განხორციელების მიზნით საჭირო საკადრო და ადმინისტრაციული რესურსებით უზრუნველყოფა;
სტატისტიკური კლევების ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებით მხარდაჭერა;

სტატისტიკური სამუშაოების პროგრამა

ქვეყნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სტატისტიკური კვლევების მომზადება, განხორციელება და შედეგების გავრცელება. კვლევების შედეგად დგინდება ძირითადი სტატისტიკური ინდიკატორები: ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი; საგარეო ვაჭრობისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლები; ინფლაცია; ბიზნეს სექტორში (აგრეთვე არაკომერციულ ორგანიზაციების სექტორში) მიმდინარე მოვლენების და პროცესების ანალიზი; ბიზნესის აქტივობის ძირითადი ინდიკატორები; დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი; მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობის ამსახველი მაჩვენებლები; შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები, დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები, სიღარიბის მაჩვენებლები, სასურსათო პროდუქტების მოხმარება, შინამეურნეობების საცხოვრებელი პირობების ამსახველი მაჩვენებლები; ერთწლიანი კულტურების ნათესი და აღებული ფართობები და მოსავალი, მრავალწლიან ნარგავთა ფართობი, ძირთა რაოდენობა და მოსავალი, პირუტყვის სულადობა, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება, სასუქების, შხაქიმიკატების და ტექნიკის გამოყენება, ირიგაცია, სასოფლო-სამეურნეო ნაგებობები, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე დანახარჯები, სასოფლო-სამეურნეო და გადამუშავებული პროდუქციის გაყიდვები; ინფორმაცია საქართველოს რეზიდენტ ვიზიტორებზე; საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა, ვიზიტის ხანგრძლივობა და მიზანი, მოგზაურთა ნაკადების განაწილება რეგიონების მიხედვით, მოგზაურთა დანახარჯების

განაწილება, ვიზიტით კმაყოფილების დონე და სხვა; ხოლო უცხოელ ვიზიტორებზე: ვიზიტორების განაწილება საცხოვრებელი ქვეყნის მიხედვით, ვიზიტის რიგითობა, ხანგრძლივობა და მიზანი, მონახულებული ადგილები, ვიზიტორთა დანახარჯების განაწილება, საქართველოში ვიზიტით კმაყოფილების დონე და სხვა; დადგინდება საინფორმაციო და ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების მაჩვენებელი შინამეურნეობებსა და ბიზნესში; სოციალური სტატისტიკის სხვადასხვა მაჩვენებლები.

მოსახლეობის საყოველთაო აღწერა

2014 წელს ჩატარებული საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პირველად მონაცემთა დამუშავება და გამოქვეყნება. აღწერის მონაცემთა ანალიზის შედეგად განხორციელდება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული სტრატეგიის შემუშავება.

სსიპ –კონკურენციის სააგენტო

თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის ხელშეწყობა;

ბაზრის ლიბერალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაუშვებლობა;

ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპების დაცვა, რომელიც ითვალისწინებს:

- ✓ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დაუშვებლობას;
- ✓ კონკურენციის შემზღუდავი ხელშეკრულებების, გადაწყვეტილებებისა და შეთანხმებული ქმედებების დაუშვებლობას;

სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ კონკურენციის არამართლზომიერად შემზღუდავი ექსკლუზიური უფლებამოსილების მინიჭების დაუშვებლობა;

კონკურენციის შემაფერხებელი სახელმწიფო დახმარებების დაუშვებლობა;

კონკურენციის სააგენტოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების საჯაროობის, ობიექტურობის, არადისკრიმინაციულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

ქვეყნის კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა.

სსიპ – საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო

ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა;

ქვეყნის საინვესტიციო შესაძლებლობებზე ცნობადობის ამაღლება;

არსებული და პოტენციური ინვესტორებისათვის საინფორმაციო მომსახურების გაწევა და მათ მიერ წამოწყებული სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობა;

ქვეყნისათვის პრიორიტეტულ სექტორებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით საჭირო სამუშაოების ჩატარება.

სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

დაზღვევის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება;

სადაზღვევო ბაზრის ფინანსური სტაბილურობისათვის ხელის შეწყობა;

ევროდირექტივებთან საქართველოს სადაზღვევო კანონმდებლობის ჰარმონიზაცია.

სავალდებულო დაზღვევების შესახებ სტანდარტების შემუშავება;

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი

პერსონალური მონაცემების დამუშავების ევროპული სტანდარტების დასანერგად შესაბამისი ნორმატიული აქტებისა და რეკომენდაციების მომზადება, ინსპექტირების მეთოდოლოგიის შემუშავება და შემდგომი დახვეწა, სხვა ქვეყნებში მონაცემთა გადაცემაზე კონტროლის გაუმჯობესება. კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს წარმომადგენლობა ევროპის საბჭოსა და ევროპის კავშირის დონეზე.

ქვეყანაში დანაშაულის თავიდან აცილების, გამოძიების, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნით სამართალდამცავი ორგანოების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერებაზე ზედამხედველობა;

ფარული საგამოძიებო მოქმედებების და სამართალდამცავი ორგანოების მონაცემთა ბანკებში განხორციელებული აქტივობებზე კონტროლი, მათ შორის ფარული მიყურადების და ჩაწერის ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით;

მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული განცხადებების განხილვა და მათზე რეაგირება, ასევე საჯარო და კერძო პირებისთვის კონსულტაციის გაწევა მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე და მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება (ინსპექტირება) საჯარო და კერძო დაწესებულებებში;

საჯარო და კერძო ორგანიზაციების ფაილური სისტემის (პერსონალურ მონაცემთა შემცველი ელექტრონული ბაზები) კატალოგის რეესტრის წარმოება და გამოქვეყნება;

საზოგადოების ინფორმირება მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;

სამართალშემოქმედებით პროცესში მონაწილეობის მიღება მონაცემთა დამუშავების კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით და ასოცირების შეთანხმების სამოქმედო გეგმის შესასრულებლად.

საჯარო და კერძო დაწესებულებების წარმომადგენლებისთვის და უფლებამოსილი პირებისთვის ტრენინგების ორგანიზება.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა

მეწარმე სუბიექტების შესახებ საჭირო ინფორმაციის მარტივად და დროულად მიღების მიზნით „ონლაინ ბიზნეს-კატალოგის“ ფორმატის საძიებო ვებპორტალის შექმნა;

საქართველოში ექსპორტ-იმპორტის შესახებ და საბაჟოს საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება-დამუშავება;

მეწარმე სუბიექტებისათვის შესაბამისი საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურებისა და რეკომენდაციების გაწევა;

დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების განვითარების კუთხით საერთაშორისო (რეგიონული) საარბიტრაჟო იმსტიტუტის განვითარება და საქართველოს ეროვნული მედიაციის ცენტრის შექმნა;

თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების გათვალისწინებით საკანონმდებლო ინიციატივების მომზადება;

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში რეგიონული პალატების განვითარება;

ბიზნეს-კატალოგის განახლებადი და ყოველწლიური ბეჭდვითი ვერსიის შექმნა;

საქონლის წარმოშობის სერტიფიკატების ელექტრონული სისტემის დანერგვა;

„ატა კარნეტი“-ს საერთაშორისო სასაქონლო პასპორტისა და „ბიო სერტიფიკატების“ გაცემასთან დაკავშირებული სამუშაოების განხორციელება.

სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური

საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობა; საინფორმაციო ქსელის მომსახურება, რომელიც ახორციელებს მიღებული ინფორმაციის სისტემატიზაციას და ანალიზს, უზრუნველყოფს შესაბამის მონაცემთა აღრიცხვის ბაზის მუდმივ განახლებასა და ფუნქციონირებას.

ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი

საქართველოში მცხოვრები სოციალურად განსაკუთრებულად დაუცველი ან კატასტროფული სოციალური დანახარჯების რისკის წინაშე მდგარი პირებისათვის ალტერნატიული (არასაბიუჯეტო) რესურსების მობილიზაცია და პრიორიტეტულ სოციალურ საჭიროებებზე მიმართვა საზოგადოების, კერძო სექტორისა და სახელმწიფოს მონაწილეობით;

სოციალური და ჯანდაცვითი პროექტების დაფინანსება, მათ შორის, ერთჯერადი დახმარებების და ასევე, რეგულარული სოციალური შემწეობების/პროექტების დაგეგმვა/განხორციელება.

სსიპ -განათლების საერთაშორისო ცენტრი

უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ, პრიორიტეტულ უცხო ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე განათლების მიღების ხელშეწყობა;

ქვეყნის საჯარო და საზოგადოებრივი სექტორის გაძლიერება მაღალკვლიფიციური კადრებით, სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამებსა და კურსებზე მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლების გზით;

საქართველოს ახალგაზრდობის საერთაშორისო აკადემიურ და ახალგაზრდულ პროგრამებში მონაწილეობის ხელშწყობა;

პროგრამების კურსდამთავრებულთა შემდგომი საქმიანობის კოორდინაცია და პროფესიული პროგრამებისა და საზოგადოებრივი პროექტების განხორციელებაში დახმარება;

საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათ მიმართ ნდობის გაზრდა.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური

საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და სამხედრო პოტენციალის დაცვა უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურებისა და ცალკეულ პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან;

სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილებისა და სახელმწიფო ხელისუფლების არაკონსტიტუციური, ძალადობრივი გზით შეცვლის გამოვლენა და დაცვის უზრუნველყოფა;

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

ტერორიზმთან ბრძოლა;

სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის საფრთხის შემცველი ტრანსნაციონალური ორგანიზებული და საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა;

კორუფციის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის ღონისძიებების განხორციელება;

სახელმწიფო საიდუმლოების რეჟიმის დაცვა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელება და მათი შესრულების კონტროლი;

ქვეყნის საგარეო საფრთხეებისაგან დაცვა.

მხარჯავი დაწესებულებების მიერ განსახორციელებელი პროგრამები და მათი დაფინანსება

ათასი ლარი

დასახელება	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი
საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	**60,031.7**	**62,874.6**	**65,854.0**	**68,979.0**
საკანონმდებლო საქმიანობა	52,091.0	54,695.6	57,430.0	60,302.0
საბიბლიოთეკო საქმიანობა	7,490.7	7,715.0	7,947.0	8,185.0
ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	450.0	464.0	477.0	492.0
საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	**9,800.0**	**9,800.0**	**9,800.0**	**9,800.0**
საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი	**2,000.0**	**2,000.0**	**2,000.0**	**2,000.0**
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	**20,000.0**	**20,000.0**	**20,000.0**	**20,000.0**
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	18,615.0	18,615.0	18,615.0	18,615.0
საქართველოს ეკონომიკური საბჭოს აპარატი	881.0	881.0	881.0	881.0
საგადასახადო ომბუდსმენის აპარატი	504.0	504.0	504.0	504.0
სახელმწიფო აუდიტის სამსახური	**15,117.2**	**15,562.7**	**16,021.3**	**16,493.3**
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატი	14,517.2	14,952.7	15,401.3	15,863.3
სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი	600.0	610.0	620.0	630.0
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	**58,527.5**	**61,107.0**	**63,377.0**	**25,475.0**
საარჩევნო გარემოს განვითარება	10,233.0	11,000.0	11,250.0	11,500.0
არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	34,371.4	36,172.0	38,172.0	-
საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	1,138.1	1,150.0	1,170.0	1,190.0
პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება	12,785.0	12,785.0	12,785.0	12,785.0
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	**3,400.0**	**3,400.0**	**3,400.0**	**3,400.0**
საქართველოს უზენაესი სასამართლო	**7,650.0**	**7,800.0**	**8,000.0**	**8,500.0**
საერთო სასამართლოები	**52,231.0**	**55,140.0**	**58,140.0**	**60,140.0**
საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	50,700.0	53,100.0	56,100.0	58,100.0
მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	1,531.0	2,040.0	2,040.0	2,040.0
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	**2,700.0**	**2,700.0**	**2,700.0**	**2,700.0**
სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთსა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში	**900.0**	**900.0**	**900.0**	**900.0**
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში	**700.0**	**700.0**	**700.0**	**700.0**
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	**800.0**	**800.0**	**900.0**	**900.0**
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტში	**800.0**	**800.0**	**800.0**	**800.0**
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთის, ყაზბეგის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტში	**650.0**	**650.0**	**700.0**	**700.0**
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში	**650.0**	**650.0**	**650.0**	**650.0**
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტში	**650.0**	**650.0**	**650.0**	**650.0**
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის,	**1,000.0**	**1,000.0**	**1,000.0**	**1,000.0**

დასახელება	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი
წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში				
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში	**700.0**	**700.0**	**780.0**	**780.0**
ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	**3,100.0**	**3,100.0**	**3,100.0**	**3,100.0**
ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	2,535.0	2,535.0	2,535.0	2,535.0
სსიპ – საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ	565.0	565.0	565.0	565.0
დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	**1,200.0**	**1,200.0**	**1,200.0**	**1,200.0**
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	**1,350.0**	**1,350.0**	**1,350.0**	**1,350.0**
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	**194,357.2**	**203,658.0**	**208,574.0**	**213,849.0**
სახელმწიფო ფინანსების მართვა	26,456.0	29,456.0	29,456.0	29,456.0
შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება	131,044.0	137,744.0	142,669.0	147,844.0
ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია	17,500.0	17,500.0	17,500.0	17,500.0
ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა	10,134.0	8,500.0	8,500.0	8,500.0
საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება	1,450.0	1,550.0	1,650.0	1,750.0
სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო	7,773.2	8,908.0	8,799.0	8,799.0
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	**128,856.8**	**156,954.2**	**163,418.7**	**175,028.2**
ეკონომიკური და სექტორული (ტრანსპორტი, მშენებლობა) პოლიტიკა და მისი განხორციელების კოორდინაცია	71,724.0	70,500.0	70,500.0	72,500.0
ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება	1,202.0	1,330.0	1,550.0	1,550.0
სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება	2,046.0	2,013.0	2,138.0	2,168.0
აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება	534.0	600.0	650.0	650.0
ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	22,963.0	34,500.0	40,000.0	47,150.0
საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში საქართველოს აეროპორტებში "გათავისუფლებული ფრენების" მომსახურების ხარჯების ანაზღაურება (მათ შორის, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა)	4,000.0	5,000.0	3,000.0	3,000.0
ბაქო - თბილისი - ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა - ახალქალაქი - კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა-კომპენსაცია	80.0	-	-	-
ინოვაციური ეკოსისტემის განვითარება (IBRD)	100.0	19,755.7	21,550.7	23,303.2
სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო	4,339.2	3,950.0	4,100.0	4,200.0
სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	4,768.8	4,000.0	4,050.0	4,050.0
სსიპ -საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო	7,530.0	7,605.5	7,680.0	7,757.0
სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო	6,077.8	4,500.0	5,000.0	5,500.0
სსიპ - საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური	3,492.0	3,200.0	3,200.0	3,200.0
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	**965,479.0**	**1,359,020.0**	**1,146,988.0**	**966,644.0**
რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა	6,420.0	6,470.0	7,000.0	7,000.0
საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები	526,580.0	625,530.0	660,000.0	627,000.0
რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	261,679.0	354,650.0	266,400.0	197,644.0
წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-	170,550.0	372,370.0	213,588.0	135,000.0

დასახელება	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი
რეაბილიტაცია				
იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა	250.0	-	-	-
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	**236,381.5**	**202,815.0**	**207,415.0**	**212,610.0**
სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება	8,500.0	8,500.0	8,500.0	8,500.0
გამოძიებაზე ზედამხედველობის, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის პროგრამა	35,000.0	35,000.0	35,000.0	35,000.0
ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	12,549.0	10,200.0	10,200.0	10,400.0
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა გადამზადება და სასწავლო ცენტრის განვითარება	4,370.0	4,365.0	5,105.0	5,190.0
ელექტრონული მმართველობის განვითარება	2,650.0	2,600.0	2,600.0	2,600.0
ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის განვითარება	4,415.4	3,400.0	3,150.0	3,250.0
დანაშაულის პრევენცია და ინოვაციური პროგრამები	2,110.8	1,500.0	1,500.0	1,500.0
სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	52,400.0	52,050.0	52,150.0	52,150.0
მიწის ბაზრის განვითარება (WB)	2,028.4	-	-	-
იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	28,568.0	25,000.0	28,000.0	32,000.0
ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია და მთარგმნელობითი ცენტრის განვითარება	3,446.4	3,580.0	3,590.0	3,600.0
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	45,812.0	42,200.0	43,200.0	44,000.0
აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	34,531.5	14,420.0	14,420.0	14,420.0
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	**155,300.0**	**161,500.0**	**165,000.0**	**170,000.0**
საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება	144,594.0	150,000.0	153,000.0	158,000.0
სრულყოფილი პრობაციის სისტემა	9,700.0	10,500.0	11,000.0	11,000.0
სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება	1,006.0	1,000.0	1,000.0	1,000.0
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	**110,024.0**	**125,710.0**	**130,815.0**	**135,870.0**
საგარეო პოლიტიკის განხორციელება	109,629.0	125,300.0	130,350.0	135,350.0
მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში	395.0	410.0	465.0	520.0
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	**676,628.2**	**725,860.0**	**785,860.0**	**845,860.0**
შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნების მხარდაჭერა და შესაძლებლობების განვითარება	491,576.0	532,000.0	583,000.0	624,000.0
სამხედრო წვრთნა და განათლება	25,509.2	29,280.0	35,280.0	43,280.0
სოციალური და სამედიცინო უზრუნველყოფა	46,745.0	49,000.0	50,000.0	55,000.0
მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობის და კომპიუტერული სისტემები	6,221.0	7,000.0	8,000.0	10,000.0
ინფრასტრუქტურის განვითარება	17,416.0	20,000.0	20,000.0	20,000.0
საერთაშორისო თანამშრომლობა	55,126.0	55,000.0	55,000.0	58,000.0
სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	34,035.0	33,580.0	34,580.0	35,580.0
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	**788,261.0**	**823,250.0**	**827,400.0**	**832,150.0**
საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება	510,532.0	515,000.0	515,000.0	515,000.0
ეროვნული საგანძურის, დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საპატრიარქოს დაცვის უსაფრთხოების დონის ამაღლება	129,411.0	138,500.0	139,000.0	139,500.0
სამართალდამცავი სრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება,	7,265.0	7,650.0	7,700.0	7,750.0

დასახელება	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი
საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია, სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება				
შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა	3,861.0	4,100.0	4,300.0	4,500.0
სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა	361.0	400.0	400.0	400.0
სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება	63,000.0	82,600.0	85,000.0	88,000.0
სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა	60,851.0	62,000.0	63,000.0	64,000.0
საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირება	12,980.0	13,000.0	13,000.0	13,000.0
საქართველოს დაზვერვის სამსახური	**15,000.0**	**17,000.0**	**18,000.0**	**20,000.0**
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	**1,252,143.0**	**1,399,300.0**	**1,371,700.0**	**1,400,500.0**
განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	19,145.0	18,500.0	17,500.0	17,500.0
ზოგადი განათლება	572,979.0	650,200.0	670,200.0	710,300.0
პროფესიული განათლება	52,483.0	53,000.0	60,000.0	68,000.0
უმაღლესი განათლება	361,762.0	374,200.0	378,200.0	381,200.0
მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	68,513.0	62,800.0	56,800.0	53,800.0
საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება	94,441.0	140,000.0	146,000.0	150,000.0
ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს	82,820.0	100,600.0	43,000.0	19,700.0
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	**123,940.0**	**125,300.0**	**127,000.0**	**127,700.0**
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	5,856.0	6,000.0	6,000.0	6,000.0
ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ	69,005.0	70,120.0	70,320.0	70,620.0
სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობა	27,278.0	27,300.0	28,400.0	28,400.0
კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა	21,801.0	21,880.0	22,280.0	22,680.0
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	**85,000.0**	**95,000.0**	**100,000.0**	**110,000.0**
იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	10,476.0	10,500.0	10,500.0	10,500.0
განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	74,087.0	83,500.0	88,500.0	98,000.0
დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა	437.0	1,000.0	1,000.0	1,500.0
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	**3,162,900.0**	**3,327,400.0**	**3,572,500.0**	**3,822,500.0**
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა	52,400.0	52,900.0	53,000.0	53,000.0
მოსახლეობის სოციალური დაცვა	2,273,000.0	2,400,000.0	2,600,000.0	2,800,000.0
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა	801,475.0	835,000.0	880,000.0	930,000.0
სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა	32,000.0	35,000.0	35,000.0	35,000.0
შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა	4,025.0	4,500.0	4,500.0	4,500.0
საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო	**135,263.2**	**111,926.2**	**64,763.2**	**35,263.2**
ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა	32,263.2	35,263.2	35,263.2	35,263.2
ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია	3,000.0	-	-	-
სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება	100,000.0	76,663.0	29,500.0	-
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	**341,630.0**	**364,400.0**	**367,620.0**	**372,090.0**
სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა	267,370.0	302,890.0	305,000.0	310,000.0
სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა	31,060.0	31,160.0	32,270.0	31,740.0

დასახელება	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი
მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება	33,200.0	20,350.0	20,350.0	20,350.0
სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების განხორციელება	10,000.0	10,000.0	10,000	10,000.0
საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	**60,401.0**	**71,395.0**	**75,575.0**	**79,375.0**
გარემოს დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება, რეგულირება და მართვა	5,770.0	6,000.0	6,200.0	6,200.0
გარემოსდაცვითი ზედამხედველობა	11,179.0	11,700.0	13,600.0	14,900.0
დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	13,900.0	14,400.0	14,400.0	14,400.0
სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	16,306.0	24,225.0	25,375.0	27,475.0
ეროვნული სანაშენე მეურნეობის სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	1,471.0	2,200.0	2,500.0	2,700.0
გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის პროგრამა	774.0	870.0	1,000.0	1,100.0
ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვა	900.0	1,000.0	1,000.0	1,100.0
გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება, პრევენცია და ბუნებრივი რესურსების მართვა	10,101.0	11,000.0	11,500.0	11,500.0
საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	**91,436.0**	**101,979.0**	**96,079.0**	**94,629.0**
სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა	3,387.0	4,000.0	4,000.0	4,000.0
სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები	74,942.0	80,500.0	73,200.0	71,200.0
სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები	6,084.0	7,584.0	8,284.0	8,284.0
ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები	7,023.0	9,895.0	10,595.0	11,145.0
საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	**56,679.8**	**56,700.0**	**56,700.0**	**56,700.0**
დასაცავ პირთა და ობიექტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა	47,500.0	47,500.0	47,500.0	47,500.0
სახელმწიფო ობიექტების მოვლა-შენახვა	7,500.0	7,500.0	7,500.0	7,500.0
სსიპ სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო	1,679.8	1,700.0	1,700.0	1,700.0
საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	**4,500.0**	**4,725.0**	**4,960.0**	**5,200.0**
საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ფუნქციონირების გაძლიერების ღონისძიებები (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	4,500.0	4,725.0	4,960.0	5,200.0
სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი	**46,275.0**	**49,125.0**	**55,375.0**	**59,840.0**
მაუწყებლობის ხელშეწყობა	46,275.0	49,125.0	55,375.0	59,840.0
სსიპ – კონკურენციის სააგენტო	**2,000.0**	**2,300.0**	**2,500.0**	**3,000.0**
ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	**3,500.0**	**3,500.0**	**3,500.0**	**3,500.0**
საქართველოს საპატრიარქო	**25,000.0**	**25,000.0**	**25,000.0**	**25,000.0**
სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტი	14,683.0	14,683.0	14,683.0	14,683.0
ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა სვიმონ კანანელის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრი	150.0	150.0	150.0	150.0
ა(ა)იპ – ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის საგანმანათლებლო ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	1,768.0	1,768.0	1,768.0	1,768.0
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ნინოს სახელობის ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატისათვის გადასაცემი გრანტი	959.0	959.0	959.0	959.0
საქართველოს საპატრიარქოს ბათუმის წმინდა მოწამე ეკატერინეს სახელობის სათნოების სავანისათვის გადასაცემი გრანტი	261.0	261.0	261.0	261.0
საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	447.0	447.0	447.0	447.0
წმინდა გიორგი მთაწმინდელის მონასტერთან არსებული სარეაბილიტაციო ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	230.0	230.0	230.0	230.0
საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია	2,000.0	2,000.0	2,000.0	2,000.0

დასახელება	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი
პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისათვის გადასაცემი გრანტი				
საქართველოს საპატრიარქოს ა(ა)იპ – ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტისათვის გადასაცემი გრანტი	2,449.0	2,449.0	2,449.0	2,449.0
ა(ა)იპ – სმენადაქვეითებულ ბავშვთა რეაბილიტაციის და ადაპტაციის ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	100.0	100.0	100.0	100.0
საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიის სუბსიდირების ღონისძიებები	800.0	800.0	800.0	800.0
ა(ა)იპ – ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიის სასწავლო ცენტრისთვის გადასაცემი გრანტი	500.0	500.0	500.0	500.0
ა(ა)იპ ფოთის საგანმანათლებლო და კულტურულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი	653.0	653.0	653.0	653.0
სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	**28,940.0**	**26,800.0**	**26,800.0**	**26,800.0**
სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი	**7,960.0**	**8,370.0**	**8,570.0**	**8,680.0**
სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა	4,760.0	4,960.0	5,000.0	5,100.0
სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა	2,860.0	3,180.0	3,330.0	3,330.0
მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა	340.0	230.0	240.0	250.0
სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური	**1,300.0**	**1,300.0**	**1,300.0**	**1,300.0**
სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო	**2,310.0**	**2,700.0**	**2,800.0**	**2,900.0**
საინვესტიციო პოლიტიკის დაგეგმვა და მართვა	1,135.0	1,296.0	1,344.0	1,392.0
ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა	1,175.0	1,404.0	1,456.0	1,508.0
სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	**1,400.0**	**2,000.0**	**2,500.0**	**3,000.0**
პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი	**2,100.0**	**2,100.0**	**2,100.0**	**2,100.0**
საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	**1,400.0**	**1,600.0**	**1,600.0**	**1,600.0**
სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური	**5,800.0**	**7,500.0**	**7,600.0**	**7,800.0**
სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	**7,450.0**	**8,000.0**	**8,000.0**	**8,000.0**
სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	**5,600.0**	**5,600.0**	**5,600.0**	**5,600.0**
სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	1,100.0	1,100.0	1,100.0	1,100.0
რელიგიური გაერთიანებების დაფინანსება	4,500.0	4,500.0	4,500.0	4,500.0
სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური	**2,150.0**	**2,150.0**	**2,150.0**	**2,150.0**
ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი	**260.0**	**260.0**	**260.0**	**260.0**
სსიპ -განათლების საერთაშორისო ცენტრი	**6,500.0**	**7,000.0**	**7,500.0**	**8,000.0**
საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი	**5,200.0**	**5,200.0**	**5,200.0**	**5,200.0**
საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	**100,000.0**	**110,000.0**	**115,000.0**	**125,000.0**
სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	**300.0**	**300.0**	**300.0**	**300.0**

თავი IV

ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების პრიორიტეტები

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი

1. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა აღდგენა კვლავ ერთერთ ძირითად პრიორიტეტად რჩება დედაქალაქისათვის. ბოლო წლების განმავლობაში დედაქალაქის გზების მნიშვნელოვანი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიუხედავად გზების გარკვეული ნაწილი მოითხოვს სარეაბილიტაციო, კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთების სამუშაოებს და გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. პრიორიტეტი ასევე ითვალისწინებს ახალი თანამედროვე ტურისტული და სატრანსპორტო ფუნქციების მქონე საბაგირო გზების მშენებლობას, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას, რაც მოიცავს ქალაქის შუქნიშნების, საგზაო ნიშნების, მონიშვნების, გზაჯვარედინების მოწესრიგების ღონისძიებების განხორციელებას, გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირებას, გზების ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთება**

ქალაქის გზებისა და ქუჩების გარკვეული ტექნიკურად მოძველებული ნაწილი ნაკლებად გამტარუნარიანია და საჭიროებს მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთებას. გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს ავტოტრანსპორტის შეუფერხებელ მოძრაობას, შემცირდება საცობების რაოდენობა, რაც დადებითად იმოქმედებს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ტექნიკურ მაჩვენებლებზე. გაგრძელდება მუშაობა ძირითადი მაგისტრალური და შიდა კვარტალური გზების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. პროგრამის მიზანია საავტომობილო გზებზე მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა, გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება რაც ხელს შეუწყობს ქუჩებისა და მაგისტრალების განტვირთვას ჭარბი სატრანსპორტო ნაკადებისაგან და ავტოტრანსპორტის შეუფერხებელ მოძრაობას.

- **ტრანსპორტის განვითარება**

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება მოიცავს ქალაქის შუქნიშნების, საგზაო ნიშნების, მონიშვნების, გზაჯვარედინების მოწესრიგების ღონისძიებების განხორციელებას. შუქნიშნების მართვის ცენტრის ექსპლუატაციას, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობის მაქსიმალურ უზრუნველყოფას, ავტობუსის გაჩერებებზე სამარშრუტო ხაზზე ავტობუსის მოძრაობის ინტერვალის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებას, ახალი თანამედროვე ტურისტული და სატრანსპორტო ფუნქციების მქონე საბაგირო გზების მშენებლობას, ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირებას, ტრანსპორტითა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფას. პროგრამის ფარგლებში იგეგმება მეტროს სადგურების ინფრასტრუქტურის განახლება-რეკონსტრუქცია, კერძოდ: განახლდება მეტროს 7 სადგურის ქვედა და ზედა ვესტიბიულების ინფრასტრუქტურა. ჩატარდება მეტროს სადგურების დახრილი გვირაბების კაპიტალური რემონტი, სადაც მოძრაობენ ესკალატორები. ქ.თბილისის განსაკუთრებულად რთულმა რელიეფმა და დედაქალაქში ტურიზმის განვითარებამ განაპირობა

არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განახლებისა და ეკოლოგიურად სუფთა საბაგირო ტრანსპორტით თბილისის მოქალაქეებისა და სტუმრების უზრუნველყოფის აუცილებლობა. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ახალი თანამედროვე ტურისტული და სატრანსპორტო ფუნქციების მქონე საბაგირო გზების მშენებლობას, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის სწრაფ გადაადგილებას და სატრანსპორტო ნაკადების განტვირთვას, ხმაურის, გამონაბოლქვის და გადაადგილებასთან დაკავშირებული დროისა და ხარჯების შემცირებას.

2. ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება

მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების ძირითად პირობად დღეისათვის კვლავ რჩება საბინაო - საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. დედაქალაქში ამჟამად აღრიცხვაზეა მრავალი ავარიული საცხოვრებელი სახლი, რაც სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით რეალურ საფრთხეს უქმნის მობინადრეთა სიცოცხლეს. გარდა ამისა, დედაქალაქში ამჟამად მრავლად არის მეწყერსაშიში ფერდობები და უბნები, დაზიანებული ნაგებობები, ამორტიზებული საინჟინრო კომუნიკაციები. ამ მიზნით გათვალისწინებულია საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა – რეკონსტრუქცია, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება. გარდა ამისა პრიორიტეტი ითვალისწინებს ავარიული შენობების გამაგრებას, გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია-რეაბილიტაციას, სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობას, კეთილმოწყობის ღონისძიებების ჩატარებას, ქალაქის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობას, ქალაქგაფორმებით ღონისძიებებს, ინფრასტრუქტურის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან და სხვა.

- **ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება**

პროგრამა ითვალისწინებს საბინაო - საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. დედაქალაქში ამჟამად აღრიცხვაზეა მრავალი ავარიული საცხოვრებელი სახლი, სხვადასხვა ფაქტორები (მ.შ. სტიქიური მოვლენები) რეალურ საფრთხეს უქმნის მობინადრეთა სიცოცხლეს. ამისათვის დაგეგმილია თბილისში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული ავარიული შენობების აღდგენა-რეაბილიტაცია, რაც მიზნად ისახავს ავარიული საცხოვრებელი სახლების შემცირებას, ავარიული შენობების ჩამოშლის საშიშროების თავიდან აცილების შედეგად მობინადრეთა უსაფრთხოების დაცვას, ასევე დედაქალაქის მოსახლეობაზე განაწილებული და დაუმთავრებელი საცხოვრებელი კორპუსების (მათ შორის კოოპერატიული სახლები) დასრულებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარებას.

- **გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია**

პროგრამის მიზანია ქალაქში განათებული ქუჩების და მხატვრულად მინათებული შენობა-ნაგებობების რაოდენობისა და განათების ინტენსიობის გაზრდა. პროგრამა ითვალისწინებს ქ.თბილისის ქუჩების, მოედნების, მაგისტრალების, საცხოვრებელი მასივების, შიდა კვარტალების, ბაღ-სკვერების, ხიდების, გზატკეცილების გარე განათების არსებული ქსელის განათებასა და ქალაქის ღირსშესანიშნაობათა მხატვრულ მინათებას. გარე განათების ქსელის რეკონსტრუქციას და სწორ ექსპლოატაციას. ქალაქის გარე განათების ქსელის ექსპლოატაციისა და რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში მოხდება: გარე განათების ქსელის ცენტრალიზებული მართვის სისტემების სრულყოფა; გარე განათებისა და სკვერების განათების ბოძების დიზაინის გაუმჯობესება. ელექტროუსაფრთხოების ღონისძიებების რეგულარული გატარება. ასევე, განხორციელდება შპს "სინათლის ქალაქი"-ს კაპიტალის ზრდა სპეც ტექნიკის შესაძენად.

- **სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა**

ქალაქის კომუნალური მეურნეობისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სანიაღვრე ქსელების და კოლექტორების მოვლა-პატრონობას, გარკვეული ნაწილის აღდგენა-რეაბილიტაციას და სარეკონსტრუქციო სამუშაოებს. პროგრამის მიზანია სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირება, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების სათავე ნაგებობების წესრიგში მოყვანა. ასევე, ითვალისწინებს ქუჩების სანიაღვრე ქსელების მოვლა-პატრონობას (ექსპლოატაცია), მიმდინარე შეკეთებას, სანიაღვრე კოლექტორების, წვიმმიმღებების, საკონტროლო ჭების, გვერდმიმღებების მოწყობას, კიუვეტების გაწმენდას.

- **ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები**

პროგრამის მიზანია დედაქალაქის მხატვრულ დონეზე გაფორმება, სხვადასხვა ქალაქგაფომებითი ღონისძიებების მოწყობა კონკრეტული ღონისძიების სპეციფიკისა და მისი ჩატარების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, მემორიალური დაფების დამზადება-მონტაჟი, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა თბილისის პანთეონებში საფლავების მოწყობა, თბილისში არსებული ძეგლების მოვლა-პატრონობა, ძეგლების მშენებლობისა და აღდგენის ღონისძიებები, საახალწლო ილუმინაციების მონტაჟი, ექსპლუატაცია და დემონტაჟი, სასცენო-საკონცერტო განათება-მინათების, გახმოვანების აპარატურით მომსახურება და სასცენო დეკორაციებით მომსახურება და სხვა.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის მიზანია დედაქალაქისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება; დაზიანებული საქალაქო ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა – რეაბილიტაცია; სხვადასხვა ობიექტების კეთილმოწყობა, მოვლა-პატრონობა; სხვადასხვა ღონისძიებების ფარგლებში დროებითი ნაგებობებისა და კონსტრუქციების მოწყობა; ინფრასტრუქტურის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან, რაიონის ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოები, რათა გაუმჯობესდეს რაიონის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა, შეიქმნას რაიონის მოსახლეობისათვის სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

- **ქალაქის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის მიზანია ქ. თბილისის ტერიტორიაზე ისტორიული და მნიშვნელოვანი შენობა-ნაგებობების შესანარჩუნებლად სტრატეგიის შემუშავება/განხორციელება, ინფრასტრუქტურისა და გარემოს რეაბილიტაციის სტრატეგიის შემუშავება/განხორციელება, ქონების მართვისა და ეფექტური გამოყენების სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობა, ისტორიული უბნების შესწავლა და ქალაქგანვითარების პროექტების ხელშეწყობა, სხვადასხვა უბნებში ქალაქისთვის მნიშვნელოვან პროექტებში მონაწილეობა, ქალაქის ისტორიული ნაწილის მოვლა-პატრონობისთვის ფინანსების მობილიზაციის შესაძლებლობების კვლევა და ოპტიმალური გამოყენება, კერძო ინვესტორების ჩართულობა და გადაუდებელი პროექტების განხორციელება, ქალაქის რეაბილიტაციის პროცესში საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის დანერგვის უზრუნველყოფა, ქალაქგანვითარებისთვის პრაქტიკული სამუშაოების ჩატარება და/ან განხორციელებაზე კონტროლი.

- **2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება 2015 წლის 13-14 ივნისს თბილისში მოხდარი ძლიერი წვიმით გამოწვეული სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება, მათ შორის: სადრენაჟე და სანიაღვრე ქსელების აღდგენა-რეაბილიტაცია, დაზიანებული საყრდენი კედლების აღდგენა და ახლის მოწყობა, მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების და შენობების

შეკეთება და რეაბილიტაცია; წყნეთში, მასწავლებელთა გადამზადების ცენტრის მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობა; კოჯორი-სამადლოს დამაკავშირებელი გზის 6 კმ მდე მონაკვეთის კაპიტალური სამუშაოები და სხვა.

3. ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება

- **გამწვანების ღონისძიებები**

პროგრამის განხორციელებით საგრძნობლად უმჯობესდება დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა, გარე-იერსახე და ქალაქის მოსახლეობის დასვენების პირობები. მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაიზარდოს თბილისის მწვანე საფარი. ასევე ხორციელდება ფერდობების, ბაღების, სკვერების მოვლა–პატრონობა; მცენარეთა შესყიდვა, (სხვადასხვა ჯიშის ყვავილები, ბუჩქები, ხე-მცენარეები); მწვანე თარგების მოწესრიგების მიზნით, მწვანე გაზონების მოწყობა (რულონი); სხვადასხვა ტერიტორიაზე მწვანე თარგებიდან სტრუქტურადარღვეული ნიადაგის ფენის მოშორება და მისი ნოყიერი და ყამირი ფენით შევსება; ხეების მოჭრა-გადაბელვა და კუნძების ამოღება-გატანა; ფოთლოვანი და წიწვოვანი ხე-მცენარეების მავნებელ დაავადებათა კვლევა, მონიტორინგი და მათ წინააღმდეგ ბრძოლის აგრო-ტექნიკური ღონისძიებები (გასხვლა, შეწამვლა); ზრდასრული ხე-მცენარეების გადარგვა და რეკულტივატორით გადარგული ხე-მცენარეების მორწყვა; სარწყავი ქსელების რეკონსტრუქცია და ახლის მოწყობა; სკვერების და პარკების მოწყობა-რეაბილიტაცია; ვერეს ხეობის და მზიურის პარკის სარეკრეაციო ზონის მოწყობა; დენდრო პარკის რეაბილიტაცია; საპარკე ფურნიტურის მონტაჟი სარეკრეაციო ზონებში და სხვა ღონისძიებები.

- **დასუფთავების ღონისძიებები**

ქუჩების დაგვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო, მყარი და დიდი ზომის ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება; თოვლცვენის დროს გზებისა და მოედნების გაწმენდისა და ტექნიკური მარილის მოყრის სამუშაოების ორგანიზება; ხევების, ფერდობების და მიწისქვეშა გადასასვლელის დაგვა დასუფთავება; საბილინგო სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა; ღია ნაგავსაყრელი პოლიგონების სანიტარული ნორმების შესაბამისად დეზინფექცია-დერატიზაცია, შეზიდული ნარჩენების აღრიცხვა-კონტროლი და შემდგომში კონსერვაცია; ღია ნაგავსაყრელი პოლიგონების მოვლა-პატრონობა, დაცვა; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან და სხვა ღონისძიებები. განხორციელდება შპს "თბილსერვის-ჯგუფის"-ს კაპიტალის ზრდა.

- **თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა**

მსოფლიოს და ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის ცოცხალი კოლექციის შენახვა, როგორც საექსპოზიციო, ასევე საგანმანათლებლო მიზნით ხელს შეუწყობს ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის, როგორც შემეცნებისა და დასვენების ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ადგილად ჩამოყალიბებას. პროგრამა მიზნად ისახავს: ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობას და ზოოლოგიური პარკის ბინადართა მოვლა-პატრონობას და განვითარებას; საერთაშორისო სტანდარტების ზოოპარკის და ბოტანიკური ბაღის შექმნას; ვიზიტორების უსაფრთხოებას; განათლების სხვადასხვა ასაკობრივი პროგრამების შემუშავებას და საზოგადოებაში სწორი და ჯანსაღი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას ველური ბუნებისა და გარესამყაროს მიმართ; საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქმიანი კონტაქტების დამყარებას და გაწევრიანებას, რაც საშუალებას მისცემს ზოოლოგიურ პარკს და ბოტანიკურ ბაღს მიიღოს დროული ინფორმაცია და რჩევები უცხოელი კოლეგებისგან, გაამდიდროს და გააფართოვოს ცხოველებისა და მცენარეების კოლექცია.

4. ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა

მდგრადი ეკონომიკური განვითარების და ზრდის მისაღწევად, აუცილებელია ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველმყოფი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მიმზიდველი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს შექმნას. აუცილებელია საერთაშორისო დონეზე და ქვეყნის შიგნით ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც ერთის მხრივ, უზრუნველყოფს თბილისში არსებული საინვესტიციო და ტურისტული შესაძლებლობების დემონსტრირებას, ხოლო მეორეს მხრივ, წარმოქმნის ახალ შესაძლებლობებს და ხელს შეუწყობს ინვესტიციების შემოდინებას ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში; პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა პროექტები, როგორიცაა: ქალაქის ტურისტული შესაძლებლობათა რეალიზაცია, მეწარმეობის განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობები; საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება და უცხოურ ქალაქებთან ორმხრივი ურთიერთობების განვითარება (საერთო პროექტები, კონფერენციები, ფორუმები, სემინარები, სხვადასხვა შეხვედრებსა და სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა და მათი თბილისში მასპინძლობა); მერიის სისტემაში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების მიზნით სხვადასხვა თანამედროვე სისტემების დანერგვა; გრძელვადიანი ქალაქმშენებლობითი სტრატეგიის განსაზღვრა და ტერიტორიების სამშენებლო განვითარების მართვის ქმედითი ინსტრუმენტის შექმნა და სხვა.

5. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება

პრიორიტეტი ითვალისწინებს ამხანაგობების გააქტიურებას საკუთარი და მერიის თანამონაწილეობით საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობის უზრუნველსაყოფად. დახმარება გაუწიოს მოქალაქეებს საერთო საკუთრებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების საქმეში. დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ძნელია მოქალაქეებმა საკუთარი სახსრებით მიხედონ საერთო სარგებლობის ქონებას. ფინანსური თანადგომით და თანადაფინანსების პრინციპით განხორციელებული პროექტებით და ღონისძიებებით მერია აქტიურად ეხმარება მოსახლეობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს საცხოვრებელი გარემო და ქმნის ხელსაყრელ პირობებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის, მათ შორის: ინფრასტრუქტურის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან და სხვა.

6. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ქალაქ თბილისის მოსახლეობის მხარდაჭერა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სფეროში კვლავ რჩება ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებად. აღნიშნული პრიორიტეტი ითვალისწინებს პროგრამებს, რომლებმაც მოსახლეობისათვის უნდა გაზარდოს ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა, გააუმჯობესოს ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ხარისხი და უზრუნველყოს მათთვის აუცილებელი სოციალური გარანტიების შექმნა. შესთავაზოს მოსახლეობას ის სოციალური ბენეფიტები, რომლებიც დაფუძნებულია მათ საჭიროებებზე. პრიორიტეტის ფარგლებში ბენეფიციარები მათი საჭიროებების შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნებიან გარანტირებული სოციალური დახმარებებით. ამ მიზნით განხორციელდება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სხვადასხვა პროგრამები, მათ შორის: სასწრაფო სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა, სოციალურად დაუცველ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით უფასოდ ან შეღავათით მოსარგებლე პირთა მომსახურების ანაზღაურება, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სხვადასხვა

სახის დახმარებები, დახმარება კომუნალური გადასახადების დაფარვაზე, მიუსაფართა თავშესაფრის მოვლა-პატრონობა და ა.შ. ამასთან, თბილისის რაიონული გამგეობების მიერ მოსახლეობის მხარდაჭერისათვის ასევე ხორციელდება სხვადასხვა პროგრამები და ღონისძიებები.

- **ჯანმრთელობის დაცვა**

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოსახლეობისათვის სხვადასხვა სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობებების მიზნით, განხორციელდება ისეთი მნიშვნელოვანი და აქტუალური ჯანდაცვის პროგრამები, როგორიცაა: ონკოლოგიურ დაავადებათა შემცირების მიზნით პრევენციული ღონისძიებები, სასწრაფო სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა, ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ნარკომანიის ჩანაცვლებითი თერაპია, ,,C" ჰეპატიტით დაავადებულ პირების გამოვლენა და მათი სადიაგნოსტიკო კვლევებით უზრუნველყოფის დაფინანსება, ლეიკემიითა და სხვა ონკოჰემატოლოგიური დაავადებული პაციენტების (0-40 წლამდე ასაკის) ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია, ორთოპედიული დაავადებების სკრინინგი და აღდგენითი თერაპია, მოხუცთა ჯანმრთელობის რუტინული მეთვალყურეობა და სხვა.

- **სოციალური დაცვა**

ქვეყანაში სიღარიბის შემცირების და მოსახლეობისათვის სხვადასხვა სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება მნიშვნელოვანი სოციალური პროგრამები. კერძოდ, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ყოველთვიურად განახლებადი მონაცემთა ბაზების შესაბამისად, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტირებულ ოჯახებს, ასევე მოსახლეობის იმ კატეგორიას, რომლებიც არ არიან რეგისტრირებულნი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, მაგრამ მათი სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე საჭიროებენ მხარდაჭერას გაეწევათ სხვადასხვა ტიპის დახმარებები. სოციალური პროგრამების ფარგლებში განხორციელდება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებისათვის სოციალური საჭიროების შესაბამისი სერვისების მიწოდება. განხორციელებული იქნება ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორიცაა შესაბამისი საჭიროების მქონე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (მათ შორის ბავშვთა) პრევენციული, სარეაბილიტაციო და დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა; ხანდაზმულთა, სოციალურად დაუცველ და მიუსაფარ პირთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია; საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით უფასოდ ან შეღავათით მოსარგებლე პირთა მომსახურების ანაზღაურება; სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სხვადასხვა სახის დახმარებები; მიუსაფართა თავშესაფრის მოვლა-პატრონობა და ა.შ. ამასთან, თბილისის რაიონული გამგეობები თავის მხრივ განახორციელებენ და დააფინანსებენ მოსახლეობის სოციალური დაცვის სხვადასხვა ღონისძიებებს.

7. განათლება

- **სკოლამდელი განათლების სისტემის მართვა და განვითარება**

პროგრამის მიზანია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს შემდეგი ღონისძიებების გატარებას: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/ მეთოდოლოგის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება, ბაგა-ბაღების პერსონალის

შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შშმპ პირებზე ადაპტირება, საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალური გამტარუნარიანობა (სკოლამდელი აღზრდის მომსახურების მიღების მსურველთა არსებული მოთხოვნის რაოდენობის მაქსიმალურად დაკმაყოფილებისთვის სხავადასხვა ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის: ახალი ბაგა-ბაღების მშენებლობა, არსებულ ბაგა-ბაღებში სააღმზრდელო ჯგუფების მოწყობა). 2016 წელს დაიწყება დამატებით 9 ახალი ბაღის მშენებლობა. მათ შორის: გუთნის ქუჩაზე, ქვემო ფონიჭალაში, ჩიტაიას ქუჩზე, წყნეთში, სოფელ გლდანში, სოფელი წინუბანში, ვაშლიჯვარში ზონა 2, ჭიჭინაძის ქუჩაზე, ურეკის ქუჩაზე.

- **ზოგადი განათლების სისტემის ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტებისა და ინიციატივების ხელშეწყობა. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის მომსახურება, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და რაიონული გამგეობის ღონისძიებებისთვის ვებ-დიზაინით საბეჭდი მასალის დიზაინით. ვიდეო-დიზაინითა და ფოტო-დიზაინით უზრუნველყოფა. საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების მიზნით ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებული პროექტებისა და სხვადასხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების შესახებ მედია სივრცესა და სოციალურ ქსელებში საინფორმაციო რგოლების განთავსება და კამპანიის წარმოება. ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა.

- **პროფესიული და ზრდასრულთა განათლების განვითარების ხელშეწყობა**

ახალ გარემო პირობებთან უკეთესი ადაპტაციისა და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, პროფესიული და ზრდასრულთა განათლების მიმართულებით განხორციელდება სხვადასხვა პროექტები, რაც გულისხმობს მასტერკლასების, კონფერენციების, სამუშაო შეხვედრებისა და სასწავლო-შემეცნებითი ექსპედიციების მოწყობას. კონფერენციებისა და მასტერკლასების ეფექტიანად განხორციელებისათვის დაიბეჭდება ბრენდირებული საკანცელარიო ნივთები და აქსესუარები. მოხდება საგანმანათლებლო ინიციატივების წახალისება და განხორციელების ხელშეწყობა. ასევე, მნიშვნელოვანი პრიორიტეტი იქნება საგანამანთლებლო და ახალგაზრდული ორგანიზაციების, საინიციატივო ჯგუფების წახალისება, მათი განვითარების ხელშეწყობა.

- **უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება**

შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსის შექმნისთვის მნიშნველოვანია ტრენინგების, კონსულტაციისა და სტაჟირების ერთიანი სისტემის დანერგვის გზით პროფესიაში შესვლის, განვითარებისა და კარიერული ზრდის ხელშეწყობა, უწყვეტი განათლების ხელშეწყობა, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსის შექმნა. შესაბამისად, იურიდიული კლინიკის ფარგლებში განხორციელდება მოქალაქეთა კონსულტაცია და სამართლშემოქმედების პროცესში პროგრამის მონაწილეთა ჩართვა, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების სტაჟირების უზურნველყოფა და პროფესიაში შესვლის ხელშეწყობა. სოციალურად დაუცველი სტუდენტების ხელშეწყობა ღირსეული დასაქმებისათვის.

- **მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე**

პროგრამის მიზანია მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა და ამ მიზნების განსახორციელებლად შესაბამისი პირობების შექმნა. მოზარდთა ინტერესების შესაბამისად პროფილური წრეების, ცენტრების, კლუბებისა დ სტუდიების შექმნის ხელშეწყობა, მოსწავლე-ახალგაზდობის შემეცნებით-შემოქმედებითი და დასვენება-გაჯანსაღების პროგრამების განხორციელება. პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება. ზემოაღნიშნული

ღონისძიებების შეუფერხებლად გატარების მიზნით, სასახლის მიერ მართვის ფუნქციების განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

8. კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა

- **კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობა**

კულტურის და ხელოვნების სფეროებში სხვადასხვა პროექტების შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია; თბილისის ჩართვა რეგიონულ და საერთაშორისო ინიციატივებში. ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების და თეატრების ხელშეწყობა და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების ხელშეწყობა; სახელოვნებო განათლების და ხელოვნების დარგების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერა; თეატრალური ხელოვნების პოპულარიზაცია, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა; კულტურის დაწესებულებებში შშმ პირებისთვის ადაპტირებული სივრცის მოწყობა, სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწყობა; საბალეტო ხელოვნებაში არსებული მოდერნული ტენდენციების დამკვიდრება და განვითარება; სპორტული და კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზების გაუმჯობესება და თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობა; მწვრთნელ-მასწავლებელთა და სპორტსმენთა სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება; სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებში, მათი შემდგომში რესოციალიზაციისა და აქტიურ სპორტში ჩართვისათვის; სპორტული მოედნების მშენებლობა-რეკონსტრუქცია თბილისის ყველა უბანში.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

თბილისში სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება - პოპულარიზაცია, თბილისის ნაკრების, ეროვნული და ასაკობრივი გუნდების მზადება და მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო, ევროპის და საქართველოს ჩემპიონატები, პირველობები, თასების გათამაშებები, მასობრივი სპორტული ღონისძიებები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები); სპორტის სხვადასხვა სახეობის ეროვნულ და თბილისის ფედერაციებთან, სპორტულ ასოციაციებთან, სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა; ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა. მწვრთნელ-მასწავლებელთა და წარმატებული სპორტსმენი ბავშვების სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება; სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებში, მათი შემდგომში რესოციალიზაციისა და აქტიურ სპორტში ჩართვისათვის; სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სპორტული დანიშნულების ობიექტების, დარბაზებისა და სტადიონების შეკეთება, აღდგენა, მშენებლობა, სკვერებში გარე გამოყენების სავარჯიშო მოწყობილობების მოწყობა

- **ახალგაზრდული ღონისძიებები**

პროგრამა შექმნილია თბილისში, თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების ახალგაზრდული ინფრასტრუქტურისა და გარემოს შექმნის მიზნით, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდების სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს მიეცემათ საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარების რეალიზებისა და გაუმჯობესების შესაძლებლობა. აშენდება და გარემონტდება ახალგაზრდული ცენტრები, რომელთა ბაზაზეც ჩატარდება, ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბის ახალგაზრდული ღონისძიებები. ასევე, პროგრამის მიზანია ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, კეძოდ აქტივობების დაგეგმვა

და განხორციელება აღნიშნული სეგმენტის საჭიროებების გათვალისწინებით. ყოველივე ზემოაღნიშნული ითვალისწინებს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობას. აღნიშნული მიმართულებით აქტიური მუშაობა ხელს შეუწყობს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებული პუნქტების შესრულებას.

9. საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

- **ცხოველთა მონიტორინგი**

მოსახლეობის დაცვა საშიში, აგრესიული ცხოველებისგან და ქვეწარმავლებისაგან, ჰუმანური წესით მათი დაჭერა და შესაბამის ადგილებში გადაყვანა-გაშვება ან იზოლაცია; ცხოველთა პოპულაციების მართვა-კონტროლი; ცხოველთა ტრანსპორტირება და მიღება-განთავსება შესაბამის მუნიციპალურ ან კერძო თავშესაფარში; საჭიროების შემთხვევაში, სათანადო ვეტერინალური ღონისძიებების განხორციელება-გამოყენება; დისლოკაციის ადგილზე სწრაფი რეაგირების დანაყოფების 24-საათიანი მორიგეობისა და მათი მუდმივი მზადყოფნის უზრუნველყოფა ეპიზოოტიების, გარეულ ცხოველთა და ქვეწარმავლების შემოსევისა და სხვა მსგავს სიტუაციებზე (შემდგომში - საგანგებო სიტუაციები) რეაგირებისათვის; ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფრის ფუნქციონირებისათვის სათანადო პირობების (ვეტერინალური, სანიტარული, უსაფრთხოების, ტექნიკური და სხვა) უზრუნველყოფა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მიზანია, შექმნას თავისუფალი, ერთიანი, დემოკრატიული, სამართლიანი, ადამიანის განვითარებისა და საქმიანობის თავისუფლებაზე დაფუძნებული სახელმწიფოს მშენებლობაში რეგიონის სრულფასოვანი და სრულუფლებიანი მონაწილეობის წინაპირობები. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საშუალოვადიან კონცეფცია, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია მთავრობის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები:

- აჭარის ავტონონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობითი საქმიანობის მხარდაჭერა;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა;
- რეგიონის ფინანსური მართვა და საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა;
- გარემოსა და ბუნერივი რესურსების დაცვა;
- ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;
- საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის განვითარებაა;
- სახელმწიფო ქონების მართვისა და განკარგვის ეფექტიანობის ამაღლება;
- ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა;
- კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია;
- სპორტის განვითარების ხელშეწყობა, პოპულარიზაცია და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროს ხელშეწყობა;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა;.
- მოსახლეობის სოციალური დაცვა;
- დასაქმების ხელშეწყობა;
- სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარება;
- საარქივო ფონდის დაცულობის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

1. **წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის მნიშვნელოვანია წარმომადგენლობითი ორგანოს გამართული ფუნქციონირება ქვეყნის მიერ აღიარებული დემოკრატიული ღირებულებების, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების, სამოქალაქო პლურალიზმის განვითარებისა და ხელშეწყობისათვის, რამდენადაც იგი წარმოადგენს რეგიონის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განმსაზღვრელ საკანონმდებლო და მაკონტროლებელი ფუნქციის მქონე სახელისუფლებო შტოს.

1.1 საარჩევნო გარემოს განვითარება

აჭარის ავტონომიური რეპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების, კონსტიტუციითა და საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით ვადებში დაგეგმვა და გამართვა. არჩევნების სამართლებრივი, ორგანიზაციული, ფინანსური და ტექნიკური უზრუნველყოფა. საარჩევნო კამპანიის წარმართვა დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნების ჩატარების მიზნით.

2. **აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა**

რეგიონის ინსტიტუციური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია აღმასრულებელი ორგანოს გამართული ფუნქციონირება.

3. **რეგიონის ფინანსური რესურსების მართვა და საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა**

პროგრამის მიზანია ეფექტიანი და გამჭვირვალე საბიუჯეტო პროცესის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო ფინანსების მოქნილ მართვას, სექტორში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სისტემის ჩამოყალიბებას. პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე სახელმწიფო სახსრების ეკონომიურ და ეფექტიანად ხარჯვაზე მონიტორინგს, რეგიონში ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოს შექმნისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიზნით წინადადებების შემუშავებას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების გამჭვირვალედ და ეფექტიანად მართვას, მის სრულყოფილად აღრიცხვას, რეგიონის სივრცითი, ქალაქმშენებლობითი და დაგეგმარების პროექტების შედგენას, დამწყები და განვითარებადი ბიზნესის ხელშეწყობას.

3.1. ფინანსების, ეკონომიკური პოლიტიკისა და ქონების სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა

პროგრამა გულისხმობს რეგიონის ფინანსური რესურსების მართვას და საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობას. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საფინანსო სისტემის მართვასა და საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის რეგულირებას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების შეუფერხებელი დაფინანსების უზრუნველყოფას.

რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის გაზრდის მიზნით ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანად შემუშავებასა და წარმართვას.

3.2 რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა

პროგრამა მოიცავს:

- ✓ რეგიონის საინვესტიციო-საპრივატიზაციო პროცესის სრულყოფა.
- ✓ აჭარის რეგიონისა და მისი საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენი.
- ✓ ეკონომიკური ობსერვატორიის სამუშაო ჯგუფის შექმნა.
- ✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფო და აჭარის
- ✓ ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების ეფექტურად მართვა და განკარგვა.

3.3. ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამა

პროგრამის ითვალისწინებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიების შემდგომი გამოყენების დადგენას, საკურორტო-სარეკრეაციო ადგილებისა და ტერიტორიების ურბანული განვითარებას.

3.4 . სახაზინო მომსახურება

პროგრამის მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის აღსრულება, მისი შემოსულობების და გადასახდელების ზუსტი და ოპერატიული აღრიცხვა, ბიუჯეტის ოპერატიული, ყოველთვიური, ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშების მომზადება.

3.5 . დამწყები და განვითარებადი ბიზნესის ხელშეწყობა

პროგრამა ითვალისწინებს რეგიონის ფინანსური რესურსების მართვასა და საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობას. ინკუბირებული კომპანიების საქმიანობის ხელშეწყობა-მონიტორინგს და ბიზნესის განვითარებითვის საჭირო სერვისების და რესურსების მიწოდებას.

3.6 ბიზნეს ინტერესების დაცვა და ექსპორტის ხელშეწყობა

პროგრამის მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრების ინტერესების დაცვა ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებაში, სერვისების დახვეწა, ბიზნესმენებისა და ინვესტორების საქმიანობისათვის ხელშეწყობა, აჭარის რეგიონის ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება, ევროკავშირის ბაზარზე შესვლასთან დაკავშირებით რეგულაციებისა და წესების ბიზნესმენებისათვის გაცნობა.

4 გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა

პროგრამის ძირითადი ამოცანებია:

- ✓ ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი (უსაფრთხო) გარემოს შენარჩუნება და გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან დაცვა;
- ✓ ადამიანის ჯანმრთელობისა და ბუნებრივი გარემოსათვის ატმოსფერული ჰაერის უსაფრთხო მდგომარეობის მიღწევა, შენარჩუნება და გაუმჯობესება;
- ✓ წყლის მავნე ზემოქმედების აცილება, წყლის ობიექტების დაცვა და წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება დღევანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით;
- ✓ საშიში ქიმიური ნივთიერებების შეფასებაში მონაწილეობა, ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე მათი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილება და მოსახლეობის ინფორმირება იმ საშიშროების შესახებ, რომელსაც იწვევენ საშიში ქიმიური ნივთიერებები;

4.1 გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სფეროს მართვა

პროგრამაში გათვალისწინებულია მდგრადი გარემოს დაცვითი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება; გარემოს ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგი; საშიში (სტიქიური) გეოლოგიური პროცესების შესწავლა, პროგნოზირება და საინფორმაციო-საცნობარო მონაცემთა ბაზის შექმნა; საზოგადოების ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება, გარემოს დაცვის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

4.2 გარემოსდაცვითი პროგრამა

პროგრამის მიზანია გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის გაუმჯობესება, აჭარის ზღვის სანაპირო ზოლის დაცვა. განხორციელდება ზღვის სანაპირო ზოლის მონიტორინგი, ზღვის წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლების ბაქტერიოლოგიური განსაზღვრა, მავნე ნივთიერებათა ჩაშვების მინიმიზაცია.

4.3 ტყის მდგრადი მართვა

პროგრამის მიზანია ტყეების მდგრადი მართვა, ტყის მართვასთან დაკავშირებით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება, ტყის დაცვა ბუნებრივი და ანთროპოგენული ზემოქმედებისაგან და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, ტყის აღდგენა, ტყის რესურსების ეფექტიანი გამოყენება, ტყის რესურსებით სარგებლობისა და სატყეო სექტორის მართვის საკითხებთან დაკავშირებით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება; ორგანიზაციის მიერ დებულებითა და კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების ეფექტიანი განხორციელება;

5 ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სტრატეგიული გეგმის მიხედვით, დეპარტამენტის 2016-2019 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაა, რაც გულისხმობს ტურიზმისა და კურორტების სფეროში ეფექტური პოლიტიკის გატარებას და რეგიონის ტურიზმისა და კურორტების განვითარების ხელშეწყობას, რეგიონის ტურისტული შესაძლებლობების გამოვლენას, ტურისტული პროდუქტების გამრავალფეროვნებას და რეგიონის ცნობადობის გაზრდას საერთაშორისო და შიდა ბაზარზე, ურთიერთთანამშრომლობითა და ინოვატორული ინიციატივებით პარტნიორებისა და დაინტერესებული პირების დახმარებას ხარისხის სტანდარტის ამაღლებაში.

5.1 ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართვა და დარგის ეფექტიანი განვითარების ხელშეწყობა

პროგრამა ითვალისწინებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ტურიზმისა და კურორტების სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარებას და დარგის საჭიროებებზე მორგებული გადაწყვეტილებების მიღებას. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ტურიზმისა და კურორტების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას; ტურიზმის სფეროში გაუმჯობესებულია კერძო და საჯარო სექტორებს შორის თანამშრომლობას;

5.2 აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე

პროგრამის მიზანია რეგიონის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის ცნობადობის ამაღლება, ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია ქვეყნის შიდა და საერთაშორისო ბაზარზე და პირდაპირი სარეკლამო კამპანიების წარმოება მიზნობრივ ბაზრებზე;

5.3 ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარება

პროგრამის ფარგლებში მოხდება: რეგიონის ტურისტული პროდუქტების განვითარება და მომსახურების ხარისხის ამაღლება. რეგიონში არსებული ტურისტული პროდუქტების განვითარება და ახალი პროდუქტების შექმნა.

5.4 რეკრეაციული ადგილების მოვლა-შენახვა

პროგრამა ითვალისწინებს მოსახლეობისა და დამსვენებელთა გაჯანსაღების, დასვენების ეფექტური პირობების უზრუნველყოფისათვის საკურორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. დასვენებისა და ტურიზმის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პირობების შექმნას.

5.5 მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა აჭარის რეგიონში მცირე და საშუალო ტურისტული ობიექტების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და ტურისტული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით შერჩეული ბანკის მიერ სესხების გაცემას.

6 საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის განვითარება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, ისევე როგორც საქართველოს მთავრობის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს საავტომობილო გზების რეაბილიტაცია. 2005 წლიდან დღემდე ჩვენს რეგიონში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული საავტომობილო გზების ნუსხიდან არაერთ საავტომობილო გზას და არხს ჩაუტარდა რეაბილიტაცია, თუმცა ჯერ კიდევ არსებობს ბევრი საავტომობილო გზა და სამელიორაციო სისტემა, რომელიც საჭიროებს აუცილებელ სარეაბილიტაციო ღონისძიებებს. შესაბამისად საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მოთხოვნებისა და მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით საჭიროა გზების კეთილმოწყობა, საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის განვითარება, საავტომობილო გზების გამტარუნარიანობის გაზრდა, მოძრაობის ორგანიზაციის გაუმჯობესება, რაც საზოგადოებისათვის შექმნის წინაპირობებს ეკონომიკური აქტივობების გაზრდის და მოსახლეობის კეთილდღეობის მიმართულებით.

6.1 საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვა

პროგრამის მიზანია საავტომობილო გზების და სამელიორაციო სისტემების ფუნქციონირების ორგანიზება, მართვა, ტექნიკური ზედამხედველობა და კონტროლი.

6.2 საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა

პროგრამის მიზანია ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და საგზაო კომუნიკაციების რეაბილიტაცია-განვითარება და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა, სამელიორაციო სისტემების მდგომარეობის შენარჩუნება და ახალი/მეორე მნიშვნელობის და შიდაქსელური არხების რეაბილიტაცია. ხიდებისა და სხვა ხელოვნური ნაგებობების მშენენებლობა-რეაბილიტაცია, ადმინისტრაციულ და საკურორტო ცენტრებთან, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან მისასვლელი გზების შეკეთება-რეაბილიტაცია, მოდერნიზაცია და განვითარება.

7 ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო დებულების, დასახული პრიორიტეტის და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების და საპანსიონო მომსახურეობის სკოლების რეაბილიტაციას და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით ატარებს კონკურსებსა და ოლიმპიადებს, მონაწილეობს ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაში, აფინანსებს სტუდენტებს, ხელს უწყობს ახალ მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული განათლების ფორმირებას, სახელოვნებო განათლებას, სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებას. ახორციელებს კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებს, რაც მიზნად ისახავს რეგიონში კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობას და გაუმჯობესებას.

7.1 განათლების მართვა, კულტურისა და სპორტის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება მიზნად ისახავს გამოავლინოს განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროებში პრობლემები და ნაკლოვანებები. პრობლემის აღმოსაფხვრელად დასახოს პრიორიტეტები და განახორციელოს ის ღონისძიებები, რომლებიც დაეხმარება და ხელს შეუწყობს მათ განვითარებას და პოპულარიზაციას.

7.2 განათლების ხელშეწყობა და ხარისხის გაუმჯობესება

პროგრამის მიზანია განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში ხელშეწყობა.

7.3 საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა

საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა ხელს შეუწყობს სამუშაო და სასწავლო პირობების გაუმჯობესებას, უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნას ზოგადი განათლების მიღებისათვის და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის ამაღლებას.

პროგრამის ფარგლებში იგეგმება: აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების საპანსიონო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვეტარით

7.4 განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა

განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა, სწავლის ხარისხის ამაღლება და განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობა.

სწავლის დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები მაღალმთიანი აჭარიდან, ობოლი, მრვალაშვილიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან.

7.6 აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

პროგრამის მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხელშეწყობა და განვითარება. უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

7.7 გაძლიერებული (ინგლისური ენა, ფიზიკა-მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლება

პროგრამა ითვალისწინებს სკოლაში უცხო ენების (განსაკუთრებით ინგლისური ენის) გაძლიერებული, ინტენსიური შესწავლას თანამედროვე, საერთაშორისო დონეზე აპრობირებული მეთოდებით; მეტყველების დახვეწასა და ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრებას;

ფიზიკისა და მათემატიკის საგნების პოპულარიზაციას და ინტერესის გაღვივებას, ნიჭიერი მოსწავლეების დროულად გამოვლენასა და მათი განვითარების ხელშეწყობას;

ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მდგომარეობის გამო სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების მქონე მოსწავლეებისთვის სირთულეების დასაძლევად და მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად შესაბამისი პირობების შექმნას.

7.8 საჯარო სკოლების განვითარების ხელშეწყობა, რომლებიც ახორციელებენ საპანსიონო მომსახურებას

პროგრამის მიზანია საჯარო სკოლებში, რომლებიც ახორციელებენ საპანსიონო მომსახურებას, ბავშვების საცხოვრებელი მატერიალური ბაზის კეთილმოწყობა და სასწავლო გარემოს სტანდარტებთან მისადაგება; ხარისხიანი ზოგადი განათლების მიღების უზრუნველყოფა; ყველა მოსწავლეს, მიუხედავად სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, უფლება აქვს მიიღოს ხარისხიანი განათლება კომფორტულ და ესთეტიურ პირობებში, რაც მოსწავლეს მისცემს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების რეალიზაციის საშუალებას. ამ მიზნით გათვალისწინებულია ბავშვების საცხოვრებლის მატერიალური ბაზის კეთილმოწყობა, ბავშვები უზრუნველყოფილი არიან კვებით და სხვა ყველა საჭირო საცხოვრებელი მომსახურეობით.

7.9 სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანია: სკოლისგარეშე სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა, სახელოვნებო განათლების ხარისხის ამაღლება და კულტურისა და ხელოვნების სფეროს კვალიფიციური სპეციალისტებით უზრუნველყოფა, სახელოვნებო სკოლების ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და ინსტიტუციური განვითარების გეგმის შემუშავება, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და ამოქმედების ხელშეწყობა, სახელოვნებო

საგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეების მხარდაჭერა სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის გზით;

7.10 სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა

პროგრამა ითვალისწინებს ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვას სპორტულ-გამაჯანსაღებელ სექციებში, მათი მეთოდური აღზრდასა და დაოსტატებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრებას მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარებას.

8 კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

კულტურული ცხოვრების განვითარება და მოსახლეობის უზრუნველყოფა სხვადასხვა კულტურული აქტივობებით მნიშვნელოვანია საზოგადოების განვითარების და ცნობიერების ამაღლებისათვის, რაც თავის მხრივ განაპირობებს ძლიერი და განათლებული საზოგადოების ჩამოყალიბებას. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად „სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფობის გამოვლინებასა და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებას და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას“. საქართველოს კანონი "კულტურის შესახებ" აკისრებს სახელმწიფოს ყოველმხრივ ხელი შეუწყოს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურის მონაპოვართა ხელმისაწვდომობას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა საყოველთაო აღიარებას, საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებასა და გაფართოებას, შემოქმედებით ინტეგრაციას.

8.1 საშემსრულებლო ხელოვნების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანია აჭარაში საშემსრულებლო ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა, საშესრულებლო ხელოვნების დაწესებულებებში შემოქმედებითი პროცესების გაუმჯობესება და საშემსრულებლო ხელოვნების წარმომადგენელთა პროფესიული განვითარება.

8.2 აჭარაში კინოხელოვნების განვითარების ხელშეწყობა

რეგიონში კინოხელოვნების განვითარება, კინოწარმოებისა და კინოგანათლების ხელშეწყობა; რეგიონის პოპულარიზაციის ხელშეწყობა, სტუდენტების, კინოპროფესიონალების და სხვა მომიჯნავე პროფესიის წარმომადგენლების გადამზადებისა და დასაქმების ხელშეწყობა, რეგიონში კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.

8.3 ფოლკლორის ხელშეწყობა

ქართული ფოლკლორის შენარჩუნება და პოპულარიზაცია; ტრადიციული ხელოვნების, ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის წარმოჩენა და პოპულარიზაცია ახალგაზრდა თაობაში; ნიჭიერი შემსრულებლების გამოვლენა და მონაწილეთა შორის შემოქმედებით სიახლეთა გაზიარება. ფოლკლორული გაერთიანებების სასცენო კოსტუმებითა და აქსესუარებით უზრუნველყოფა.

8.4 კულტურული ცხოვრების გააქტიურება და პოპულარიზაცია

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კულტურის და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის გაზრდა, რეგიონში კულტურული აქტივობების, ფესტივალების და კულტურული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა, ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა.

აჭარის მუნიციპალიტეტებში კულტურული ცხოვრების გააქტიურება და მოსახლეობის უზრუნველყოფა სხვადასხვა კულტურული აქტივობებით.

8.5 კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია აჭარაში კულტურის სფეროს წარმომადგენელთა და სკოლისგარეშე სახელვნებო დაწესებულებების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. კულტურის სფეროს წარმომადგენელთა და სკოლისგარეშე სახელვნებო დაწესებულებების მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევები განვითარება.

8.6 კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია

პროგრამის მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა და სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დაქვემდებარებული მუზეუმების მდგომარეობის გაუმჯობესების, რეგულარული მოვლა-პატრონობისა და მართვის მექანიზმების ჩამოყალიბება.

8.7 მუზეუმებისა და გალერეების განვითარება

პროგრამის მიზანია სამეცნიერო-კვლევითი, საექსპოზიციო და საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვა თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაბამისად და მუზეუმებში ფართო საზოგადოების მოზიდვის ხელშეწყობა; თანამედროვე ხელოვნების მხარადჭერისა და განვითარების მიზნით ვიზუალური და საშემსრულებლო თანამედროვე ხელოვნების გამოფენების და საგანმანათლებლო ღონისძიებების გამართვა, ხელოვნების სფეროში ახლებური, თანამედროვე მიდგომების პროვოცირება და ხელშეწყობა.

8.8 სასცენო და სამუსიკო ხელოვნების ხელშეწყობა

კულტურის განვითარებისა, ხელშეწყობისა და პოპულარიზაციის მიზნით გათვალისწინებულია სასცენო და სამუსიკო დაწესებულებების განვითარება, უცხოური დასების აჭარაში მიღება ქართული და მსოფლიო კლასიკური მუსიკის ხელშეწყობა და სხვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

9 სპორტის განვითარების ხელშეწყობა, პოპულარიზაცია და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროს ხელშეწყობა

აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე სპორტისა და ახალგაზრდობის კომპეტენციის ფარგლებში ხორციელდება რეგიონში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა, კულტურულ-შემოქმედებით და შემეცნებით საქმიანობაში ახალგაზრდობის ჩართულობა, რაც ხელს უწყობს მომავალი თაობის ინტელექტუალური პოტენციალის ზრდას, მათი სულიერი და პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებას.

სპორტის განვითარება რეგიონში ნიშნავს, რომ სპორტში ჩართულ ახალგარზდებს უჩნდებათ კონკრეტული სპორტის სახეობის მიმართ ინტერესი, რაც ახალგაზრდების ფიზიკურ ჯამრთელობის სრულყოფას, მათ პოპულარიზაციას, როგორც საერთაშორისო ასევე ადგილობრივ დონეზე უწყობს ხელს. სპორტისა და ახალგარზდობის სფერო ერთმანეთს ავსებს, სწორედ აქედან გამომდინარე ახალგარზდების მხარდაჭერა მნიშვნელოვანია რეგიონის განვითარების სამომავლო ხედვაში.

10 მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა

ქვეყნის მასშტაბით სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ხორციელდება მთელი რიგი სახელმწიფო და ადგილობრივი პროგრამები, რომლითაც დაცულია ადამიანების უფლება ამ სფეროში. მიუხედავად ამისა მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურად დაუცველი კატეგორიის ადამიანებისათვის ხელმიუწვდომელი რჩება ფასიანი სამედიცინო მომსახურება, ისინი მოკლებულნი არიან საშუალებას მიიღონ დროული, გადაუდებელი სამედიცინო

დახმარება. უსახსრობის გამო სამედიცინო დაწესებულებებს მიმართავენ დიდი დაგვიანებით, დაავადებების გართულებული ფორმებით, რომელთა მკურნალობა უფრო დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. შედეგად იზრდება მკურალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკები, დაავადების გართულებების ალბათობა, მცირდება მკურნალობის ეფექტურობის მაჩვენებელი, იზრდება შეზღუდული შესაძლებლობები, ლეტალობა;

სამინისტროს 2016-2019 წლების პრიორიტეტი თავისი შინაარსითა და მოცულობით ძირითადად ორიენტირებული იქნება სოციალურად დაუცველ ფენებზე და დაავადების მაღალი რისკის ჯგუფებზე, სხვადასხვა სოციალურად დაუცველი კატეგორიის ადამიანებისათვის მკურნალობასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკებისაგან დაცვაზე, რომელიც ვერ იფარება მოქმედი სახელმწიფო პროგრამებით, ამბულატორიულ, მაღალტექნოლოგიურ დიაგნოსტიკურ კვლევაზე, სახსრების ენდოპროტეზირებისა და კარდიოქირურგიულ მკურნალობასთან დაკავშირებულ ფინანსური რისკებისგან დაცვაზე, სოფლად პირველადი ჯანდაცვის განვითარებაზე ხელშეწყობა.

11 მოსახლეობის სოციალური დაცვა

ქვეყანაში მოქმედებს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (მათ შორის ბავშვთა), ხანდაზმულთა, ოჯახურ მზუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია. სამინისტრო გამოყოფს მოსახლეობის გარკვეულ კატეგორიებს, რომელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან თანადგომას, უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას, მათთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას. სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახების საბინაო პირობებით უზრუნველყოფა.

პროგრამა ითვალისწინებს: ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია/რეაბილიტაცია - ბავშვთა ცერებრალური დამბლის, ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის, კუნთების სხვადასხვა დაავადებების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის კურსების დაფინანსებას. სქოლიოზით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაცია - სხვადასხვა ხარისხის სქოლიოზის მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსების დაფინანსება.

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა სოციალური ადაპტაცია - შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვების სამედიცინო მეთვალყურეობა, მათ საჭიროებებზე მორგებული სწავლება, მათი ფსიქოლოგიური დახმარება, სადღეღამისო მომსახურება კვებით, სოციალური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.

100 წელს გადაცილებული მოქალაქეების ერთჯერადი მატერიალური დახმარება - 100 წელს გადაცილებული მოქალაქეებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა.

ახალშობილი ტყუპების ოჯახების ერთჯერადი მატერიალურიდახმარება.

ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა- ითვალისწინებს ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით დაკმაყოფილებას.

12 დასაქმების ხელშეწყობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უმუშევრობა ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა და აქტიური გამოწვევაა. არსებული სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისათვის უმუშევრობასთან ბრძოლის კონცეფციის, დასაქმების სისტემისა და მექანიზმების განვითარების ხელშეწყობას. შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობა, კერძოდ დასაქმების სახელმწიფო სამსახური, რომელიც წარმოადგენს არა მხოლოდ დასაქმების ხელშეწყობის ეფექტიან ინსტიტუტს (უზრუნველყოფს

რა დამსაქმებელსა და სამუშაოს მაძიებელის ოპერატიულ კავშირს, ვაკანსიის შესაბამისი კადრის შერჩევასა და დამსაქმებლისათვის შეთავაზებას, არამედ ქმნის ინფორმაციულ ბაზას სამუშაოს მაძიებლისა (მათ შორის უმუშევრების) და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესახებ, საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურების შეთავაზებით ხელს უწყობს სამუშაოს მაძიებელთა პროფესიულ ორიენტაციას საკუთარი შესაძლებლობებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული სწავლების მხარდაჭერით უზრუნველყოფს სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული დისბალანსის შემცირებას. ეს ყოველივე დადებითად აისახება რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარებაზე.

13 სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარება

სოფლის მეურნეობა და მისი შემდგომი განვითარება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროა და წარმოადგენს ფერმერთა და აგრომეწარმეთა შემოსავლების უმთავრეს წყაროს, როგორც ფულადი, ასევე ნატურალური ფორმით. აგროსასურსათო სექტორის ძირითადი ფუნქცია სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაა.

რეგიონის მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევა დამოკიდებულია ადგილობრივი პროდუქციის წარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდაზე, თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვაზე, ნიადაგის პროდუქტიულობის ამაღლებასა და აგრარულ სფეროში დასაქმებულთა ცოდნის გაფართოებაზე. რეგიონში სოფლის მეურნეობის უმთავრეს სექტორებს წარმოადგენს: მეციტრუსეობა, მევენახეობა-მეხილეობა, მებოსტნეობა, მეცხოველეობა, მეფუტკრეობა მეთევზეობა და სხვა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მცირე მიწიანობის მიუხედავად ერთეულ ფართობზე დაბალია სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის წარმოების მაჩვენებელი, რაც განპირობებულია დაბალი აგროტექნიკური ფონით, ამორტიზირებული ნარგავებითა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის დაბალი დონით.

სამინისტროს 2016–2019 წლების პრიორიტეტი თავისი შინაარსითა და მოცულობით ძირითადად ორიენტირებულია სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომ განვითარებაზე. რომლის მისაღწევად საჭიროა აგარარული პოლიტიკის შემუშავება ეროვნული ტრადიციებისა და საერთაშორისო გამოცდილებების გათვალისწინებით. რეფორმების დაგეგმვა და განხორციელება. აგროსასურსათო სექტორში პროდუქციის წარმოების ზრდისა და ექსპორტზე რეალიზაციის ხელშეწყობა, სასურსათო უსაფრთხოებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა. დარგში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა. პროგრამული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. რაც, დადებითად აისახება როგორც ფერმერებზე, აგრომეწარმეებზე და ზოგადად მოსახლეობის შემოსავლებზე, ასევე რეგიონული ბიუჯეტის ზრდაზე.

14 საარქივო ფონდის დაცულობის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული საარქივო ფონდის განვითარება, აღწერა, ცენტრალიზებული წესით აღრიცხვა, დაცვა და გამოყენება. დაზიანებული დოკუმენტების რესტავრაცია, დოკუმენტების მეცნიერულ-ტექნიკური დამუშავება, განსაკუთრებული ღირებულების მქონე დოკუმენტებზე სადაზღვევო და ელექტრონული საარქივო ფონდის შექმნა.

არქივში დაცული დოკუმენტების საფუძველზე იურიდიულ და ფიზიკურ პირთა მომსახურება. ისტორიულად ღირებული საარქივო დოკუმენტების გამოფენის მოწყობა.ურთიერთთანამშრომლობა საზღვარგარეთის არქივებთან და საქართველოს შესახებ არსებული დოკუმენტების შემოტანა.ისტორიის ამსახველი მასალების გამოვლენა ჟურნალისა და ბუკლეტების გამოსაცემად. სამეცნიერო კონფერენციების მოწყობა.

თვითმმართველი ქალაქი - ბათუმის პრიორიტეტები

საქართველოს მთავრობისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ დასახული პრიორიტეტებისა და ქ. ბათუმში არსებული სიტუაციის ანალიზის გათვალისწინებით ჩამოყალიბდა საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია მომდევნო წლებში განსახორციელებელი პრიორიტეტული ღონისძიებები:

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

- **სტრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია.**

პროგრამა ითვალისწინებს ასფალტირებული და არაასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს;

პროგრამის მიზანია ქალაქის ქუჩებისა და ტროტუარების სათანადო მდგომარეობაში შენახვა, გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ყველა სახის ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთათვის უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფა, აქტუალურია ასევე ქალაქში მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის შემდგომი განვითარება, რაც გულისხმობს მუნიციპალური ავტობუსების სისტემის გაუმჯობესებას.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გზების, ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვისა და ექსპლოატაციის, ასევე მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის განვითარების პროგრამების დაფინანსება.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება**

ქალაქის კომუნალური მეურნეობა წარმოადგენს რთულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, რომელიც მოსახლეობის ცხოვრებისეული პირობებს ქმნის, უზრუნველყოფს საქმიანობის განხორციელებას, ასევე მეურნეობის სხვადასხვა დარგებში მომუშავე საწარმოებისა და ორგანიზაციების შეუფერხებელ, გამართულ ფუნქციონირებას.

ქალაქის დინამიური ცხოვრების რიტმიდან გამომდინარე, კომუნალური სფეროს და მართვის სისტემებში ცვლილებებისა და ნოვაციების გარეშე შეუძლებელია მისი ეფექტური ფუნქციონირება.

ქალაქის განაშენიანების ახალი პროექტებიდან გამომდინარე უახლოეს მომდევნო წლებშიც კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება კვლავაც პრიორიტეტად რჩება. 2007 წლიდან მიმდინარეობს „ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტი“ რომლიც გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) შეღავათიანი სესხით და ქ. ბათუმის ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება. პროექტი ქალაქის წყალმომარაგების, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის სრულ რეაბილიტაციას.

მიწისქვეშა კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პარალელურად პრიორიტეტულია ქალაქის ქუჩების სათანადო მდგომარეობაში შენახვა (დასუფთავება, განათება), ასევე ქალაქში არსებული ავარიული სახლების რეაბილიტაცია და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა.

- **ქალაქის დასუფთავება**

პროგრამა წარმოადგენს ქალაქის ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილს. იგი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც ეხება სანიტარულ დასუფთავებას, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას, ნაგავსაყრელების მოვლა-დასუფთავებას, კონტეინერების, ნაგავგამტარების სპეციალურ დამუშავებას, ღია არხების მიმდებარე ტერიტორიების დამუშავებას, მაწანწალა ცხოველებთან და მღრღნელებთან ბრძოლას. დასახელებული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ქალაქის ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვას, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობას, მნიშვნელოვნად

გააუმჯობესებს მოსახლეობის თუ ვიზიტორთა კეთილდღეობას. ქალაქის ნორმალური სანიტარული მდგომარეობის შენარჩუნებისათვის მეტად მნიშვნელოვანია ნარჩენის გატანა, იქნება ეს საყოფაცხოვრებო, სამშენებლო ან სხვა სახის ნარჩენები.

- **გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

გარე განათება ქ. ბათუმში სწრაფი ტემპით ვითარდება, რაც პირველ რიგში, დაკავშირებულია მისი ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებასთან და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის კრიტერიუმების ცვლილებებთან. ქვეპროგრამის ძირითადი მიმართულებებია:

- **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სახლების სადარბაზოების კეთილმოწყობა, ლიფტების შეკეთება, მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოების კომუნალური სისტემის მოწესრიგება, ქალაქში არსებული ავარიული და სტიქიის შედეგად დაზიანებული მრავალსართულიანი სახლების შეკეთება-რეაბილიტაცია, მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოებისა და სკვერების კეთილმოწყობა, ახალი ლიფტების მონტაჟი, მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა.

- **ქალაქის კეთილმოწყობა**

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ქალაქის კეთილმოწყობის პროგრამის ფარგლებში იგეგმება ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის, ტექნიკური ზედამხედველობის, ქალაქის დაგეგმარების და ქონების აღრიცხვის, ქალაქის გაფორმების, პარკების, სკვერებისა და მოედნების კეთილმოწყობის და ქალაქის გამწვანების ღონისძიებების განხორციელება.

განათლება

- **სკოლამდელი განათლება**

საბავშო ბაღების მართვა ქალაქში ხორციელდება ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების მეშვეობით, რომელსაც გააჩნია შესაბამისი საკადრო რესუსი და მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა. მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში საბავშვო ბაღების 6000-ზე მეტი აღსაზრდელისთვის შეიქმნება ყველა პირობა გონებრივი და ფიზიკური განვითარებისათვის. პროგრამის ფარგლებში 2016 წელს დაგეგმილია: საბავშვო ბაღების მშენებლობა რეაბილიტაცია და მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება.

- **უმაღლესი განათლების ხელშეწყობა**

განათლებული საზოგადოება წარმატებული და ძლიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი საყრდენია. ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი მომავალი თაობის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაა. იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტად ამაღლდეს სტუდენტის სწავლის ხარისხი, მნიშვნელოვანია მისი მოტივირება. სწორედ, ამ მიზნით შეიქმნა პროგრამა „წარმატებულ სტუდენტთა მხარდაჭერა“.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

ქ. ბათუმში ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია კულტურული ტრადიციების ხელშეწყობა, ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც

სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარება და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის მიზანია: სპორტული ცხოვრების პროპაგანდა, მოსახლეობის ჯანსაღი ცხოვრების წესში მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ერის ჯანმრთელობა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ქვეყნის მომავლისა. დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული სახეობების განვითარება-პოპულარიზაცია და საკლუბო გუნდების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი ხელოვანი საზოგადოების განვითარებას, მათი შესაძლებლობების ზრდას და კავშირების გაღრმავებას მსოფლიოს თანამედროვე სახელოვნებო ინსტიტუტებთან. მნიშვნელოვანია ქალაქის კულტურული ცხოვრების გაჯანსაღება, გამრავალფეროვნება და განვითარება რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ბათუმის როგორც კულტურის მნიშვნელოვანი კერის ცნობადობისა და ტურისტული პოტენციალის ზრდას. ამ მხრივ პროგრამა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ბათუმის, როგორც ფესტივალების ქალაქის განვითარებას, რაც გამოიხატება ჩვენი ქალაქისათვის ტრადიციული და ახალი ფესტივალების ჩატარებით. ამ მიზანს ემსახურება ასევე ქალაქში არსებული კულტურული დაწესებულებების მხარდაჭერა და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა.

უმნიშვნელოვანესი ამოცანაა კულტურული ფასეულობების დახვეწა. შემოქმედებითი კონკურსები, სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობები და დამხმარე ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა ამ გამოწვევის დაძლევის საშუალებაა. აღნიშნული პროგრამა ასევე მიზნად ისახავს იმ ადამიანების და ჯგუფების ხელშეწყობას, რომლებიც მოღვაწეობენ კულტურის სხვადასხვა დარგში.

- **საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები მიმართულია ქალაქ ბათუმის ახალგაზრდების, სტუდენტებისა და მოსწავლეებისათვის. მის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენს სოციალურად დაუცველი ახალგაზრდები. პროგრამის ფარგლებში ჩატარდება საგანმანათლებლო, შემეცნებითი, სოციალური, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებები. ახალგაზრდობის საქმეთა მუნიციპალური პროგრამა ქმნის მექანიზმებს რათა ხელი შეეწყოს ბათუმში ახალგაზრდული სფეროს განვითარებას და ეფექტურ მართვას. ცალკეული ღონისძიებები იძლევა შესაძლებლობას ხელი შეეწყოს ახალგაზრდების ინტეგრაციას საზოგადოებაში და მათი სამოქალაქო შეგნების ზრდას.

მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა განიხილება, როგორც რთული საზოგადოებრივი დინამიკური ფუნქციონალური სისტემა, რომელსაც ადამიანთა საზოგადოება თავისი განვითარების ნებისმიერ ეტაპზე ქმნის და გამოიყენებს ღონისძიებათა დიდი კომპლექსის განხორციელებისათვის თითოეული ადამიანის და მთლიანად საზოგადოების ჯანმრთელობის მდგომარეობის დაცვისა და მისი მუდმივი გაუმჯობესების მიზნით.

სოციალური დაცვა წარმოადგენს მოქალაქეთა კანონით განმტკიცებული ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური გარანტიების ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი სოციალური უფლებების დაცვას და ცხოვრების სოციალურად მიღებული დონის მიღწევას.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამები მიმართულია, რათა უზრუნველყოს ქალაქის მოსახლეობის კეთილდღეობა, ზოგიერთი, განსაკუთრებით საშიში დაავადების ადრეული გამოვლენა, პრევენცია და მკურნალობა,

მოსახლეობის ინფორმირება, სოციალურად დაუცველ ფენებზე, ქრონიკულად დაავადებულ პირებზე და ბავშვებზე ზრუნვა, ოპტიმალური სოციალურ-ეკონომიკური და სამედიცინო სოციალური პირობების შექმნა მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და განმტკიცებისათვის.

- **ჯანმრთელობის დაცვა**

ჯანმრთელობის დაცვის უპირველესი ამოცანაა ადამიანის ჯანმრთელობისა და ავადმყოფობების შესწავლა, მათი გამოვლენა, სწორი დიაგნოსტიკა და დროული მკურნალობა, ინდივიდუალური და კომპლექსური პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის შენარჩუნება. მოსახლეობის მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. ადგილობრივი ბიუჯეტიდან ქალაქის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით გაგრძელდება დაავადებების პრევენციისა და მკურნალობის სხვადასხვა პროგრამები და ღონისძიებები.

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

ქ. ბათუმში მოქმედებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარების სხვადასხვა პროგრამები, რომლის ფარგლებში: 0-დან 70 000-მდე ქულის მქონე, მარტოხელა და მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის შემუშავებულია გარკვეული შეღავათების პაკეტი, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის აღნიშნული კატეგორიის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, კერძოდ: 11000 - 0-დან 70000-მდე ქულის მქონე სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა დედებისათვის სანდასუფთავების მოსაკრებელი და წყლისა და კანალიზაციის გადასახადით უზრუნველყოფა.

მრავალშვილიანი და უდედმამო ბავშვების ოჯახების დახმარების მიზნით ქ. ბათუმის მერიამ შეიმუშავა პროგრამა. 5 და 5-ზე მეტი მრავალშვილიანი ოჯახისათვის მატერიალური დახმარების გაწევა დედის დღესთან (1000 ლარი) და სექტემბრის თვეში სწავლის დაწყებასთან დაკავშირებით (1000 ლარი).

უდედმამო ბავშვებზე მატერიალური დახმარების გაწევა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან (500 ლარი) და სექტემბრის თვეში სწავლის დაწყებასთან დაკავშირებით (500 ლარი).

0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 3 შვილიანი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაცემა (400 ლარი)

0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 4 შვილიანი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაცემა (500 ლარი)2015 წლის პროგრამა გულისხმობს 0-100000 სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების ყოველ მე-2 ბავშვზე 500 ლარი, მე-3 ბავშვზე 600 ლარი, ყოველ მე-4 ბავშვზე 800 ლარი, ყოველ მე-5 და მეტ შვილზე 1000 ლარი.

სოციალურად დაუცველი ფენის ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა; 0-57000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 3021 ბენეფიციარის ცხელი საკვებით ყოველდღიურად უზრუნველყოფა;

0-70 000 ქულის მქონე ბენეფიციარებზე, შშმ პირებზე, პენსიონერებზე გადამზიდავის მიერ გაყიდული შეღევათიანი ბილეთების რაოდენობის მიხედვით საქალაქო ტრანსპორტით უფასო მგზავრობა. გაზიფიკაციის საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფა, რომელიც ითვალისწინებს 84 I ჯგუფის უსინათლო (შ.შ.მ. პ) ოჯახის და 168 ომის ვეტერანის და მათთან გათანაბრებული პირის ოჯახის გაზიფიკაციის საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფას 300 ლარით, ხოლო 500 - 0-70000 ქულის მქონე ოჯახის გაზიფიკაციის ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90% თანადაფინანსებას ერთი წერტილის გათვალისწინებით. სოციალური სახლის მშენებლობის პროგრამის მთავარ მიზანია ბათუმის სოციალურად დაუცველი მოქალაქეთა ხელმისაწვდომი და სათანადო ხარისხის საცხოვრისით უზრუნველყოფა.

ხულოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ბოლო წლებში არჩეული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე გამოყოფილ სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის. 2016-2019 წლებში მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები მოიცავს:

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია**

პროგრამა ითვალისწინებს სასოფლო გზების მოასფალტება მოვლა-შენახვას,ხიდების, გაბიონებისა და საყრდენი კედლების მოწყობას, საბაგირო გზის ფუნქციონირების ხელშეწყობას.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია**

კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, დაბა ხულოსა და მიმდებარე სოფლების სასმელი წყლით მომარაგება, სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემების მოვლა შენახვა, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები და ქუჩების მოვლის ღონისძიებები.

- **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა**

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის პროგრამა მოიცავს სკვერებისა და ქუჩების გამწვანების ღონისძიებებს. მუნიციპალიტეტში სხვადასხვა შენობა ნაგებობის რეაბილიტაციას.

განათლება

განათლების პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა, ასევე დაწყებითი სკოლების მშენებლობა და კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი კურსების დაფინანსება. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 9 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით სკოლამდელ განათლებას იღებს 400- მდე ბავშვი.

მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობისათვის დაგეგმილია აგრეთვე კომპიუტერული პროგრამების შესწავლის მუნიციპალური პროგრამა.

კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

მუნიციპალიტეტი გააგრძელებს კულტურული და სპორტული პროგრამების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა სრულად შეძლონ მათი შესაძლებლობების გამოვლენა.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამა ითვალისწინებს სპორტული ცხოვრების წესის პოპულარიზაციას, ახალგაზრდა თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, სპორტის სხვადასხვა სახეობების შემდგომ განვითარებას. ამ მიზნით ხულოს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სასპორტო სკოლა, რომელშიც დაკავებულია 500-

მდე ბავშვი, ჭიდაობის, ფეხბურთის, კალათბურთის, ჩოგბურთის, რაგბის, სათხილამურო სპორტის, ჭადრაკის წრეებში.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

ხულოს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის სულიერ და კულტურულ აღზრდას, წარმოჩენას და გამოვლინებას ხელს უწყობს მუნიციპალიტეტი. ამ კუთხით დაბაში ტარდება შუამთობის, ტბელობის, დიდაჭარობის დღესასწაულები, იმართება კონცერტები, საღამოები, სპორტული და სხვა ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სახელოვნებო სკოლები, რომელებიც ემსახურება ბავშვების სწავლა-განათლებას და აღზრდას სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში, კულტურის ცენტრი, რომელშიც ფუნქცინირებს ფოლკლორული და ქორეოგრაფიული წრეები და ხულოს სახელმწიფო დრამატული თეატრი.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

- **ჯანმრთელობის დაცვა**

პროგრამის ფარგლებში ადგილობრივ დონეზე ხორციელდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების პროგრამა; სასწრაფო სამედიცინო დახმარების და ამბულატორიული მომსახურების პროგრამა; ქრონიკულად პროგრესირებადი დაავადებების მედიკამენტოზური დახმარების პროგრამა. დაგეგმილია ჯანდაცვის ობიექტების საამშენებლო სარემონტო სამუშაოების განხორციელება.

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

ხულოს მუნიციპალიტეტში დაგეგმილია სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარების პროგრამები.

ქედის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

- **ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალიტეტში გაგრძელდება დაბისა და სოფლების, საცხოვრებელი უბნების, დასასვენებელი პარკების კეთილმოწყობა, შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია,სოფლის საავტომობილო გზის მშენებლობა, გაბიონის მოწყობა, მგზავრთა მოსაცდელების რემონტი და სხვა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და რეაბილიტაცია. გარდა ამისა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, მისი ექსპლუატაცია ეფექტურობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა; გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; დასუფთავების და წყალმომარაგების უზრუნველყოფის ღონისძიებები და მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობითი სამუშაოები;

- **განათლება**

ქედას მუნიციპალიტეტში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა, ქედაში ფუნქციონირებს 7 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 300-ზე მეტი ბავშვი. 2011 წლიდან ქედის საბავშვო ბაღები გადავიდა ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის, UNICEF-ისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ლიტერატურაზე.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის კულტურული და სპორტული განვითითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული და სპორტული, სკოლისგარეშე განათლებისა და სახელოვნებო დაწესებულებების მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას (რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება), ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისებას.

კულტურის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია კულტურის სფეროს ქსელის გაფართოება, არსებულის რეაბილიტაცია და თანამედროვე დონის მატერიალური ბაზით უზრუნველყოფა. ცალკეულ თემებში და დაბაში კულტურის ახალი კერების შექმნა, კულტურის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია; კულტურული ღონისძიებების ჩატარება.

მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

- **ჯანმრთელობის დაცვა**

პროგრამის განხორციელების მიზნით ადგილობრივ დონეზე იგეგმება ეპილეფსიით დაავადებულთა სფეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა; მერისის თემის სოფლებისათვის ამბულატორიული მომსახურება;

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის შეღავათებითა და დახმარებებით უზრუნველყოფისათვის მუნიციპალიტეტში გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა; ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება; ყოველ მესამე და მომდევნო ახალშობილის შეძენაზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება; ხუთ და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება; უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

- **საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაციისა და მოვლა შენახვის ღონისძიებების დაფინანსებას, ტროტუარების მოწყობას ნაპირდამცავი ნაგებობების მშენებლობას, მგზავრთა მოსაცდელების შეძენა-მონტაჟს;

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა, გადახურვა, მუნიციპალიტეტის გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიების დასუფთავება. წყალმომარაგების უზრუნველყოფისა და

მოსახლეობაზე სასმელი წყლის მიწოდების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება წყალსადენის სათავე ნაგებობების მშენებლობა და რეაბილიტაცია, მოწესრიგდება საკანალიზაციო სისტემები.

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 15 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1200-ზე მეტი ბავშვი. ბაღების განტვირთვის მიზნით დაგეგმილია ახალი ბაღიების მშენებლობა და შესაბამისი ინვენტარით უზრუნველყოფა. პროგრამით გათვალისწინებულია, აგრეთვე ქობულეთის მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლეების სასწავლო დაწესებულებამდე ტრანსპორტირება.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას, ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობას და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციებისდა კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა, როგორიცაა სახელოვნებო სკოლა, სადაც განათლებას იღებს 600-მდე მოსწავლე, ქობულეთის კულტურის ცენტრი, რომელშიც გაერთიანებულია საბიბლიოთეკო და მოსწავლე ახალგაზრდობასთან ურთიერთობის განყოფილება. განყოფილებაში ფუნქციონირებს ეკოტურიზმის, კულტურული მემკვიდრეობის, ახალგაზრდობის თავისუფალი დროის ორგანიზების, ხალხური რეწვის და ლიტერატურულ-თეატრალური ჯგუფები. კულტურის ცენტრში იღებს განათლებას ქობულეთის 350-მდე მოზარდი. ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი"მხედრული", რომლის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის სულიერ და ინტელექტუალური განვითარებას.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

- **ჯანმრთელობის დაცვა**

პროგრამა ითვალისწინებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა დაავადების მკურნალობის ხარჯების თანადაფინანსებას. განხორციელდება მოსახლეობის უფასო სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა. პრიორიტეტის ფარგლებში იმოქმედებს პრინციპი, რომ მუნიციპალიტეტი დაეხმაროს იმ ადამიანებს, რომლებსაც ეს ყველაზე მეტად ესაჭიროება.

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამის მიზნია არსებული რესურსების ფარგლებში გააგრძელოს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებები: სოციალურად დაუცველი ფენისათვის მუნიციპალური უფასო

სასადილოს პროგრამა; მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური სტიმულირების მიზნით მოქმედი ყოველ მესამე და მომდევნო ახალშობილზე და 5 და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამები; უკიდურესად გაჭირვებულ და დედ მამით ობოლ ბავშვთა ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა, უმწეო გარდაცვლილთა ოჯახებზე ერთჯერადი დახმარების პროგრამა, დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების პროგრამა;

შუახევის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

შუახევის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

შუახევის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულებით მუნიციპალიტეტში გაგრძელდება შემდგომი პრიორიტეტული ღონისძიებების განხორციელება:

- საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა;
- კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება: გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; დასუფთავების ღონისძიებები; წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; საკანალიზაციო სისტემის მოწყობა–რეაბილიტაციის ღონისძიებები; გამწვანების პროგრამა;
-

განათლება

შუახევის მუნიციპალიტეტიში განათლების პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 5 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 250 ბავშვი. აღმზრდელთა და სხვა მომუშავე პერსონალის საშტატო რიცხოვნობა 2016 წლისათვის შეადგენს 67 ერთეულს. ახალი სასწავლო წლისათვის დამატებით ფუნქციონირებას დაიწყებს დამატებით სამი ბაღი. ასევე იგეგმება ახალი ბაღების მშენებლობა და ინვენტარით უზრუნველყოფა. დაგეგმილია სოფლების მოსწავლეთა საგანმანათლებლო დაწესებულებამდე ტრანსპორტირების ხელშემწყობა.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების სრულად გამოვლენა.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. 2016 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, დაფინანსდება: საფეხბურთო კლუბი „მერანი“და აიპი „შუახევის სასპორტო სკოლა“, ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების მიზნით დაბა შუახევში ფუნქციონირებს რაგბის ორი წრე, სადაც დაკავებულია 36 ბავშვი. აღნიშნული სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით ფუნქციონირებს ჭიდაობის (ქართული, ძიუდო და თავისუფალი ჭიდაობა) წრეები სადაც დაკავებულია

163 ბავშვი და სათხილამურო სპორტის 5 ჯგუფი, რომელშიც ასევე 82 ბავშვი ვარჯიშობს. აღმზრდელ-მასწავლებელთა რაოდენობა შეადგენს 17-ს. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს სპორტულ ღონისძიებებთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია კულტურული დანიშნულების ქსელის გაფართოება. თანამედროვე დონის მატერიალური ბაზით უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს შუახევის კულტურის ცენტრი და შუახევის ხელოვნების სკოლა, რომელშიც 84 მოსწავლეა ჩართული. აერთიანებს მუნიციპალიტეტში მოქმედ სხვადასხვა ფოლკლორულ ანსამბლებს. საფორტეპიანო, საორკესტრო და ხალხური ჯგუფებს, მოქმედებს დრამატურგიის, ლიტერატურისა და ტურიზმის, ხელოვნების, გამოყენებითი ხელოვნებისა და ხატვისა წრეები.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

- **ჯანმრთელობის დაცვა**

პროგრამის ფარგლებში ადგილობრივ დონეზე მუნიციპალიტეტში მოქმედებს ორი პროგრამა, რაც გარკვეულწილად ხელს უწყობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვას.

- შუბნისა და წყალსაყრის უბნებზე სასწრაფო დახმარების პროგრამა;
- ქრონიკულად პროგრესირებადი დაავადებების მედიკამენტური დახმარების პროგრამა;
- პირველადი ჯანდაცვის ფუნქციონირების ხელშეწყობა;

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

სოციალური დაცვის ღონისძიებები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. კერძოდ: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ამბულატორიებს გადაეცემათ 8 ავტომობილი–ნივა, რომელიც მოსახლეობაზე პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის მეზნით უზრუნველყოფს ამბულატორორიის მედპერსონალის ტრანსპორტირებას; სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფას; ომის მონაწილეებსა და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზებისა და დახმარების პროგრამას; უმწეო გარდაცვლილის ოჯახებზე ერთჯერადი დახმარების პროგრამას; მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური სტიმულირების მიზნით მოქმედი ყოველ მესამე და მომდევნო ახალშობილზე და 5 და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამებს; უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა; შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები დიალზზე მყოფი ავადმყოფების ტრანსპორტირების პროგრამას;

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი მომზადებულია ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში იმ პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, რომელიც ყველაზე აქტუალურია მოსახლეობისათვის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2016-2019 წლების მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება:

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა;**

განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მგომარეობის შენარჩუნება და ახალი/მეორე მნიშვნელობის გზებისა და შიდაკვარტალური მისასვლელი გზების რეაბილიტაცია. 2016 წელს დაგეგმილია შიდა სასოფლო გზების მოწყობა რეაბილიტაცია.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა;**

განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვის ღონისძიება.

- **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამით გათვალისწინებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა, მოასფალტება, სკვერების მოწყობა, ფეხით მოსიარულეთა ტროტუარების მოწყობა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები.

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა. 2011 წლიდან ხელვაჩაურის საბავშვო ბაღები გადავიდა ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის, UNICEF-ისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ლიტერატურაზე: ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები და სკოლამდელი განათლების პროგრამა. აღნიშნული პროგრამის დანერგვისათვის ყველა საბავშვო ბაღში დაემატა შტატი ინგლისური ენის პედაგოგი, ლოგოპედი და ფსიქოლოგი.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 9 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1100-ზე მეტი ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის ადმინისტრაციისა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს;

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს მოზარდ თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. ხელვაჩაურის სპორტული სკოლა, სადაც 400-ზე მეტი სპორტსმენია დაკავებული, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ახალგაზრდა თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში. პროგრამის ფარგლებში 2016 წელს გაგრძელდება ხელვაჩაურის სპორტული სკოლის დაფინანსება. უზრუნველყოფილი იქნება სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობები და გაგრძელდება ნიჭიერი სპორტსმენების გამოვლენა-წახალისება. სკოლაში მომზადებას გადის სხვადასხვა ასაკის ჯგუფები სპორტის 9 სახეობაში.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 3 მუსიკალური სკოლა, სადაც ფორტეპიანოს ერთად სხვადასხვა სახის ინსტრუმენტებზე დაკვრას ეუფლება 300-მდე მოსწავლე;

სამუსიკო სკოლაში სწავლის ხანგძლივობა 6 წლით განისაზღვრება, რომლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეს გადაეცემა შესაბამისი ხარისხის დამამთავრებელი მოწმობა.

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი, სანახაობრივი და ტრადიციული ღონისძიებები. ისეთი კულტურული ღონისძიებები როგორიცაა დედისა და ქალთა დღე; საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიები, საბავშვო სიმღერების კონკურსი ,,ცეროდენა", ინტელექტუალური კონკურსი ,,ყველაზე ჭკვიანი", სახალხო დღესასწაულები ,,კოლხობა" და ,,მაჭახლობა" და სხვ.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **ჯანმრთელობის დაცვა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში კეთილსაიმედო ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის უზრუნველყოფა, რომელიც მოიცავს გადამდები და არაგადამდები დაავადებების და რისკების გამოვლენას, საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირებას, სამედიცინო სტატისტიკის წარმოებას, დაავადებათა კონტროლსა და პრევენციას; პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ცენტრიდან დაშორებული თემების მოსახლეობისათვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების დროულად აღმოჩენას და ამბულატორიების შენობის რეაბილიტაცია;

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

სოციალური დაცვის ღონისძიებები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. კერძოდ: სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა; უმწეო გარდაცვლილის ოჯახებზე ერთჯერადი დახმარების პროგრამა; მრავალშვილიანი ოჯახების ხელშეწყობისა და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მოქმედი ყოველ მესამე და

მომდევნო ახალშობილზე და 5 და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამები; სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი დახმარება; დედ მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური დახმარების პროგრამა; ეპილეფსიით დაავადებულ პირთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა გზების მოვლა-შენახვა და რეაბილიტაცია

დაგეგმილია სოფელ ჭანდარში, ბაკურციხეში, გურჯაანში, შაშიანში, ქოდალოში და ქ. გურჯაანში გზების რეაბილიტაცია.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**

პროგრამის ფარგლებში ფარგლებში გათვალისწინებულია გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიატორიაზე სოფლების სასმელი წყლის სათავე-ნეგებობის, წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები; სოფლად ახალი ჭაბურღილების ბურღვა და სოფლის ახალი წყალმომარაგებით ყზრუნველყოფა;

დაგეგმილია არსებული ქსელის მოვლა - პატრონობა; ახალი ქსელის მოწყობა, მომსახურების ხარისხიანობის დონის ამაღლება; მოხმარებული ელ. ენერგიის ღირებულების დაფარვა; პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად და მუნიციპალიტეტის სოფლებიდან კვირაში ორჯერ განხორციელდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა; ყოველდღიურად დაიგვება ქალაქის ქუჩები, სკვერები. დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხევების პრევენციული გაწმენდა-რეაბილიტაცია.

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია არსებული სკვერების მოვლა - გამწვანების სამუშაოები და ცენტრალურ ქუჩებზე მწვანე საფარის მოვლა-პატრონობის სამუშაოები

განათლება

სკოლამდელი განათლების ხელშემწყობი ღონისძიებების დაფინანსება თვითმმართველი ერთეულის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 37 სკოლამდელი - სააღმზრდელო დაწესებულება, სადაც სწავლობს 2150 აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ააიპ „მოსწავლე ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრი“დაფინანსება. ბავშვთა პიროვნული განვითარებისა და თავისუფალი შემოქმედებითი აზროვნებისა და პროფესიული დაოსტატების ხელშემწყობი ღონისძიებები.

კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

სპორტისა და კულტურული განვითარების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. შესაბამისად დაგეგმილია სპორტისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების დაფინანსება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ააიპ „სპორტული სკოლის“, ააიპ „გურჯაანის სპორტული კომპლექსის“, ააიპ საფეხბურთო სკოლა „გურჯაანის“, ააიპ „რევაზ მინდორაშვილის სახელობის გურჯაანის ჭიდაობის სკოლის“ ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორცმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა.

2016 წლის განმავლობაში დაფინანსდება ჭადრაკის, ფეხბურთის, ჭიდაობის (ქართული, თავისუფალი, ძიუდო), კრივის, რაგბის, მკლავჭიდის, კალათბურთის, ფრემბურთის, კარატესა და ცურვის შემსწავლელი წრეები. ჩატარდება კომპლექსური სპარტაკიადები.

სპორტულ სკოლებში სულ დასაქმებულია 30 მწვრთნელი, რომელიც ემსახურება 538 ბავშვის აღზრდას.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები: ტურნირი მკლავჭიდში, კომპლექსური სპარტაკიადა მოსწავლეთა შორის, საგაზაფხულო პირველობა მინი ფეხბურთში, გურჯაანის ღია პირველობა რაგბში, ფეხბურთში, ზურაბ ზურაბაშვილის ხსოვნის ტურნირი ფრენბურთში, კომპლექსური სპარტაკიადა მოსწავლეთა შორის,რეგიონალური ტურნირი კრივში, ტრადიციული ტურნირი ძიუდოში კადეტთა შორის, დიდი საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, საშობაო ტურნირი ჭადრაკში, ღია პირველობა კროსში და სხვა ტრადიციული სპორტული ტურნირები და ღონისძიებები.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა.**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ობიექტების: ბიბლიოთეკების, ააიპ კულტურის ცენტრის, ააიპ სამუსიკო სკოლების გაერთიანების, ააიპ სამხატვრო სკოლის, „ველისციხი თეატრის“, „თოჯინების თეატრის“ , მუზეუმების დაფინანსება. აღნიშნული პროგრამით ფინანსდება ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება, პოეზიის საღამო, ფაშიზმზე გა,მარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, თინათინ მღვდლიაშვილის შემოქმედებითი საღამო, გივი ბერიკაშვილის შემოქმედებითი საღამო და სხვა ღონისძიებები

- **ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში ჩატარდება საშობაო მსვლელობა, ინტელექტუალური თამაში ,,რა? სად? როდის?'', ახალი თაობა - 2016 მანსანკალი, გაზაფხულის ფესტივალი, დასუფთავების საერთაშორისო დღე, დასუფთავების აქცია, წარცინებული მოსწავლეების ექსკურსია ყაზბეგში, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, შიდა გაცვლითი პროგრამა ადგილობრივ ახალგაზრდებს შორის, წარჩინებული მოსწავლეების ექსკურსია, პოეზიის საღამო. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ახალი სასწავლო წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ამ ღონისძიებების მიზანია ახალგაზრდა თაობის ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიულ საქმიანობაში. ახალგაზრდების ინიციატივებით სხვადასხვა პროექტების განხორციელება.

- **ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა**

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება აიპ „გურჯაანის მუნიციპალური მაცნე“, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესების გაშუქებას. ასევე პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საეთერო დროის შესყიდვა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება.

- **ჯანდაცვის პროგრამები**

პროგრამის მიხედვით განხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის დელეგირებული უფლებამოსულობების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა, კერძოდ გადამდები დაავადებების გავრცელების საწინააღდეგო ვაქცინაცია, სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება.

- **სოციალური პროგრამები**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. კერძოდ: მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, ნარკომანიით დაავადებულ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მკურნალობის თანხის თანადაფინანსება და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია, წყალმომარაგების, სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები და გარე განათების სისტემის რეაბილიტაცია.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება და შესაკეთებელი გზების რეაბილიტაცია. 2016 წელს დაგეგმილია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სოფელ სამრეკლოში X და XI ქუჩებზე სანიაღვრე არხის მოწყობა, ქ. დედოფლისწყაროში სკოლის, თამარის, ა. ნატროშვილის, ტაბაძის, ვაჩნაძის ქუჩებზე ასფალტის საფარის მოწყობა.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების და ფასადების რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ნაწილობრივი დასუფთავება, ქ. დედოფლისწყაროში და მუნიციპალიტეტის სოფლებში მოწესრიგდება და გარკვეულ ქუჩებზე მოეწყობა საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემები, აგრეთვე სოფლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდება სასმელი წყლის სათავე ნაგებობებს და ამორტიზებულ წყალმომარაგების სისტემებს.

- **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების, აგრეთვე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების იერსახე შელახულია და აქედან გამომდინარე, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მათი რეაბილიტაცია. აგრეთვე მთელ რიგ სოფლებში მოხდება მოსაცდელის რეაბილიტაცია, ნაგავსაყრელების გაწმენდა, მინისპორტული მოედნების მოწყობა და ა.შ.

განათლება

აღნიშნული პროგრამით შესაბამისად საბავშვო-ბაგა ბაღებში ხორციელდება სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზება, ზრუნვა ჰიგიენასა და კვებაზე, აღსაზრდელის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 16 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 556 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და სხვა მიმდინარე ხარჯებს.

დაგეგმილია ქ. დედოფლისწყაროში მე-3 საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე მინი-სპორტული მოედნისა და საბავშვო გასართობი ატრაქციონების მოწყობა, ასევე ქ. დედოფლისწყაროს №1, №4, სოფ. ოზაანის და სოფ. ზემო ქედის №1 საბავშვო ბაღების სახურავისა და ფასადის რეაბილიტაცია.

კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ფინანსური მხარდაჭერა, ვარჯიშისთვის შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების აღმოჩენა. პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა შეჯიბრებები და მოხდება მათი დაფინანსება: ქართული ჭიდაობა, ძიუდო, თავისუფალი ჭიდაობა, სამბო; ძალოსნობა, ფეხბურთი, კალათბურთი, კიკბოქსინგი, რაგბი.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა.**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება კურტურის სახლები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები, ხელოვნების სკოლები. მუნიციპალიტეტის მხარდაჭერითა და წახალისებით, მხატვრული კოლექტივების: ქორეოგრაფიული ანსამბლები: „შირაქი“, „ხორნაბუჯი“ და „იმედი“; ხალხური სიმღერის ფოლკლორული ანსამბლები: „ქიზიყი“, „მანდილი“ და „ხორნაბუჯი“; თეატრალური კოლექტივი „ბარის ფშავლები“ და ბავშვთა თეატრალური სტუდია „არლეკინო“-ს მონაწილეობით გაიმართება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები,

- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ჰერეთის ეპარქიის განვითარების ფონდის ფინანსური მხარდაჭერა.

- **საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები,რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში, ასევე მოეწყობა სხვადასხვა ღირსშესანიშნავი ადგილების გაცნობისა და დათვალიერების მიზნით ექსკურსიები, მონაწილეობას მიიღებენ ფესტივალებში, შეიქმნება ახალგაზრდული კლუბები, საჯარო სკოლებში ჩატარდება ლექცია-სემინარები, ჩატარდება შეხვედრები მუნიციპალიტეტის გამოჩენილ ადამიანებთან, ჩატარდება კონკურსი „წიგნი ჩემი მეგობარია“, „ვინ უკეთ იცნობს საქართველოს“, ზაფხულის განმავლობაში გაიმართება დისკოთეკები.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებების და შეღავათების

უზრუნველყოფას. გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება.

- **ჯანდაცვის პროგრამები**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა; დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება, ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი.

- **სოციალური პროგრამები**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისთვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, კერძოდ: მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში ქ. თელავში რუსთაველის გამზირის რეაბილიტაცია (მოასფალტება, ტროტუარების, ნიაღვარმიმღები და გამტარი კოლექტორების მოწყობა), ქ. თელავში ბახტრიონის ქუჩის, ჩოხელისა და ფიროსმანის ქუჩების მოასფალტება, ტროტუარების და სანიაღვრეების მოწყობა. ასევე მუნიციპალიტეტში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შენარჩუნება. საგზაო ნიშნების, გადასასვლელებისა და სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობა.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორცილედება სანიაღვრე არხების, გარე-განათების, წყალმომარაგების (ფანტანი „სოკო) და საკანალიზაციო სისტემების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, ჭაბურღილების და დრენაჟების მოწყობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება.

დაგეგმილია ქალაქ თელავის ტერიტორიაზე გამავალ ხევებში ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა

- **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში განხორცილებული ღონისძიებები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობილი გარემოს შექმნას, დასასვენებელი პარკების, სკვერების და გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობას. პროგრამა ითვალისწინებს ქალაქი ტერიტორიაზე საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობას, მათი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

განათლება

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ასევე პროგრამა ითვალისწინებს სკოლანდელი აღზრდის დაწესებულებების აღმზრდელთა გადამზადებას, ჰიგიენური პირობების დაცვას, ინფრასტრუქტურის განახლებას და ინვენტატით აღჭურვას. აგრეთვე აღსაზრდელებისთვის წლის განმავლობაში ჩატარდება სხვადასხვა, როგორც სპორტული ისე კულტურული ღონისძიებები.

კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტის განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნა, სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, მონაწილეობის მიღება რესპუბლიკურ ღონისძიებებზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კულტურის ობიექტების, ბიბლიოთეკების, მუზეუმების, სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა, წიგნადი ფონდის განახლება, კულტურული დაწესებულებებისათვის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, კულტურული ღონისძიების ხელშეწყობა, ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობებში ფინანსური მხარდაჭერა, ვარჯიშისთვის შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების აღმოჩენა. სხვადასხვა ტურნირებზე, საქართველოსა და ევროპის ჩემპიონატებზე საუკეთესო შედეგების გამოსავლენად ხორციელდება მათი ადგილზე შეკრების ჩატარება შესაბამისი პირობების შექმნით. 2016 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა შეჯიბრებები და მოხდება მათი დაფინანსება

აგრეთვე პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხელოვნურსაფარიანი და ბუნებრივსაფარიანი მინიმოედნების მოვლა შენახვისა და ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსება,

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა.**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ბიბლიოთეკების, კულტურის სახლების, სახელოვნებო სკოლების, ხალხური ცეკვის ანსამბლის, ვაჟა ფშაველას სახელობის დრამატული თეატრის, კულტურისა და დასვენების პარკის „ნადიკავარის“ ფუნქციონირებისათვის საჭირო დაფინანსება, ასევე მთელი რიგი კულტურული ღონისძიებების მოწყობა.

- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები

- **ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება როგორც მწერალთა ორგანიზაციების, აგრეთვე სატელევიზიო გადაცემების მომზადების ხელშეწყობა.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა მუნიციპალიტატის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **ჯანდაცვის პროგრამები**

პროგრამა ითვალისწინებს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ”საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას. კერძოდ,

გადამდები დაავადებების გავრცელების საწინააღმდეგო ვაქცინაცია, დეზინფექციის ღონისძიებეთა ორგანიზება, პროფილაქტიკური აცრების უზრუნველყოფა.

- **სოციალური პროგრამები**

პროგრამა ითვალისწინებს ხანდაზმულთათვის, მარჩენალდაკარგულთათვის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სოციალურად დაუცველ პირთათვის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების გატარებას, როგორიცაა ახალშობლითა და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს როგორც ერთჯერად ასევე ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას, რაც ნაწილობრივ აისახება მათ სოციალურ მდგომარეობაზე. სოციალურად დაუცველ პირთა ზრუნვა, კვება, პირველადი სამედიცინო მომსახურება, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებები.

თელავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სოფლებში (აკურა, ბუშეტი, ვარდისუბანი, კონდოლი, კურდღელაური, რუისპირი, წინანდალი, ვანთა, ყარაჯალა) შიდა გზების მოასფალტება. სოფელ სანიორიდან სოფელ ართანაში შემოსასვლელი ცენტრალური გზის მოასფალტება. ასევე მუნიციპალიტეტში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შენარჩუნება. საგზაო ნიშნების, გადასასვლელებისა და სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობა.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სანიაღვრე არხების, გარე-განათების, წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, ჭაბურღილების და დრენაჟების მოწყობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება.

დაგეგმილია სოფლებში (ლაფანყური, ფშაველი, იყალთო) სასმელი წყლის შიდა ქსელების რეაბილიტაცია, ჭაბურღილებისა და სასმელი წყლის დრენაჟის მოწყობა

- **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობილი გარემოს შექმნას, დასასვენებელი პარკების, სკვერების და გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობას.

განათლება

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ასევე პროგრამა ითვალისწინებს სკოლანდელი აღზრდის დაწესებულებების აღმზრდელთა გადამზადებას, ჰიგიენური პირობების დაცვას, ინფრასტრუქტურის განახლებას და ინვენტატით აღჭურვას.

კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

სპორტისა და კულტურული განვითარების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. შესაბამისად დაგეგმილია სპორტისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების დაფინანსება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში სპორტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდება 6 ხელოვნურსაფარიანი და 9 ბუნებრივსაფარიანი მინი მოედნების მოვლა შენახვისა და ექსპლოატააციის ხარჯების დაფინანსება, ასევე სპორტული ინფრასტრუქტურის მატერიალურ - ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სპორტული დანიშნულების ობიექტების, დარბაზებისა და სტადიონების შეკეთება-აღდგენა. სპორტის სხვადასხვა სახეობების ფინანსური მხარდაჭერა, ვარჯიშისთვის შესაბამისი პირობების შექმნა.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა.**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ბიბლიოთეკების, კულტურის სახლების, სახელოვნებო სკოლების, ხალხური ცეკვის ანსამბლის, ვაჟა ფშაველას სახელობის დრამატული თეატრის, კულტურისა და დასვენების პარკის „ნადიკავარის“ ფუნქციონირებისათვის საჭირო დაფინანსება, ასევე მთელი რიგი კულტურული ღონისძიებების მოწყობა.

- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები

- **პრესის მომსახურების ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა, რაც ითვალისწინებს რეგიონალური (ჟურნალი „ოლე“) და ადგილობრივი (ჟურნალი „საქართველოს მოამბე“) ჟურნალების დაფინანსებას.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა მუნიციპალიტატის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **ჯანდაცვის პროგრამები**

პროგრამა ითვალისწინებს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ”საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას. კერძოდ, გადამდები დაავადებების გავრცელების საწინააღმდეგო ვაქცინაცია, დეზინფექციის ღონისძიებეთა ორგანიზება, პროფილაქტიკური აცრების უზრუნველყოფა.

- **სოციალური პროგრამები**

პროგრამა ითვალისწინებს ხანდაზმულთათვის, მარჩენალდაკარგულთათვის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სოციალურად დაუცველ პირთათვის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების გატარებას. კერძოდ, ახალშობლითა და მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერად ან ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას, სოციალურად დაუცველ პირთა კვებას, პირველადი სამედიცინო მომსახურებას, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარებას.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების რეაბილიტაცია. კერძოდ, ქ.ლაგოდეხში თავისუფლების ქუჩის ასფალტის საფრით მოწყობის სამუშაოები, სოფ.ბებურიანი-ბალღოჯიანის შიდა სასოფლოგზის ასფალტის საფრით მოწყობის სამუშაოები, სოფ.აფენი (2ცხაკაია) შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ.ყარაჯალის ცენტრალური შიდა სასოფლო გზის ასფალტო-ბეტონით მოწყობა.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, დასუფთავების ღონისძიებები, სანიაღვრე არხების მოწყობა-მოვლა, წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სარწყავი არხების მოწყობა-რეაბილიტაცია, ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება. 2016 წელს სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაციისთვის, წყლის სისტემების მოვლა-პატრონობაზე განსაზღვრული დაფინანსება შეადგენს 60,0 ათას ლარს, რომელიც მოხმარდება მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობას.

განათლება

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 29 საბავშვო ბაგა-ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს საშუალოდ 1600 ბავშვი. აღნიშნული ქვეპროგრამით მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს დასაქმებულთა სტაბილურ შრომის ანაზღაურებას, კვების და მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას.

აგრეთვე დაგეგმილია საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება და ინვენტარით უზრუნველყოფა.

კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის მიზანია სპორტისა და კურტურის განვითარების, ასევე ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

აღნიშნული პრიორიტეტი ორიენტირებულია მუნიციპალიტეტში სპორტის შემდგომ განვითარებაზე, სპორტის სხვადასხვა სახეობების მომზადებასა და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობაზე. ასევე გულისხმობს სპორტული მრავალფუნქციური კომპლექსების, ახალი სპორტული მოედნების, ხელოვნურსაფარიანი მინისაფეხბურთო მოედნების აღდგენას.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა.**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება კულტურის ცენტრი, ბიბლიოთეკები, ხელოვნების სკოლები. პრიორიტეტი ასევე მოიცავს ღონისძიებებს, რომელიც ორიენტირებულია ლაგოდეხის სიძველეთა პოპულარიზაციისაკენ, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა კულტურულ - გასართობი, ღონისძიებები დაფინანსება.

- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამა ითვალისწინებს ნეკრესის ეპარქიის სამღვდელმთავრო რეზიდენციების კომუნალური ხარჯების დაფინანსებას და კვების პროდუქტებით მომარაგების ხარჯებს. სასაფლაოების მოვლა-შენახვის ხარჯებს.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **ჯანდაცვის პროგრამები**

აღნიშნული ქვეპროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში" საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, როგორიცაა ცოფის კერის ლიკვიდაცია, სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება, ინფექციური და არგადამდები დაავადებების თავიდან აცილება.

- **სოციალური პროგრამები**

აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ინვალიდი ბავშვების სოციალური დახმარების ხარჯებს, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისა და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სხვადასხვა სახის დახმარებას, უმწეო მდგომარეობაში მყოფი დაახლოებით 70 ბენეფიციარის კვებით უზრუნველყოფას, ყოველ ახალდაბადებულ ბავშვზე დასახმარებლად 100 ლარის გამოყოფას.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სოფელ შიბლიანში მისასვლელი გზის მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობა, სოფლების დუზაგრამა _ თულარის დამაკავშირებელი გზის მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობა, ქ. საგარეჯოში დოდაშვილის ქუჩაზე ასფალტის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობა. ასფალტის საფარის ორმოული შეკეთება, რაც გააუმჯობესებს არსებულ საგზაო ინფრასტუქტურას.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**

პროგრამა ითვალისწინებს სოფელ ხაშმში სათავე ნაგებობის მოწყობას და შიდა ქსელების რეაბილიტაციას, სოფელ პატარა ჩაილურში სატუმბი რეზერვუარისა და ცენტრალური სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობა, წყლის საანალიზო სინჯების აღებას, არსებული სანიტარულ ნორმებთან მისი შესაბამისობის დადგენის მიზნით. გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსებას, მუნიციპალიტეტში სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებას, ცენტრალური ქუჩების და მოედნების დაგვა–დასუფთავებას; ზამთრის პერიოდში გზების ტექნიკური მარილით დამუშავებას. დაგეგმილია ხევების კალაპოტების გაწმენდა.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მინი სტადიონების მოწყობა, მოვლა–შენახვა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულბი სკვერების, გაზონების მოვლა–პატრონობა, გამწვანება და ახალი სკვერების მოწყობა.

განათლება

პროგრამას ახორციელებს ა(ა)იპ „საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება". საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 26 სკოლამდელი დაწესებულება, სადაც სწავლობს 1200 აღსაზრდელი. კვლავ მოხდება საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაციის სამუშაოების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

სპორტისა და კულტურული განვითარების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. შესაბამისად დაგეგმილია სპორტისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების დაფინანსება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამა მოიცავს ა(ა)იპ ,,საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების" დაფინასებას, ფუნქციონირებს ჭადრაკის, ფეხბურთის, თავისუფალი ჭიდაობის, ძიუდოს, მძეოსნობის, ბერძნულ–რომაული ჭიდაობის, რაგბის სექციები, რომელიც აერთიანებს 716 მოსწავლეს. დამატებით დაფინანსდება კალათბურთის სექცია. ქვეპროგრამა ასევე მოიცავს ა(ა)იპ "საგარეჯოს N105 კომპლექსური სასპორტო სკოლის“ ფინანსურ მხარდაჭერას, დაგეგმილია ერთი მწვრთნელის დამატება და კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარება.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა.**

პროგრამის ფარგმებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კულტურის ობიექტების, ბიბლიოთეკების, მუზეუმების, სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა, წიგნადი ფონდის განახლება თანამედრვე ლიტერატურით, ადგილობრივი მნიშვნელობის თეატრის რეპერტუარის განახლება, კულტურული დაწესებულებებისათვის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, კულტურული ღონისძიების ხელშეწყობა.

- **ახალგაზრდული ღონისძიებები.**

პროგრამის ფარგლებში ჩატარდება ტრენინგ–სემინარები, ფორუმები, ინტელექტუალურ–შემეცნებითი, გასართობი თამაშები, შემოქმედებითი და საგანმანათლებლო კონკურსები, გამოფენები, ლიტერატურული საღამოები, კონცერტები და სხვა ღონისძიებები. რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის აქტიურად ჩაბმას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

- **საგამომცემლო საქმიანობა**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთის გამოშვება, რომლის ძირითადი მიზანია მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **ჯანდაცვის პროგრამები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით, დეზინფექციის და საბონიფიკაციო ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება სოფლის ამბულატორიების მომსახურება.

- **სოციალური პროგრამები**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ერთჯერადი დახმარება 100 ლარის ოდენობით, სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა სტაციონარული მკურნალობის, ოპერაციისა და ლაბორატორიული გამოკვლევების დაფინანსება ღირებულების 50%-ით (არაუმეტეს 500 ლარისა), უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯი და დევნილი პირის დაკრძალვის ხარჯი თითოეულზე 300 ლარის ოდენობით, დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა დახმარება (ტრანსპორტის ხარჯი) თითოეულზე თვეში 100 ლარი, ას წელს გადაცილებული ხანდაზმულების დახმარება თითოეულზე 150 ლარი, სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული სახლების მაცხოვრებელთა საცხოვრებლით უზრუნველყოფა (ბინის ქირის ასანაზღაურებელი კომპენსაცია), საგარეჯოს ადგილობრივ ხელისუფლებაში მომუშავე პირის სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული ოჯახის სოციალურ დაცვა. სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი (4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახების მატერიალური დახმარება და ახალშობილთა დახმარება. დაფინანსდება სოციალურად დაუცველი უსახლკარო ოჯახებისთვის თავშესაფრის მოსაწყობად ქ. საგარეჯოში ყოფილი ტექნიკუმის შენობის რეაბილიტაცია.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია უმწეო მდგომარეობაში მყოფი 230 ბენეფიციარის ყოველდღიურად კვებით უზრუნველყოფა. ქალაქ საგარეჯოში ფუნქციონირებს 2 უფასო სასადილო.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სოფელებში (ნუკრიანი, ბოდბე, მაღარო, ბოდბისხევი, მაჩხაანი, ძველი ანაგა, ვაქირი) და ქალაქ სიღნაღში გზების რეაბილიტაცია. ასევე განხორციელდება რეაბილიტირებული გზების მოვლა-შენახვა.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, დასუფთავების ღონისძიებები, სანიაღვრე არხების მოწყობა-მოვლა, წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სარწყავი არხების მოწყობა-რეაბილიტაცია, ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება. აგერთვე დაფინანსდება არსებული ქსელების მოვლა-შენახვა და მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა, ახალი ხეების დარგვა, დეკორატიული მცენარეების განაშენიანება და არსებული შადრევნების ექსპლოატაცია.

განათლება

სკოლამდელი განათლების ხელშემწყობი ღონისძიებების დაფინანსება თვითმმართველი ერთეულის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.

დაგეგმილია სოფელ საქობოში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია

კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის მიზანია სპორტისა და კურტურის განვითარების, ასევე ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა სპორტსმენებისთვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნის უზრუნველსაყოფად, ასევე ნიჭიერი სპორტსმენების წარმოჩენა და წახალისება.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა.**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ა(ა)იპ ,,თ. მათურელის სახ. ხელოვნების კოლეჯი“-ის , ა(ა)იპ ,,სიღნაღის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო და საგანმანათლებლო მომსახურების ცენტრი“-ის, ა(ა)ი პ ,,სიღნაღის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო და სასპორტო სკოლების გაერთიანება“-ის, ა(ა)იპ ,,სიღნაღის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი-ის დაფინანსება. ასევე მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით დაფინანსდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში მოეწყობა სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები, ქართული ფოლკლორის საღამოები.

- **ახალგაზრდული ღონისძიებები.**

პროგრამის ფარგლებში ჩატარდება შემოქმედებითი და საგანმანათლებლო კონკურსები, გამოფენები, ლიტერატურული საღამოები, კონცერტები და სხვა ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის აქტიურად ჩაბმას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **ჯანდაცვის პროგრამები**

აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში "საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, როგორიცაა ცოფის კერის ლიკვიდაცია, სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება, ინფექციური და არგადამდები დაავადებების თავიდან აცილება .

- **სოციალური პროგრამები**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობისა და სხვა უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოხუცების მედიკამენტებით უზრუნველყოფას, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისა და სხვა უმწეო მდგომარეობაში მყოფი 165 ბენეფიციარის კვებით უზრუნველყოფას, ყოველ ახალდაბადებულ ბავშვზე 100 ლარის გამოყოფას, სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებას, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური დახმარებებ.

ყვარლის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბიულიტაცია, კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქ. ყვარელში ილია ჭავჭავაძის და რაჭის ქუჩის მოასფალტება და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია. ასევე დაგეგმილია მუნიციპალიტეტში არსებული გზების რეაბილიტაცია და არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლის სათავე ნაგებობების, არსებული წყალმომარაგების ქსელის სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარება. პროგრამის ფარგლებში დაფინასდება აიპ ,,ყვარელწყალმომსახურება" რომელიც უზრუნველყოფს ყვარლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი სოფლების სასმელი წყლის სისტემის მოწყობა- ექსპლოატაციას და სათავე ნაგებობების აღდგენის მომსახურებას. დაფინანსდება გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა, მუნიციპალიტეტის დასუფთავება, ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია, სარწყავი-სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია. დაგეგმილია სოფ. ენისელში სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის რეაბილიტაცია, ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. შილდაში სკვერის კეთილმოწყობა II ეტაპი და ქ. ყვარლის შემოსასვლელში „შინმოუსვლელთა" სკვერის კეთილმოწყობა.

განათლება

ყვარლის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი დაწესებულების დაფინასება ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ყვარლის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 22 სკოლამდელი დაწესებულება, სადაც დასაქმებულია 343 ადამიანი და სწავლობს 1200-მდე აღსაზრდელი. სკოლამდელ დაწესებულებებში სამჯერადი კვებაა. მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს. დაგეგმილია სოფელ ჭიკაანში საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია.

კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სპორტული და კულტურული ორგანიზაციებისა და ღონისძიებების დაფინანსება, რაც ხელს შეუწყობს როგორც სპორტული, ასევე კულტურული ტრადიციების დაცვასა და გაგრძელებას.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება აიპ ,,სასპორტო სკოლა'', შ.პ. ს „საფეხბურთ კლუბი დურუჯი“ , შ.პ.ს ათლეთი“, აიპ საფეხბურთო სკოლა, ფრენბურთის კლუბი. განხორციელდება ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, სკოლის პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში. განხორციელდება მუნიციპალტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სპორტული მოედნების მოვლა და მოწყობა. სპორტულ ორგანიზაციებში სულ დასაქმებულია 47 მწვრთნელი (სასპორტო სკოლა- 33, ათლეტი -1), რომელიც ემსახურება დაახლოებით 1000-მდე ბავშვის აღზრდას. სპორტული სკოლა ორიენტირებულია მაქსიმალურად ჩააბას მოსწავლე ახალგაზრდობა აქტიურ სპორტში.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა.**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭრა, პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება აიპ ,,კულტურის დაწესებულების გაერთიანება'', ააიპ ,,სამუსიკო სკოლების'' გაერთიანება, ა.ი.პ ,,ყვარლის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი ობიექტების დაცვისა და განვითარების ცენტრი'', რაც ხელს შეუწყობს ყვარლის მუნიციპალიტეტის კულტურულ განვითარებას.

- **რელიგიური ორგანიზაციების დაფინასება**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სასაფლაობის მოვლა-პატრონობა და კეთილმოწყობა. ნეკრესის ეპარქიისათვის კომუნალური ხარჯების დაფინანსება.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ყვარლის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია, მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარებას.

- **ჯანდაცვის პროგრამები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ეპიდზედამხედველობის და ეპიდსიტუაციის მართვის ღონისძიებები, მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები, პროფილაქტიკური იმუნიზაციის პროცესის დაგეგმვა. არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია. განხორციელებული პროგრამები ხელს შეწყობენ გადამდებ დაავადებათა პრევენციას.

- **სოციალური პროგრამები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება, ბავშვების სოციალური დაცვა, უმწეოთათვის უფასო სასადილოების დაფინანსება, ომის ვეტერანთა

სარიტუალო ხარჯების დაფინანსება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ახმეტის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფლებში (აწყური, ზემო ალვანი, წინუბანი, ბაყილოვანი) გზების მოასფალტება და ქალაქ ახმეტაში მარჯანიშვილის ქუჩის, ბ.ჩოლოყაშვილის ქუჩის, წმიდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ჟალურის საბავშო ბაღის მისასვლელი ქუჩის ასფალტო-ბეტონის საფარით მოპირკეთება. მუნიციპალიტეტში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შენარჩუნება და განახლება.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლით უკეთ მომარაგების მიზნით საჭირო ხდება დამატებითი ჭაბურღილების მოწყობა, დაზიანებული და მოძველებული სასმელი წყლის სისტემების და სათავე ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაცია,აგრეთვე არსებული სისტემის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსდება. კერძოდ დაგეგმილია ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატნის წყალსადენის სათავისა და მაგისტრალის რეაბილიტაცია, ქალაქ ახმეტაში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავებისა და ფასადის რეაბილიტაცია. საჭიროებისამებრ სისტემატიურად გაიწმინდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული,როგორც რკინა-ბეტონის ასევე გრუნტის სანიაღვრე არხები.

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 37 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას მიიღებს 1400 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბავშვების მეთვალყურეობა, მათი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა. დაგეგმილია ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ წინუბნის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია.

კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სპორტული და კულტურული ორგანიზაციებისა და ღონისძიებების დაფინანსება, რაც ხელს შეუწყობს როგორც სპორტული, ასევე კულტურული ტრადიციების დაცვასა და გაგრძელებას.

სპორტის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.
2016 წლის განმავლობაში დაფინანსდება სამი სპორტული სკოლა:

- აიპ სკოლის გარეშე დაწესებელება ახმეტის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა ,,ბახტრიონი''.
- აიპ ,,ახმეტის კომპლექსური სასპორტო სკოლა'' ,
- აიპ ,, ზურაბ ზვიადაურის სახელობის სასპორტო სკოლა'',
  სკოლებში ფუნქციონირებს ძიუდოს, თავისუფალი, ბერძნულ-რომაულის, მკლავჭიდის, ფეხბურთის, კალათბურთის, მძლეოსნობის, ჩოგბურთის, კრივის, კინბოქსის სექციები და აღნიშნულ სექციებში ჩართულია 725-მდე ბავშვი, აქედან 50-მდე გოგონაა.პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები.
- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა.**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება კულტურის ცენტრის, ბიბლიოთეკების, კლუბების, რაფიელ ერისთავის სახლ მუზეუმის მოვლა პატრონობისა და ქვემო ალვნის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის, პანკისის ეთნოგრაფიული მუზეუმის შენახვის ხარჯები. აღნიშნული მუზეუმებისათვის სისტემეტიურად ხდება სამუზეუმო ექსპონატების მოძიება-მატება, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალის ქრონოლოგიური პერიოდულობით დალაგება და კლასიფიკაცია.

დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა ისტორიული ეპოქის 400-ზე მეტი ისტორიული ძეგლის მოვლა-პატრონობის ხარჯები.

დაფინანსდება სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლი ,,ბახტრიონი'' და ანსამბლი ,,პანკისი''.

პროგრამა ითვალისწინებს სახელოვნებო ორგანიზაციებში შემოქმედებითი აზროვნების დანერგვა-ხელშეწყობას. ხალხური შემოქმედების, ფოლკლორული, ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას.

აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ორი სახელოვნებო სკოლა ესენია:

აიპ ,, სამუსიკო სკოლების გაერთიენება'', რომელსაც აქვს ფილიალები სოფლებში: მატანი, დუისი, ზ. ალვანი, ქვ. ალვანი,სადაც ირიცხება 202 მოსწავლე.

აიპ,, ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე ახალგაზრდობის სახელოვნებო, შემეცნებითი სკოლა''რომელიც ემსახურება მოზარდებში გარესამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ალავერდის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები.

აგრეთვე დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტყე-პარკების გამწვანების სამუშაოები.

- **ახალგაზრდული ღონისძიებები.**

პროგრამის ფარგლებში ახალგაზრდობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმის მიზნით მუნიციპალიტეტში ჩატარდება სადღესასწაულო დღეებისადმი მიძღვნილი კონცერტები შემოქმედებითი კონკურსები, გამოფენები, ლიტერატურული საღამოები.

- **საგამომცემლო საქმიანობა**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი ,,ბახტრიონი'', რომლის მიზანია მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ყვარლის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია.

- **ჯანდაცვის პროგრამები**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ეპიდზედამხედველობის და ეპიდსიტუაციის მართვის ღონისძიებები, მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები. არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა. განხორციელებული პროგრამები ხელს შეწყობენ გადამდებ დაავადებათა პრევენციას.

- **სოციალური პროგრამები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოციალურად დაუცველი მოსახლეობისა და მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება 100 ლარის ოდენობით,ხოლო უდედმამო და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები სააღდგომოდ და საახალწლოდ მიიღებენ 50 ლარის ღირებულების სასურსათო კალათებს. დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ფულადი დახმარება 500 ლარის ოდენობით. ყოველ კვირა დღეს ავტოტრანსპორტი უფასოდ მოემსახურება ილტოსა და პანკისის ხეობის მოსახლეობას.

სამამულო ომის ვეტერანები სადღესასწაულოდ მიიღებენ ერთჯერად ფულად დახმარებას 200 ლარის ოდენობით, გარდაცვლილი ომის ვეტერანთა ოჯახები მიიღებენ სარიტუალო ხარჯებისათვის თანხას 250 ლარის ოდენობით,

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახები საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მიიღებენ ერთჯერად ფულად დახმარებას 250 ლარის ოდენობით

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად და უმწეო მდგომარეობაში მყოფ 150-მდე ბენეფიციარის ყოველდღიურად უფასო კვებას.

თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის პრიორიტეტები

პრიორიტეტის დოკუმენტი მომზადებულია ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში იმ პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, რომელიც ყველაზე აქტუალურია საზოგადოებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2016-2019 წლების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ქალაქის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, ამიტომ აღნიშნული მიმართულება ქალაქის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მგომარეობის შენარჩუნება და ახალი გზების რეაბილიტაცია. საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით დამონტაჟდება ახალი საგზაო ნიშნები, ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება არსებული მარეგულირებელი საგზაო ნიშნების ექსპლუატაცია; დაგეგმილია ცენტრალური გზებიდან საცხოვრებელი სახლების ეზოებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების კეთილმოწყობილ ეზოებსა და ცენტრალურ გზებს შორის დარჩენილი მოუწესრიგებელი გზის მონაკვეთები აფერხებენ, როგორც მოქალაქეთა, ასევე საპატრულო, სასწრაფო დახმარების, სახანძრო და ა.შ. ავტომანქანების სწრაფ და თავისუფალ გადაადგილებას.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა. უზრუნველყოფილი იქნება ქალაქის დასუფთავება და პროფილაქტიკურ სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება. ქალაქის სხვადასხვა უბნებში გაიწმინდება კანალიზაციის ამორტიზირებული ქსელი, საჭიროების შემთხვევაში

მოხდება მონაკვეთის ახალი მილებით შეცვლა. წყალმომარაგების სისტემაში გატარდება ღონისძიებები ხარვეზების აღმოფხვრისათვის; არსებულ წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქსელზე ჩატარდება მცირემასშტაბიანი სარეაბილიტაციო ღონისძიებები (ღონისძიებების განმახორციელებელი მერიის კეთილმოწყობის სამსახური).

- **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება ქალაქში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, შადრევნების მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია, მწვანე საფარის მოწესრიგება, უკანონო და უსახური კონსტრუქციების დემონტაჟი.

- **ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა**

ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის განსახორციელებელი პროექტები მიზნად ისახავს სტრატეგიული დოკუმენტების მომზადებას, რომლებიც თავის მხრივ გახდებიან ქალაქის მდგრადი განვითარების საფუძველი. კერძოდ, გათვალისწინებულია ქალაქის საშუალოვადიანი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მომზადება, გენერალური განვითარების გეგმის მომზადება, ეკონომიკისა და ბიზნესის, მათ შორის ტურიზმის მასტიმულირებელი პროექტების განხორციელება.

- **გარემოს დაცვა**

პრიორიტეტის განხორციელებით საგრძნობლად გაუმჯობესდება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა, ქალაქისათვის აუცილებელ და მნიშვნელოვან საზრუნავს წარმოადგენს მისი დასუფთავება, მაწანწალა ცხოველებისაგან იზოლირება და ხეების გადაბელვა, მცენარეთა ფიტოსანიტარული მდგომარეობა, ქალაქის მოსახლეობის დასვენების პირობები. მწვანე საფარის მოვლაპატრონობა, მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაიზარდოს ქალაქის მწვანე საფარი. არსებული სკვერების მოვლა-პატრონობა ხელს შეუწყობს მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს ჩამოყალიბებას. ფლორის ცოცხალი კოლექციის შენახვა, როგორც საექსპოზიციო ასევე საგნმანათლებლო მიზნით ხელს შეუწყობს ბოტანიკური ბაღის, როგორც შემეცნებისა და დასვენების ერთერთ ღისშესანიშნავ ადგილად ჩამოყალიბებას.

- **განათლება**

საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელთა განვითარების ხელშეწყობა და სრულფასოვანი საღმზრდელო გარემოს შექმნა უზრუნველყოფს ქალაქის საგანმანათლებლო-სააღმზრდელო და კულტურული გარემოს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, საზოგადოების აქტიურ ჩართვას მიმდინარე საგანმანათლებლო-სააღმზრდელო და კულტურულ პროცესებში, მათი ინტელექტულური და შემოქმედებითი უნარების სტიმულირებას; საზოგადოების, მათ შორის აღსაზრდელებისა და პედაგოგების ცნობიერების ამაღლებას გენდერული თანასწორობის შესახებ. პრიორიტეტის ფარგლებში ასევე ხორციელდება ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა.

- **სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა**

ქალაქის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ–ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ქალაქის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

პრიორიტეტის მიზანია ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა, მათი საქმიანობის მხარდაჭერა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

ქალაქის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება მუსიკოს შემსრულებელთა კადრების მომზადებისა და მათი აღზრდა-დაოსტატებისათვის ფესტივალების და კონკურსების მოწყობა, მსოფლიო და ეროვნულ ღირებულებათა განვითარების მიზნით სპექტაკლების დადგმა, თეატრალური ხელოვნების პროპაგანდა მოსახლეობის ფართო ფენების მხატვრული აღზრდა, ქართული თეატრალური მემკვიდრეობის პოპულარიზაცია, წლის განმავლობაში ჩატარდება საოპერო გუნდის სოლო კონცერტები. პროგრამის ფარგლებში ჩატარებული სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები უზრუნველყოფს კულტურის, კულტურული მემკვიდრეობისა და ხელოვნების სფეროებში ერთიანი პოლიტიკის შემუშავებას, დაგეგმვასა და მისი რეალიზაციის კოორდინაციას. კულტურის სფეროში განსაკუთრებით ნიჭიერი და შემოქმედი ახალგაზრდების მხარდაჭერას. კულტურის დღეების, გაცვლითი გასტროლების, კონკურსების, ფესტივალებისა და გამოფენების ორგანიზებას.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყობა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა თვითმმართველობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ქალაქის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

- **ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება**

პროგრამა ითვალისწინებს ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მძიმე დაავადების მქონე პირების მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით დახმარებას, დაავადებული გადახდისუუნარო პირებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარებას.

- **სოციალური პროგრამების დაფინანსება**

პროგრამა ითვალისწინებს ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ ქალაქის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის

მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქში ინტერნაციონალის, ვაჟა-ფშაველას, ბათუმის ქუჩების გზების დარჩენილი მონაკვეთების რეაბილიტაცია; სასაფლაოსთან მისასვლელის (ნავარძეთი) გზის რეაბილიტაცია; ცხოვრებაძის ქუჩის N30,32,104,106-ის სახლების შიდა ეზოების კეთილმოწყობა; გოგებაშვილის ქუჩის გზისა და ეზოების კეთილმოწყობა საკუთარ სახლებთან; ჭავჭავაძის 1 ჩიხის კიბეებისა და გზის კეთილმოწყობა; წერეთლის ქუჩის N1-ის შიდა ეზოების კეთილმოწყობა, ბელიაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია, ქუთაისის ქუჩის რეაბილიტაცია, აღმაშენებლის ქ.N41-ის შესასვლელი გზის და საჩხერის გზატკეცილი N5,7,9-ის შიდა ეზოების კეთილმოწყობა.

აგრეთვე დაგეგმილია სოფლების ზოდის, თაბაგრების,სარქველეთუბნის, ზედა და ქვედა ბერეთისის, პერევისის, სკინდორის, მერევის, წყალშავის გზების გარკვეული მონაკვეთების და სოფელ მანდაეთში ივანიშვილების უბნის გზის მობეტონება, ნიკოპოლისა და ნინოშვილის ქუჩების მოაჯირების აღდგენა.განხორციელდიება მოაჯირის აღდგენა კულტურის სახლის უკანა მხარეს. განხორციელდება ფეხით მოსიარულეთათვის კიბეების მოწყობა აღმაშენებლის, თბილისის,რუსთაველის და ჩაჩანიძის (დიდ მოსახვევთან) ქუჩებზე; აგრეთვე განხორციელდება მღვიმევის დედათა მონასტრის კიბეების კეთილმოწყობა.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი სახლების კეთილმოწყობა, ქვათაცვენის საწინააღმდეგო სამუშაოები, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვა, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა, განხორციელდება საყრდენი კედლის აღდგენა და საბინაო ამხანაგობების დაფინანსება

- **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება ქალაქის გამწვანება და მოსახლეობის კულტურულ დასვენებაზე ზრუნვა. აღნიშნული ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს, რის გამოც იგეგმება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობა და გამწვანება.

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა.

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ააიპ მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღი რომელიც აერთიანებს 23 საბავშვო ბაღს, სადაც განათლებას იღებს 1450-ზე მეტი ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს. ასევე ხორციელდება არსებული ბაღების რეაბილიტაცია.

სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

- მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას.

ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული სკოლებისა და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. 2016 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრება და დაფინანსდება:

- 27-ე კომპლექსური სპორტული სკოლა;
- რაგბის სპორტული სკოლა;
- საფეხბურთო კლუბი ჭიათურა;
- ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა;

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

2016 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:

- მუნიციპალიტეტის თეატრი;
- კულტურულ შემოქმედებითი ცენტრი;
- №1 მუსიკალური სკოლა, სადაც სწავლობს 330-მდე მოსწავლე;
- №2 მუსიკალური სკოლა, სადაც სწავლობს 162-მდე მოსწავლე;
- სამხატვრო სკოლა. სადააც სწავლობს 35-მდე მოსწავლე;
- ბიბლიოთეკები;

- **ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტში მცხოვრების ბავშვების პატრიოტთა ბანაკებში მგზავრობის ხარჯები, ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ღონისძიებები, დასვენება და მკურნალობა გამაჯანსაღებელ ბანაკებში, სპორტსმენთა დაჯილდოვება, წარმატებული ახალგაზრდების დაფინანსება, საქართველოს კუთხეების ღირსშესანიშნაობების დათვალიერება, დამსახურებული პედაგოგების დაჯილდოება,ესტრადის მომღერალთა კონცერტის დაფინანსება და ძველი ქართული ხუროთმოძღვრების კატალოგის თანადაფინანსება.

- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები, ასევე პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მღვიმევის დედათა მონასტრის მიმდინარე ხარჯები.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყობა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

- **ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება**

პროგრამა ითვალისწინებს არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაციას, ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობას და მათზე სწრაფ რეაგირებას, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარებას, სადეზიფენქციო სამუშაოების ჩატარებას საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესებას.

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამის ითვალიწინებს სარიტუალო მომსახურების ხარჯებს, ავადმყოფთა სოციალური დაცვის ხარჯებს, უფასო სასადილო პროგრამის ხარჯებს, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, დევნილთა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარებას, სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური და ტურისტული პოტენციალის სრული გამოყენება, ურბანული განვითარება და ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელ უბნებში ეზოების კეთილმოწყობა და საცხოვრებელი კორპუსების რეაბილიტაცია. ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა–შენახვა და დაფინანსდება ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მოვლა-შენახვა, ასევე საქალაქო ტრანსპორტის ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებები. მნიშვნელოვანია შიდასაქალაქო ტრანსპორტის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა შიდასაქალაქო ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობისათვის არსებული დაბალი ტარიფის შენარჩუნება და ახალი მარშუტების დამატება რასაც მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვა გააჩნია. ქვეპროგრამა განხორციელდება ა.ა.ი.პ ,,ტყიბულის კომუნალური გაერთიანების“ სუბსიდირების გზით. განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მოვლა-შენახვა ქუჩების სავალო ნაწილის და ტროტუარების რეაბილიტაცია. ასევე განხორციელდება საავტომობილო გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრა.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საცხოვრებელი სახლების ბინისმესაკუთრეთა ამხანაგობის დახმარების პროგრამა, გარე განათების ქსელისმოვლა-შენახვა და დაფინანსთება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება, ბაღებისა და სკვერების, აგრეთვე მწვანე ნარგავების მოვლა. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება.

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ

პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათის აუცილებელი ხარჯები, რომელიც შექმნის მუნიციპალიტეტში არსებულ 14 საბავშვო ბაღში თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ბაზას და აღსაზრდელებისათვის სრულფასოვან გარემოს. ასევე ხელს შეუწყობს მათ მომზადებას ზოგადი განათლების მისაღებად.

სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამა ითვალისწინებს სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ხელშეწყობას. კერძოდ: კლუბი "მეშახტის" ფინანსური მხარდაჭერას, ნიჭიერი სპორტსმენების წახალისებას, სხვადასხვა სპორტული ღონისძიებებისა და შეჯიბრებების მოწყობას. ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული სპორტული ობიექტების მოვლა-შენახვის ხარჯების დაფინანსება. დაგეგმილია მუნიციპალიტეტში ფეხბურთის განვითარების თანადაფინანსება, სადაც შედის სფეხბურთო კლუბი ,,მეშახტის~, კლუბის ბაზის შენახვა, მწვრთნელთა და ფეხბურთელთა ხელფასები. ფინანსდება აგრეთვე ბავშვთა ფეხბურთის ჯგუფების სწავლება და სატურნირო ხარჯები, აგრეთვე რაგბის სპორტული სკოლის ხარჯები.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია კულტურის საქალაქო ცენტრის, მუსიკალური და სამხატვრო სკოლების, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის, და სხვა კულტურული ობიექტების დაფინასება.

- **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას.

- **ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება**

პროგრამა ითვალისწინებს სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარებას საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესებას, არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაციას, პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებას, მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგს, აგრეთვე მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებებს.

- **სოციალური პროგრამების დაფინანსება**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. კერძოდ: ინდივიდუალური დახმარების პროგრამის დაფინანსებას, ახალშობილთა დახმარებების დაფინანსებას, სარიტუალო ხარჯების დაფინანსებას, უმწეოთა კვებას, სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარებებს, სამამულო ომის ვეტერანებისა და საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპულ პირთა ოჯახების დახმარებას. პროგრამით

გათვალისწინებულია აგრეთვე ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეებისთვის უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა, ცერემბრალური დამბლით დაავადებული ბავშვების(0-დან 18 წლამდე) სოციალური დახმარება ერთჯერადად 200(ორასი) ლარის ოდენობით, დედ-მამით ობოლი ბავშვების (0-დან 18 წლამდე) ერთჯერადი დახმარება თითოეულ ბავშვზე 100 ლარის ოდენობით, სტიქიური უბედურების შედეგად საცხოვრებელ სახლზე მიყენებული ზიანის ნაწილობრივი ანაზღაურებისათვის ფინანსური დახმარება. მაქსიმალური ზღვარი განისაზღვროს 2000 (ორი ათასი)ლარით. მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანებისა და საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპულ პირთა ოჯახების დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში აღნიშნულ პირებს გაეწიოთ ფინანსური დახმარება 100(ასი) ლარის ოდენობით 9 მაისისა და აღდგომის დღესასწაულისათვის.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური და ტურისტული პოტენციალის სრული გამოყენება, ურბანული განვითარება და ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელ უბნებში ეზოების კეთილმოწყობა და საცხოვრებელი კორპუსების რეაბილიტაცია. ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა–შენახვა და დაფინანსდება ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული გზების რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა ქალაქ წყალტუბოში 9 აპრილის ქუჩა #3 ბინასთან მისასვლელი გზა, ნუცუბიძის ქუჩის შესახვევის გზა, ლორთქიფანიძის ქუჩის #10 და #16 ჩიხის გზა, შარტავას ქუჩის #1 შესახვევის გზა, დედაენის ქუჩის #15 და #17 ბინების წინ გზა, ნინოშვილის ქუჩის #1 და #2 ჩიხების გზა, შარტავას ქუჩის #1 ჩიხის გზა, გურამიშვილის #1, #4 და #6 ბინასთან საავტომობილო გზა, თბილისის ქუჩის #1 ჩიხის გზა. ასევე განხორციელდება ქალაქ წყალტუბოსა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში საავტომობილო გზების სტიქიისა და თოვლის საფარისაგან გაწმენდა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება 26 მაისის და გ. ტაბიძის ქუჩაზე ტროტუარებისა და გამყოფი გაზონების მოწყობა.

კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ამხანაგობების თანადაფინანსება საცხოვრებელი კორპუსებისა და უბნების კეთილმოწყობისათვის, გარე განათების ქსელის გაფართოება და ექსპლოატაცია. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება. მოხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული ამხანაგობების თანადაფინანსება საცხოვრებელი კორპუსებისა და უბნების კეთილმოწყობისათვის. განხორციელდება ქალაქ წყალტუბოში სარაჯიშვილი და ლერმონტოვის ქუჩების გადაკვეთასთან 22 ოჯახისათვის საკანალიზაციო ქსელის მოწყობა. დაფინანსდება მოხმარებული ელ. ენერგიის ღირებულება და გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია ქალაქ წყალტუბოში ვაჟა-ფშაველას, ავალიანის, დედაენის #34, ნინოშვილის, თამარ მეფის, ლორთქიფანიძის #1 ჩიხი, ნუცუბიძის, დედაენის #3 შესახვევის #15 და #17 ბინებთან, ჭავჭავაძის #9 ბინასთან, შარტავას #1 და #2 ჩიხში, სოფელ პირველი წყალტუბში, ქალაქ წყალტუბოში დედაენის ქუჩაზე #1 საჯარო სკოლის წინ და სოფელ გუმბრინის ცენტრში მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა.

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის

საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

- **სკოლამდელი აღზრდის დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათის აუცილებელი ხარჯები, რომელიც შექმნის მუნიციპალიტეტში არსებულ 10 საბავშვო ბაღში თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ბაზას და აღსაზრდელებისათვის სრულფასოვან გარემოს. ასევე ხელს შეუწყობს მათ მომზადებას ზოგადი განათლების მისაღებად.

- **სკოლის გარეშე განათლება**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი. აქვე ფუნქციონირებს შემოქმედებითი და ტექნიკური წრეები, სადაც მოსწავლე ახალგაზრდობა ეუფლება შესაბამის სკოლისგარეშე განათლებას.

სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პარალერულად, აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული და სპორტული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, კულტურული ასევე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყალტუბოს სპორტული კლუბების გაერთიანების და საფეხბურთო კლუბი სამგურალის ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება, გაიმართება და დაფინანსდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, აგრეთვე მოხდება სპორტული მოედნებისა და ბაზების მოწყობა-რეაბილიტაცია, ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაციის დამატებითი სამუშაოები.

გათვალისწინებულია ასევე სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების დაფინანსება, კერძოდ: გივი თალაკვაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი მძლეოსნობაში, ფრენბურთის ტურნირი გოგონებს შორის, მაგიდის ჩოგბურთის ტურნირი, ჯემალ ბერაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამოყვარულო ტურნირი ჭადრაკში, კალათბურთის ტურნირი სკოლებს შორის, ხელბურთის ტურნირი გოგონებს შორის, შალვა ბზიკაძის ხსოვნის ტურნირი ძიუდოში, ხელბურთის ტურნირი სკოლებს შორის (ბიჭები), მკლავჭიდის ტურნირი, გარბენი ქალაქის რკალზე, ნოდარ კოხრეიძის ხსოვნის ტურნირი მინი ფეხბურთში, მხიარული სტარტები ბაღებს შორის, ომარ ფხაკაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ველორბოლაში, სამოყვარულო ტურნირი ნარდში, დავით აფხაძის ხსოვნის ტურნირი ბ/რომაულ ჭიდაობაში, ზურაბ ბადირეიშვილი ხსოვნის ტურნირი კალათბურთში, მერაბ მოსიავას ხსოვნის ტურნირი მინი ფეხბურთში, ზაურ ტეხოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მინი ფეხბურთში, როინ მეტრეველის ხსოვნის ტურნირი ხელბურთში.

კულტურის განვითარების ხელშეწყობა

კულტურული ტრადიციების დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ორგანიზაციების ა(ა)იპ „წყალტუბოს თეიმურაზ კობახიძის სახელობის სამუსიკო სკოლის“, ა(ა)იპ „წყალტუბოს სამხატვრო სკოლის“, ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“, ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანების“ დაფინანსება და სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა და ორგანიზება;

- **ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსება, კერძოდ: შშმ პირისთვის საჩუქარი, სიყვარულის დღე, ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის?, ბავშვთა საერთაშორისო დღე, ექსკურსიები, ლაშქრობა, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეული, პოეზიის საღამო, სხვადასხვა ფესტივალებზე მონაწილეობა, საშობაო ღონისძიებები, ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, 9 აპრილი, აღდგომის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ჯანსუღ იოსელიანის სახელობის ფესტივალი, ოტია იოსელიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, 8 აგვისტო, სოხუმის დაცემის დღე, შემოდგომის წყალტუბო, საახალწლო საჩუქრები, საახალწლო ღონისძიება.

- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში გათავლისწინებულია ქუთაისის-გაენათის ეპარქიის სუბსიდირება.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყობა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში ა(ა)იპ ,,წყალტუბოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დაფინანსებას, რათა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება, დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით, ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება, სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება.

- **სოციალური პროგრამების დაფინანსება**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. კერძოდ: მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეჭირვებული მოქალაქეების კვებით უზრუნველყოფას, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ დღეგრძელთა დახმარებას თითოეულზე 1000 ლარის ოდენობით, მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური წახალისებას: მესამე შვილის შეძენისას–500 ლარი, მეოთხე შვილის შეძენისას–700 ლარი, მეხუთე და მეტი შვილის შეძენისას–1000 ლარი, ერთი და მეტი ტყუპის შეძენისას - 500 ლარი; სოციალურად დაუცველ ოჯახზე (სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან 65000-ი ქულის ჩათვლით რეგისტრირებულ), რომელთაც ყავთ 18 წლამდე ასაკის 3 და მეტი შვილი გაიცემა ერთჯერადად 150 ლარი. გათთვალისწინებულია ასევე სარიტუალო ხარჯების ანაზღაურება, ,,ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის“ სუბსიდირება, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალური ქირურგიული ოპერაციების დაფინანსება და სტიქიის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარება.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური, შიდა საქალაქო და სასოფლო გზების, მგომარეობის შენარჩუნება და ახალი/მეორე მნიშვნელობის გზებისა და შიდასაუბნო მისასვლელი გზების რეაბილიტაცია.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინასება. სოფლებში მოხდება წყლის სისტემების რეაბილიტაცია, ქალაქის ტერიტორიაზე დაფინასდება ღვარსადენების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება.

- **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, შადრევნების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების აღრიცხვა–შეფასების და პრივატიზაციის მიზნით საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადება. ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა პატრონობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების, პარკების მოვლა, ახალი ნარგავების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება;

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მთლიანად დაფინასდება ბავშვთა კვების თანხა. მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას.

- **სკოლამდელი განათლების დაფინანსება**

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 15 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 650 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, სრულად ფინასდება ბავშვთა კვების თანხა მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასები და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯები.

- **სკოლის გარეშე განათლება**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი. აქვე ფუნქციონირებს შემოქმედებითი და ტექნიკური წრეები, სადაც მოსწავლე ახალგაზრდობა ეუფლება შესაბამის განათლებას.

სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული სკოლის ფინანსური მხარდაჭერა, რათა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება: კულტურის ცენტრი, სადაც ფუნქციონირებს: თეატრალური კოლექტივი, ხალური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, მუსიკალური და ხელოვნების სკოლა, სადაც სწავლობს 250-მდე მოსწავლე, ბიბლიოთეკა და მუზეუმი.

- **ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში;

- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყობა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი ღონისძიებები: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფექციებისა და სხვადასხვა დაავადებათა ლიკვიდაცია და პრევენცია; არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების გაუვნებელყოფის ღონისძიებები. სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარებას საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში.

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს შემდეგი ღონისძიებების დაფინანსებას. კერძოდ: სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა ოჯახის წევრებზე სამედიცინო დახმარებას 0–დან 80 000–მდე სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი მოსახლეობისა და პენსიონერი მოქალაქეების მედიკამენტებით დახმარებას, თითოეულ ბენეფიციარზე არა უმეტეს 100 ლარისა და პენსიონერი მოქალაქეების მკურალობისა და საოპერაციო თანხებით ერთჯერად დახმარებას არა უმეტეს 300 ლარისა, სარიტუალო მომსახურებას თითოეულ ბენეფიციარზე 250 ლარის ოდენობით, უფასო სასადილოს დაფინასებას, ოჯახებისა და

ბავშვების სოციალურ დაცვას, სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, სადღესასწაულო დახმარების პროგრამას.

ვანის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა, პრიორიტეტების ფარგლებში მოხდება არსებული ინფარსტრუქტურის მოვლა-შენახვისა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.

- **გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. ვანში ჯორჯიაშვილისა და კეკელიძის ქუჩებზე გზის რეაბილიტაცია.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სამუშაოები, რომლითაც გაუმჯობესდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო, სანიტარული და ჰიგიენური პირობები. დაფინანსდება სანიაღვრე საწრეტი არხების, გარე განათების ექსპლოატაციის, დასუფთავების ღონისძიებების ხარჯები.

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, არსებული შენობების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.

- **სკოლამდელი განათლება**

პროგრამა მოიცავს სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დაფინანსებას. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 21 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 900-მდე ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს საბავშვო ბაღების ფუნქციონირების ყველა ხარჯს. პროგრამის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდება სალომინაოს, შუაგორას, გორას და ბზვანის საბავშვო ბაღებს.

სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარარელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საფეხბურთო კლუბი „სულორი ვანი“–ს, „სასპორტო და სახელოვნებო დაწესებულებების გაერთიანების'', სპორტული ღონისძიებების, სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსება.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მოხდება კულტურული ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა, მათ შორის მნიშვნელოვანია იმ სახალხო–სადღესასწაულო ღონისძიებათა დაფინანსება, რომლების ყოველწლიურად მასშტაბურად იმართება ,,ვანელობა“, ,,გალაკტიონობა“, ,,ტიციანობა“, ,,კეკელიძეობა“, 26 მაისის, 9 აპრილისა და 8 აგვისტოსადმი მიძღვნილი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებების გაერთიანების დაფინანსება;

- **ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსებას. პროგრამის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ახალგაზრდა თაობის ჩაბმა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში; მუნიციპალიტეტი ფინანსურად უზრუნველყოფს ბავშვთა და ახალგაზრდების დასვენების, ინტელექტუალური გუნდების მომზადებისა და შეჯიბრებებში მონაწილეობის ხარჯებს. იუმორისტული შეჯიბრებების მომზადებასა და მასში მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ჩართულობას;

- **ეპარქიის დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყობა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება**

პროგრამა გულისხმობს შემდეგი ღონისძიებების დაფინანსებას: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები; იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები; პარაზიტული დაავადებების პირველადი კვლევა; დაავადებების დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა; სანიტარული ღონისძიებები; მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ზედამხედველობა; ჯანმრთელობის ხელშეწყობა;

- **სოციალური პროგრამები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებების დაფინანსება: უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის (გათვალისწინებულია 31 ბენეფიციარის ყოველდღიურად კვებით უზრუნველყოფა), გარდაცვლილი ომის ვეტერანის დაკრძალვის ხარჯების დაფინანსება 500 ლარის ოდენობით, იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა დაკრძალვის ხარჯების დაფინანსება - თითოეულ ბენეფიციარზე 200 ლარის ოდენობით. იმ დევნილის ოჯახზე, რომლის სარეიტინგო ქულა არის 70 000-მდე, დახმარება გაიცემა 500 ლარის ოდენობით, ხოლო 70 000 დან 100 000-მდე ქულის შემთხვევაში დახმარება განისაზღვრება 300 ლარის ოდენობით. ერთჯერადი დახმარება ბავშვის შეძენასთან დაკავშირებით პირველი შვილის შეძენისას 300 ლარის, მეორე შვილზე 350 ლარის, მესამე და მომდევნო შვილის შეძენისას 500 ლარით, ხოლო ტყუპების შეძენისას თითოეულ ახალშობილზე 500 ლარის ოდენობით, სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის ფულადი კომპენსაცია და სხვა სოციალური ღონისძიებები.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია. ქალაქის საცხოვრებელი უბნების, ეზოების, დასასვენებელი პარკებისა და მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების კაპიტალური შეკეთება და ეზოების კეთილმოწყობა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი ლიფტების

აღდგენა-რეაბილიტაცია, სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარება, გზების კაპიტალური შეკეთება. კერძოდ მოხრეშვა-მოშანდაგება, ასფალტო-ბეტონის ფენილის გზების დაგება, მარტივი ტიპის წყალსადენების მოწყობა, არსებული ხიდების შეკეთება და რეაბილიტაცია.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება და ექსპლოატაცია. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება.

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ აღზრდას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების გამართული ფუნქციონირება. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში ხელი შეეწყობა მოსწავლე-ახალგაზრდობის სკოლისგარეშე განათლების დონის ამაღლებას.

- **სკოლამდელი აღზრდის დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათის აუცილებელი ხარჯები, რომელიც შექმნის მუნიციპალიტეტში არსებულ 39 საბავშვო ბაღში თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ბაზას და აღსაზრდელებისათვის სრულფასოვან გარემოს. ასევე ხელს შეუწყობს მათ მომზადებას ზოგადი განათლების მისაღებად.

- **სკოლის გარეშე განათლება**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი. აქვე ფუნქციონირებს შემოქმედებითი და ტექნიკური წრეები, სადაც მოსწავლე ახალგაზრდობა ეუფლება შესაბამის სკოლისგარეშე განათლებას.

სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პარალერულად, აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული და სპორტული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, კულტურული ასევე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

სპორტის განვითათრების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი, სადაც დასაქმებულია 33 თანამშრომელი, რომელიც ემსახურება 350 ბავშვის აღზრდას. ს. საყვარელიძის სახელობის სპორტულ სკოლაში დასაქმებულია 37 ადამიანი, რომელიც ემსახურება 550 მოზარდს.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტსკოლის, სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება, გაიმართება და დაფინანსდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, აგრეთვე მოხდება სპორტული მოედნებისა და ბაზების რეაბილიტაცია.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

კულტურის განვითათრების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუსიკალური კოლექტივები რომელშიც დასაქმებულია 72 მუშაკი და ემსახურება 385 მოსწავლეს. სახელოვნებო სკოლაში 10 მოსამსახურე ემსახურება 80 მოსწავლეს. კულტურული ტრადიციების დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება კულტურული ობიექტებისა და ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა, სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების ორგანიზება.

- **ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში ასევე დაფინანსდება ახალგაზრდებისათვის აქტიური დასვენების ღონისძიებები (ბანაკები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვა).

- **ეპარქიის ხარჯების დაფინანსება**

პროგრამით დაფინანსდება მარგვეთის ეპარქია, საიდანაც მოხდება სხვადასხვა ეკლესიების მიმდინარე შეკეთება.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყობა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

- **საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსება**

პროგრამა ითვალისწინებს გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის ღონისძიებებს; იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელების ხელშეწყობას, პრევენციული და კონტროლის ღონისძიებებს; პარაზიტული დაავადებების პირველად კვლევას; დაავადებების დიაგნოსტიკას, პროფილაქტიკური მკურნალობას; სანიტარულ ღონისძიებებს; მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ზედამხედველობას; ჯანმრთელობის ხელშეწყობას.

- **სოციალური პროგრამების დაფინანსება**

სოციალური პროგრამები მოიცავს: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ან რეგისტრირებული, (მათ შორის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული–დევნილი) მოქალაქეებისათვის დახმარების ღონისძიებებს: ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, სიღარიბის დაძლევის ხელშეწყობის და პრევევნციული ღონისძიებების მიზნით დაგეგმილ ღონისძიებების ერთობლიობას. აგრეთვე, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული თავშესაფრების და მსგავსი გაერთიანებების მიმართ დახმარების ღონისძიებებს, სადაც მიმდინარეობს, მხოლოდ სოციალური ხასიათის მხარდამჭერი ღონისძიებები და მასში გაერთიანებულია გარკვეული სოციალური სტატუსის მქონე პირთა ჯგუფი (სოციალური ჯგუფი).

თერჯოლის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების გაუმჯობესება. მუნიციპალიტეტში არსებული ასფალტოვანი დაზიანებული გზების შეკეთება და ხრეშოვანი გზების რეაბილიტაცია;

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიის კეთილმოწყობა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საზოგადოებრივი ობიექტების კეთილმოწყობა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებისა და შენობების სახურავების რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მით ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. განხორციელდება მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო–სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული სამელი წყლის მილების შეცვლა, მოსახლეობის წყალმომარაგებისათვის საჭირო ინვენტარის შეძენა. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული სისტემის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური

მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ქალაქის ქუჩების, მოედნების, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების, ცენტრალური საავტომობილო გზის, ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა; აგრეთვე განხორციელდება გარე და დეკორატიული განათების მოვლა–პატრონობა და რეაბილიტაცია, სანიაღვრე ქსელების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ქალაქის გამწვანებისა და გაფორმების ღონისძიებები, შენობა ნაგებობების, მიმდებარე ტერიტორიების, კომუნიკაციების, საგზაო ინფრასტრუქტურის, ტროტუარების გაზონების მოწყობა, მიმდინარე სარემონტო სამუშაოების წარმოება. პროგრამის ფარგლებში ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების, ქუჩებისა და ტროტუარების ტენიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისგან გათავისუფლება.

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების სუბსიდირება და ინვენტარით უზრუნველყოფა. ასევე პრიორიტეტულია საგანმანათლებლო და საამღზრდელო პროცეცის მონაწილეთა დაინტერესება და სტიმულირება. თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი მოიცავს 26 საბავშვო ბაგა–ბაღს სადაც ფუნქციონირებს 50 საამღზრდელო ჯგუფი. საბავშვო ბაგა–ბაღში დაწყებით განათლებას იღებს 1500 აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, ასევე განხორციელდება არსებული ბაღების შენობების რეაბილიტაცია.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს მოსწავლე ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესტეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი, შემოქმედებითი და ტექნიკური წრეები, სადაც მოსწავლე ახალგაზრდობა ეუფლება შესაბამის განათლებას.

სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული ჯგუფების მონაწილეობას სხვადასხვა ტურნირებში და შეჯიბრებებში. ფინანსდება ,საფეხბურთო კლუბი საპოვნელა, რომელიც თამაშობს უმაღლეს ლიგაში. სპორტულ გამაჯანსაღებელი მუნიციპალური

ცენტრი აქტიურად ახორციელებს სპორტის სახეობათა მიხედვით თანამშრომლობას სახელმწიფო და არასახელმწიფო სპორტულ ორგანიზაციებთან, მათთან ერთად ატარებს სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებს; პროგრამის ფარგლებში, სპორტულ სკოლაში ფუნქციონირებს ჭიდაობის 6 ჯგუფი, ჭადრაკის 2 და ტანვარჯიშის ერთი ჯგუფი. სკოლაში მთლიანდ წვრთნებს გადის 200 მოზარდი. 2016 წლის განმავლობაში დაფინანსდება სხვადასხვა ადგილობრივი სპორტული ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობაში ჯანსაღი წესის დამკვიდრებას;

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა და განხორციელდება სხვადასხვა კულტურულ-გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები: შემოქმედებითი კლუბების, სამოყვარულო თეატრების, ბიბლიოთეკების, ცეკვისა და სიმღერის ფოლკლორული ანსამბლების ხელშეწყობა და განვითარება, სამუზეუმო საქმიანობა და მუზეუმების ფონდების ბაზაზე სამეცნიერო საგანმანათლებლო მუშაობის წარმოება;

- **ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში ასევე დაფინანსდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების ბანაკებში მგზავრობის ხარჯები, ლაშქრობები, ექსკურსიები;

- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, მათ მიმდებარე ტერიტორიაზე დაფინანსდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური ცენტრის დაფინანსება**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირებას. პროგრამა ითვალისწინებს ზედა საზანოს, ალისუბნისა და ჩხარის თემების დამატებითი ამბულატორიული მომსახურეობის დაფინანსებას. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობას და მათზე სწრაფ რეაგირებას, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარებას. განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობა;

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

სოციალური პროგრამები მოიცავს: მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარებას, მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოქალაქეებისათვის სხვადასხა ღონისძიებების გატარებას, უფასო სასადილოს პროგრამას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარების პროგრამას. პროგრამის ფარგლებში ოჯახები მიიღებენ: პირველ ან მეორე ახალშობილზე 200 ლარი, მესამე ახალშობილზე 250 ლარი, მეოთხე, მეხუთე და ა.შ. ახალშობილზე 300 ლარი, სტიქიური და სხვა მოვლენების შედეგად დაზარალებულთა ფინანსურ დახმარებას, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის საჭირო მედიკამენტებითა და საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფას, სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რებილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების, ეზოების, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში გზების რეაბილიტაცია, სოფლების შიდა გზების მოხრეშვა. მოსაცდელების შეძენა-დამონტაჟება, ასევე ხიდების და ბოგირების რეაბილიტაცია. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია;

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება;

- **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება.

განათლება

მომავალ თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელი განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულს საკუთარი უფლება-მოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

- **სკოლამდელი განათლების დაფინანსება**

სამტრედიის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ააიპ "სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება", რომელიც აერთიანებს 24 საბავშვო ბაღს, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1800-მდე ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს. მ.შ. მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს, ბავშვთა კვების ხარჯს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს. ასევე მომდევნო წელში განხორციელდება არსებული ბაღების რეაბილიტაცია.

- **მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება, რომელიც აერთიანებს 500 მოსწავლეს. ფუნქციონირებს სხვადასხვა წრეები. მუნიციპალიტეტიდან ფინანსდება ყველა მიმდინარე ხარჯი. აღსაზრდელები აქტიურად მონაწილეობენ ღონისძიებების ჩატარებაში.

სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას, ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ

მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები; პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სახელოვნებო სკოლები, კულტურის სახლი, ბიბლიოთეკები, კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება;

- **ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში პროგრამის ფარგლებში;

- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ხონი-სამტრედიის ეპარქიის სუბსიდირება, დაფინანსდება მთავარი საკათედრო ტაძარი.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები, იმუნოპროფილაქტიკის ღონისძიებების დაგეგმვა, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა, პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები, პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა.

- **სოციალური პროგრამების დაფინანსება**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეულ შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრულველყოფას. კერძოდ: ააიპ სახლი ”თანადგომა მუნიციპალიტეტის ” სათნოების სახლის დაფინანსებას, დედათა და ბავშვთა დახმარებას, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსურ დახმარებას, დაკრძალვის ხარჯებს, II მსოფლიო ომის ვეტერანთა ფინანსური დახმარებას 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით.

საჩხერის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის აუცილებელ ძირითად პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში ახლის მშენებლობასთან ერთად განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მისი ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თოვლისაგან საავტომობილო გზების გაწმენდის, და სავანე-არგვეთი მახათაურის საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია. გაგრძელდება გზის საფარის კეთილმოწყობის, ხიდ-ბოგირების მშენებლობა რეაბილიტაცია, მგზავრთა მოსაცდელების, გზის სამაგრი კედლების და სხვათა მოწყობის სამუშაოები.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საკანალიზაციო სისტეების, კოლექტორებისა და გამწმენდი ნაგებობების ექსპლოატაცია, არსებული სასმელი წყლის სისტემების და გარე განათების ქსელის განახლება, მოვლა და ექსპლოატაცია. უზრუნველყოფილი იქნება ქ. საჩხერისა და მუნიციპალიტეტის სხვა დასახლებული ტერიტორიების დასუფთავება და ნაგვის გატანა.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სკვერებში და მოედნებზე არსებული მრავალწლიანი ნარგავების მოვლა-პატრონობა, მათი გასხვლა-გადაბელვა, სკვერებში და გაბიონებში ერთწლიანი ნარგავების, ყვავილების და სხვათა დარგვა და მოვლა-პატრონობა.

განათლება

მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ აღზრდას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთრი უფლებამოსილებას განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა და არსებული ბაღების ფუნქციონირება. სკოლანდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში ხელი შეეწყობა მოსწავლე-ახალგაზრდობის სკოლისგარეშე განათლების დონის ამაღლებას.

- **სკოლამდელი განათლების დაფინანსება**

საჩხერის მუნიციპალიტეტში დღეისათვის ფუნქციონირებს 18 ერთეული საბავშვო ბაღი. 2016 წელს კიდევ დაემატება 2 ერთეული საბავშვო ბაღი. საბავშვო ბაღების საერთო ხელმძღვანელობას უწევს ამ მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი -საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი. არსებულ ბაღებში ირიცხება 1250 აღსაზრდელი რომელთა აღზრდას ემსახურება 261 აღმზრდელი და ტექნიკური მუშაკი. ბიუჯეტიდან ერთ აღსაზრდელზე უნდა დაიხარჯოს 1297 ლარი, რომელიც უნდა მოხმარდეს შრომის ანაზღაურების, კვების, ინვენტარის შეძენის და სხვა ხარჯების დაფინანსებას.

- **ზოგადი განათლების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა და მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხარჯების დაფინანსებას.

- **მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი**

მოსწავლე ახალგაზრდობის სწორი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლე-ახალგაზრდობის დაწესებულებების მიზანმიმართული საქმიანობა. სწორედ ამიტომ ამ პროგრამის ფარგლებში ამ საქმიანობის შეუფერებელი განხორციელებისათვის განსაზღვრულია მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხარჯების დაფინანსება. აქ ფუნქციონირებს შემოქმედებითი და ტექნიკური წრეები, სადაც მოსწავლე-ახალგაზრდობა ეუფლება შესაბამის სკოლის გარეშე განათლებას.

სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია კულტურული ტრადიციების დაცვისა და ღირსეული გაგრძელების ხელშეწყობა. ამასთან ერთ-ერთი პრიორიტეტის ახალგაზრდობის მრავალმხრივი ხელშეწყობა და მათი ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი აგრძელებს კულტურული, სპორტული და რელიგიური ორგანიზაციების და ახალგაზრდული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული და იმედისმომცემი სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული სკოლისა და საცურაო აუზის ფინანსური მხარდაჭერა, რომ მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა, უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა, ამასთან, ამ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების მოწყობა და გაგრძელდება, იმედისმომცემ სპორტსმენებზე სტიპენდიის გაცემა. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ა(ა)იპ საჩხერის სასპორტო სკოლისა და ა(ა)იპ საჩხერის საცურაო აუზის დაფინანსება, ა(ა)იპ საჩხერის სასპორტო სკოლა მთლიანად ფინანსდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით. აქ არსებულ 11 სახეობის სპორტულ წრეში ჯანმრთელობას იკაჟებს 646 ბავშვი. რაც შეეხება ა(ა)იპ საჩხერის საცურაო აუზს, იგი ბიუჯეტის თანხის გარდა ფინანსდება საკუთარი შემოსავლებით. აქ სპორტული მკურნალობის კურსს გადის სქოლიოზითა და სხვადასხვა ტრამვებით დაავადებული ბავშვები.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება კულტურული დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება და მოეწყობა სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გამოჩენილი ადამიანების საიუბილეო, საშობაო-საახალწლო, თეატრალურ-მუსიკალური ღონისძიებები, სრულად საქართველოს ფესტივალი ,,ქართული მრავალჟამიერი და აკვნის ნანები", სპორტული ფილმების საერთაშორისო ფესტივალი, საესტრადო სიმღერის ფესტივალი ,,ვარდობის თვე" და სხვა.

- **მასმედიის ხელშეწყობა**

ამ პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ასოციაცია ,,მასმედია" გაზეთი ,,მეოთხის" გამოცემის ხარჯები. გაზეთმა უნდა უზრუნველყოს მოსახლეობა მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და მათი ხელმძღვანელობის მიერ მიღებული და გამოცემული დადგენილებები, განკარგულებები და ბრძანებები. ასოციაციის ხარჯების ნაწილი გაზეთის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებით ფინანსდება.

- **ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში ასევე დაფინანსდება ახალგაზრდებისათვის აქტიური დასვენების ღონისძიებები (ბანაკები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვა).

- **რელიგიის დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის ფინანსური დახმარება.

ადგილობრივი მნიშვნელობის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების განხორციელება

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მოსახლეობის სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. არსებული რესურსების ფარგლებში გაგრძელდება სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფა. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

- **ჯანდაცვის პროგრამები**

პროგრამა ითვალისწინებს ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დავადებების პრევენციულ ღონისძიებებს. ეპიდსიტუაციების გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობას და მათზე სწრაფი რეაგირებას, პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებას. მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიაზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების გაუვნებელყოფის ღონისძიებებს.

- **სოციალური პროგრამები**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსედება: ავადმყოფთა სოციალური დაცვა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა, ომის და შრომის ვეტერანებზე და მათ ოჯახებზე

ფულადი ფორმით გასაცემი დახმარებები, სარიტუალო ხარჯები, მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა, ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა, უფასო სასადილო, სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა, საჩხერე - პერევის და პერევი-საჩხერის საავტობუსო რეისების სუბსიდირება, სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება, საცხოვრებლით უზრუნველყოფა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და წარმოადგენს ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო და კომუნალური ინფრასრუქტურის განვითარება, მუნიციპალიტეტის დასუფთავების ხელშეწყობა. ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია და მოვლა–შენახვა. ასევე განხორციელდება საავტომობილო გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრა;

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. გაგრძელდება სანიაღვრე არხების მოწესრიგება, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება და დაბაში სასმელი წყლით უზრუნველოფა.

- **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები.

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას.

- **სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათის აუცილებელი ხარჯები, რომელიც შექმნის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ბაზას და აღსაზრდელებისათვის სრულფასოვან გარემოს. ასევე ხელს შეუწყობს მათ მომზადებას ზოგადი განათლების მისაღებად. გაერთიანებაში ამჟამად შედის თორმეტი საბავშვო ბაღი და უახლოეს პერიოდში ექსპლუატაციაში შევა კიდევ სამი საბავშვო ბაღი.

- **ზოგადი განათლების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში ხდება მუნიციაპლიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბორის საჯარო სკოლის პანსიონური მომსახურების დაფინანსება. პანსიონში სწავლობს 110 მოსწავლე და 27 სკოლამდელი ასაკის ბავშვი, ხოლო ღამეს ათევს უკიდურესად გაჭირვებული, ობოლი და ლტოლვილი 16 მოსწავლე, დაფინანსება ძირითადად ხმარდება ხელფასებს, ნაწილი კი კომუნალური ხარჯების ანაზღაურებას,

კვებისა და მკურნალობის ხარჯები მთლიანად ფინანსდება არასამთავრობო ორგანიზაციებიდან ნატურალური სახით და სწავლის პერიოდში ანაზღაურებს კომუნალურ ხარჯებს.

- **სკოლის გარეშე დაწესებულებათა გაერთიანების დაფინანსება**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი. აქვე ფუნქციონირებს შემოქმედებითი და ტექნიკური წრეები, სადაც მოსწავლე ახალგაზრდობა ეუფლება შესაბამის სკოლისგარეშე განათლებას.

სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2016 წელს გაიმართება და დაფინანსდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, კერძოდ: მუნიციპალიტეტის პირველობა მოსწავლეთა შორის შაშში და ჭადრაკში, მკლავჭიდში, მინი ფეხბურთში უბნებსა და ორგანიზაციებს შორის, ნ.ახალკაცის სახელობის ტურნირი ფეხბურთში, თ. გიორგაძის ხსოვნის ტრუნირი თავისუფალ ჭიდაობაში, ბ. გოგნაძის ხსოვნის ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში,მუნიციპალიტეტის პირველობა მძლეოსნობაში მოსწავლეთა შორის. კალათბურთის ჩემპიონატის ჩატარება მუნიციპალიტეტის ტ/ერთეულებსა და სკოლებს შორის. რესპუბლიკური ტურნირების მოწყობა კარატეში, თავისუფალ ჭიდაობაში, ძიუდოში. მონაწილეობის მიღება სოფელ ვახანში მ. არევაძის სახელობის სახალხო დღესასწაულში.

აგრეთვე მოხდება ხარაგაულის სასპორტო სკოლის, საფეხბურთო კლუბ ,,ჩხერიმელა -2009“–ისა და სპორტულ–გამაჯანსაღებელი და შიდა ტურიზმის ცენტრის დაფინანსება.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შ. ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლის, ხალხური შემოქმედების სახლის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ი. აბაშიძის სახელობის კულტურის ცენტრის, ცენტრალური ბიბლიოთეკის, ისტორიული მუზეუმისა და რ. თაბუკაშვილის სახ. სახალხო თეატრის სუბსიდირება.

- **ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსება, კერძოდ: ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ ორგანიზება, პროექტი ,,მხიარული სტარტების“ ჩატარება. სხვადასხვა ახალგაზრდული პროექტების დაფინანსება, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის ლაშქრობების ორგანიზება, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის ექსკურსიების ორგანიზება, პოეზიის საღამოს მოწყობა, საახალწლო ღონისძიებები, სხვადასხვა ფესტივალებში მონაწილეობა, დიდი სამამულო ომის მონაწილეებისადმი

მიძღვნილი ღონისძიება, ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ღონისძიება „ხარაგაულობა“-ს მოწყობა, სხვადასხვა შემსრულებლების მოწვევა.

- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში გათავლისწინებულია დაბაში მშენებარე საკათედრო ტაძრის სუბსიდირება. ასევე ფინანსური მხარდაჭერა გაეწევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სხვადასხვა ეკლესია–მონასტრებს.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები; ჩატარდება იმუნოპროფილაქტიკური, პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები; პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა; დავადების დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა; სანიტარული ღონისძიებები.

- **სოციალური პროგრამები**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება: მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეჭირვებული მოსახლეობის კვება, სარიტუალო ხარჯები, მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების სამედიცინო და ერთჯერადი დახმარება, სტიქიის შედეგად დაზარალებული მოქალაქეთა და ახალდაბადებული ბავშვთა ოჯახების ერთჯერადი დახმარებები.

ხონის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და წარმოადგენს ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო და კომუნალური ინფრასრუქტურის განვითარება, მუნიციპალიტეტის დასუფთავების ხელშეწყობა. ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული შიდა სასოფლო ასევე ქალაქის მიმდებარე ქუჩების გზების რეაბილიტაცია, მოასფალტება და მოვლა–შენახვა. ასევე განხორციელდება საავტომობილო გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრა

- **კომუნალური მეურნეობის განვითარება**

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა. ამ პროგრამით გათვალისწინებულია მყარი ნარჩენების გატანა ქალაქის ტერიტორიიდან ყოველდღიურად და გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებიდან გათავისუფლება, რომელიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და სანიტარულ პირობების გაუმჯობესებას; პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია, რომელიც ხელს შეუწყობს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში მცხოვრები ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას; მოხდება გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია ექსპლუატაცია. განათდება და კეთილმოეწყობა მუნიციპალიტეტის გზები;

- **კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ტროტუარებისა და გაზონების კეთილმოწყობა რეაბილიტაცია, რაც ხელს შეუწყობს ქალაქის ტერიტორიაზე მოსახლეობის და მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილებას და ქალაქის იერსახის მოწესრიგებას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ხონის მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, სასაფლაოების ინფრასტრუქტურის წესრიგში მოყვანა.

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა.

- **სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა**

საბავშვო ბაღი წარმოადგენს დაწესებულებას სკოლამდელი ასაკის ბავშვების საზოგადოებრივი აღზრდისათვის. საბავშვო ბაღი, როგორც დაწესებულების ტიპი, წარმოადგენს პირველ რგოლს განათლების სისტემაში. მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში საბავშვო ბაღების 960-ზე მეტი აღსაზრდელისთვის შეიქმნება ყველა პირობა გონებრივი და ფიზიკური განვითარებისათვის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

ქვეპროგრამის მიზანია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვის უფლებებსა და ინტერესებზე ორიენტირებული გარემოს შექმნა, ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის ჩამოყალიბება, სააღმზრდელო პროცესის მონიტორინგის მოქნილი სისტემის უზრუნველყოფა და აღმზრდელთა პროფესიული ზრდა.

სკოლის გარეშე დაწესებულებათა გაერთიანების დაფინანსება

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლი, სადაც მუშაობს შემოქმედებითი და ტექნიკური წრეები, აქ მოსწავლე-ახალგაზრდობა ეუფლება შესაბამის დაწყებით განათლებას ტექნიკურ მოდელირებაში. ასევე ფუნქციონირებს ინფორმატიკის სასწავლო ცენტრი სადაც ხორციელდება, როგორც მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენის, ასევე პირობითი მსჯავრის მქონე პირებისათვის კომპიუტერული პროგრამების სწავლება.

სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას. ქვეპროგრამის ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

2016 წელს გაიმართება და დაფინანსდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, კერძოდ: მუნიციპალიტეტის პირველობა მოსწავლეთა შორის შაშში და ჭადრაკში,მკლავჭიდში, მინი ფეხბურთში უბნებსა და ორგანიზაციებს შორის, ჭიდაობა ძიუდოში,მუნიციპალიტეტის პირველობა მძლეოსნობაში მოსწავლეთა შორის. კალათბურთის ჩემპიონატის ჩატარება მუნიციპალიტეტის ტ/ერთეულებსა და სკოლებს შორის. სხვადასხვა სპორტული წრეებში დაკავებულია 170 აღსაზრდელი.

აგრეთვე მოხდება ხონის სასპორტო სკოლის, ,,საფეხბურთო კლუბ ,,იმერეთი -2009“–ისა და სპორტულ–გამაჯანსაღებელი და შიდა ტურიზმის ცენტრის დაფინანსება.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სამუსიკო სკოლის, ხალხური შემოქმედების სახლის, ხონის მუნიციპალიტეტის ი. აბაშიძის სახელობის კულტურის ცენტრის, ცენტრალური ბიბლიოთეკის, ისტორიული მუზეუმისა და სახალხო თეატრის სუბსიდირება.

- **ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსება, კერძოდ: ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ ორგანიზება, პროექტი ,,მხიარული სტარტების“ ჩატარება. სხვადასხვა ახალგაზრდული პროექტების დაფინანსება, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის ლაშქრობების ორგანიზება, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის ექსკურსიების ორგანიზება, პოეზიის საღამოს მოწყობა, საახალწლო ღონისძიებები, სხვადასხვა ფესტივალებში მონაწილეობა, ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში გათავლისწინებულია მუნიციპალიტეტში სხვადასხვა მშენებარე ტაძრის სუბსიდირება. ასევე ფინანსური მხარდაჭერა გაეწევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სხვადასხვა მონასტრებს.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ასევე პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველოფას.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება: სანიტარული ღონისძიებები; პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები, გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა, დავადების დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა;

- **სოციალური პროგრამები**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება: ოჯახებისა და ბავშვთა სოციალური დაცვა, მადლიერების სახლი, უფასო სასადილო, სათნოების სახლი, ერთჯერადი დახმარება, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სათბობი შეშით უზრუნველყოფა, მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანთა და მასთან გათანაბრებული პირთა დაკრძალვის ხარჯი.

თვითმმართველი ქალაქ ფოთის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

თვითმმართველი ქალაქ ფოთის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ამიტომ აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ქალაქში ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.

- **გზების რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. ფოთში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და დაზიანებული ასფალტის საფარის ორმული შეკეთება, ასევე დაგეგმილია საგზაო მოძრაობის დადგენილი წესების მიხედვით შესაბამისი საგზაო ნიშნების, სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების, გადასასვლელებისა და და ტროტუარების მოწყობა. შუქნიშნების მოვლა-პატრონობა, ქუჩებში სათვალთვალო ვიდეო კამერების მოწყობა.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ჩამდინარე წყლების მართვის არსებული ქსელის მოვლა–შენახვის სამუშაოები და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **ბინათმშენებლობა**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების დაზიანებული ლიფტების რეაბილიტაცია, სახურავების შეკეთების სამუშაოები, ჭარბი ნალექებისა თუ სხვა შემთხვევისას სარდაფებში დაგროვილი წყლის ამოტუმბვა.

- **გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია**

მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქალაქის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია-რეაბილიტაცია, დაზიანებული და ამორტიზებული სანათების შეცვლა, ასევე დაფინანსდება გარე განათების საცხოვრებელი სახლების მინათების და სხვა ტიპის განათების ელ. ენერგიის ხარჯები.

- **დასუფთავების ღონისძიებები**

ქალაქისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს საიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ამ მიზნით განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები. კერძოდ, ქალაქის ქუჩების ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება, გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან გათავისუფლება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა და შემდგომ მისი უტილიზაცია. უზრუნველყოფილი იქნება ქალაქ ფოთის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველების იზოლირება. ზამთრის პერიოდში დიდთოვლიანობის შემთხვევაში განხორციელდება ქალაქში არსებული ხიდებისა და ცენტრალური გზების ჭარბი თოვლისაგან განთავისუფლება.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, შადრევნების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, 9 აპრილის ხეივანზე და ნაბადის უბანში მდებარე სკვერების, დიდების მემორიალის, ცენტრალური პარკისა და მრავალსართულიანი ს/სახლების ეზოების მოვლა-პატრონობა, მუზეუმის შენობის სახურავის შეკეთება და სხვა ღონისძიებები.

- **სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა**

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბავშვთა მეთვალყურეობა, მათი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სწავლების დონის, შესაბამისი პროგრამების, სასწავლო და მეთოდური მასალების განსაზღვრა. ქალაქის ბიუჯეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს. თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება არის 15 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ერთობლიობა, 2-დან 6 წლამდე ასაკის დაახლოებით 1420 აღსაზრდელით და 351 მომსახურე პერსონალით. გაერთიანება უზრუნველყოფს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი

ნორმის ფარგლებში ბავშვთა სრულფასოვანი სამჯერადი კვების ორგანიზაციასა და ზამთრის პერიოდში ბაღების საწვავით მომარაგებას. ბავშვები იმყოფებიან ექთნის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ. ქალაქში დღეისათვის რეაბილიტირებულია 6 საბავშვო ბაღი, სადაც დადის 738 აღსაზრდელი, რაც საერთო რაოდენობის დაახლოებით 52%–ს შეადგენს. ამ დაწესებულებებში შექმნილია ესთეტიკურად ლამაზი, უსაფრთხო და კომფორტული გარემო მომავალი თაობის სრულფასოვანი აღზრდა–განვითარებისათვის.

- **სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა**

ქალაქის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და მათ ღირსეულ გაგრძელებას. თვითმმართველობა განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

მოსახლეობის სპორტული მიმართულებით გააქტიურებისათვის საჭიროა პროგრამის ფარგლებში განხორციელდეს სხვადასხვა ორგანიზაციებისა და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

სპორტული ღონისძიებების დაფინანსება

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ტურნირების ჩატარება სპორტის ისეთ სახეობებში როგორიცაა: კრივი, რაგბი, ჭიდაობა, ცხენოსნობა, აღმოსავლური ორთაბრძოლები, საბაიდარო და კანოეთ ნიჩბოსნობა. აღნიშნული ტურნირების ჩატარებით დაფასდება ფოთის პერსპექტიული სპორტსმენების და სპორტის დამსახურებული მუშაკების მოღვაწეობა, აგრეთვე ეს ტურნირები ხელს შეუწყობს სპორტის შემდგომ განვითარებას ტურნირის ჩატარების პერიოდში აუცილებელია გამარჯვებულ სპორტსმენთა დაჯილდოება შესაბამისი სახეობების მიხედვით; თასებით, მედლებით, დიპლომებით, და სხვა ფასიანი საჩუქრებით, რაც ხელს შეუწყობს სპორტული შეჯიბრებების, თამაშების კულტურის ამაღლებას და საერთო ჯამში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობას მიიღებს დაახლოებით 1550 სპორტსმენი. ქალაქ ფოთში არსებობს ერთი პროფესიონალური კლუბი ფეხბურთში „კოლხეთი-1913“. ეს არის ერთ-ერთი სპორტის წამყვანი სახეობა, რომელიც უნდა წარმოადგენდეს პერსპექტიული განვითარების შესაძლებლობას ახალგაზრდა ფეხბურთელებისათვის, ასევე ქალაქის შემდგომი პოპულარიზაციისათვის. ფეხბურთის განვითარება და ხელშეწყობა წარმოადგენს სპორტის პოპულარიზაციის ძირითად კვანძს. დღეისათვის, ქალაქში შენდება თანამედროვე სპორტული დარბაზი 2000 მაყურებელზე, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს ქალაქის სპორტსმენებისა და ახალგაზრდობის მოთხოვნებს. ამ შენობაში მოეწყობა მნიშვნელოვანი სპორტული შეჯიბრებები და ღონისძიებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში. შენობაში გათვალისწინებულია საკონფერენციო დარბაზი, სატრენაჟორო დარბაზი, ტრიბუნებს ქვევით: გასახდელები, საშხაპეები, ექიმებისა და მწვრთნელების ოთახები. ასევე იფუნქციონირებს სავაჭრო ობიექტები, კაფე-ბარები. მიმდებარე ტერიტორიაზე დაგეგმილია ჩოგბურთის კორტებისა და ღია მოედნების მოწყობა.

- **კულტურის განვითარება**

მოსახლეობის კულტურული მიმართულებით გააქტიურებისათვის საჭიროა კულტურის განვითარების ხელშეწყობა, თეატრის მშენებლობა, რელიგიური და სხვა სახის კულტურული ღონისძიებების დაფინანსება. ახალგაზრდების ქრისტიანული ღირებულებებით აღზრდის მიზნით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფოთის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძრის

რეაბილიტაციის ხელშეწყობას. სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარებით მოხდება ნიჭიერ შემოქმედთა, შემსრულებელთა გამოვლენა და მათი შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა, დაჯილდოვება, მხატვრულ-შემოქმედებითი კოლექტივების, ანსამბლების, ჯგუფების, სტუდიების, მოყვარულთა გაერთიანებების, ბავშვთა თეატრების წარმოჩინება და განვითარება. მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდა-განათლება, საკუთარი ინდივიდუალურობის, ნიჭისა და ხელოვნებითი შემოქმედების გამოვლენა, სკოლისგარეშე დროის საინტერესოდ ორგანიზება. თემატური ინფორმაციების მოძიება-დამუშავება, სააზროვნო და სოციალური უნარების განვითარება, სკოლისგარეშე შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზება, ხელოვნების სხვადასხვა დარგების გაცნობა, შემოქმედ ბავშვთა წარმოჩენა.

ადგილობრივი მნიშვნელობის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების განხორციელება

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ქალაქისათვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველი ქალაქი ფოთი არსებული რესურსების ფარგლებში, განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. სოციალური დაცვის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია სოციალური დახმარება, როგორც ფულადი სახით, ასევე სხვადასხვა სოციალური შეღავათების დაწესების გზით, რაც გააუმჯობესებს შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ და მატერიალურ კეთილდღეობას. გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვა**

პროგრამის მიზანია ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა დაავადებათა პრევენციის, მათი გავრცელების შესწავლისა და შესაბამისად კონტროლის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობის გზით. ანტირაბიული, მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ჩატარება, ნარკომანიის, თამბაქოს, ალკოჰოლიზმის, შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის პროპაგანდა, მუშაობა მიზნობრივ ჯგუფებთან. მოსახლეობაში პროფილაქტიკურ-საგანმანათლებლო სამუშაოების წარმოება.

- **სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ფოთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენის სოციალური დახმარებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ ქალაქის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, ამიტომ აღნიშნული მიმართულება ადგილობრივი ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **გზის მშენებლობა რეაბილიტაცია**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს ქალაქის შიდა გზების რეაბილიტაცია. 2016 წელს იგეგმება ზუგდიდის შიდა გზების ორმული შეკეთების სამუშაოები. ასევე იგეგმება ხიდების მშენებლობა და რეაბილიტაცია.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა, სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია, წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის მოწესრიგება. დაფინანსდება გარე განათების მოწყობა ასევე უზრუნველყოფილი იქნება არსებული ქსელის მოვლა-შენახვა. ამავე პროგრამით 2016 წელს პირველად იგეგმება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ფინანსური ხელშეწყობა.

- **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული, პარკებისა და სკვერების კეთილმოწყობის სამუშაოები, შადრევნებისა და ბოტანიკური ბაღის მოვლა-შენახვა, საგზაო ნიშნების მოწყობა, სადღესასწაულო დღეებში ქალაქის მორთვა–გაფორმება და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობების რეაბილიტაცია. პროგრამის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის დაცვა და გაუმჯობესება. ყოველდღიურად 60 ჰექტარამდე ფართის დაგვა–დასუფთავების და 140-160 კუბურ მეტრამდე ნარჩენების გატანა მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი დანიშნულების ტერიტორიიდან, მრავალსართულიანი საცხოვრებლის ბუნკერებიდან, კომპაქტურად ჩასახლებული მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილებიდან, სტიქიური ნაგავსაყრელების ლიკვიდაცია. ზამთრის პერიოდში გზების ტექნიკური მასალით დამუშავება, ჭარბი თოვლისაგან გაწმენდა.

- **სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 17 საბავშო ბაღი სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1900 ბავშვი, პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს მათ შორის ბავშვების კვების ხარჯებს, (კვების ნორმა გაზრდილია 32 ლარამდე ეს უზრუნველყოფს სრულფასოვან კვებას და შესაბამისად ჯანსაღი თაობის აღზრდას) აღმზრდელ მასწავლებელთა ხელფასებს, ბაღების რეაბილიტაციისა და სხვა მიმდინარე ხარჯებს. პროგრამის მიზანია სკოლამდელი ასაკის ბავშვების მომზადება, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის, მათი უნარების განვითარება და სასკოლო განათლებისათვის მომზადება. ასევე პროგრამის მიზანია საბავშვო ბაღებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე აღსაზრდელების ინტეგრაციის და გარემოსთან ხელმისაწვდომობის ღონისძიებათა გატარება.

სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული და სპორტული სფეროს მკვეთრად გაუმჯობესებას. კულტურული და სპორტული ღონისძიებების ჩატარების, დასვენების, კულტურის და სპორტული ობიექტების მოწყობა რეაბილიტაციას.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: სპორტული ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება, სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია, სპორტსმენთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობა, ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ დაგეგმილ ტურნირებში ადგილობრივ სპორტსმენთა ჩართულობის გაზრდა, სპორტის ექსტრემალური სახეობების განვითარება, ადგილობრივ დონეზე ნაკლებად განვითარებული სპორტის სახეობების პოპულარიზაცია და განვითარების ხელშეწყობა. პრიორიტეტის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

უზრუნველყოფს სპორტის უმნიშველოვანესი სახეობის ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობას. რომლის ფარგლებშიც ფინანსურ დახმარებას უწევს საფეხბურთო კლუბ ზუგდიდს.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება კულტურულ შემეცნებითი გასართობი ღონიძიებების ჩატარება, კულტურული ტრადიციების დაცვა–აღდგენა, სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მუსიკალური კოლექტივების ფუნქციონირება და განვითარება.

- **ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება**

პროგრამის მიზანი არის სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის გატარების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, ახალგაზრდების საჭიროებებიდან, მისწრაფებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე მათთვის მცირე პროექტების თანადაფინანსება, ახალგაზრდების აქტიური დასვენებისა და გართობის ხელშეწყობა, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისათვის მიმართული ღონისძიებები. ახალგაზრდული აქტივობის ზრდა, მაღალი საზოგადოებრივი ჩართულობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულიარიზაცია, მოტივაცია განათლებისა და თვითგანათლებისათვის. ახალგაზრდების განათლების ხარისხის განსაზღვრა, მათი საზოგადოებრივი აქტიურობა.

ადგილობრივი მნიშვნელობის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების განხორციელება

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა თვითმმართველობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას, როგორც ფულადი ასევე სასაქონლო ფორმით.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენისათვის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში და ასევე ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით კანონმდებლობით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების გაწევას, მძიმე დაავადების მქონე პირების მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით დახმარებას, დაავადებული გადახდის უუნარო პირებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარებას.

- **სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენის სოციალური დახმარებას როგორიცაა: უმწეო მოსახლეობის (სარეიტინგო ქულა 0–57000) ყოფითი პირობების გაუმჯობესება, ყოველდღიურად 250 უმწეო მოქალაქის უზრუნველყოფა ცხელი სადილით და სადღესასწაულო დღეებში (ახალი წელი, აღდგომა, 9 მაისი) მატერიალური და ფინასური მხარდაჭერა, ვეტერანების ღვაწლის დაფასება და პატივისცემა. გარდაცვალების შეთხვევაში ომის ვეტერანების ოჯახებზე დაკრძალვის ხარჯების გაწევისათვის დახმარება, ომის ვეტერანთა სრული შემადგენლობის სოციალური უზრუნველყოფა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ფინანსური მხარდაჭერა მათი რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია საზოგადოებაში, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი დახმარება 100 ლარის ოდენობით (0-200000 სარეიტინგო ქულის გათვალისწნებით) საზღვრისპირა რეგიონის მოსახლეობაზე ზრუნვა და ხელშეწყობა. ასევე პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მგზავრობის საფასურის თანადაფინასება, დევნილი მოსახლეობის საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის და საყოფაცხოვრებო პირობების ხელშეწყობის ხარჯები, გარდაცვლილი დევნილი მოსახლეობის დახმარება და სხვა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, ამიტომ აღნიშნული მიმართულება ადგილობრივი ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **გზის მშენებლობა რეაბილიტაცია**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტისთვის ერთერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს სოფლებთან დამაკავშირებელი გზების რეაბილიტაცია. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული გზების და ხიდების მოვლა-შენახვის რეაბილიტაცია, ორმული შეკეთებების შენარჩუნება, ასევე გათვალისწინებულია საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების მომზადება რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოსაყოფი პროექტების განსახორციელებლად.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის გაფართოება და არსებული ქსელის მოვლა შენახვა, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან და კომპაქტურად ჩასახლებული დევნილი მოსახელობის საცხოვრებელი ადგილიდან ნარჩენების გატანა, სასაფლაოების მოვლა პატრონობა, ზამთრის პერიოდში გზების ტექნიკური მარილით დამუშავება და ჭარბი თოვლისგან გაწმენდა. წყალსადენი ქსელის გაფართოება, სოფლის მოსახლეობის საჭიროებათა გათვალისწინებით საბინაო კომუნალური პირობების გაუმჯობესება.

- **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

აღნიშნული პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესება, სოფლის ცენტრების კეთილმოწყობა, გაზონების, სკვერების გამწვანება და მოვლა-შენახვა, სანიაღვრე არხების, ბორდიურების, ტროტუარების, რეაბილიტაცია და მოწყობა, ასევე იგეგმება სოფლის ტერიტორიების იერსახის გაუმჯობესება.

- **სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 44 საბავშო ბაღი სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1870 ბავშვი პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს მათ შორის ბავშვების კვების ხარჯებს, აღმზრდელ მასწავლებელთა ხელფასებს, ბაღების რეაბილიტაციისა და სხვა მიმდინარე ხარჯებს. პროგრამის მიზანია სკოლამდელი ასაკის ბავშვების მომზადება, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის, მათი უნარების განვითარება და სასკოლო განათლებისათვის მომზადება. ასევე პროგრამის მიზანია საბავშვო ბაღებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე აღსაზრდელების ინტეგრაციის და გარემოსთან ხელმისაწვდომობის ღონისძიებათა გატარება.

სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული და სპორტული სფეროს მკვეთრად გაუმჯობესებას. კულტურული და სპორტული ღონისძიებების ჩატარების, დასვენების, კულტურის და სპორტული ობიექტების მოწყობა რეაბილიტაციას.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: სპორტული ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება, სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია, სპორტსმენთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობა, ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ დაგეგმილ ტურნირებში ადგილობრივ სპორტსმენთა ჩართულობის გაზრდა, სპორტის ექსტრემალური სახეობების განვითარება, ადგილობრივ დონეზე ნაკლებად განვითარებული სპორტის სახეობების პოპულარიზაცია

და განვითარების ხელშეწყობა. პრიორიტეტის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სპორტის უმნიშვნელოვანესი სახეობის ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობას.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება კულტურულ შემეცნებითი გასართობი ღონიძიებების ჩატარება, კულტურული ტრადიციების დაცვა–აღდგენა, სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მუსიკალური კოლექტივების ფუნქციონირება და განვითარება.

- **ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება**

პროგრამის მიზანი არის სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის გატარების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, ახალგაზრდების საჭიროებებიდან, მისწრაფებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე მათთვის მცირე პროექტების თანადაფინანსება, ახალგაზრდების აქტიური დასვენებისა და გართობის ხელშეწყობა, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისათვის მიმართული ღონისძიებები. ახალგაზრდული აქტივობის ზრდა, მაღალი საზოგადოებრივი ჩართულობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულიარიზაცია, მოტივაცია განათლებისა და თვითგანათლებისათვის. ახალგაზრდების განათლების ხარისხის განსაზღვრა, მათი საზოგადოებრივი აქტიურობა.

ადგილობრივი მნიშვნელობის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების განხორციელება

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა თვითმმართველობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას, როგორც ფულადი ასევე სასაქონლო ფორმით.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენისათვის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში და ასევე ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით კანონმდებლობით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების გაწევას, მძიმე დაავადების მქონე პირების მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით დახმარებას, დაავადებული გადახდის უუნარო პირებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარებას.

- **სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენის სოციალური დახმარებას როგორიცაა: ვეტერანების ღვაწლის დაფასება და პატივისცემა. გარდაცვალების შეთხვევაში ომის ვეტერანების ოჯახებზე დაკრძალვის ხარჯების გაწევისათვის დახმარება, ომის ვეტერანთა სრული შემადგენლობის სოციალური უზრუნველყოფა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ფინანსური მხარდაჭერა მათი რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია საზოგადოებაში, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი დახმარება 100 ლარის ოდენობით (0-200000 სარეიტინგო ქულის გათვალისწინებით) საზღვრისპირა რეგიონის მოსახლეობაზე ზრუნვა და ხელშეწყობა. ასევე პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მგზავრობის საფასურის თანადაფინანსება, დევნილი მოსახლეობის საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის და საყოფაცხოვრებო პირობების ხელშეწყობის ხარჯები, გარდაცვლილი დევნილი მოსახლეობის დახმარება და სხვა.

აბაშის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

- **გზების მშენებლობა რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში 2016 წელს იგეგმება მარანი-პირველი მაისის-გაუწყინარის, ეწერი-საგვაზაოს და ქოლობნის საავტომობილო გზების მოსფალტება. მოიხრეშება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შიდა სამიმოსვლო გზები და ყურადღება მიექცევა არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის მოვლა-შენარჩუნებას.

- **აბაშის კეთილმოწყობა**

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ ''აბაშის კეთილმოწყობა", რომელიც ახორციელებს ქალაქის ტერიტორიის ყოველდღიურ დაგვა-დასუფთავებას, საცხოვრებელი მრავალბინიანი ეზოების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან გათავისუფლებას, ნაგავსაყრელზე ნაგვის კომპოსტირებას, ზამთრის პერიოდში დიდთოვლიანობის შემთხვევაში გზებისა და ტროტუარების ჭარბი თოვლისაგან გაწმენდას. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალურ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება. ასევე პროგრამის ფარგლებში ხორციელდება არსებული გამწვანების მოვლა-პატრონობა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება. ქ. აბაშის და სოფლის ტერიტორიების გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და მოხმარებული ელექტრო ენერგიის ღირებულების დაფარვა. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სადღესასწაულო დღეებში ქალაქის გაფორმება სხვადასხვა დეკორაციებით.

სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის ფარგლებში სუბსიდირდება ა(ა)იპ "აბაშის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულება" მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 18 საბავშო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 750 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს კვებითი მომსახურებისათვის გაწეულ ხარჯს, აგრეთვე ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს. ბაღებს კორდინაციას უწევს ა(ა)იპ "აბაშის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულება".

სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

აბაშის მუნიციპალიტეტში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სპორტული და კულტურული ტრადიციების დაცვას. მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული და კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას.

- **სპორტის განვითარების ცენტრი**

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „აბაშის სპორტის განვითარების ცენტრი“, სადაც ფუნქციონირებს სპორტული სექციები როგორიცაა: ცხენოსნობა, მინდვრის ჰოკეი, ჭადრაკი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, მძლეოსნობა, მაგიდის ჩოგბურთი, ძიუდო, კალათბურთი, რომელიც ხელს შეუწყობს მასობრივი სპორტის განვითარებას, სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა ჩატარებას, პერსპექტიული ჭაბუკი სპორტსმენების საწვრთნელი პროცესის ორგანიზებას და ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის მომზადებას, ეროვნული სახეობების (ცხენოსნობა) განვითარებას.

- **ფეხბურთის განვითარების ცენტრი**

მუნიციაპლაიტეტში დიდი ყურადღება ეთმობა საფეხბურთო ჯგუფების საქართველოს და რეგიონის ჩემპიონატებში მონაწილეობას. რისთვისაც შეიქმნა ა(ა)იპ „აბაშის ფეხბურთის განვითარების ცენტრის“ რომელიც მთლიანად ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

- **ბიბლიოთეკების გაერთიანება**

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ ბიბლიოთეკების გაერთიანება რომელშიც შედის 17 სასოფლო განყოფილება და ერთი მმართველი მთავარი ბიბლიოთეკა, სადაც ხდება ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობის ხელშეწყობა, წიგნადი ფონდების შევსება, დაკომპლექტება და სრული აღრიცხვა, ყველა ასაკის მკითხველის მომსახურება საჭირო ინფორმაციით და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით.

- **ხელოვნების სკოლა**

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ "აბაშის ხელოვნების სკოლა", სადაც სწავლობს 190 მოსწავლე, სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობენ შიდა სასკოლო, რეგიონულ და რესპუბლიკურ კონკურსებში. სკოლა ზრუნავს გამოავლინოს და წარმოაჩინოს განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები, დაეხმაროს მათ პროფესიული ორიენტაციის და მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებაში;

- **აბაშის მაცნე**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსების ხარჯი, რომელიც ხელს შეუწობს ახალგაზრდა თაობის ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

ადგილობრივი მნიშვნელობის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების განხორციელება

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვა**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას.

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, შეჭირვებულთა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს,

მარტვილის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

- **გზების მშენებლობა რეაბილიტაცია**

მარტვილის მუნიციპალიტეტის შიდა გზები დაახლოებით 1000-კმ. აჭარბებს აქედან გამომდინარე შიდა გზების რეაბილიტაცია 2016 წელსაც მუნიციპალიტეტისთვის ერთერთ უმნიშვნელოვანეს

პრიორიტეტს წარმოადგენს. მიმდინარე წელს დასრულდება დიდი ჭყონი-კიწიას გზის და სელესაოს უბანში დადიანის ქუჩაძე გზის რეაბილიტრაცია, ასევე იგეგმება სალხინო წაჩხურას უბნის გზის მოასფალტება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში როგორც ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამით" ასევე ადგილობრივი ბიუჯეტით და გამოყოფილი თანხებით უამრავი ხიდისა და ბოგირების რეაბილიტაცია მოხდა, მაინც არის ობიექტები რომელთა რეაბილიტაციაც პრიორიტეტულია.

- **კეთილმოწყობის ცენტრი**

აღნიშნული პროგრამის მიხედვით შექმნილია კეთილმოწყობის ცენტრი რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: ქალაქის დაგვა-დასუფთავება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანა, მწვანე საფარის მოვლა პატრონობა, გარე განათების სერვისის მოვლა, შადრევნებისა და აუზების, წყლის სისტემემების გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ტროტუარებისა და ბორდიურების კეთილმოწყობა, ქალაქის ტერიტორიის მოხეტიალე პირუტყვისაგან დაცვა. ქ. მარტვილის საბაგირო გზის მომსახურება. მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული სპეც. ტექნიკის გრეიდერის მოვლა-შენახვა და მუნიციპალიტეტის საჭიროებიდან გამომდინარე სამუშაოების შესრულება.

სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მარტვილის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 16 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 860 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის ბავშვების კვების ხარჯების, მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს, ბაღების რეაბილიტაციისა და სხვა მიმდინარე ხარჯებს.

სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და მათ ღირსეულ გაგრძელებას. თვითმმართველობა განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა ორ ძირითად მიმართულებას მოიცავს ეს არის სპორტული სკოლა და საფეხბურთო სკოლა. სპორტსკოლაში სწავლობს 320 მოსწავლე, ფუნქციონირებს 14 ჯგუფი: ჭადრაკის, ბერძნულ რომაული ჭიდაობის, ძიუდოს, რაგბის, მძლეოსნობის, უშუს, კიკბოქსინგის, კრივის, ტაეკვანდოს, ტანვარჯშის ჯგუფები. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მონაწილეობა საქართველოს და რეგიონალურ ჩემპიონატებში. საფეხბურთო სკოლაში ფუნქციონირებს 9 ჯგუფი, სადაც სწავლობს 160 მოსწავლე. პროგრამის ფარგლებში საფეხბურთო სკოლის გუნდების მონაწილეობა დაგეგმილია: მუნიციპალიტეტის სოფლებს შორის ჩემპიონატში, საჯარო სკოლებს შორის ჩემპიონატში 4 ასაკობრივ ჯგუფში, წარმოება-დაწესებულებებს შორის ჩემპიონატში მინი ფეხბურთში და საჯარო სკოლებს შორის ჩემპიონატში 2 ასაკობრივ ჯგუფში.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქორეოგრაფიული სტუდიების მონაწილეობა მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში, რეგიონალურ და რესპუბლიკურ კონკურსებში, ასევე შავი ზღვის აუზის და სხვა საეთაშორისო კონკურსებში. 14 მაისს თამარობის დღესთან, 26 მაისს დამოუკდებლობის დღესთან, 25 სექტემბერს ჭყონდიდელობასთან დაკავშირებით დაგეგმილია სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიებები. ასევე ივნისის ბოლოს ტარდება კონცერტი. მხარეთმცოდნეობის მუზეუმში არსებობს საცდელი ნაკვეთი, სადაც მიმდინარეობს სხვადასხვა ჯიშის ყურძნის გამოყვანა. აგრეთვე დაგეგმილია სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რეაბილიტაციის დასრულება. ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საინფორმაციო ბუკლეტებისა და ჟურნალების გამოცემა. მოსახლეობის ინფორმირების მიზნით მუნიციპალიტეტში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ გამოიცემა გაზეთი და ხდება საეთერო დროის შესყიდვა.

- **ახალგაზრდული პროგრამის დაფინანსება**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ფოლკლორული ფესტივალების, პროექტ ,,ეტალონის", სასკოლო ოლიმპიადების და სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების დაფინანსება.

ადგილობრივი მნიშვნელობის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების განხორციელება

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მარტვილის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვა**

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური. რომელიც ახორციელბს ინფექციური და არაგადამდები დავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიულ დაავადებათა თავიდან აცილების ღონისძიებებს, დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირების გზით.

- **სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენისთვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, დევნილთა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარებას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სამედიცინო სადაზღვეო პოლისის არ მქონე პირების დახმარებას, მუნიციპალიტეტში მცხოვრები 100 და 100 წელს გადაცილებული მოქალაქეების მატერიალურ დახმარებას, უკიდურესად შეჭირვებულთა დახმარებას, დედმამით ობოლი ბავშვების დახმარებას, 18 წლამდე ინვალიდ ბავშვთა დახმარებას, ახალშობილი ბავშების დახმარებას, სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

სენაკის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

სენაკის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ინფრასტრუქტურის განვითარება, ამ მიზნით ხორციელდება მთელი რიგი პროექტები, როგორიცაა:

- **გზების მშენებლობა რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში რეაბილიტრებული იქნება ძირითადი გზები, ასფალტ-ბეტონის საფარი დაიგება ქალაქის ქუჩებში, მოიხრეშება და მოწესრიგდება სოფლების შიდა საუბნო გზები

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და განხორციელდება უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია.

- **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული, პარკებისა და სკვერების კეთილმოწყობის სამუშაოები, შადრევნების მოვლა–შენახვა, საგზაო ნიშნების მოწყობა, სადღესასწაულო დღეებში ქალაქის მორთვა–გაფორმება.

- **სოფლის მეურნეობა**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება: მუნიციპალიტეტში ვაზისა და ხეხილის ეროვნული სანერგე მეურნეობიდან თანამედროვე სანერგე მასალის შეძენა და სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა ტერიტორიული ორგანოებსა და სააღმზრდელო დაწესებულებებში; ტერიტორიული ორგანოების სპეციალისტების გადამზადება ხეხილის ნერგების გასხვლა–მოყვანის შესწავლის მიზნით; თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და მოსახლეობის ინფორმირებულობის მიზნით დაინტერესებული პირების გაყვანა სხვადასხვა რეგიონებში აგრარული სექტორის მიღწევების გაცნობის მიზნით; სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სხვა ორგანიზაციების მიერ მოწყობილ ფესტივალებსა (ქართული ყველის, ქართული ღვინის) და სერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის მიღება.

-

სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის ფარგლებში მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს ცხოვრების ისეთი პირობები, რომელიც ხელს შეუწყობს მის ფიზიკურ, გონებრივ და ესთეთიკურ განვითარებას. აქედან გამომდინარე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს განსაკუთრებული როლი ეკისრება ბავშვის განვითარებაში. ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპი სწორედ საბავშვო ბაღებში ხდება აქ ეყრება საფუძველი მოზარდის ჯანმრთელობის განმტკიცებას და მის სკოლამდელ აღზრდას მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 25 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1350 ბავშვი. მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს. ბაღებს კოორდინაციას უწევს ა.ი.პ. „სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება“

სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული და სპორტული სფეროს მკვეთრად გაუმჯობესებას. კულტურული და სპორტული ღონისძიებების ჩატარების, კულტურის, დასვენების და სპორტული ობიექტების მოწყობა რეაბილიტაციის ხარჯებს.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

სპორტის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს სპორტის სხვადასხვა სახეობების 16 სექცია, მათ შორის: ძიუდო (2 სექცია) 30 ბავშვზე, კრივი (4 სექცია) 66 ბავშვზე, კარატე (2 სექცია) 35 ბავშვზე, ჭადრაკი (3 სექცია) 52 ბავშვზე, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობა (4 სექცია) 83 ბავშვზე, რაგბი (5 სექცია) 87 ბავშვზე, რაგბის ლიგა (3 სექცია) 87 ბავშვზე, კალათბურთი (4 სექცია) 64 ბავშვზე, სპორტულ-გამაჯანსაღებელი (1 სექცია) 20 ბავშვზე. წლის განმავლობაში ეწყობა სხვადასხვა ტურნირები როგორიცაა: შობისა და და ნათლისღებისადმი მიძღვნილი ტურნირი ჭადრაკში, ი.ნარმანიას ხსოვნისადმი მიძღვნილი რეგიონალური ტურნირი ძიუდოში, მუნიციპალიტეტის პირველობა სკოლებს შორის, 9 აპრილისადმი მიძღვნილი რაიონული პირველობა კალათბურთში, 26 მაისისადმი მიზღვნილი რაიონული პირველობები სკოლებს შორის ფეხბურთში, ზაზა ფაჩულიას სახელობის ფესტივალი, (სენაკი მოწვეული გუნდები) სენაკის მუნიციპალიტეტის პირველობა სკოლებს შორის მძლეოსნობაში, თ.სანიკიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი რაგბში, რეგიონალური პირველობა (სკოლის ასაკი) კარატეში, რეგიონალური პირველობა ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში, კ.ჯოჯუას, შ.მორჩილაძის და ა.მურღულიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში, რეგიონალური ფესტივალი ლელო ბურთში, კ.ნარმანიას ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი კალათბურთში.

- **კულტურული ღონისძიებების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ა.ი.პ,,სენაკის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის" დაფინანსება, რომელიც ხელს უწყობს ქართული ფოლკლორის განვითარებას, თანამშრომლობს ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეებთან, შემოქმედებით კოლექტივებთან, ცალკეულ ხელოვანებთან, ატარებს სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს და უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებებსა და ფესტივალებში. აწყობს სახვითი დეკორატიული-გამოყენებითი და ხალხური შემოქმედების ნაწარმოებების გამოფენას. კულტურის ცენტრი უზრუნველყოფს ბიბლიოთეკების, მუზეუმების და კულტურის სახლების ფუნქციონირებას. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 17 ბიბლიოთეკა, ერთი საჯარო, ერთი საბავშვო და 15 სათემო. წლის განმავლობაში ბიბლიოთეკები ემსახურება 10900 მკითხველს, მათ შორის 1-9 კლასის 2800 მოსწავლეს. ბიბლიოთეკებში ყოველწლიურად შედის ახალი ლიტერატურა. ბიბლიოთეკებში ტარდება სხვადასხვა სახის მასობრივი ღონისძიებები, ეწყობა შეხვედრები, მკითხველთა კონფერენციები, თემატური და ლიტერატურული საღამოები. ცენტრი კოორდინაციას უწევს ჟ. შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, თ. დავითაიას. სახელობის მუზეუმს, არნოლდ ჩიქობავას მუზეუმს. სამუზეუმო კოლექციებში ძირითადად დაცულია მათი ცხოვრების ამსახველი ფოტომასალები და პირადი ნივთები.

- **ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

ადგილობრივი მნიშვნელობის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების განხორციელება

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა თვითმმართველობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას, როგორც ფულადი ასევე სასაქონლო ფორმით.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში და ასევე ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით კანონმდებლობით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მძიმე დაავადების მქონე პირების მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით დახმარებას, დაავადებული გადახდის უუნარო პირებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარებას.

- **სოციალური უზრუნველყოფა**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: სოციალურად დაუცველი და მეურვეობას მოკლებული მოსახლეობისათვის დღეში ერთჯერადად უფასო კვებით უზრუნველყოფა, (180 ბენეფიციარი) შობადობის წახალისება სამი და მეტი შვილის შეძენის შემთხვევაში გაიცემა ფულადი დახმარება 200 ლარი, იშვიათი დაავადების მქონე ბავშვების დახმარება (5 ბავშვი) თითოეულზე კვარტალურად გაიცემა 300 ლარი, ხანძრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოქალაქეების დახმარება სრული ზარალის შემთხვევაში ერთ ოჯახზე 2500 ლარის ოდენობით, ხოლო ნაწილობრივი ზარალის შემთხვევაში 1000 ლარით. კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურება, გარდაცვლილი დევნილი მოქალაქის ოჯახზე 100 ლარი, ომის ვეტერანის ოჯახზე 250 ლარი.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია და გზებზე ახალი სანათი წერტილების მოწყობა.

- **დასუფთავების ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დაბა ჩხოროწყუში ქუჩების ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ასევე საცხოვრებელი კორპუსების შიდა ბუნკერების და გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება. ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტენიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლიანობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისგან გათავისუფლება. ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, შადრევნების მოწყობა, მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, საგზაო ნიშნების გადასასვლელებისა და ფეხით მოსიარულეთა ტროტუარების მოწყობა, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, ქალაქის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები.

სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 34 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1012 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი აფინანსებს

ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის ბავშვების კვების ხარჯს, მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს, ასევე ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული და კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული სკოლებისა და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. ეს პროგრამა მოიცავს ა(ა)იპ „მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრის“ დაფინანსებას, რომელიც აერთიანებს სპორტულ სკოლებს და 80–მდე სპორტსმენს

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

კულტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „ჩხოროწყუ ისტორიული მუზეუმი“ და ა(ა)იპი „კულტურის სახლი“ რაც ხელს უწყობს საზოგადოების ფართო ნაწილის მონაწილეობას ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში.

ადგილობრივი მნიშვნელობის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების განხორციელება

აღნიშნული პროგრმა მოიცავს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურებას და მოსახლეობის სოციალურ უზრუნველყოფას.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვა**

საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი ღონისძიებები: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფექციებისა და სხვადასხვა დაავადებათა ლიკვიდაცია და პრევენცია, არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია, მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

- **სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს შემდეგი ღონისძიებების დაფინანსებას. კერძოდ: სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა ოჯახის წევრებზე სამედიცინო დახმარებას, სარიტუალო მომსახურებას, უფასო სასადილოს დაფინასებას, ოჯახებისა და ბავშვების სოციალურ დაცვას, მუნიციპალიტეტში მცხოვრები 100 და 100 წელს გადაცილებული მოქალაქეების მატერიალურ დახმარებას, სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, სადღესასწაულო დახმარების პროგრამას.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **გზების მშენებლობა რეაბილიტაცია**

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლის განმავლობაში აქცენტი გაკეთდება მუნიციპალიტეტში ძირითადი გზების მოასფალტებაზე, თემების შიდა საუბნო გზების მოხრეშვა-მოსწორებაზე.

- **კომუნალური მეურნეობის განვითარება**

ბოლო წლებში განხორციელებული სხვადასხვა პროექტების მიუხედავად, მაინც არასათანადო პირობებია მუნიციპალიტეტის კომუნალურ მეურნეობაში, რამდენიმე სოფელს არასტაბილურად მიეწოდება სასმელი წყალი, არცერთ სოფელში არ არის მოწესრიგებული საკანალიზაციო სისტემები, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს კომუნალური მეურნეობის განვითარება, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლების განმავლობაში მოწესრიგდება წყალმომარაგება, რეაბილიტაცია ჩაუტარდება სხვადასხვა სოფლებში დაზიანებულ წყალგაყვანილობის სისტემებს, მოწესრიგდება საკანალიზაციო სისტემები, საბინაო ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის თანადაფინანსების პრინციპით შეკეთდება მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავები და სადარბაზოები. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მათ შორის ქ. წალენჯიხაში და დაბა ჯვარში საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციის და მიდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობის სამუშაოები.

სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 32 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1250 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

როგორც ბოლო წლების განმავლობაში, ისე მომდევნო პერიოდშიც მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებების დაფინანსება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტის განვითარების ხელშეწყობა რაც გულისხმობს სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციას, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზებას და ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერას სხვადასხვა ჩემპიონატებში. მუნიციპალიტეტში დიდი ყურადღება ეთმობა ფეხბურთის განვითარებას, ამ მიზნით ფინანსდება ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე პირველი ლიგის გუნდი „სქური“. დღეის მდგომარეობით გუნდში ირიცხება 20 სპორტსმენი.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ა(ა)იპ ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის” დაფინანსება, რომელიც ხელს უწყობს ქართული ფოლკლორის განვითარებას, თანამშრომლობას ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეებთან, შემოქმედებით კოლექტივებთან, ცალკეულ ხელოვანებთან, სხვადასხვა დარგის დამსახურებულ მოღვაწეებთან, სხვადასხვა კულტურული, მათ შორის, ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარებას და უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებებსა და ფესტივალებში. აწყობს სახვითი დეკორატიული-გამოყენებითი და ხალხური შემოქმედების ნაწარმოებების გამოფენას, სტუდენტური დღეების და მხიარული სტარტების ცატარებას, მომსახურებას უწევს ღირშესანიშნავი თარიღების აღნიშვნას, სახალხო დღესასწაულების აღსანიშნი ღონისძიებების ჩატარებას („გრანელობა“, „ჯარალუა“, „ტარასობა“ და სხვა). კულტურის ცენტრი უზრუნველყოფს ბიბლიოთეკების, მუზეუმების, კლუბების და კულტურის სახლების ფუნქციონირებას.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 21 ბიბლიოთეკა, მათ შორის 1 საბავშვო, 1 ცენტრალური და 19 სათემო. წლის განმავლობაში ბიბლიოთეკები ემსახურება 17 ათასამდე მკითხველს, მათ შორის 1-9 კლასის 4 ათასამდე მოსწავლეს. კოორდინაციას უწევს ტერენტი გრანელის სახელობის მუზეუმს, ეთნოგრაფიულ მუზეუმს, ლეო ქიაჩელის მუზეუმს, აკადემიკოს ტარას კვარაცხელიას სახელობის მუზეუმს. სამუზეუმო კოლექციებში ძირითადად დაცულია მათი ცხოვრების ამსახველი ფოტომასლები და პირადი ნივთები, რომლებიც სისტემატურად ღებულობენ დამთვალიერებლებს, მათ შორის უცხოელ ტურისტებსაც. მუზეუმში ჩამოყალიბებულია ახალგაზრდა შემოქმედთა კლუბები, სადაც ტარდებამრავალი საინტერესო კულტურული სამეცნიერო და შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებები..

ადგილობრივი მნიშვნელობის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების განხორციელება

აღნიშნული პროგრმა მოიცავს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურებას და მოსახლეობის სოციალურ უზრუნველყოფას.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვა**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ქ. წალენჯიხასა და ქ. ჯვარში ამბულატორიები და პოლიკლინიკები რათა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება, ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება, სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში.

- **სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს მოსახლეობის სხვადასხვა ფენისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. როგორიცაა: სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვების ანაზღაურება, ასევე საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვა სოციალურ ღონისძიებები, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ხობის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ხობის მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ამიტომ აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

- **გზების რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში 2016 წელს იგეგმება ჯავახიშვილის, გურამიშვილის, მშვიდობის, ძუკუ ლოლუას და ვეკუას ქუჩების რეაბილიტცია. ასევე განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია**

ქვეპროგრამის ფარგლებში 2016 წელს მოეწყობა სანიაღვრე და სარწყავი არხები, რეაბილიტაცია ჩაუტარდება წყალმომარაგების სისტემებს. იგეგმება ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა, გარდა ამისა შ.პ.ს. ,,ხობი დასუფთავება და განათება“ უზრუნველყოფს ქალაქის სკვერებისა და პარკების, გარე

განათების მოვლა-შენახვისა და დასუფთავების ღონისძიებების გახორციელებას. მის მართვაშია მოსახლეობის მყარი საყოფავხოვრებო ნარჩენების ხობის ნაგავსაყრელი პოლიგონი.

სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

რამდენადაც დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი არის სკოლამდელი განათლება, რაც თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებას განეკუთვნება და შესაბამისად ერთ–ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. ხორციელდება ღონისძიებები საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსებაზე და მათ რეაბილიტაციაზე. სულ ხობის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 30 საბავშვო ბაღი სადაც დაწყებით განათლებას იღებს საშუალოდ 1100 ბავშვი.

სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და მათ ღირსეულ გაგრძელებას. თვითმმართველობა განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

მოსახლეობის სპორტული მიმართულებით გააქტიურებისათვის საჭიროა პროგრამის ფარგლებში განხორციელდეს სხვადასხვა ორგანიზაციებისა და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

კულტურის განვითარება

ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის კულტური ცენტრი"-ს მეშვეობით მუნიციპალიტეტი ახდენს სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, ახორციელებს კულტურულ ღონისძიებებს, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობ და სანახაობრივ ღონისძიებებს. ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის კულტური ცენტრი" კოორდინირებას უწევს ქ. ხობში კულტურის სახლის, ცენტრალური ბიბლიოთეკის, 12 სასოფლო ბიბლიოთეკის, 8 სასოფლო კლუბის, 2 სასოფლო კულტურის სახლის და 3 მუზეუმის მუშაობას. წლის განმავლობაში დაგეგმილია ისეთი თემატური ღონისძიება როგორიცაა ხალხური პოეზიის გამოვლენა და შემოქმედ ოჯახებთან შეხვედრა, ახალგაზრდა თაობის ჩართვით. მუნიციპალიტეტი სუბსიდირებას უწევს შ.პ.ს. ,,ხობის მოამბე“-ს.

ადგილობრივი მნიშვნელობის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების განხორციელება

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ხობის მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში, განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვა**

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხორციელდება: სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით, დერატიზაციის, დეზინფექციისა და საბონიფიკაციო ღონისძიებების ორგანიზება, პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.

- **სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენისათვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება მძიმე ავამყოფობთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება, ხანდაზმულთა დახმარება, მარჩენალდაკარგულ პირთა დახმარება, ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა დახმარება, დევნილთა სოციალური დაცვა, ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება, ომის ვეტერანთა დახმარება.

მესტიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მესტიის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარი პრიორიტეტია.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობის რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია, წყალმომარაგების სისტემების მოწყობა, მუნიცპალიტეტის დაგვა-დასუფთავება მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანა, მწვანე საფარის მოვლა პატრონობა, გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია.

სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მესტიის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლების ხელშეწყობას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 21 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 341 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მოსწავლეთა კვების, მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარებასთან ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს სპორტული და კულტურული ტრადიციების დაცვას და მათ ღირსეულ გაგრძელებას. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული და კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

სპორტის განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება, წლის განმავლობაში მოეწყობა სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები და შეჯიბრებები.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების და ღონისძიებების ხელშეწყობა, დაფინანსდება კულტურის საქალაქო ცენტრის, მუსიკალური და სამხატვრო სკოლების, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის, სასოფლო კლუბების, ბიბლიოთეკების ღონისძიებები. ქვეპროგრამა განხორციელდება ა.ა.ი.პ. "მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლების გაერთიანების" სუბსიდირების გზით.

ადგილობრივი მნიშვნელობის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების განხორციელება

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებების და შეღავათების უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვა**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, აღნიშნულ ფარგლებში დაფინანსდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური.

- **სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენისთვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სამედიცინო სადაზღვეო პოლისის არ მქონე პირების დახმარება, უკიდურესად შეჭირვებულთა დახმარება, დედმამით ობოლი ბავშვების დახმარება, ახალშობილი ბავშვების დახმარება, სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარება და სხვა სოციალურ ღონისძიებები, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია**

  პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საავტომობილო გზების მოვლა, ქალაქის დაზიანებული გზების ორმოული შეკეთება და რეაბილიტაცია, სიჩქარის შემზღუდველების მოწყობა, გზების დახაზვა, პირობითი საგზაო ნიშნების მოწყობა, დამისამართების აბრების მოწყობა, სიჩქარისმზომი რადარების დამონტაჟება და შუქნიშნების მოვლა-ექსპლოატაცია.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება**

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია ქ. გორში გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ქალაქის ქუჩების დაგვა-დასუფთავება, მოსახლეობიდან და ორგანიზაციებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, ურნების გათავისუფლება და სანიტარული დამუშავება. რუსთაველის, ნინოშვილის და სამეფოს ქუჩებზე სანიაღვრე არხის მოწყობა.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის იერსახის გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტში არსებული გამწვანების სამსახურის და სანერგე მეურნეობის მიერ სკვერების და გაზონების გამწვანება, მოვლა-შენახვა და რეკონსტრუქცია. ასევე იგეგმება შადრევნების, მოსაცდელების,

მემორიალური დაფების, ეზოების, სპორტული მოედნების მოვლა-შენახვისა და რეკონსტრუქციის ღონისძიებები.

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას. სკოლამდელი დაწესებულებების დაფინანსება გათვალისწინებულია ვაუჩერული სისტემით, კერძოდ: 1-დან 30 ბავშვის ჩათვლით თითოეულ ბავშვზე 75 ლარი თვეში, ხოლო იმ საბავშვო ბაგა–ბაღში, სადაც ირიცხება 30 ბავშვზე მეტი თითოეულ ბავშვზე 60 ლარი თვეში. იმ საბავშვო ბაგა–ბაღების დაფინანსება, სადაც ირიცხება 10 და ნაკლები ბავშვი, განისაზღვრება თვეში არანაკლებ 800 ლარით.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია კულტურული ტრადიციების დაცვა და ღირსეული გაგრძელება, ამასთან ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა. ასევე განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა ნიჭიერი სპორტსმენების აღზრდისა და წახალისების მიზნით. დაგეგმილია ცენტრალური სასპორტო, კრივის სპეციალიზირებული და საჭიდაო კომპლექსური სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა. გაგრძელდება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების მხარდაჭერა და წარმატებული სპორტსმენების წახალისება. გაგრძელდება საფეხბურთო კლუბის „გორის დილა“ ფინანსური მხარდაჭერა.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი ახორციელებს სამუსიკო სკოლის და სამხატვრო სკოლის დაფინანსებას, რითიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ მუსიკალური განათლების მიღებას სრული კურსით და უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტი კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში აგრძელებს საჯარო ბიბლიოთეკის, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის, გორის სახელმწიფო დრამატული თეატრის, მუსიკალური კოლექტივების, მწერალთა და საგამომცემლო საქმიანობის და დასვენების ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, გეგმავს სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობას, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების დაფინანსებას.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა კვლავ რჩება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

მსგავსად გასული წლებისა, მომდევნო წლებშიც გაგრძელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსება. კერძოდ დაფინანსდება: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხავა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით, ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; სადეზიფენქციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება; ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;

- **სოციალური ღონისძიებები**

პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება, სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების კომპენსაცია, ონკოლოგიური ავადმყოფებისათვის ერთჯერადი დახმარება, საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა (ვეტერანთა) ოჯახების დახმარება და სხვა სოციალური ღონისძიებები, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

გორის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში: გაგრძელდება ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და დაფინანსდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საავტომობილო გზების მოვლა.კერძოდ: მიწის ვაკისის მოვლა-შენახვა, გვერდულების მოშანდაკება, გზისპირა კიუვეტების გაწმენდა, გაბიონების მოწყობა. კედლის მოწყობა რკინა-ბეტონის ბლოკებით, ხიდის მოაჯირების აღდგენა. ორმოების შეკეთება ცხელი ასფალტ-ბეტონით და სავალი ნაწილის შეკეთება ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფელ ატენში არსებული დაზიანებული ხიდის აღდგენა.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სოფელში არსებული გარე განათების ქსელის ექსპლუატაციის, მწყობრიდან გამოსული ელემენტების შეცვლის და რემონტის ხარჯები, სანიაღვრე არხების მოწყობა,მანქანა-მექანიზმების შეძენა, ჭაბურღილებში მწყობრიდან გამოსული ტუმბო-აგრეგატების შეძენა და მათი მონტაჟი, დაზიანებული ტუმბოების ნაცვლად. წყალსადენის ქსელებზე დაზიანებული ადგილების შეკეთება,წყლის ანალიზების რეგულარული წარმოება, სასმელი წყლის გაუსნებოვნება, ჩამკეტ-მარეგულირებელი მწყობრიდან გამოსული მექანიზმის შეცვლა. ს.ზერტში და ქვ. სობისში ჭაბურღილების მოწყობა.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებშიდაგეგმილია გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის სკვერის მოწყობა და რეაბილიტაცია, მინი სტადიონის ექსპლუატაციის და რემონტის მიმდინარე ხარჯები, მწვანე საფარის დაცვის და განაშენიანებისა ღონისძიებები, სოფლებში არსებული აბრებისა და მემორიალის აღდგენა. დაფინანსდება გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური, რომელიც ახორციელებს მუნიციპალიტეტის კეთილმოსწობის სამუშაოებს, ხელს უწყობს კომუნალური მეურნეობის მოვლა-შენახვას.

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის სოფლებში(ქიწნისი, უფლისციხე, ბერშუეთი, ხიდისთავი, ახრისი, რეხა, სვენეთი) საბავშვო ბაღების შენობების ეტაპობრივი რეაბილიტაცია.

კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია კულტურული ტრადიციების დაცვა და ღირსეული გაგრძელება. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული პროექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისთვის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა. ასევე განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა ნიჭიერი სპორტსმენების აღზრდისა და წახალისების მიზნით. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ა(ა)იპ-ი გორის მუნიციპალიტეტის კრივის სპეციალიზირებული სკოლისა და ა(ა)იპ-ი გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჭიდაო სკოლის ფუნქციონირების ხელშეწყობა.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი ახორციელებს 5(ხუთი)სამუსიკო სკოლის დაფინანსებას, რითიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ მუსიკალური განათლების მიღებას სრული კურსით და უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტი კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში აგრძელებს კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფინანსურ მხარდაჭერას, გეგმავს სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობას, მათშორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების დაფინანსებას. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი ახორციელებს ხუთი(ატენის, ტყვიავის, სკრის, ტირძნისის,ხიდისთავის) სამუსიკო სკოლის დაფინანსებას

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არამხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

- **მოსახლეობისსოციალურიუზრუნველყოფა**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, ხოლო დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვა სოციალური ღონისძიებები, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

  - არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;

- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავებისდროული გამოვლენის ხელსეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებატა გატარება;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- სადერატიზაციო სამუსაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში(კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;
- ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდადან აცილება;
- მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შქმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიაზე შხამიანი არსებების გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

კასპის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება სასმელი წყლის და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა–რეაბილიტაცია, საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, დასასვენებელი პარკების კეთილმოწყობა, გარე განათების მოწყობა- რეაბილიტაცია.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია**

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მგომარეობის შენარჩუნება. ქალაქ კასპში პაატას ქუჩაზე მოეწყობა , სანიაღვრე არხები და ტროტუარები, რეაბილიტირებული გზის სიგრძეა 1300 გრძივი მეტრი. ქალაქ კასპში: კოჯორის, გრიშაშვილის და თავისუფლების ქუჩებზე მოეწყობა: ასფალტ ბეტონის საფარი, სანიაღვრე არხები და ტროტუარები, აღნიშნული ქუჩების სიგრძეა 2190 გრძივი მეტრი, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: სოფელ კოდისწყაროს თბილისი–სენაკი–ლესელიძის ჩქაროსნულ მაგისტრალთან დამაკავშირებელი 2200 გრძივი მეტრის გზის მოასფალტება. კასპის მუნიციპალიტეტის ფერმა–ჩანგილარის თბილისი–სენაკი–ლესელიძის ჩქაროსნულ მაგისტრალთან შემაერთებელი გზის სრული რეაბილიტაცია, რომლის სიგრძე 3000 გრძივი მეტრი. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის დაზიანებული გზების ორმოული შეკეთება, ქუჩების მოვლა ზამთრის სეზონზე.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება**

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების ქსელის გაფართოვება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, მოეწყობა და რეაბილიტაცია ჩაუტარდება საკანალიზაციო და წყლის სისტემებს, შეკეთდება მრავალსართულიანი სახლების სახურავები, დაფინანსდება სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ხარჯები. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ კასპის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა. კასპთან ერთად ჩართულია სოფ. მეტეხსა და სოფ. თელიანში დევნილთა ჩასახლებები და მუნიციპალიტეტის 60 სოფელი.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ამხანაგობების თანადაფინანსება, მოწესრიგდება გამწვანების ზოლები, ასევე დაფინანსდება ქალაქის განვითარების გეგმის შედგენა, ბაღების და სკვერების და მგზავრთა მოსაცდელების მოვლა-შენახვის ხარჯები.

განათლება

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების სწავლა-განათლება და მათი მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა. შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის II ეტაპი, ინვენტარით უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 26 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს დაახლოებით 1300 მეტი აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტში მოქმედი ყველა საბავშვო ბაღის მიმდინარე ხარჯები.

კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

კულტურული ტრადიციების დაცვა და ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარი პრიორიტეტია.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პრიორიტეტის ფარგლებში მოეწყობა სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები. ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით დაგეგმილია სპორტის სახეობათა პოპულარიზაცია მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში, მუნიციპალიტეტის სპორტსმენთა მონაწილეობის მიღება რეგიონალურ, სახელობით, რესპუბლიკურ, საერთაშორისო ტურნირებზე, მოწინავე სპორტსმენების ოსტატობის ამაღლების და ფიზიკური მოზადებისათვის სასწავლო-საწრთვნელი და გამაჯანსაღებელი შეკრებების მოწყობა. 2016 წლის განმავლობაში დაახლოებით 475 სპორტსმენი გაივლის სპორტულ მომზადებას.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. დაფინანსდება მუნიციპალიტეტში არსებული ბიბლიოთეკები, სახელოვნებო სკოლები და მუზეუმები. გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მუძეუმების და ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა.

- **ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა**

ახალგაზრდობის ხელშეწყობის მიზნით პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება ბავშვთა საერთაშორისო დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სიყვარულის დღისადმი მიძღვნილი საღამო ახალგაზრდებისათვის, ნიჭიერი და წარმატებული მოსწავლე-ახალგაზრდების დაჯილდოვება-დასაჩუქრება. აღნიშნული პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდების ჩართვას მუნიციპალიტეტის განვითარებაში.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სხვადასხვა გადამდები დაავადებებისაგან დაცვის მიზნით გაგრძელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსება, კერძოდ: მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების თავიდან აცილება; არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

- **სოციალური ღონისძიებები**

სოციალური ღონისძიებების განხორციელება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წაფრმოადგენს, პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფა, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება. დაფინანსდება სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მკურნალობის ხარჯები. აღნიშნული პროგრამების განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ქარელის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ბოლო წლებში არჩეული სტრატეგიის შესაბამისად ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია**

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მგომარეობის შენარჩუნება, ორმოულების შეკეთება, ზამთრის სეზონზე ქუჩების თოვლისაგან გაწმენდა. რეაბილიტაცია ჩაუტარდება და მოასფალტდება ქალაქ ქარელის ქუჩებს. ასევე გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სოფლების გზების მოხრეშვა-მოშანდაკება.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების ქსელის გაფართოვება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, მოეწყობა და რეაბილიტაცია ჩაუტარდება საკანალიზაციო და წყლის სისტემებს, დაფინანსდება სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები**

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის მიზნით დაგაგმილია მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა-შენახვა, მოწესრიგდება გამწვანების ზოლები, მოეწყობა საბავშვო და სპორტული სტადიონები, სადღესასწაულო დღეებში დაგეგმილია ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები.

განათლება

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების სწავლა-განათლება და მათი მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა, როგორც სკოლამდელი, ასევე სასკოლო და სკოლისშემდგომი ასაკის ახალგაზრდებისათვის.

- **სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა**
- ადამიანის სწორი განვითარებისათვის ერთ-ერთი მთავარი პირობაა სკოლამდელი აღზრდა. ქარელის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 19 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1300 -ზე მეტი აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტში მოქმედი ყველა საბავშვო ბაღის მიმდინარე ხარჯები და დაგეგმილია საბავშვო ბაღების მცირე ნაწილის სარემონტო სამუშაოები. აღნიშნული ქვეპროგრამით მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს დასაქმებულთა სტაბილურ შრომის ანაზღაურებას, კვების და მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას.

- **პროფესიული განათლების ხელშეწყობა**

ქარელის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს მოსახლეობას დასაქმებაში და მიცეს საშუალება დაეუფლონ იმ უნარ-ჩვევებს რაც ხშირ შემთხვევაში აუცილებელი პირობაა სტაბილური დასაქმებისათვის. აღნიშნული მიზნით პროგრამის ფარგლებში დაფინასდება ქარგვის, ხალიჩების ქსოვის, თექაზე მუშაობის, კულინარიის და სხვადასხვა მუსიკალურ ინტრუმენტებზე დაკვრის, მხატვრული კითხვის შემსწავლელი კურსები. ხელფასის სახით ანაზღაურდება წრის ხელმძღვანელები (5 მასწავლებელი, 81 მოსწავლე) მუნიციპალიტეტის ყველა

მაცხოვრებელს ექნება საშუალება შესაბამისი განაცხადის საფუძველზე გაიაროს აღნიშნული კურსები, რაც აამაღლებს მათ კვალიფიკაციას და ხელს შეუწყობს მათ შემდგომ დასაქმებას

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს კულტურული ტრადიციების დაცვა და ღირსეულ გაგრძელება, ასევე სპორტის ხელშეწყობა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების მოწყობა. ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით დაგეგმილია სპორტის სახეობათა პოპულარიზაცია . გაგრძელდება მუნიციპალიტეტის სპორტსმენთა მონაწილეობის მიღება რეგიონალურ, სახელობით, რესპუბლიკურ, საერთაშორისო ტურნირებზე. მოწინავე სპორტსმენების ოსტატობის ამაღლების და ფიზიკური მოზადების მიზნით დაგეგმილია სასწავლო-საწრთვნელი და გამაჯანსაღებელი შეკრებების მოწყობა. 2016 წლის განმავლობაში 611 სპორტსმენი გაივლის სპორტულ მომზადებას.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა. დაფინანსდება მუნიციპალიტეტში არსებული ბიბლიოთეკები, სახელოვნებო სკოლები, კულტურის სახლები და ა(ა)იპ „კულტურის და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“, რომლის მიზანია კულტურის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვა, კულტურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის სუბიექტთა ძირითადი ეკონომიკური, სოციალური და სამართლებლივი ურთიერთობების დარეგულირება.

- **ახალგაზრდული და რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის ჩართვას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მსგავსად გასული წლებისა, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;
- ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;

- მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

- **სოციალური ღონისძიებები**

პრიორიტეტის პარგლებში გაგრძელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა. ასევე დაგეგმილია მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვა სოციალურ ღონისძიებები, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ხაშურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობაა. გამომდინარე აქედან აღნიშნული მიმართულება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია**

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება გზების რეაბილიტაცია, ცენტრალური ქუჩების დახაზვა, სიჩქარის შემზღუდველების მოწყობა, , ქალაქის დაზიანებული გზების ორმოული შეკეთება, ქუჩების მოვლა ზამთრის სეზონზე და მიწისქვეშა გადასასვლელების რეაბილიტაცია.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება**

კომუნალური მეურნეობის განვითარების მიზნით დაგემილია გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების დასუფთავება და საყფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, კანალიზაციის სისტემის მოწყობა, სანიაღვრე არხების, წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია. აღნიშნული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მოქალაქეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები**

მსგავსად გასული წლებისა, მომდევნო წლებშიც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობას და მისი იერსახის გაუმჯობესებას, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია გამწვანების ობიექტებისა და მწვანე ნარგაობების მოვლა-პატრონობა, დასასვენებელი პარკების კეთილმოწყობა და სადღესასწაულო დღეებში ქალაქგაფორმებითი ღონისძიებების უზრუნველყოფა.

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას და აღნიშნული მიმართულება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა**

სკოლამდელი განათლება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 13 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1739 ბავშვი. აღნიშნული პროგრამით მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს, როგორც მომავალი თაობის სწორად აღზრდას და ჩამოყალიბებას, ასევე დაწესებულებებში დასაქმებულთა სტაბილურ შრომის ანაზღაურებას და კვებისა და მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას, რაც მთლიანობაში უზრუნველყოფს აღნიშნული დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლო და აუცილებელი მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას.

- **სკოლისგარეშე განათლების ხელშეწყობა**

აღნიშნული პროგრამა ხელს უწყობს შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ბავშვებისა და მოზარდების გამოვლენას და მათ მოზიდვას საგანმანათლებლო-სახელოვნებო სივრცეში, მოსწავლე-

ახალგაზრდობის დაინტერესებას ხელოვნების სხვადასხვა დარგებით, სასწავლო პროცესების ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი წრეების ფუნქციონირების უზრუნველყოფას, პროგრამა მოიცავს დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებას და ფუნქციონირებისათვის უცილებელ მატერიალურ და ფინანსურ მხარდაჭერას.

კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

კულტურული და სპორტული ტრადიციების დაცვა და ღირსეული გაგრძელება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა. სპორტის სახეობათა პოპულარიზაცისა და ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით გაიმართება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები. მოწინავე სპორტსმენების ოსტატობის ამაღლების და ფიზიკური მომზადებისათვის დაგეგმილია სასწავლო-საწრთვნელი შეკრებების მოწყობა. მუნიციპალიტეტის მასშტაბით სპორტის 12 სახეობაში სპორტულ მომზადებს გადის 1370 სპორტსმენი.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით კვლავ გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება კულტურული ღონისძიებები ფინანსური მხარდაჭერა, დაფინანსდება მუნიციპალიტეტში არსებული სახელოვნებო სკოლები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები და კულტურის ცენტრები. აღნიშნული მიმართულება ხელ შეუწყობს მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების დაცვას და განვითარებას.

- **ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა**

პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის ჩართვას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი ღონისძიებები: საჯარო სკოლებს შორის შემოქმედებით-ინტელექტუალური კონკურსის ,,მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო" გამარჯვებულთა დაჯილდოვება; ინტელექტუალური პროგრამების განხორციელების უზრუნველყოფა; პროექტ ,,ეტალონში" მოსწავლე-ახალგაზრდობის მონაწილეობის უზრუნველყოფა; პრეოქტ ,,ჯანსაღი გარემო ჯანსაღი მომავლისათვის" ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები და ადგილობრივი, რეგიონალური და რესპუბლიკური დონის სხვადასხვა ახალგაზრდული ღონისძიებები;

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით გაგრძელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებები სპრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება და კონტროლი, პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის მოწოდებული მასალების მიღების, შენახვის და განაწილების უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში სეზონურად ქუჩების, სკვერების, სასაფლაოების მიმდებარე ტერიტორიების სანიტარული მდგომარეობის მოწესრიგება, ქალაქის ნაგავსაყრელისა და ნაგვის შესაგროვებელი კონტეინერების სანიტარულ ნორმებთან შესაბამისობაზე სისტემატური კონტროლის დაწესება.

- **სოციალური ღონისძიებები**

მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტი კვლავ განაგრძობს გეგმიური და გადაუდებელი საოპერაციო და მშობიარობის ხარჯების თანადაფინანსებას. ასევე გაგრძელდება შეჭირვებულთათვის უფასო სასადილოთი მომსახურების უზრუნველყოფა,

სასწავლო დაწესებულებებში შეღავათების დაწესება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა საშუალო ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობის მიზნით პედაგოგთა ბინაზე მომსახურების ანაზღაურება, ომის ვეტერანების, ომში დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. რუსთავში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება, ასევე ახალი და შიდაკვარტალური მისასვლელი გზების რეაბილიტაცია. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქში არსებული შიდაგზების, ეზოებისა და ტროტუარების რეაბილიტაცია და გზების ორმული დამუშავება, კერძოდ: გიორგაძისა და მშვიდობის ქუჩის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია, პუშკინის ქუჩის რეაბილიტაცია, რუსთაველის ქუჩის შიდაეზოების რეაბილიტაცია, ცენტრალურ ხიდზე ასფალტის რეაბილიტაცია, ჭავჭავაძისა და რუსთაველის ქუჩების დამაკავშირებელი გზის გაგანიერება, ფიროსმანისა და დუმბაძის ქუჩის დამაკავშირებელი გზის გაგანიერება. დაგეგმილია ქალაქში აუცილებელ მონაკვეთებზე ე.წ. „მწოლიარე პოლიციელების“ მოწყობა და საგზაო ნიშნების მონტაჟი, კერძოდ: შუქნიშნების მონტაჟი ბარათაშვილისა და კოსტავას გადაკვეთაზე და შარტავას გამზირის N7-ის მიმდებარე მონაკვეთზე.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება ქალაქის დასუფთავება და ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა.

- **საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მრავალსართულიანი სახლების სახურავების რეაბილიტაცია; ასევე დაგეგმილია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება, სამოქალაქო პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და მათ განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ჩართულობის უზრუნველყოფა. ამხანაგობები მოსახლეობის ჩართულობის პრინციპით განახორციელებენ მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობების სხვადასხვა კომუნალური პირობების მოწესრიგებას

- **გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქალაქის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის

ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების ელ. ენერგიის ხარჯი, რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა კვარტალურ ეზოებში სანათი წერტილების მოწყობა/რეაბილიტაცია.

- **დასუფთავება**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის დასუფთავების“ მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს საცხოვრებელი კორპუსების შიდა ბუნკერების და გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლებასა და საცხოვრებელი სახლების ეზოებში დაგვა-დასუფთავებას მეეზოვეების მეშვეობით.

- **წყლისა და სანიაღვრე/საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მე-17 მკ/რ N26-ის მიმდებარედ სანიაღვრე ქსელის მოწყობა/რეაბილიტაცია.

- **ქალაქის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სკვერების რეაბილიტაცია/კეთილმოწყობა, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია. განხორციელდება სკვერების/გაზონების დეკორატიული ღობით მოპირკეთებისა და მოწყობა/რეაბილიტირებასთან დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოები; ასევე დაგეგმილია ქალაქის მასშტაბით 100 ეზოს კეთილმოწყობა, საცხოვრებელი სახლის სადარბაზოებში პანდუსების მოწყობა, ჩეხოვის N10ა-ს ტკეჩისკედლებიანი ფასადის გამაგრებითი სამუშაოები და საცხოვრებელ შენობებზე სანომრე აბრების რეაბილიტირება.

- **მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება**

ქალაქში კვლავ აქტუალური რჩება შიდასაქალაქო ტრანსპორტის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. საწვავისა და მარაგ ნაწილების სულ უფრო მზარდი ფასები ასახვას პოულობს მგზავრობის საფასურზე. პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა შიდასაქალაქო ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობისათვის არსებული ტარიფის შენარჩუნება შესაბამისი ორგანიზაციის დოტაციის გზით, რასაც მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვა გააჩნია.

განათლება

თვითმმართველ ქალაქ რუსთავის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს სკოლამდელი განათლების დაფინანსება, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამას ახორციელებს ააიპ „რუსთავის ბაგა–ბაღების გაერთიანება“; ქალაქში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 20 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 6 100 ბავშვი. საბავშვო ბაღებში რეაბილიტირების ჩატარების შემდეგ დაგეგმილია დამატებითი ჯგუფების გახსნა რის შედეგადაც ბავშვების რაოდენობა გაიზრდება. ასევე დაგეგმილია N6 საბავშვო ბაღის რემონტი და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ააიპ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი“, სადაც რეაბილიტაციის კურსს გადის 125-მდე ბენეფიციარი.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურისა და სპორტის განვითარებას, ახალგაზრდულ ორგანიზაციებს.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. პროგრამის ფარგლებში, განხორციელდება ააიპ „რუსთავის სასპორტო სკოლების განვითარების ცენტრის“ დაფინანსება, რომელიც აერთიანებს 4 სპორტულ სკოლას და 1300–ზე მეტ სპორტსმენს; ცენტრი მოიცავს სპორტის სხვადასხვა სახეობას და უზრუნველყოფს ამ სახეობების განვითარებას, მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმას და მათთვის საწვრთნელი პირობების შექმნას. პროგრამა მოიცავს ასევე საფეხბურთო (შპს „რუსთავის რუსთავი“), საკალათბურთო (შპს „რუსთავი 1991“) და სარაგბო (ააიპ „რუსთავის ხარები“) კლუბების ფინანსურ მხარდაჭერას. განხორციელდება საბავშვო გასართობი ატრაქციონების საბავშვო მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია, ასევე ქალაქში არსებული სპორტული კომპლექსების და 10 მოედნის მოწყობა/რეაბილიტირება.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „სახელოვნებო გაერთიანებათა ცენტრი“, რომელიც აერთიანებს კულტურის ცენტრში არსებულ ადგილობრივ ანსამბლებს, 3 მუსიკალურ, 1 ხელოვნებისა და 1 სამხატვრო სკოლას, სადაც სწავლობს 1000-ზე მეტი მოსწავლე; ასევე ზემოხსენებული ა(ა)იპ–ი უზრუნველყოფს სადღესასწაულო ღონისძიებების მოწყობას. აღნიშნული ა(ა)იპ-ის უმთავრესი მიზანია ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა, ლიტერატურული და თოჯინური თეატრების აღორძინება, ხალხური რეწვის მივიწყებული დარგების აღორძინება და პოპულარიზაცია, ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის ხელშეწყობა, სამუსიკო და ქორეოგრაფიული ნიმუშების შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნა. პროგრამა ითვალისწინებს ა(ა)იპ „გ. ლორთქიფანიძის სახ. რუსთავის თეატრის“ მიერ ორგანიზებული ღონისძიებების, ა(ა)იპ „რუსთავის ისტორიული მუზეუმი“–ს, და ა(ა)იპ „რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანება“. გაგრძელდება ქალაქში ერთ–ერთი დიდი რეკრეაციული ზონის რეაბილიტაცია, რაც გულისხმობს წმინდა ნინოს ქუჩიდან ცენტრალურ პარკში ჩასასვლელი კიბისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობას.

- **ახალგაზრდობის ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ „ახლაგაზრდობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი“, ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს სხვადასხვა ღონისძიებების გამართვას, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას ქალაქის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში

- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თვითმმართველობის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია–მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა კომუნალური ხარჯების დაფარვის სახით.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ქ. რუსთავის მერიის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით განხორციელდება შემდეგი პროგრამები:

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას. კერძოდ:

არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;

დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;

ქალაქის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;

ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;

ქალაქში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით რუსთავის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ ქალქის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე 2016 წლის განმავლობაში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, გარე განათების მშენებლობა-ექსპლუატაცია, საკანალიზაციო და ჩამდინარე წყლების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია, გარამოს დაცვის ღონისძიებები, მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია, სასაფლაოების მოვლა, შადრევნების, სპორტული მოედნების და დასვენების პარკის მშენებლობა-რეაბილიტაცია.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გზების რეაბილიტაცია, კერძოდ, ქ.ბოლნისში ათონის, მერაბ კოსტავასა და წმინდა ნინოს ქუჩების რეაბილიტაცია, ზამთრის სეზონზე მუნიციპალიტეტის გზების და ქუჩების თოვლის საფარისაგან გაწმენდა.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელის მშენებლობა-ექსპლუატაცია, ქ.ბოლნისში საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების მშენებლობა-

რეაბილიტაცია, გარემოს დაცვის ღონისძიებები: საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-გატანა, ქვეწარმავლების და მაწანწალა ცხოველების დასახლებული პუნქტებიდან გადაყვანა, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია, სასაფლაოების მოვლა.

- **მუნიციპალუტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერებისა, პარკებისა და შადრევნების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები. დაფინანსდება შპს „კულტურისა და დასვენების პარკი“ რომელიც განახორციელებს არსებული პარკის მოვლა–პატრონობას. განხორციელდება ცენტრალური პარკის განათების და ფასადის რეაბილიტაცია.

განათლება

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ააიპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულება“. ბოლნისის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 12 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს საშუალოდ 1000 ბავშვი. სკოლამდელი დაწესებულების დაფინანსება ხორციელდება სრულად ადგილობრივი ბიუჯეტიდან. მუნიციპალიტეტი ხელსუწყობს ბაღების მატერიალური ბაზის გაუნჯობესებას, კვებას და დასაქმებულთა სტაბილურ შრომის ანაზღაურებას. მომავალ წელს სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდება ბოლნისის N3, ბოლნისის N5 და სოფელ რატევნის საბავშვო ბაგა-ბაღებს. ასევე დაფინანსდება ააიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო, სარეაბილიტაციო ცენტრი „განთიადი“, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები უნარშეზღუდულ ბავშვების საზოგადოებასთან ინტეგრირებას და მათ საგამანათლებლო სარეაბილიტაციო ცენტრში სწავლას.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, თვითმმართველობა განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაციას. ასევე გაგრძელდება ბოლნისის ეპარქიის ფინანსური მხარდაჭერა ეკლესიების, მონასტრების რესტავრაცია და შემდგომი აღორძინებისათვის.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

როგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება, სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაციას. პროგრამა მოიცავს ააიპ „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება – ბოლნისის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი“-ს, საჭადრაკო სკოლა „ნონა“-ს, საფეხბურთო კლუბ „სიონის“, ააიპ „რაგბის კლუბი ბოლნისის“, ააიპ „ძიუდოს სკოლის“ დაფინანსებას, რაც უზრუნველყოფს ამ სახეობების განვითარებას, მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმას და მათთვის საწვრთნელი პირობების შექმნას.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამა ითვალისწინებს ააიპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკლუბო, საბიბლიოთეკო, სამუზეუმო გაერთიანება „კულტურის ცენტრი“-ს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებს დაფინანსებას, როგორებიცაა: ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა, ლიტერატურული და თოჯინური თეატრების აღორძინება, ხალხური რეწვის დარგების აღორძინება და პოპულარიზაცია, ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის ხელშეწყობა, სამუსიკო და ქორეოგრაფიული ნიმუშების შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნა. სამუზეუმო ნიმუშების პოპულარიზაციას, გამოფენას და მოვლა-შენახვას. ბიბილიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობის ხელშეწყობას, წიგნადი ფონდების შევსება დაკომპლექტებას და სრულ აღრიცხვას. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა“, სადაც სწავლობს 130 -მდე მოსწავლე, რაც ხელს შეუწყობს მოზარდ თაობაში ხელოვნების განვითარებას,

- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბოლნისის ეპარქიის ფინანსური მხარდაჭერა, ახალი ტაძრების მშენებლობაში, ისტორიული ეკლესია-მონასტრების აღდგენაში და მათ შემდგომ აღორძინებაში.

- **ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა.**

როგრამა ითვალისწინებს შპს „გაზეთი ბოლნისი“-ს დაფინანსებას ფუნქციონირებისათვის, რომელიც ახორციელებს, ახალი ამბების და კულტურული და სპორტული ღონისძიებების გაშუქებას.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ქალაქის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

პროგრამა ითვალისწინებს ააიპ „დაავადებათა აღრიცხვის, კონტროლის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და პრევენციული მედიცინის ცენტრის“ დაფინანსებას, რომლის მიერ განხორციელდება: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეპიკეთილსაიმედო სიტუაციის შექმნა და შენარჩუნება; ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; სადერატიზაციო, სადეზინსექციო და სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება, ორგანიზაციებში, სკვერებში, ნაგვის შემკრებ ბუნკერებში; მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სამღზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობის გზით ეპიკეთილსაიმედო სიტუაციის შექმნა.

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით

გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, სტუდენტთა და სპორცმენთა სოციალურ დახმარებას, იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას

გარდაბნის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და განვითარება, რასაც გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი წილი ეთმობა.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარდაბნის მუნიციპალიტეტში შიდა გზების რეაბილიტაცია (მოასფალტება), სიჩქარის შემზღუდველების მოწყობა, ქალაქის და სოფლების დაზიანებული გზების ორმული შეკეთება.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლებში და ქალაქ გარდაბანში წყლის სისტემის რეაბილიტაცია და სატუმბო-სადგურების მოვლა-პატრონობა, გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა კვარტალურ ეზოებში ახალი სანათი წერტილების მოწყობა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია. პროგრამა მოიცავს ასევე, ქალაქ გარდაბნის და სოფლების დაგვა–დასუფთავებას და მონახვეტის გატანას, ასევე გარე ქსელის ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებასა და მის გატანას, მაწანწალა ცხოველების დაჭერას და მათ გადაყვანას სპეციალიზირებულ თავშესაფარში.

- **მუნიციპალუტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, არსებული გამწვანების მოვლა–პატრონობა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება. ასევე დაგეგმილია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობის რეაბილიტაცია.

განათლება

თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სკოლამდელ განათლება, რომლის დაფინანსებაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება. პრიორიტეტის ფარგლებში სკოლამდელი განათლების პროგრამას ახლორციელებს მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საბავშო ბაგა-ბაღებში დაწყებით განათლებას იღებს 2800 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია კულტურული ტრადიციების დაცვა და ღირსეული გაგრძელება. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული

სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება კულტურის, ბიბლიოთეკების გაერთიანებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ცენტრის დაფინანსება. ბიბლიოთეკების გაერთიანებაში ხორციელდება ბიბილიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობის ხელშეწყობა, წიგნადი ფონდების შევსება დაკომპლექტება და სრული აღრიცხვა, ყველა ასაკის მკითხველის მომსახურება საჭირო ინფორმაციით და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით. მუზეუმი სისტემატურად მოიპოვებს, იცავს, იკვლევს, პოპულარიზაციას უწევს და გამოფენს ადამინათა და მათი საარსებო გარემოს ამსახველ ნივთიერ მასალას, შეისწავლის მათ, განათლების, საზოგადოებისათვის ცოდნის გაცემის და ესთეტიკური სიამოვნების მინიჭების მიზნით; მუზეუმი განახორციელებს სახემწიფოს ეროვნულ კურსს; აღვივებს საზოგადოების თვითშეგნებას პარტიოტული სულისკვეთებით.

- **ახალგაზრდობის ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მომავალი თაობის ფიზიკური გაჯანსაღების მიზნით ტურისტული ლაშქრობები. ასევე ახალგაზრდა თაობის ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში. ახალგაზრდების ინიციატივებით სხვადასხვა პროექტების განხორციელება

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას მათ შორის: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა. დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება; ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებების, მასობრივი მოშხამვებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამით გათვალისწინებულია გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა. კერძოდ ფინანსდება სოციალურად დაუცველი ფენის საოპერაციო და იძულებით გადაადილებულ პირთა სამედიცინო გამოკვლევების ხარჯები, მოსწვლეებისა და პედაგოგების ტრანსპორტით მგზავრობის საფასური, განსაკუთრებული საჭიროების ბავშვთა და მშობელთა საკონსულტაციო ცენტრი, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის და ვეტერანთა მატერიალური დახმარება, უპატრონო მიცვალებულთა, დევნილთა და ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები რომლებიც

მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

დმანისის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე 2016 წლის განმავლობაში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია. ქალაქში გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მგომარეობის შენარჩუნება და ახალი/მეორე მნიშვნელობის გზებისა და შიდაკვარტალური მისასვლელი გზების რეაბილიტაცია.კერძოდ: დმანისი-საფარლოს გზიდან სოფ. ირგანჩაის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, დ. დმანისი-დმანისი-გომარეთის სახლმწიფო დანიშნულების გზიდან სოფ. იფნარი-კიზილაჯლოს მისასვლელი გზის მოასფალტება, სოფ. ბოსლები-აზ. კაკლიანის მისასვლელი გზის მოასფალტება- დასრულება

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიული ორგანოებში წყალ-მომარაგების და გარე განთების ქსელის გაფართოება,არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა.

განათლება

სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 8 საბავშვო ბაღი 11 ჯგუფით, სადაც დაწყებით განათლებას მიიღებს 320 ბავშვის ოდენობით,თითეულ ჯგუბში დასაშვებია კონტიგენტი არაუმეტეს 35 ბავშვისა, რომელსაც ემსახურება 45 საშტატო ერთეული. გარდა სკოლამდელი აღზრდისა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს მოსახლეობას დასაქმებაში და მიცეს საშუალება დაეუფლონ იმ უნარ-ჩვევებს რაც ხშირ შემთხვევაში აუცილებელი პირობაა სტაბილური დასაქმებისათვის. აღნიშნული მიზნით პროგრამის ფარგლებში დაფინასდება ინგლისურის,ქართული ენის ჯგუფები ეთნიკური უმცირესობისათვის და კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი კურსები. სადაც ფუნქციონირებს 12 ჯგუფი და თითოეულ ჯგუფში გაერთიანებულია 15-15 მოსწავლე. მუნიციპაიტეტის ყველა მაცხოვრებელს ექნება საშუალება შესაბამისი განაცხადის საფუძველზე გაიაროს აღნიშნული კურსები, რაც აამაღლებს მათ კვალიფიკაციას და ხელს შეუწყობს მათ შემდგომ დასაქმებას.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

დმანისის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს კულტურის, სპორტის, რელიგიისა და ახალგაზრდობის ხელშეწყობა. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი პროგრამები:

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

2016 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება: კულტურის სახლი სადაც ჩამოყალიბებულია სხვადასხვა სახის წრეები რომელშიც სწავლობს 165-მდე მოსწავლე,ხოლო მუსიკალურ სკოლებში სწავლობს-72-მდე მოსწავლე, სადაც ემსახურება 9 პედაგოგი,რომლის კვირეული დატვირთვა სავარაუდოს თითოეულ პედაგოგზე შეადგენს 18 საათს და მიმდინარეობს სწავლება ფორტეპიანოს განხრით, 4 ბიბლიოთეკა და „ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის დმანისის დრამატული თეატრი“.

პროგრამის ფარგლებში მოხდება კულტურის ობიექტების მოვლა–პატრონობა და რეაბილიტაცია;

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები,რომელიც ემსახურება ქართული და საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენლების ხელოვნების დარგების აღდგენა-პროპაგანდას.

ქვეპროგრამის ფარგლებში 2016 წელს გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, 2016 წლის განმავლობაში დაფინანსდება: კულტურის სახლი, მუსიკალური სკოლა, 4 ბიბლიოთეკა და „ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის დმანისის დრამატული თეატრი“.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით უზრუნველყოფას.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას. კერძოდ, არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება; მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტია. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია

ექსპლოატაცია, წყლის სისტემის რეაბილიტაცია ექსპლუატაცია. გარდა ამისა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება. ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტექნიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლიანობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისგან გათავისუფლება.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ააიპ „თეთრიწყარო-წყალი“, რომელიც ემსახურება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალსადენების ქსელის რეაბილიტაციას და მათ მოვლა-შენახვას. აგრეთვე 150,0 ათასი ლარით დაფინანსდება ბორბალოს ჭაბურღილის მოწყობა, ხოლო 70,0 ათასი ლარით ენაგეთის ჭაბურღილის მოწყობა. 20,0 ათასი ლარით დაფინანსდება წყალმომარაგების სისტემის საპროეტო სახარჯთაღრიცხო დოკუმენტების მომზადება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფელ პანტიანში, სოფელ ჭივჭავში სასმელი წყლის სათავე ნაგებობის, ტუმბოს და სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის, სოფელ დიდი ირაგის და სოფელ წინწყაროს სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა, 534,0 ათასი ლარით დაფინანსდება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების შეგროვება-გატანა. აგრეთვე, მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია თეთრიწყაროს ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები, აღნიშნული სამუშაოსთვის გათვალისწინებულია 5,9 ათასი ლარი, ასევე გათვალისწინებულია გარე განათების არსებული ქსელის მოვლა - შენახვა და ახალი ქსელის მოწყობის სამუშაოები.

განათლება

თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სკოლამდელი განათლება, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა. დაფინანსდება 17 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას მიიღებს 570-ზე მეტი ბავშვი. ბიუჯეტის ფარგლებში მუნიციპალიტეტი სრულად დააფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ასევე კულტურული ტრადიციების დაცვა და ღირსეული გაგრძელება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ააიპ ”თეთრიწყაროს სპორტული სკოლის” ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2016 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტულ სკოლა აერთიანებს 12 სპორტულ სექციას და 250-მდე სპორტსმენს.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. 2016 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ააიპ „თეთრიწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი“, რომელშიც დაცულია 11000 -მდე ექსპონატი, ააიპ "სახელოვნებო სკოლა", ააიპ "თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და საბიბლიოთეკო დაწესებულებების გაერთიანება- კულტურის ცენტრი," სადაც გაერთიანებულია 8 ბიბლიოთეკა და ფუნქციონირებს 13 წრე, ააიპ „თეთრიწყაროს სამუსიკო სკოლა“ და ააიპ „მანგლისის სამუსიკო სკოლა“, სადაც სწავლობს 203-მდე მოსწავლე.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას. კერძოდ, არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაციასა და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტ აღრიცხვას, ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებას; მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგს, ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებებს.

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მარნეულის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე 2016 წლის განმავლობაში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. არსებული წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემის, აგრეთვე გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია. თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიულ ორგანოებში უზრუნველყოფილი იქნება სარწყავი არხების გაწმენდა–რეაბილიტაცია. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და მეორე მნიშვნელობის გზებისა და შიდაკვარტალური მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, კერძოდ ქ.მარნეულში და სოფლებში ყიზილაჯლო, თაქალო, ქუთლიარი, ალგეთი, სადახლოს სადგური, საიმერლო, წერეთელი, აღმამედლო, ბეგლიარი, წერაქვი, ჯანხოში, სიონი,ალავარი და სხვა.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიულ ორგანოებში წყალმომარაგების, სარწყავი არხების, ქ. მარნეულის საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება ახალი ნაგავსაყრელის გამართული ფუნქციონირება, მუნიციპალიტეტის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა. იგეგმება სოფლებში ქვემო სარალი, კიროვკა, ბურმა, თაზაქენდი, აღმამედლო, ალგეთი აზიზქენდი, თაზაკენტი, კაპანახჩი,ახკულა, სადახლო და სხვა სასმელი წყლის ქსელის მოწყობა, პროგრამის ფარგლებში მოხდება შ.პ.ს „მარნეულის სოფწყალი“–ს სუბსიდირება მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიული ორგანოების სოფლებისათვის სასმელი წყლის შეუფერხებლად მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია და მიმდინარე რეაბილიტაცია, აგრეთვე ქ.მარნეულში და სოფლებში თაქალო, კაჩაგანი, კირაჩ–მუღანლო, ახალი დიოკნისი და სხვა, გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა.

- **მუნიციპალუტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და პარკების, დასასვენებელი ადგილების მოვლა და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია და აგრეთვე ახალი სკვერების, პარკების და დასასვენებელი ადგილების მოწყობა ქ.მარნეულში და სოფლებში შაუმიანი, წერეთელი, სადახლო და სხვა.

- **მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკის გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით მისი სუბსიდირება, ავტოპარკის განახლების მიზნით დაგეგმილია ახალი ავტობუსების შეძენა;

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 12 საბავშვო ბაღი. პროგრამის ფარგლებში მოხდება ააიპ ''სკოლამდელი აღზრდის ცენტრის" სუბსიდირება არსებული საბავშვო ბაღების სასწავლო–აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის, მათი ნორმალური ფუნქციონირების მიზნით. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მათ შორის ქ. მარნეულში, სოფელ ალგთში, დამია-გეურარხი და სხვა, რამოდენიმე საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია და მშენებლობა.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

მარნეულის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს ადგილობრივი კულტურული და რელიგიური ტრადიციების დაცვა და ღირსეული გაგრძელება, ასევე სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდობის ხელშეწყობა.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. 2016 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება: საფეხბურთო კლუბი „ალგეთი“, სპორტული სკოლა, რომელიც აერთიანებს 1000-მდე სპორტსმენს; პროგრამის ფარგლებში მოხდება სპორტული ობიექტების მოვლა–პატრონობა და რეაბილიტაცია; 2016 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სპორტული სკოლა, რომელშიც ფუნქციონირებს „ძიუდოს“, “სპორტული აკრობატიკის“, „ქართული ჭიდაობის“, „ძალისმიერი სამჭიდის“, „კრივის“, „კიკბოქსინგის“, „ტაიკვანდოს“, „ფეხბურთის“ ორი ასაკობრივი ჯგუფის – 12 წლამდე და 16 წლამდე, „კალათბურთის“ ორი ასაკობრივი ჯგუფის – 14 წლამდე და 18 წლამდე სექცია, რომელიც აერთიანებს 1000-მდე სპორტსმენს;

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში 2016 წელს გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, 2016 წლის განმავლობაში დაფინანსდება: 6 კულტურის სახლი, 1 მუსიკალური სკოლა, სადაც სწავლობს 90-მდე მოსწავლე, 6 ბიბლიოთეკა, 2 მუზეუმი. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

- **ტელე–რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა**

პროგრამა ითვალისწინებს მარნეულის ტელევიზიის „მარნეული ტვ“ ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობას, რომელიც ახორციელებს საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების მომზადებას, ახალი ამბების და კულტურული და სპორტული ღონისძიებების გაშუქების უზრუნველყოფას

- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების და მეჩეთების ფინანსური მხარდაჭერა, რელიგიური შემწყნარებლობის პროპაგანდის და მოსახლების სულიერების ამაღლების მიზნით. ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე შესაძლებელია განხორციელდეს მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მარნეულის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას. კერძოდ: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში; ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი

მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება; მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი.

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მოსახურების ხარჯების ანაზღაურებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

წალკის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების, დასასვენებელი პარკების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მნიშვნელოვანი მონაკვეთების რეაბილიტაცია, კერძოდ მდინარე ქციაზე სოფ. განთიადისა და სოფ დარაკოვის დამაკავშირებელი ხიდისა და დარაკოვი-წინწყაროს გზის მონაკვეთზე დამცავი ჯებირის მოწყობა და გზის რეაბილიტაცია, ქ.წალკის ქუჩებზე ასფალტობეტონის საფარის დაგება.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული წყალსადენების ქსელის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია, კერძოდ იგეგმება ბეშთაშენი სამადლო-ახალშენის 9კმ-იანი წყალსადენის მილის შეცვლა და დაფინანსდება არსებული ქსელის მოვლა-შენახვის ხარჯები. პროგრამის ფარგლებში იგეგმება გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა.

- **მუნიციპალუტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობის გადაწყვეტილების შესაბამისად შემდეგი ღონისძიებები: სპორტული მოედნებისა და დარბაზების რეაბილიტაცია-მშენებლობა; სარიტუალო სახლების რეაბილიტაცია-კეთილმოწყობა; გარე განათების მოწყობა; წყლის ქსელების რეაბილიტაცია; სპორტული დარბაზების და რიტუალების სახლების ინვენტარით უზრუნველყოფა; სასოფლო სამეურნეო და კომუნალური დანიშნულების ტრანსპორტის შეძენა;

- **მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შიდარაიონული მუნიციპალური ტრანსპორტით მოსახლეობის მომსახურების უზრუნველყოფა და არსებული ტარიფის შენარჩუნება შესაბამისი

ორგანიზაციის სუბსიდირების გზით. ასევე განხორციელდება მუნიციპალური ტრანსპორტის სრული რეაბილიტაცია და კაპიტალური რემონტი.

განათლება

თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სკოლამდელი განათლება, რომლის დაფინანსებაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 1 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 120-მდე ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ მიმდინარე ხარჯებს.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

წალკის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს ადგილობრივი კულტურული და რელიგიური ტრადიციების დაცვა და ღირსეული გაგრძელება, ასევე სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდობის ხელშეწყობა.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ერთი სპორტული სკოლა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სკოლის მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. დაგეგმილია სოფლებში დარბაზების კეთილმოწყობა და მათ ბაზაზე დამატებითი სპორტული ჯგუფების დაფუძნება.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება მუნიციპალიტეტის კულტურის სახლის დაფინანსება, მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ერთი ცენტრალური ბიბლიოთეკა ოთხი სოფლის განყოფილებით. წლის განმავლობაში გაგრძელდება ბიბლიოთეკის მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების, ოლიმპიადებების, კონცერტების, გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების ორგანიზება, ხელშეწყობა და დაფინანსება, ასევე ნიჭიერი მოსწავლეები წახალისება.

- **რელიგია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა წალკის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას. კერძოდ, არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაციასა და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტ აღრიცხვას, ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებას; მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგს, ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებებს.

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის, ონკოლოგიური დაავადებებით, ეპილეფსიით, პარკინსონიზმით, ბრონქიალური

ასთმით, დიაბეტით დაავადებულ პირთა, დედ-მამით ობოლ ბავშვთა, მრავალშვილიანი დედების, მარჩენალდაკარგული ოჯახების და სხვ. ერთჯერად დახმარებას.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების მოასფალტება და განათება, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, სასმელი წყლის სისტემების და სახურავების რეაბილიტაცია, სოფლებში სასმელი წყლის სისტემების მოწყობა და რეაბილიტაცია. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება და ახალი, მეორე მნიშვნელობის გზებისა და შიგა საქალაქო გზების რეაბილიტაცია, განხორციელდება ქ. ბორჯომში შიდა ქუჩების კერძოდ რუსთაველის, რუსთაველის ჩიხის, რუსთაველის პირველი შესახვევის, ახალი ქუჩის, კოსტავას, რობაქიძის, სასაფლაოს მისასვლელი გზის, გოგებაშვილის ჩიხის, საავტომობილო გზების რეაბილიტაცია ქალაქის ტერიტორიაზე. ასევე განხორციელდება სოფ. ვარდგინეთში, დაბა ახალდაბაში, ქ. ბორჯომში თორის და რობაქიძის ქუჩებზე მოსაცდელების მშენებლობა რაც განაპირობებს ქალაქის იერსახის სრულყოფას.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, დასუფთავების ღონისძიებები, კანალიზაციის სისტემის მოწყობა, სანიაღვრე არხების მოწყობა-მოვლა, წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ინფრასტრუქტურული პროექტების და ამხანაგობების თანადაფინანსება.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია, მოსახლეობის 24 საათიანი, სუფთა წყლით უზრუნველყოფა, ასევე საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა. განხორციელდება კანალიზაციის მოწყობა რაზმაძის ქუჩასა და გოგებაშვილის ჩიხში, სოფლებში: ყვიბისში ციცქიშვილებისა და ხაჩიძეების უბნის კანალიზაცია, ტბისა და ცემის სასმელი წყლის რეზერვუარის რეაბილიტაცია,ზანავის წყალსადენის რეაბილიტაცია. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საცხოვრებელი სახლების ბრტყელი და ქანობიანი სახურავების შეკეთება, ლიფტების, კომუნიკაციების, სადარბაზოების, ფასადების, კიბეების, თაღების, შენობების კაპიტალური გამაგრების, აივნების, მიწისქვეშა ავტოსადგომების, საერთო სარგებლობის ჭიშკრის ან სადარბაზოს კარების, მიშენებების მდგრადობის განსაზღვრის, სადარბაზოებში მოძრაობის სენსორული სანათების დამონტაჟების, შენობების კაპიტალური გამაგრების სამუშაოები. სამუშაოების, სადარბაზოებში შესასვლელის გაღების ვიდეო/აუდიო სისტემის დამონტაჟების სამუშაოები საცხოვრებელი სახლების ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინასებით, სახურავების რეაბილიტაცია. გათვალისწინებულია ქალაქის

ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ასევე საცხოვრებელი კორპუსების შიდა ბუნკერების და გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება. ექსპლოატაციაში შევა ახალი ნაგავსაყრელი სრული დატვირთვით, რაც გააუმჯობესებს ქალაქის სანიტარულ და ეკოლოგიურ მდგომარეობას. შეძენილ იქნება სანაგვე ურნები და კონტეინერები. ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტენიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლიანობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისგან გათავისუფლება.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, შადრევნების მოწყობა, მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, საგზაო ნიშნების გადასასვლელებისა და ფეხით მოსიარულეთა ტროტუარების მოწყობა, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, ქალაქის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები. იგეგმება ქალაქის ტერიტორიაზე სპორტული მოედნებისა და სკვერებში ატრაქციონების რეაბილიტაცია და შემოღობვის სამუშაოები. კერძოდ: დაბა წაღვერში, სოფ, ვარდგინეთში, დაბა, სადგერში. ბორჯომში ხანძთელისა და მესხეთის ქუჩებზე.

განათლება

სკოლამდელი განათლება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს. ბორჯომის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 10 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 500 აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს,ინვენტარისა და ავეჯის შეძენას. დაბა ბაკურიანში ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი, სადაც ირიცხება 104 ბავშვი, ასევე ყველა ხარჯი ფინანსდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. განხორციელდება ბორჯომში მე–4 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია.

კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომავალ წელს დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებისა და ორგანიზაციის დაფინანსება.

- **სპორტული ღონისძიებებისა და ორგანიზაციების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა მომავალი სპორტული თაობის აღსაზრდელად. ასევე განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა ნიჭიერი სპორტსმენების აღზრდისა და წახალისების მიზნით. ქვეპროგრამა მოიცავს ააიპ „ბორჯომის სკოლისგარეშე სასპორტო გაერთიანების“ 470–მდე სპორტსმენის დაფინანსებას, გაერთიანება მოიცავს სპორტის 18 სახეობას და უზრუნველყოფს ამ სახეობების განვითარებას, მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმას და მათთვის საწვრთნელი პირობების შექმნას.

მუნიციპალიტეტში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ტურნირები კალათბურთში , ფრენბურთში სკოლის მოსწავლეთა შორის, მხიარული სტარტები და მინი–ფეხბურთი მოსწავლეთა შორის, რესპუბლიკური ტურნირები ძიუდოში, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, მოხდება წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოება წახალისება მიღწეული შედეგებისათვის.

განხორციელდება ბორჯომის საფეხბურთო კლუბის “ ბორჯომი-2013“-ის დაფინანსება. საფეხბურთო გუნდის არსებობა ხელს უწყობს ქალაქში სპორტის, კერძოდ ფეხბურთის პოპულარიზაციას.

- **კულტურული ღონისძიებებისა და ორგანიზაციების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება მუსიკალური სკოლა, სადაც სწავლობს 355-მდე მოსწავლე; მუსიკალურ სკოლასთან არსებული ანსამბლი „ბორჯომი - 2012“; ააიპ „ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანება“, ააიპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრის“ მიერ ორგანიზებული ღონისძიებები, სსიპ “ბორჯომის თოჯინების თეატრი”; ააიპ „ბორჯომის ცენტრალური პარკის“ დაფინანსება, დაფინანსდება სხვადასხვა კულტურული და სადღესასწაულო ღონისძიებები: ბაკურიანობა,დედის დღე „მღერიან, ცეკვავენ და ხუმრობენ ქალბატონები“, მხიარულთა და საზრიანთა ჩემპიონატი სკოლის მოსწავლეებს შორის (მან-სან-კანი), ფაშიზმზე გამარჯვების დღის 9 მაისის აღნიშვნა,დამოუკიდებლობის დღე –26 მაისი, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე 1 ივნისი, თ. ამირეჯიბის სახელობის ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსი, გიორგი ათონელის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ღნისზიება, შოთა რუსთაველის 850 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ბორჯომობა–2016, აფხაზეთი საქართველოა, მასწავლებლის დღე, ახალი წელი, სოფლის დღეები.

- **რელიგია**

პროპროგრამის ფარგლებში განხორციელდება თვითმმართველობის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია–მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს აღნიშნული სფეროს დაფინანსებას.

- **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხავა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;

დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;

მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;

მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობა, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.

- **სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ადიგენის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის რეაბილტაცია და ექსპლოატაცია

ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია ადიგენის მუნიციპალიტეტის ერთერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტში არსებულ დაბებში საცხოვრებელ უბნებში ეზოების მოასფალტება და განათება, დასასვენებელი პარკების კეთილმოწყობა საასმელი წყლის სისტემების მოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაბების შიდა გზებისა და სოფლებში მისასვლელი გზების მოვლა-შენახვა-რეაბილიტაცია. კერძოდ დაგეგმილია ადიგენის მუნიციპალიტეტის ქვემო ენთელი-ზემო ენთელი-ფხერო-შოყა-ოქროს ციხის ადგილობრივი მნიშვნელობის გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი), დიდი ზანავი - პატარა ზანავი - ჭულეს ადგილობრივი გზის მოასფალტება, დ.ადიგენში თამარ მეფის, ჩადუნელის და ბალახაშვილის ქუჩების რეაბილიტაცია (მოასფალტება).

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება და მოწესრიგდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სოფლებისა და დაბების მომსახურეობაში მყოფი სასმელი წყლის არსებული ბასეინებისა და ქსელების რეაბილიტაცია. კერძოდ, განხორციელდება ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩნის, დიდი და პატარა სმადების სასმელი წყლის სათავე ნაგებობის და მაგისტრალური ქსელის მოწყობა. მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს სანიტარული ნორმების დაცვა. ამ მიზნით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ორივე დაბის და სოფლების უდისა და არლის აგრეთვე სოფ. ბენარისა და ვარხნის დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, რაც გააუმჯობესებს აღნიშნული დასახლებული პუნქტების სანიტარულ და ეკოლოგიურ მდგომარეობას. დაფინანსდება ასევე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია. აღნიშნული პროგრამის მიზანია გაზაფხულზე ადიდებული მდინარეებისაგან მოსახლეობის კერძო მფლობელობაში არსებული ნაკვეთების დატბორვისა და წალეკვისაგან დაცვა, აგრეთვე რწყვის სეზონისათვის არსებული სარწყავი არხების მზადყოფნაში მოყვანა რეაბილიტაცია.

განათლება

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება,

მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 8 საბავშო ბაღი. აღნიშნული ქვეპროგრამით მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს დასაქმებულთა სტაბილურ შრომის ანაზღაურებას, კვების და მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას. ასევე ხდება ბაღების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების დონის ამაღლებისა და ახალგაზრდა თაობის წახალისებისათვის მნიშვნელოვანია სპორტული და კულტურული ღონიძიებებისა და ორგანიზაციების დაფინანსება.

- **სპორტული ორგანიზაციებისა და ღონისძიებების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ადიგენის კომპლექსური სასპორტო სკოლის(ფეხბურთის, ჭიდაობის, და რაგბის ასაკობრივი ჯგუფებით) ფუნქციონირების ხელშეწყობა მომავალი სპორტული თაობის აღსაზრდელად. ასევე განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. მოხდება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების დაფინანსება სასპორტო სკოლის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს სპორტული შეჯიბრებების ორგანიზებას. ასევე ამ ამ პროგრამის ფარგლებში ხდება სპორტული შენობა-ნაგებობების აშენება-რეაბილიტაცია და ინვენტარიზაცია და სხვადასხვა რაიონული სპორტული ღონისძიებების დაფინანსება.

- **კულტურული ორგანიზაციებისა და ღონისძიებების დაფინანსება**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი პროგრამები. 2016 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება: ააიპ ადიგენის მთავარი ბიბლიოთეკა, ააიპ ადიგენის სამუსიკო სკოლა, ააიპ ადიგენის კულტურის ცენტრი

- **ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მომავალი თაობის ფიზიკური გაჯანსაღების მიზნით ტურისტული ლაშქრობების და ალპინიადების მოწყობა. ასევე ახალგაზრდა თაობის ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიულ საქმიანობაში. ახალგაზრდების ინიციატივებით სხვადასხვა პროექტების განხორციელება

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური უზრუნველყოფა ასპინძის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს აღნიშნული სფეროს დაფინანსებას

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურეობა**

პრიორიტეტის ფარგლებში იგეგმება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, კერძოდ: გადამდებ დავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები; იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელების ხელშეწყობა, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა; იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა; სანიტარული ღონისძიებები.

- **სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის სოციალური დაცვა ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში აფინანსებს შემდეგ პროგრამებს: ავადმყოფთა, ორსულთა,

მშობიარეთა, ჩვილ ბავშვთა ოპერაციების ნაწილობრივი დაფინანსება; სოფელ უდის სათნოების სახლის დაფინანსება; ომის მონაწილეთა დახმარებები 9 მაისისთვის; ლტოლვილთა და იძლებით გადაადგილებულ პირთა, უკიდურესად გაჭირვებულთა და სოციალურად დაუცველთა, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომში დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარებები; სოფელ არალის უნარშეზღუდულ და მენტალობადაქვეითებულ ბავშვთა საინტეგრაციო ცენტრის დაფინანსება; მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი დახმარება.

ასპინძის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ასპინძის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. ასევე დასუფთავების ღონისძიებები, გარე განათების რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია, სარწყავი არხების მშენებლობა-რეაბილიტაცია, აგრეთვე საპორექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასპინძის მუნიციპალიტეტის ქუჩების, გზების და ხიდების რეაბილიტაცია, კერძოდ, სოფლების: ორგორა, საყუდაბელი, ძველი, ჭობარეთში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია II ეტაპი, დაბა ასპინძაში გურამიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია-მოასფალტება, დ. ასპინძაში ერკოტის, კოსტავას, ნინოშვილის, შორეთის ქუჩების და სააკაძის ჩიხის რეაბილიტაცია-მოასფალტება, სოფელ ოთაში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - მოასფალტება, სოფელ ნაქალაქევში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - მოასფალტება. ასევე იგეგმება რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება, მოხრეშვა, საგზაო მოძრაობის დადგენილი წესების მიხედვით შესაბამისი საგზაო ნიშნების, გადასასვლელებისა და სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობა. ზამთრის პერიოდში შიდა გზების ჭარბი თოვლისაგან გათავისუფლება.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაბა ასპინძის სარწყავი და სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია ექსპლოატაცია, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და გარე განათება. მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, რაც გააუმჯობესებს დაბის სანიტარულ და ეკოლოგიურ მდგომარეობას. ასპინძის მუნიციპალიტეტისა და მასში შემავალი რამოდენიმე სოფლების რეაბილიტირებულ გზებზე ღამის განათება მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რის გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია.

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. ასპინძის მუნიციპალიტეტში ამ

ეტაპზე ფუნქციონირებს 4 საბავშვო ბაღი სადაც დაწყებით განათლებას მიიღებს 500- მდე აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

ასპინძის მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს კულტურული და სპორტული ორგანიზაციებისა და ღონისძიებების დაფინანასება.

- **სპორტული ღონისძიებებისა და ორგანიზაციების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებებისა და სპორტული კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები: მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი კალათბურთში; მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი ფეხბურთში; მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი მინი–ფეხბურთში;მაგიდის ჩოგბურთი; მხიარული სტარტები; მკლავჭიდი; მუნიციპალიტეტის პირველობა ნარდში;მუნიციპალიტეტის პირველობა ფრენბურთში; მუნიციპალიტეტის პირველობა ჭადრაკში.

- **კულტურული ღონისძიებებისა და ორგანიზაციების დაფინანსება**

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება კულტურის სახლები, ბიბლიოთეკები და სახელოვნებო სკოლები. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტებისა და ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა. მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი პროგრამები. პროგრამის ფარგელბში განხორციელდება სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი კულტურული ღონისძიებები. კერძოდ: ფოლკლორული საღამოები; საესტრადო კონცერტები; ქალთა საერთაშორისო დღე; საშემოდგომო ღონისძიებები; საახალწლო ღონისძიებები. დაფინანსდება ბიბლიოთეკები და სახელოვნებო სკოლები, სადაც ამჟამად სწავლობს 85 მოსწავლე მათი მიზანია ჩაატარონ სხვადასხვა სახის ღონისძიებები კერძოდ: საშობაო საახალწლო კვირეული, საშობაო კარნავალი და საგაზაფხულო კონცერტები.

- **ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომელიც ხელს შეუწყობის ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში: საახალწლო ღონისძიება; დედისა და ქალთა საერთაშორისო დღე; საქართველოს დამოუკიდებლობის დღე; დაბასა და სოფლებში ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზება და ფინანსური მხარდაჭერა; მოღვაწე ხელოვანთა შემოქმედების პროპაგანდის მიზნით გამოფენა გაყიდვების მოწყობა წიგნად გამოშვების ფინანსური მხარდაჭერა; ტურიზმის პოპულარიზაციის მიზნით სარეკლამო რგოლების დამზადება და ჩვენება ტელევიზიით.

- **რელიგია**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებით უზრუნველყოფას.

- **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა**

პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიების განხორციელება, კერძოდ:გადამდებ დავადებათა ზედა მხედველობა და კონტროლის ღონისძიებები; იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა; პრევენციული კონტროლის ღონისძიებები; დაავადების დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა.

- **სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალური ღონისძიებებს, რომელიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია

ქ.ახალციხის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია**

პროგრამის მიზანია გზებზე მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა, გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ქუჩების განტვირთვა ჭარბი სატრანსპორტო ნაკადებისაგან და ავტოტრანსპორტის შეუფერხებელ მოძრაობის ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე დაზიანებული ქუჩების და შიდა ეზოების მიმდინარე შეკეთება. განხორციელდება რუსთაველის, კოსტავას, აპინძის, თამარაშვილის, 9 აპრილის, დიდმამიშვილის, ივ. ახალციხელის, ზარზმელის, გამსახურდიას, ი. ათონელის და მის მიმდებარედ არსებული ქუჩების მოვლა შენახვის ღონისძიებები; განხორციელდება ქუჩების ორმული შეკეთება; განთავსდება საგზაო ნიშნები; უსაფრთხო და კომფორტული გახდება ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მოქალაქეთა გადაადგილება.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. ასევე . უზრუნველყოფილი იქნება ქალაქის დასუფთავება.დაგეგმილია ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერების შეძენა. ასევე აშენდება ახალი საოფისე შენობა

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამების ფარგლებში დაგეგმილია ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოები, რათა გაუმჯობესდეს ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა. განხორციელდება არსებული სკვერების და სპორტული მოედნების რეაბილიტაცია და ახლის მოწყობა; ე.წ. „11-იანების“ უბანში საბავშვო ატრაქციონის მოწყობა და სხვა ღონისძიებები. პროგრამა ასევე ითვალისწინებს საკადასტრო აზომვითი ნახაზების მომზადებას

განათლება

პროგრამის მიზანია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, მათი საქმიანობის ორგანიზება, კოორდინაცია და ხელშეყწობა, დადგენილი სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა და ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.ქალაქში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 8 ბაგა-ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 1300-მდე ბავშვი.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია წარჩინებული მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის ყოველთვიური სტიპენდიის დანიშვნა. რაც გაზრდის მათ მოტივაციას სასწავლო პროცესის მიმართ. პროგრამის მიზანია ახალგაზრდების სწავლის ხარისხის ამაღლების სტიმულირება.

სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული და სპორტული ორგანიზაციებისა და ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული სკოლის და მძლეოსანთა სპორტული კლუბის ფინანსური მხარდაჭერა, რათა მას ჰქონდეს შესაძლებლობა უზრუნველყოს სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. ფუნქციონირებს შემდეგი სპორტის სახეობები: მძლეოსნობა, ძალოსნობა, კრივი, ფეხბურთი, ჭადრაკი, რაგბი, თავისუფალი ჭიდაობა, კიგბოქსინგი, ველოსპორტი და კალათბურთი, სადაც აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ბავშვები.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების , კერძოდ: ა(ა)იპ ქალაქ ახალციხის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება, სსიპ ახალციხის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი, ა(ა)იპ ახალციხის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ ახალციხის სამხატვრო სკოლა, ა(ა)იპ ქალაქ ,,ახალციხის ტბა“ _ ფინანსური მხარდაჭერა. ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

- **რელიგიული, საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. ასევე პროგრამის მიზანია ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა, მათი საქმიანობის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა; ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ქალაქის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია, სარეკლამო-საინფორმაციო მასალების მომზადება გავრცელება, ტურისტულ გამოფენა ბაზრობებში მონაწილეობის მიღება; ტურისტული პროდუქტების შექმნა.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

- **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას. კერძოდ: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; ქალაქის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება; ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;ქალაქში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით რუსთავის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

- **სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ახალციხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია

ახალციხის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, დასასვენებელი პარკების, სკვერების და საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალციხის მუნიციპალიტეტი სამოქმედო ტერიტორიის არსებული ქუჩების, გზების და ხიდების რეაბილიტაცია, კერძოდ, ახალციხე -წყრუთი -ანის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია(II ეტაპი), სოფლებში წირა-ტატანისი-სვირი-ბოგის საავტომობილო გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია(II ეტაპი), სოფლებში წყრუთი-ჭვინთა-ელიაწმინდის საავტომობილო გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია, სოფელ მუსხის ტერიტორიაზე არსებული საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, სოფელ საძელის ცენტრალური გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია, ასევე რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება. საგზაო მოძრაობის დადგენილი წესების მიხედვით შესაბამისი საგზაო ნიშნების, გადასასვლელებისა და სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობა. ზამთრის პერიოდში შიდა გზების ჭარბი თოვლისაგან გათავისუფლება.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. ასევე მოხდება ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლის სისტემების მაგისტრალების და სათავე-ნაგებობების, სარწყავი სისტემების მშენებლობა რეაბილიტაცია, ასევე ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გარკვეული ნაწილის დასუფთავება.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები**

მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო–სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესების გათვალისწინებით შესაბამისი საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. ხოლო საჭიროების შემთვევებში აუცილებელია შესაბამისი გეოლოგიური კვლევების წარმოებაც. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

განათლება

მუნიციპალიტეტის ერთერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს სკოლამდელი განათლება, რომლის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა. ახალციხის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 9 საბავშვო ბაღი და იგეგმება სამი ტიპიური და ორი ალტერნატიული საბავშვო ბაღის გახსნა, სადაც დაწყებით განათლებას მიიღებს 550- მდე აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს. მათ შორის პროგრამის ფარგლებში ფინანსდება საბავშო ბაგა-ბაღების საწვავი შეშით უზრუნველყოფა 20,0 ათასი ლარი.

სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული და სპორტული ორგანიზაციებისა და ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში ხდება კულტურის დაწესებულებების გაერთიანების აპარატის, ხუთი ბიბლიოთეკის, ხუთი კულტურის სახლის ფინანსური მხარდაჭერა და ერთი სკოლა-მუზეუმის, ასევე ვალესა და აწურის

სამუსიკო სკოლების მხარდაჭერა, ხორციელდება ,,არტ–გენის“ ფესტივალის, 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპულთა მოსახსენიებელი, დედაენის დღესადმი მიძღვნილი, 9 მაისის დღესასწაულის დღისადმი მიძღვნილი, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი, შოთა რუსთაველის დღესადმი მიძღვნილი, შემოდგომის დღესასწაულისადმი მიძღვნილი, შობა- ახალი წლის და სხვა ღონისძიებების მოწყობა.

- **საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს აღნიშნული სფეროს დაფინანსებას.

- **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხავა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; ქალაქის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება; ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება; არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით ახალციხის მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

- **სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ამავე დროს მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და ზამთრის პერიოდში გათბობისათვის საწვავის შესაძენად თანხით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, შშმ პირთა, 2012 წელში აწყურში მომხდარი მეწყერის შედეგად დაზარალებულთა, სამუსიკო სკოლებში სხვადასხვა კატეგორიის ოჯახების შვილთა სწავლის დაფინანსებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს; ასევე ჯანდაცვის სფეროში მოსახლეობის სამედიცინო გამოკვლევების, გეგმიური და ურგენტული ოპერაციების და სხვა სამედიცინო მომსახურების დაფინანსებას, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობა, ასევე, პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსდება.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია**

პროგრამა გულისხმობს როგორც ქ. ახალქალაქის შიდა გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციას და მოვლა-შენახვას, აგრეთვე, სასოფლო გზების რემონტსაც. 2016 წელს განხორციელდება ახალქალაქის ქუჩების რეაბილიტაცია,კნუნიანცის, სპანდარიანის, დარბინიანის ქუჩებისა და ტროტუარების რეაბილიტაცია, ახალქალაქი-ბავრა საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში იგეგმება ჩატარდება სარებილიტაციო სამუშაოები შემდეგ სოფლებში სოფ. აბულის სამსმელი წყლის წყალსადენი, სოფ. მერენიის სამსმელი წყლის წყალსადენი, სოფ. ბეჟანო-ტურცხ სასმელი წყლის წყალსადენი, სოფ. ხანდოს სამსმელი წყლის წყალსადენი, სოფ. მიასნიკიანის სათავე ნაგებობის მშენებლობა და სასმელი წყლის წყალსადენის რეაბილიტაცია, სოფ. ალასტანში წყალსაცავის მოწყობა. მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება. 2016 წელს ახალქალაქის ქუჩებში დაგეგმილია გარე განათების ლამპიონების დადგმა უფრო მეტ ადგილას. გაფუჭებული ნათურების შეცვლა, მათი მოვლა-შენახვისა და ელ .ენერგიის მომსახურების ხარჯი.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები**

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილმოწყობის უზრუნველყოფა, 2016 წელს დაგეგმილია შემდეგი სამუშოები: ქალაქის ბაზრის ტერიტორიის კეთილმოწყობა, მუნიციპალური შენობების რემონტი, ატრაქციონის მოწყობა, ორი მინი სტადიონის და ორი მინი მოედნის რეაბილიტაცია, მრავსართულიანი სახლების ფასადების რემონტი.

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიზნით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა, აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 5 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 780 მეტი ბავშვი. ასევე განხორციელდება არსებული ბაღების რეაბილიტაცია. კერძოდ გარემონტდება სოფ. კოთელიის. აზავრეთის, კუმურდოს და ქ.ახალქალაქის №1 , №2. №3 საბავშვო ბაღები

სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ

მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას, შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ გამოავლინონ თავიანთი სპორტული შესაძლებლობები.

- **კულტურული ღონისძიებებისა და ორგანიზაციების დაფინანსება**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება: ბიბლიოთეკები, კლუბები, სახელოვნებო სკოლები, მუსიკალური სკოლა, მუზეუმი, აშუღის სკოლა, მომავლის სახლი. დაფინანსდება ისეთი მასობრივ-ტრადიციული დღესასწაული, როგორიცაა „ ჯივანი“. ფესტივალები, სადაც მონაწილეობას მიიღებენ თვითნასწავლი მხატვრები და სხვა შემოქმედებითი ადამიანები. საახალწლოდ მოირთვება და გალამაზდება ქალაქი, ასევე საბავშვო ბაღის ბავშვებს გადაეცემათ საჩუქრები, დაჯილდოვდებიან საუკეთესო მონაწილეები.

- **სპორტული ღონისძიებებისა და ორგანიზაციების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის შესაბამისი სავარჯიშო პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2016 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება: სპორტული ღონოსძიებები, საჭადრაკო სკოლა, სადაც სწავლობს 75 -მდე მოსწავლე; სპორტული სკოლა, სადაც ირიცხება 198 -მდე სპორტსმენი; სპორტ კომპლექსი;სადაც 470 -მდე სპორტსმენია; საცურაო აუზი- სადაც 180-მდე მოსწავლეა.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებები, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა ინფექციური დაავადებებისაგან.

- **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხავა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; ქალაქის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში და ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება; ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება; არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით ახალციხის მუნიციპალიტეტის

დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

- **სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობა, ასევე, პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსდება.

- **საგზაო ინფრასრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში სოფლების გზების მშენებლობა და რეკონსტრუქცია, ხიდების რეაბილიტაცია, ასევე ამ პროექტით გათვალისწინებულია ზამთრის პერიოდში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 90 კმ სიგრძის ადგილობრივი მნიშვნელობის გზების თოვლისგან გაწმენდა. ასევე გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ხიდების ნაწილობრივი რეაბილიტაცია სოფლებში კათნატუ, დიდი ხანჩალი, ოროჯალარი, დილიფი, პატარა არაქალი და სათხა.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყლის და საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა–რეაბილიტაცია, კერძოდ ქ. ნინოწმინდაში ერევნის ქუჩა- 1100მ, პუშკინის ქუჩა- 1000მ, კამოს ქუჩა - 330მ, დერჟინსკის ქუჩა -160მ, მიქელაძის ქუჩა -240მ, გინოსიანის ქუჩა- 310მ, ბარათაშვილის ქუჩა 200მ, საიათნოვას ქუჩა 180მ საკანალიზაციო სისტემის მშენებლობა; სოფლების სათხის, პატარა ხანჩალის, დიდი არაქალი, გორელოვკის, ჯიგრაშენის წყალსადენი სისტემის მშენებლობა. დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის რეაბილიტაცია, მათ შორის: სოფ.საღამო, სოფ. მამწვარა, სოფ. დიდი გონდრიო, სოფ. დილიფი. განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტის ერთერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის (3500 მ3) ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ასევე მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების შიდა ბუნკერების და გარე ქსელის დასუფთავება.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფლებში რიტუალების სახლების რეაბილიტაცია, ქ. ნინოწმინდაში რადარების მონტაჟი, ქ. ნინოწმინდის ტროტუარების კეთილმოწყობა,მ უნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები.

სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომავალი თაობის აღზრდისთვის მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა. ამჟამად მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 7 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 535 ბავშვი.

სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა.

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და გაგრძელებას. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სპორტის განვითარების ხელშეწყობა, კულტურის განვითარების ხელშეწყობა, რელიგიისა და საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა.

- **სპორტული ღონისძიებებისა და ორგანიზაციების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი ბაზის შექმნა. განხორციელდება ააიპ „ნინოწმინდის კომპლექსური სასპორტო სკოლის“ დაფინანსება. გაერთიანება მოიცავს სპორტის 12 სახეობას და უზრუნველყოფს ამ სახეობების განვითარებას, მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმას და მათთვის საწვრთნელი პირობების შექმნას, ასევე დაფინანსდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები მათ შორის: ფრენბურთი,მ. ჩოგბურთი, ჯავახეთის ზამთარი, სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, კარატე, მკლავჭიდი, ფეხბურთი, ჭადრაკი, სათხი, ჭიდაობა.

- **კულტურული ღონისძიებებისა და ორგანიზაციების დაფინანსება**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს: ააიპ „კულტურის ცენტრი“-ს მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსებას, პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, კერძოდ: ააიპ „ნინოწმინდის მთავარი ბიბლიოთეკა“, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი, მუსიკალური სკოლა, ვაჰან ტერიანის სახელობის მუზეუმი

- **ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა**

პროგრამით განხორციელდება განცხადებებისა და ინფორმაციის გამოქვეყნება პრესაში, ტელევიზიასა და ინტერნეტ პორტალებში, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდებას. დაფინანსდება სატელევიზიო გადაცემა „ფარვანა“ და შპს „არშალუის“.

- **რელიგია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები. დაფინანსდება სოფელ ფოკის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის ელ.ენერგიისა და გათბობის საწვავის ხარჯები 5 000 ლარის ოდენობით.ქ. ნინოწმინდის წმინდა სარქისის ეკლესია 35 000 ლარით, რომელიც სოფ. ფოკის და ქ. ნინოწმინდის მონასტრებს სუბსიდიის სახით მიეცემათ.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებები, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა ინფექციური დაავადებებისაგან.

- **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხავა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; ქალაქის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში და ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება; ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება; არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით ახალციხის მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

- **სოციალური უზრუნველყოფა**

მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა, რომლის ფარგლებშიც დაფინანსდება სხვადასხვა საშეღავათო პროგრამა, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვა სოციალური ღონისძიებები, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სუფსა-გულიანის გზის რეაბილიტაცია

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, წყალსადენის შიდა ქსელის მოვლა შენახვა და ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახდის შეუფერხებელი დაფარვა.

- **სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სარწყავი არხისა და ნაპირსამაგრების მოწყობა რეაბილიტაცია, აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარე სუფსაზე ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები.

- **წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს სოფლის მოსახლეობისათვის წყლის მიწოდების უზრუნველყოფა, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება წყალსადენის ექსპლოატაციაზე გახარჯული ღირებულების გადახდა.

- **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ლანჩხუთის ცენტრის კეთილმოწყობა, მუნიციპალიტეტში არსებული სკვერების მოვლა და გამწვანების სამუშაოების ჩატარება, სასაფლაოების მოვლა პატრონობა;

- **აგრობიზნესცენტრის დაფინანსება**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობას.

განათლების დაფინანსება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა.

- **სკოლამდელი განათლების დაფინანსება**

პროგრამის მიზანია საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, გაიხსნას ბაგა–ბაღები ისეთ სოფლებში, სადაც კონტიგენტის დიდი რაოდენობა არსებობს და უზრუნველყოფილი იქნას მათი კეთილმოწყობა და კვალიფიციური პერსონალით მომსახურეობა. ქალაქის საბავშვო ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა–შენახვა.

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ააიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრი, რომელიც აერთიანებს 21 საბავშვო ბაღს, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1300–ზე მეტი ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ–ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი ისე ფიზიკური თვალსაზღისით) განვითარების ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარებას.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციური და მეთოდური ხელშეწყობა, სპორტულ ასოციაციასთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებთან და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. კლუბების, ნაკრები გუნდების მომზადება და მონაწილეობა ქვეყნის და საერთაშორისო ასპარეზობებში. 2016 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები.

პროგრამით ხორციელდება სპორტული ცენტრის, საფეხბურთო კლუბ გურიას და საფეხბურთო სკოლის ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა.

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ა(ა)იპ გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო - საფეხბურთო სკოლის ყველა ხარჯის დაფინანსება, რომელიც ემსახურება გოგონათა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვას სისტემატიურ სპორტულ გამაჯანსაღებელ მოძრაობაში და მომავალი თაობების ჩამოყალიბებას პროფესიონალ ფეხბურთელებად, მორაგბეებად.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აგრძელებს სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას. განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, თეატრალური, მუსიკალური, სახვითი, ქორეოგრაფიული ფესტივალების, კონცერტების, მუზეუმებში გამოფენის მოწყობა, ასევე სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები;

- **ტურიზმის განვითარების ცენტრი**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს კულტურულ სათავგადასავლო, რელიგიურ და ეკოტურიზმის მარშრუტების დამუშავებას, პასპორტიზაციას და პოპულარიზაციას. აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენას; ტურისტული მარშუტების დაგეგმარებას; ლაშქრობების და სკაუტების ორგანიზებას; ტურისტული დისლოკაციის ადგილების მოწყობას;

- **რელიგიის დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძრისადმი მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

- **ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება**

პროგრამა ითვალისწინებს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ზედამხედველობას, გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობას და კონტროლის ღონისძიებებს, პარაზიტული დაავადებების პირველად კვლევას; დაავადებების დიაგნოსტიკას, პროფილაქტიკური მკურნალობას; სანიტარულ ღონისძიებებს.

- **სოციალური პროგრამების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება: ბიკარბონატული ჰემოდიალეზით – თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო საწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა, მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა, ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში გარდაცვლილი მეომრების ოჯახების დახმარების პროგრამა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურების და მე-2 მსოფლიო ომის მონაწილეთა დახმარების პროგრამა, დედათა და ბავშვთა დახმარების პროგრამა, ჰუმანიტარული პროგრამების ხელშეწყობის პროგრამა, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარებისა და დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა, ჰუმანიტარული ორგანიზაციების თანადაფინანსების ეროვნული სკრინინგ ცენტრიდან და სამედიცინო დაწესებულებაში მოწვეული სპეციალისტის ბინით უზრუნველყოფის პროგრამა დევნილთა და შეჭირვებულ ოჯახთა საშეშე მერქნით დახმარების პროგრამა, ბავშვთა დღის ცენტრ იავნანას თანადაფინანსება, მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების პროგრამა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მდგომარეობის შენარჩუნება. დაგეგმილია სოფ. ნაგომარში, სოფ. ვაკიჯვარი (ფამფალეთი)-სოფ.მთისპირის,სოფ.მაკვანეთის,სოფ. ოზურგეთი-სოფ.გურიანთის, სოფ.ბოხვაური- სოფ.შემოქმედის დამაკავშირებელი, სოფ.მელექედური-დაბა ნასაკირალის დამაკავშირებელი, სოფ.გაღმა დვაბზუ-სოფ.ბახვის საავტომობილო გზების რეაბილიტაცია.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის გაფართოება, მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების შესამცირებლად გარე განათების ქსელში განხორციელდება ფოტონების დამონტაჟება. მუნიციპალიტეტის სოფლებში წყალსადენის შიდა ქსელის რეაბილიტაცია და ინფრასტრუქტურის სამუშაოების ჩატარება. დაგეგმილია სოფ. ჯუმათის წყალმომარაგება, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ხელშეწყობა. ასევე დაგეგმილია გარე განათების გაუმჯობესების მიზნით ახალი სანათი წერტილების მოწყობა.

პროგრამა ასევე ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის სოფლებში, განსაკუთრებით ზღვისპირა საკურორტო ზოლში სანიტარული წესრიგის შენარჩუნებას და გაუმჯობესებას. მიზნის განსახორციელებლად შეძენილი იქნება ერთი ერთეული პლაჟის დასუფთავებისა და ნარჩენებისაგან გამწმენდი სპეციალური მანქანა.

გაგრძელდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებსა და დაბა ურეკის ტერიტორიაზე დიდი და პატარა დამატებითი ურნების დადგმის პროცესი.

განათლების დაფინანსება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას.

- **სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა**

პროგრამის მიზანია საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა.

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 34 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1600 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

2016 წელს დასრულდება 2 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა სოფელ ბახვსა და ცხემლისხიდში, სოფელ ჯუმათში დასრულდება წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა.

- **ზოგადი განათლების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაწყებითი და ზოგადი განათლების მქონე დაწესებულებების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული საჯარო სკოლების აღდგენა-რეაბილიტაცია;

სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს მდიდარი კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინებას. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციური და მეთოდური ხელშეწყობა, სპორტულ ასოციაციასთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებთან და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. კლუბების, ნაკრები გუნდების მომზადება და მონაწილეობა ქვეყნის და საერთაშორისო ასპარეზობებში.

2016 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტისა და ტურიზმის განვითარების ა(ა)იპი-ს შექმნა- დაფინანსება, სადაც გაერთიანდება სპორტული სკოლები.

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საცხენოსნო კლუბი ,,მარულა“ -ს დაფინანსება, სადაც მოხდება არსებული სადოღე ცხენების მოვლა შენახვა, მათი სელექცია საქართველოს ჩემპიონატებში და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის ფოლკლორული კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მხარდაჭერა და შემოქმედებითი კოლექტივების ხელშეწყობა, თეატრალური, მუსიკალური სახვითი, ქორეოგრაფიული, წიგნის ფესტივალების, კონცერტების, მუზეუმებში ახალ ექსპოზიციათა და მოძრავი გამოფენის მოწყობა, გაგრძელდება სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალური კულტურის ცენტრი, თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი, ც/ბიბლიოთეკა, დრამატული თეატრი, ურეკის კულტურის სახლი, სამხატვრო სკოლა, ანსაბლი ,,გურია“

- **ტურიზმის ხელშეწყობის პროგრამა**

აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენას; ტურისტული მარშუტების დაგეგმარებას; ლაშქრობების და სკაუტების ორგანიზებას; ტურისტული დისლოკაციის ადგილების მოწყობას და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას ურეკში, შეკვეთილში ზღვის სეზონთან დაკავშირებული ღონისძიებების ჩატარებას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი მოსახლეობა და დამსვენებლები, სეზონის გახსნას და დახურვას, სხვადასხვა სახის ფესტივალების მოწყობას. კურორტ გომისმთაზე სამთო ექსტრემალური სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა პროექტების ორგანიზებას და ხელშეწყობას.

- **ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში, თანამშრომლობა სხვადასხვა სამთავრობო, არასამთავრობო და უცხოურ ახალგაზრდულ ორგანიზაციებთა, ბავშვთა და ახალგაზრდულ ორგანიზაციათა მხარდაჭერა და წახალისება, თავისუფალი დროის შინაარსიანად და ეფექტურად ორგანიზება.

აგრეთვე დაფინანსდება ტრეინინგ-სემინარები, ფორუმები, სესიები, ინტელექტუალურ–შემეცნებითი, გასართობი თამაშები, შემოქმედებითი და საგანმანათლებლო კონკურსები და სხვა; შემოქმედი ახალგაზრდების შემოქმედების პოპულარიზაცია (გამოფენები, ლიტერატურული საღამოები, კონცერტები, ფესტივალები, სპექტაკლები და სხვა); ახალგაზრდული საინფორმაციო ცენტრის ხელშეწყობა; ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება (ლაშქრობები, ექსკურსიები, შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში,); სხვა ღონისძიებები.

- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. 2016-2017 წლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის, ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, რომლის ამოცანებია ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობა და ეპიდემიოლოგიური კონტროლი, დაავადების გადაცემის

გზების, რისკფაქტორების გამოვლენისა და შესწავლის მიზნით; პროფილაქტიკური აცრების დაგეგმვა, შესრულება, ასაცრელი მასალით უზრუნველყოფის ორგანიზაცია და კონტროლი, განსაკუთრების საშიშ ინფექციათა ბუნებრივი კერების გამოვლენა, ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის სამსახურების ხელშეწყობა და სხვა ღონისძიებები.

- **სოციალური პროგრამების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება: მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა, მზრუნველობამოკლებულთა ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა, ვეტერანთა დახმარების პროგრამა, ვეტერანთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარების პროგრამა, შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა, იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების პროგრამა, ხანდაზმულთა დახმარების პროგრამა, უსინათლოთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა, სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრის პროგრამული დაფინანსება, თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარების პროგრამა, დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა, ხანდაზმულთა სახლის კომუნალური გადასახადების სუბსიდირების პროგრამა.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

მუნიციპალიტეტის ერთ ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია , რომლის ფარგლებში მომდევნო 4 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების 80%-ში რეაბილიტირებული იქნება ძირითადი გზები, მოიხრეშება და მოსწორდება შიდა საუბნო გზები, რეაბილიტირებული იქნება ცენტრიდან სოფლებთან დამაკავშირებელი გზები, დაგეგმილია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში საჭამიასერი-კოხნარის დამაკავშირებელი და შუა ფარცხმის გზის ა/ბეტონის საფარის რეაბილიტაცია.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება რომელსაც ახორციელებს კომუნალური სამსახური ,,სხივი“. ასევე სკვერების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, წყალსადენის შიდა ქსელის რეაბილიტაცია და ინფრასტრუქტურის სამუშაოები;

დაგეგმილია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, დაბა ჩოხატაურში ნინოშვილის, გურიის, დუმბაძისა და კალანდაძის ქუჩების შემაერთებელი მონაკვეთის (კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე), გოგებაშვილის ქუჩის მეორე ნაწილის და კოსტავას ქუჩების (გორაბერეჟოულის გადასახვევთან) ა/ბეტონის საფარითა და ბეტონის სანიაღვრე არხებით მოწყობა და გოგიბერიძისა და ბენდელიანის ქუჩებზე ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობა.

- **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

გზების მშენებლობა-რეაბილიტაციისა და კომუნალური მეუნეობის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელებას, რომლის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერის კეთილმოწყობა.

განათლების დაფინანსება

პროგრამის მიზანია საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, გაიხსნება სამი ახალი საბავშვო ბაღი სოფლებში: ხევი, სამება და ამაღლება. უზრუნველყოფილი იქნება მათი კეთილმოწყობა და კვალიფიციური პერსონალით მომსახურეობა. მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზა გაუმჯობესდება.

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 16 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 635 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგემილია არსებული სკოლის დაფინანსება, რომელიც აერთიანებს ძიუდოს, ფეხბურთის, მძლეოსნობის, ბერძნულ-რომაული, თავისუფალი ჭიდაობის, ქართული ჭიდაობის, ბალახის ჰოკეის, კალათბურთის, რაგბის, ფრენბურთის ჭადრაკის სპორტულ წრეებს. სასპორტო სკოლაში ფუნქციონისრებს 9 სპორტული სახეობის 18 სექცია, სადაც გაერთიანებულია 285 მოსწავლე ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საფეხბურთო კლუბი ,,ბახმარო-2009", გურიის მხარის ოლიმპიური კომიტეტი, სპორტის განვითარების ცენტრი.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა.**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება კურტურის ცენტრი, ბიბლიოთეკები, მუზეუმები, სამუსიკო სკოლა, სახელოვნებო სკოლები, სამხატვრო გალერეა, ჩატარდება სხვადასხვა ღონისძიებები. დაგეგმილია დაბა ჩოხატაურში კულტურის სახლის მშენებლობა.

ადგილობრივი მნიშვნელობის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების განხორციელება

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

- **საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაფინანსება**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა/დადგენას; პრევენციული და კონტროლის ღონისძიებებს; პარაზიტული დაავადებების პირველად კვლევას; გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებებს; დაავადებების დიაგნოსტიკას, პროფილაქტიკური მკურნალობას; სანიტარულ ღონისძიებებს; მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ზედამხედველობას; ჯანმრთელობის ხელშეწყობას;

- **სოციალური პროგრამების დაფინანსება**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან

გამოყოფილ ასევე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებით. პროგრამა ითვალისწინებს სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესების, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, დევნილთა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარებას, სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარებას, სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების, მოვლა-შენახვისა და ზამთრის პერიოდში ადგილობრივი მნიშვნელობის გზების თოვლისგან გაწმენდის სამუშაოების ხარჯების დაფინანსება. დაგეგმილია ქ. ოზურგეთში დაზიანებული ქუჩების სავალი ნაწილის მოასფალტება.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა ეზოებში ახალი წერტილების მოწყობა, მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახდის შეუფერხებელი დაფარვა; ქუჩების დასუფთავება და ნარჩენების გატანა, არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა, პროგრამა ითვალისწინებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 2016 წელს განსაზღვრულია: მეცნიერების ქუჩაზე საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია, იოანე პეტრიწის, ფარნავაზ მეფის, სამთო ქიმიის ქუჩებზე კანალიზაციის შიდა ქსელის რეაბილიტაცია, ჭავჭავაძისა და დოლიძის ქუჩის ფასადების მოწესრიგება, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია.

- **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის მიზანია ქალაქისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაზიანებული საქალაქო ინფრასტუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია. ქალაქის მასშტაბით ნაპირდამცავი სამუშაოების, მრავალმხრივი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება (სკვერები, ეზოები, სპორტული მოედნები) მოვლა-შენახვა, ქუჩების ტროტუარების კეთილმოწყობა.

განათლების დაფინანსება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად ქალაქ ოზურგთის მუნიციპალიტეტის

ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა, აგრეთვე, ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს სკოლის გარეშე, შემოქმედებითი, ტექნიკური, ალტერნატიული და სხვა სახის დამატებითი განათლების მიღებას.

- **სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა**

პროგრამის მიზანია საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, ქალაქის საბავშვო ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა–შენახვა.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს, ბავშთა კვებას და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

- **ზოგადი განათლების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის ტერიტორიაზე არსებული დაწყებითი და ზოგადი განათლების მქონე დაწესებულებების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლებისათვის ხელშეწყობა სხვადასხვა ხარჯებისათვის.

- **სკოლის გარეშე დაწესებულებათა დაფინანსება**

პროგრამის მიზანია მოსწავლე ახალგაზრდობის მოქალაქეობრივი, პატრიოტული ცნობიერების, შრომითი უნარჩვევების ჩამოყალიბება, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების ინტეგრირება საზოგადოებაში, სადაც სრული თავისუფლება მიენიჭება მათ შესაძლებლობებს.

ასევე პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა.(ა).ა.ი.პ ოზურგეთის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი.

სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია ხელი შეეწყოს მდიდარი კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა; სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების, ტურნირების, შეჯიბრებების ორგანიზება, ხელშეწყობა და დაფინანსება, აგრეთვე ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება; ასევე განხორციელდება სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, სპორტულ ასოციაციასთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებთან და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. კლუბების, ნაკრები გუნდების მომზადება და მონაწილეობა ქვეყნის და საერთაშორისო ასპარეზობებში.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა: ა.(ა).ა.ი.პ სპორტის განვითარების ცენტრი; ა.(ა).ა.ი.პ საფეხბურთო კლუბი „მერცხალი“; ა.(ა).ა.ი.პ ცენტრალური სტადიონი; ა.(ა).ა.ი.პ საჩოგბურთო სკოლა; ა.(ა).ა.ი.პ რაგბის განვითარების ცენტრი; ა.(ა).ა.ი.პ სასპორტო სკოლა.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული პროფილის მქონე ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის ფოლკლორული კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მხარდაჭერა და შემოქმედებითი კოლექტივების ხელშეწყობა, თეატრალური, მუსიკალური, სახვითი, ქორეოგრაფიული ღონისძიებების ჩატარება, წიგნის ფესტივალების, კონცერტების, მუზეუმებში ახალ ექსპოზიციათა და მოძრავი გამოფენის მოწყობა, გაგრძელდება სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების ორგანიზება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კულტურული პროფილის მქონე ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა: ა.(ა).ა.ი.პ კულტურის ცენტრი; ა.(ა).ა.ი.პ ცენტრალური ბიბლიოთეკა; ა.(ა).ა.ი.პ საბავშვო თეატრი; ა.(ა).ა.ი.პ თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი– გალერეა; ა.(ა).ა.ი.პ კულტურისა და დასვენების პარკი; ა.(ა).ა.ი.პ ქორეოგრაფიული ანსაბლი „გურია“; ა.(ა).ა.ი.პ სამხატვრო სკოლა; ა.(ა).ა.ი.პ მუსიკალური სკოლა; ა.(ა).ა.ი.პ ისტორიული მუზეუმი; ასევე პროგრამით დაფინანსდება ს.ს.ი.პ ქ.ოზურგეთის ალ.წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი.

- **ტურიზმის ხელშეწყობის პროგრამა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ტურიზმის ხელშემწყობი ღონისძიებების დაფინანსება. აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენას, ტურისტული მარშრუტების დაგეგმარებას, სხვადასხვა სახის ფესტივალების მოწყობას, ტურიზმის განვითრების ხელშეწყობას.

ასევე პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ტურიზმის პროფილის შემდეგი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა: შ.პ.ს. გურიათრეველი.

- **ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას ქალაქის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. გაგრძელდება თანამშრომლობა სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, ბავშვთა და ახალგაზრდულ ორგანიზაციათა მხარდაჭერა და წახალისება; თავისუფალი დროის შინაარსიანად და ეფექტურად ორგანიზება.

- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე არსებული შემოქმედის ეპარქიის ფინანსური მხარდაჭერა (კომუნალური გადასახადებით), ასევე ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები. დაფინანსდება სხვადასხვა რელიგიური ღონისძიებები.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. 2016-2017 წლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის, ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, რომლის ამოცანებია ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობა და ეპიდემიოლოგიური კონტროლი, დაავადების გადაცემის გზების, რისკფაქტორების გამოვლენისა და შესწავლის მიზნით; პროფილაქტიკური აცრების დაგეგმვა, შესრულება, ასაცრელი მასალით უზრუნველყოფის ორგანიზაცია და კონტროლი, განსაკუთრების საშიშ ინფექციათა ბუნებრივი კერების გამოვლენა, ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის სამსახურების ხელშეწყობა და სხვა ღონისძიებები.

- **სოციალური პროგრამების დაფინანსება**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.
პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა, დასუფთავების ღონისძიებები, სკვერების, მოედნების კეთილმოწყობის ღონისძიებები, წყლის და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია, გარე განათების ქსელის გაფართოება, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თვითმმართველ ქალაქ მცხეთაში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და ახალი/მეორე მნიშვნელობის გზების, საყრდენი კედლების.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია, გაზგაყვანილობის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტში არსებული სკვერების და მოედნების კეთილმოწყობის სამუშაოები, გამწვანების, დასუფთავებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის სამუშაოები, საკანალიზაციო სისტემის ექსპლოატაციის, მილგაყვანილობის და წყალსაქაჩების დამონტაჟება-რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ქალაქ მცხეთის ქალაქმშენებლობის დოკუნეტაციის მომზადება

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას. აღნიშნულიდან გამომდინარე გაგრძელდება ააიპ თვითმმართველი ქალაქ მცხეთის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელებას, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგის დახვეწას, სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფას, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარებას, საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალურ გამტარუნარიანობასდა და სხვა.

კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

თვითმმართველი ქალაქ მცხეთის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, თვითმმართველობა განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში თვითმმართველობა განაგრძობს წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

თვითმმართველი ქალაქ მცხეთის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. ტურიზმის განვითარების და ხელშეწყობის მიზნით ფინანსდება ა(ა)იპ ,, მცხეთის ტურიზმის განვითარების ცენტრი“ , რომლის საქმიანობის ძირითადი სფეროა შიდა ტურიზმი, შემოყვანის ტურიზმი, კურორტები და რეკრეაცია.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- ➢ არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;

- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;
- ქ. მცხეთაში მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;
- ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;
- ქ. მცხეთაში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების სასურსათო პაკეტით დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მცხეთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია**

მომდევნო წლებში დაგეგმილია მცხეთის ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფ. ქსანში შიდა გზების მოხრეშვა-მოასფალტება, სოფ. ციხისძირში ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია, და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია, გაზგაყვანილობის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების რეაბილიტაცია, მუნიციპალური შენობების მშენებლობა - რეაბილიტაცია.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მცხეთის მუნიციპალიტეტში არსებული სკვერების და მოედნების კეთილმოწყობის სამუშაოები, ძეგლების და მემორიალების რეაბილიტაცია, გამწვანების, დასუფთავების, გარე განათების და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის სამუშაოები, მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა.სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას. მცხეთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 18 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1 400-მდე ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის ხელფასებს, აღსაზრდელთა კვების ხარჯებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს კულტურული ტრადიციების დაცვა და ღირსეული გაგრძელება, ასევე სპორტის ხელშეწყობა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2016 წლის განმავლობაში ქვეპროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება ა(ა)იპ „ მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე დაფინანსდება სხვადასხვა კულტურული, გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. წლის განმავლობაში დაფინანსდება ი.ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი და ა(ა)იპ“მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“.

- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე დაგეგმილია ზოგიერთი ტაძარის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსება, კერძოდ: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა; დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება.

- **სოციალური ღონისძიებები**

მსგავსად გასული წლებისა, პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვა სოციალურ ღონისძიებები, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

თიანეთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ინფრასტრუქტურის მშენებლობა და გაუმჯობესება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია**

თიანეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს გზების რეაბილიტაცია და მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებში რეაბილიტირებული იქნება ძირითადი გზები, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების შიდა საუბნო გზები, რეაბილიტირებული იქნება ცენტრიდან სოფლებთან დამაკავშირებელი გზები, დ.თიანეთში დასრულდება შიდა საუბნო გზების მოასფალტება. იგეგმება თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ბოგირების მოწყობა-რეაბილიტაცია.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება**

მუნიციპალიტეტის პრიტორიტეტს წარმოადგენს კომუნალური მეურნეობის განვითარება, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლების განმავლობაში ყველა იმ სოფელში, რომლებშიც ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა სასმელი წყლის მიწოდება და გარე განათების მოწყობა, მოხდება მომდევნო წლებში აღნიშნული პროექტების განხორციელება, აგრეთვე მოეწყობა წყალგაყვანილობის სისტემები, სარწყავი არხები და ნაპირსამაგრი ნაგებობები. რეაბილიტაცია ჩაუტარდება სოფლებში დაზიანებულ წყალგაყვანილობის სისტემებს, მოწესრიგდება საკანალიზაციო სისტემები.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება, შეიქმნას მოსახლეობისათვის სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები. პროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის გამწვანება,სანიაღვრე ქსელების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, წყალდიდობის შემთხვევაში სალიკვიდაციო ღონისძიებების გატარება, ქუჩების თოვლისგან გაწმენდა, სასაფლაოების მოვლა-დასუფთავება, ქარსაცავი ზოლების და მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში კერძო საკუთრების გარეთ მდებარე ხეების მოვლა-პატრონობა.

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 15 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 360-ზე მეტი ბავშვი. პრიორიტეტის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს, ბავშვთა კვების და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს. ასევე 2016 წელს იგეგმება სოფ. ნადოკრის და დაბა სიონის საბავშვო ბაღების მშენებლობა, სოფლების: ახალსოფლის, ნაქალაქარის და ჩაბანოს საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია.

კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს კულტურული და სპორტული ტრადიციების დაცვა და ღირსეული გაგრძელება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში მოხდება სხვადასხვა სპორტული სახეობების პოპულარიზაცია, განხორციელდება სპორტული კლუბი ,,თიანეთის“ ფინანსური მხარდაჭერა, რათა უზრუნველყოფილი იყოს სპორტსმენების სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება, სხვადასხვა სპორტული სახეობების ასაკობრივი გუნდების მზადება და მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრება ყოველთვის გამოირჩევა მრავალფეროვნებითა და ღონისძიებების სიმრავლით, რაც ხელს უწყობს, როგორც ქართველი ხელოვანების შემოქმედებითი იდეების რეალიზებას, ასევე მუნიციპალიტეტის, კულტურული სტატუსის დამკვიდრებას. პროგრამა გულისხმობს ხელოვანების ღირსეულად წარმოჩენას, მათ ხელშეწყობას და მათი პროექტების მეშვეობით მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას, ღვაწლმოსილი ხელოვანების სათანადოდ დაფასებასა და მათი შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას, სახელმწიფო სახალხო და რელიგიური სადღესასწაულო ღონისძიებების აღნიშვნას, ტრადიციების შენარჩუნების გათვალისწინებით და მოსახლეობისა და ტურისტებისათვის სასიამოვნო და დაუვიწყარი გარემოს შექმნას, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების ჩატარებას, კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებში სხვადასხვა თაობის ხელოვანების ჩართულობას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით, პროგრამის ფარგლებში აგრეთვე გაგრძელდება კულტურული დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა.

რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა

რელიგიური დაწესებულებენის ხელშეწობის მიზნით კვლავ გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული ეკლესია-მონასტრების კომუნალური ხარჯების დაფინანსება.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსება, კერძოდ: დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება.

- **სოციალური ღონისძიებები**

მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება, ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა, სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის მკურნალობის და ოპერაციების ჩატარების ხარჯების დაფინანსება, უფასო სასადილოს დაფინანსება და სხვა სოციალურ ღონისძიებები, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

დუშეთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

დუშეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია**

ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ–ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საავტომობილო გზების, ხიდების და ბოგირების მშენებლობა-რეაბილიტაცია. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საკურორტო ცენტრებთან, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან მისასვლელი გზების რეკონსტრუქცია და მოდერნიზება. ზამთარში დიდთოვლობის დროს მაღალმთიან სოფლებში ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილებისათვის გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდა. დუშეთის მუნიციპალიტეტის რამოდენიმე სოფელში და ქ.დუშეთის რამოდენიმე ქუჩაზე იგეგმება სიჩქარის შემზღუდველი ბორცვების მოწყობა ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით. ასევე გაგრძელდება მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობის საჰაერო ტრანსპორტით უზრუნველყოფა, რომელიც დიდთოვლობის დროს სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება**

ბოლო წლებში განხორციელებული სხვადასხვა პროექტების მიუხედავად, კვლავ არასახარბიელო მდგომარეობაა მუნიციპალიტეტის კომუნალურ მეურნეობაში. პრიორიტეტის ფარგლებში მომდევნო წლებში მოეწყობა წყალგაყვანილობის სისტემები, სარწყავი არხები და ნაპირსამაგრი ნაგებობები, რეაბილიტაცია ჩაუტარდება სოფლებში დაზიანებულ წყალგაყვანილობის სისტემებს, მოწესრიგდება საკანალიზაციო სისტემები. სანიტარული პირობების გაუმჯობესების მიზნით დამატებით იქნება შესყიდული ნაგავმზიდი მანქანები და ნაგვის კონტეინერები. საბინაო ამხანაგობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის თანადაფინასების პრინციპით შეკეთდება საცხოვრებელი კორპუსები.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები**

გზების მშენებლობა-რეაბილიტაციისა და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობას. მომდევნო წლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამწვანება, ნარგავების მოვლა–პატრონობა, გამწვანების ზონაში დეკორატიული მცენარეების დარგვა და სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია.

განათლება

მსგავსად გასული წლებისა, პრიორიტეტის ფარგლებში მომდევნო წლებშიც განხორციელდება საბავშვო ბაღებისა და სკოლა-პანსიონების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.

- **სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა**

სკოლამდელი აღზდრის ხელშეწყობის მიზნით პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია საბავშვო ბაღების თანადაფინანსება. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 14 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 650-ზე მეტი ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს საბავშვო ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს. საბავშვო ბაღებში ერთი ბავშვის კვების ღირებულება შეადგენს 2.0 ლარს. ასევე 2016 წელს დაგეგმილია სოფ. ბულაჩაურში, სოფ. ქვეშეთში და სოფ ოძისში საბავშვო ბაღების გახსნა.

- **მოსწავლეთა ხელშეწყობის ცენტრის დაფინანსება**

პრიორიტეტის ფარგლებში გაგრელდება მოსწავლეთა ხელშეწყობის დაფინანსება, აღნიშნული მიზნით მუნიციპალიტეტი აფინანსებს მაღაროსკარის, ბარისახოს და შატილის პანსიონებს. პანსიონებში ბავშვთა რაოდენობა შეადგენს 47-ს. კვების ხარჯი ერთ ბავშვზე შეადგენს 2,50 ლარს, რაც მთლიანად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება. კვების ხარჯების გარდა, მუნიციპალიტეტი აფინანსებს პანსიონების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია ხელი შეეწყოს სპორტული და კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა. მოეწყობა რეგიონული და რესპუბლიკური ტურნირები ფეხბურთში, ფრენბურთში, ნიჩბოსნობაში, კრივში და წახალისდენიან წარმატებული სპორცმენები. დაგეგმილია საფეხბურთო კლუბ „არაგვის“ დაფინანსება.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები. დაფინანსდება მუნიციპალიტეტში არსებული საბიბლიოთეკო გაერთიანება, მუსიკალური კოლექტივები, სახელოვნებო სკოლები, მუზეუმი, კულტურის სახლები. სადღესასწაულო დღეებში მოეწყობა სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

- **ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში მოხდება ახალგაზრდა შემოქმედთა გამოსავლენად და ხელშესაწყობად ფესტივალების, გამოფენების, ლიტერატურული საღამოების და სხვა კულტურული ღონიძიებების ორგანიზება, რომლებიც პირველ ყოვლისა ორიენტირებული იქნება განსაკუთრებული საჭიროების მქონე მომავალი თაობების წარმომადგენელთა დახმარებაზე.

- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში ხელი შეეწყობა დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ეკლესია - მონასტრების ფინანსურ მხარდაჭერას.

მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსება, კერძოდ: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები; იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელების ხელშეწყობა, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა; იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა; პარაზიტული დავადებების ეპიდკვლევა, დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა; საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო–სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და პიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების ხელშეწყობა.

- **სოციალური ღონისძიებები**

პრიორიტეტი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. ასევე დაგეგმილია მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფა, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯების დაფინანსება, სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება და სხვა სოციალურ ღონისძიებები, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. მსგავსად გასული წლებისა, მომდევნო წლებშიც აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია**

მუნიციპალიტეტის სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის, ამიტომ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საავტომობილო გზების, ხიდების და ბოგირების მშენებლობის აუცილებლობა. მნიშვნელოვანია ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან მისასვლელი გზების რეკონსტრუქცია და მოდერნიზება. ზამთარში დიდთოვლობის დროს სოფლებში ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილებისათვის გათვალისწინებულია თოვლის საფარისაგან გზების გაწმენდა.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება**

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის კომუნალური მეურნეობის განვითარება. დაფინანსდება გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. დაგეგმილია მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია, სანიტარული და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გაგრძელდება მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა.

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს შვიდი საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 165 ბავშვი. პრიორიტეტის ფარგლებში მუნიციპალიტეტი დააფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

- **სკოლისგარეშე განათლების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს მოსწავლეების ცოდნის დონის ამაღლებას. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება 7 სხვადასხვა წრე ,სადაც ირიცხება 141 ბავშვი. როგორიცაა: ინგლისურის, ხატვის, ქორეოგრაფიული, ქსოვის, თექის და სხვა.ყველა მოსწავლეს აქვს საშუალება შესაბამისი განაცხადის საფუძველზე გაიაროს აღნიშნული წრეები.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია კულტურული ტრადიციების დაცვა და ღირსეული გაგრძელება. ასევე ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება კომპლექსური სასპორტო სკოლის ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. ყაზბეგის მუნიციპალიტეტი აქტიურად აფინანსებს სპორტულ ღონისძიებებს, როგორიცაა: თავისუფალი ჭიდაობა, ფეხბურთი, მეკლდეურობა. ასევე ყოველწლიურად იმართება ტ. ალიბეგაშვილის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში და ა.ალიბეგაშვილის სახელობის ტურნირი ფეხბურთში. გამარჯვებული გუნდები ჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით.

კულტურის განვითარების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის, მხარის ღირსეულად წარმოჩენის მიზნით ადგილობრივი და ჩამოსული სტუმრების დაინტერესების, სანახაობებისა და წარმოდგენების მიზნით გაიმართება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები.ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად იმართება სახალხო დღესასწაული "ყაზბეგობა", რომლის მიზანია ხევის ტრადიციების პოპულარიზაცია და დიდი ქართველი მწერლის ალ. ყაზბეგის ხსოვნის უკვდავყოფა. ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობენ, როგორც ადგილობრივი, ასევე მოწვეული შემოქმედებითი კოლექტივები, პოეტები და მწერლები. მუნიციპალიტეტში იმართება აგრეთვე სხვადასხვა სადღესასწაულო თარიღებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებები.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

მსგავსად გასული წლებისა, მომდევნო წლებშიც გაგრძელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსება, კერძოდ: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები; იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა; პარაზიტული დავადებების ეპიდკვლევა, დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა; საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო–სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების ხელშეწყობა.

- **სოციალური ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების (3 და მეტ ბავშვზე) დახმარებას, ერთჯერადი დახმარება შვილის შეძენასთან დაკავშირებით და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოვლა–შენახვა და შემდგომი გაუმჯობესება. ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვისათვის დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯებიც.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში ქალაქ ამბროლაურში 2016 წელს დაგეგმილია თამარ მეფის და გოგებაშვილის ქუჩებზე გზის დამცავი კედლის მშენებლობა, რითაც გაუმჯობესდებს საგზაო ინფრასტრუქტურა.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავების, ნარჩენების გატანის, ხეების მოჭრის, სანიაღვრე არხების გაწმენდის, ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლების, დასუფთავებასთან დაკავშირებული მოსაკრებლების, ჯარიმების ადმინისტრირების, სასაფლაოების მოვლა-შენახვის, თოვლწმენდის, გამწვანების, გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციისა და მიმდინარე შეკეთების სამუშაოები.

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას,რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდა საბავშვო ბაღების ხარჯების დაფინანსება. აგრეთვე დაფინანსდება სკოლისგარეშე განათლება.

- **სკოლამდელი და სკოლისგარეშე განათლების დაფინანსება**

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 1 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 140 -ზე მეტი აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღის სხვა მიმდინარე ხარჯებს.

კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის მიზანია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას, ამასთანავე, მისი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას, სპორტის პოპულარიზაციასა და სპორტული პირობების შექმნა განვითარებას, რათა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ სპორტული შესაძლებლობების განვითარება და გამოვლენა.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული სექციების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მოსწავლე–ახალგაზრდობას ჰქონდეთ შესაძლებლობა სპორტული ვარჯიშის განხორციელებისა თანამედროვე სპორტულ დარბაზებსა და მოედნებზე.

2016 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული მეცადინეობები და შეჯიბრი შემდეგ სახეობებში: კალათბურთი, ჭიდაობა, ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი, რაგბი, შიდოკან კარატე. ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია, ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდობის, ჯანრმთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ინიციატივით, 2016 წელს სპორტული ღონისძიებების ფარგლებში გამართავს მარათონს.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვისა და ღისეული გაგრძელების პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება კულტურული ღონისძიებები კერძოდ: სადღესასწაულო, გასართობი და სანახაობითი.

2016 წლის განმავლობაში დაფინანსდება: კულტურის სახლთან არსებული თეატრი და ანსამბლები; ბიბლიოთეკები, სახვითი ხელოვნების მუზეუმი;

მუნიციპალიტეტში 2016 წელს გაგრძელდება ახალგაზრდების კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამღლების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა.ა.ი.პ.ი „დავით თორაძის სახელობის სამუსიკო სკოლა“, სადაც სწავლობს 125-მდე მოსწავლე. სკოლის დაფინანსება ხდება როგორც ბიუჯეტიდან ასევე მშობელთა შემონატანით.ქვეპროგრამა ხორციელდება სუბსიდირების გზით

- **ახალგაზრდული და საზოგადოებრივი ღონისძიებების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძნობს მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯამრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნმველყოფს მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვას გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

- **ამბროლაურის ერთიანი ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ხელშეწყობის პროგრამა**

პროგრამა ითვალისწინებს სახლემწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფრერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯამრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ღონისძიებების დაფინანსებას, კერძოდ:

- ✓ გადამდებ-არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება.
- ✓ ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორებზე მონიტორინგი და მყისიერი რეაგირება საგანგებო სიტუაციების დროს, კოორდინაცია ცენტრალურ სტრუქტურებთან.
- ✓ გარემოს, შრომის ,სასმელი წყლის, საკვების უსაფრთხოების დაცვის ხელშეწყობა.
- ✓ ჯანმრთელობის განმტკიცება ჯანმრთელობაში უთანასწორობისა და სოციალურ დეტერმინანტებზე ზემოქმედების განხორციელების გზით.
- ✓ დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა.

- ✓ მოსახლეობის, თემის წარმომადგენლების, ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების ორგანიზება და გაძღოლა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებში.
- ✓ პროფესიული ადამიანური რესურსების განვითარება , მოტივირება ად შენარჩუნება.
- ✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციურ -სტრუქტურული სრულყოფა, ადეკვატური დაფინანსების მიღწევა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სერვისებსა და პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

- **ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სოციალური პროგრამა**

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (არანაკლებ ექვსი თვისა) მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სოციალური პროგრამა (შემდგომში - პროგრამა) განსაზღვრავს ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის (შემდგომში - მუნიციპალიტეტი) ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობისათვის, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები დროებით რეგისტრირებული დევნილი მოსახლეობისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსების ოდენობასა და გაცემის წესს.

პროგრამის მიზანია იმ სამედიცინო მომსახურების დაფინანსება, რომელიც არ ფინანსდება სახელმწიფო პროგრამებით ან/და კერძო სადაზღვევო კომპანიების მიერ. აგრეთვე მომსახურების იმ ნაწილის დაფინანსება, რაც ნაწილობრივ ფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვისა და სხვა სახის დაზღვევით.

- **ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სოციალური დაცვის პროგრამა**

პროგრამის მიზნებია ეკონომიკურად შეჭირვებულ მოქალაქეთა სოციალური დაცვა; ახალშობილთა, მრავალშვილიანი, მარჩენალდაკარგული ოჯახების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ვეტერანთა, ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების, 90 წლის და ზემოთ ასაკის მქონე მოქალაქეების, მზრუნველობამოკლებული, მიუსაფარი ბავშვების სოციალური დაცვა და ფინანსური დახმარება; უკიდურესად გაჭირვებული, უსახლკარო ოჯახების და მოსახლეობის ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფა; სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საშეშე მერქნით დახმარება.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოვლა–შენახვა და შემდგომი გაუმჯობესება. დაფინანსდება აგრეთვე მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯებიც.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება**

მუნიციპალიტეტში სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის, ამიტომ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ–ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საავტომობილო გზების, ხიდების და ბოგირების მშენებლობის აუცილებლობა. დაგეგმილია მომავალ წლებში სასოფლო და საუბნო გზების მოვლა-შენახვის დაფინანსება. ზამთარში დიდთოვლობის დროს მაღალმთიან სოფლებში ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილებისათვის თოვლის საფარისაგან გზების გაწმენდა.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არასაცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების, სანიაღვრე სისტემისა და მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება. 2016 წლისათვის იგეგმება სოფლების წყალმომარაგების სისტემების

სრულყოფა, ამ მიზნით გათვალისწინებულია წყალსადენების ახალი ქსელებისა და ძველი სისტემების სარეაბილიტაციო სამშენებლო სამუშაოები.

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ და სკოლისგარეშე განათლებას. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 12 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 100-ზე მეტი ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში იფუნქციონირებს 13 საბავშვო ბაღი 150 აღსაზრდელით, რომლებიც დაფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასები და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯები.

კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის მიზანია კულტურული ტრადიციების დაცვა და ღირსეულ გაგრძელება, ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული სექციების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მოსწავლე–ახალგაზრდობას ჰქონდეთ შესაძლებლობა სპორტული ვარჯიშის განხორციელებისა თანამედროვე სპორტულ მოედნებზე.

2016 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული მეცადინეობები სპორტის სხვადასხვა სახეობებში. დაფინანსდება პროგრამით გაწერილი ფეხბურთის კლუბი „რაჭა“.დაფინანსებული იქნება როგორც სასპორტო სკოლის ადმინისტრაცია ასევე მწვრთვნელები, ასევე დაფინანსდება სპორტული შეჯიბრების ორგანიზების ხარჯები.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვისა და ღისეული გაგრძელების პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება კულტურული ღონისძიებები კერძოდ: სადღესასწაულო, გასართობი და სანახაობითი. 2016 წლის განმავლობაში დაფინანსდება კულტურის სახლთან არსებული ანსამბლები, ბიბლიოთეკები. პროგრამის ფარგლებში კვლავ გაგრძელდება საგამომცემლო საქმიანობის ფინანსური მხადაჭერა, მუნიციპალიტეტში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკური, კულტურული, სპორტული და მოსახლეობისათვის აქტუალური ინფორმაციების გასაშუქებლად.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძნობს მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას.

- **ჯანმრთელობის დაცვა**

ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯამრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე „საზოგადოებრივი ჯამრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ღონისძიებების დაფინანზსება, კერძოდ: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინენბების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; დაავადების გავრცელების ეტაპობრივი შემცირება, ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენა, მათზე სასწრაფო რეაგირება, და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციისა და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯამრთელობის დაცვის ხელშეწყობა. სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება (კერძო სექტორის გარდა); მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი;

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. კერძოდ: ლტოლვილთა და ომის ვეტერანთა სოციალური დახმარება. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ლტოლვილთა, მე-2 მსოფლიო ომის მონაწილეთა ერთჯერად დახმარებას და გარდაცვლილ ვეტერანის უკვდავყოფისათვის სარიტუალო მომსახურების ხარჯების დაფინანსებას 250 ლარის ოდენობით; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დახმარების პროგრამა. ქვეპროგრამის ფარგლებში ერთჯერადად დაფინანსდება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ყველა ახალშობილის ოჯახი (ახალშობილზე 400 ლარი, ხოლო მესამე და შემდგომ ბავშვზე 450 ლარი); სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა; სამედიცინო მომსახურეობის სოციალური პროგრამა.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო და კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ქალაქის ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია, დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ლენტეხის მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და ასფალტის საფარის ორმული შეკეთება, ხიდების და ბოგირების მშენებლობა. გაიწმინდება და მოეწყობა შიდა სასოფლო გზები, გზის დამცავი ძელყორის ჯებირები. სოფლებში საყდარში, რცხმელურში, ბაბილში, ხაჩეშში აშენდება მარტივი ტიპის ხიდ-ბოგირები. მნიშვნელოვანია საკურორტო ცენტრებთან, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან მისასვლელი გზების რეკონსტრუქცია და მოდერნიზება. ზამთარში დიდთოვლობის დროს მაღალმთიან სოფლებში ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელია თოვლის საფარისაგან გზების გაწმენდა.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

გათვალისწინებულია გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია. დაგეგმილია სათავე ნაგებობის მშენებლობა–რეაბილიტაცია, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის სასმელი წყლით 24 საათიან მომარაგებას. ხერგიანის ქუჩაზე არსებული სანიაღვრე კოლექტორი გაწინდება ნაშალი მასალებისაგან. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება. იგეგმება სკვერების რეაბილიტაცია და ფასადების შეღებვა.

განათლება

ლენტეხის მუნიციპალიტეტში 2016 წელს გაგრძელდება სკოლამდელი და დაწყებითი განათლების ხელშეწყობის ღონმისძიებების დაფინანსება.

ლენტეხის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 11 საბავშვო ბაღი, აქედან 1 ბაგა-ბაღი დაბის ტერიტორიაზე, 10-ბაღი ტერიტორიული ერთეულების 10 სოფელში, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 200-მდე აღსაზრდელი.

კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა სპორტის შემდგომი პოპულარიზაცია, მაღალი კლასის სპორტული რეზერვების მომზადება, ჯანსაღი მომავალი თაობის ჩამოყალიბება და სპორტული ობიექტების მშენებლობა.

მოსახლეობის კულტურული მიმართულებით გააქტიურებისათვის საჭიროა კულტურული და პატრიოტული ღონისძიებების დაფინანსება, რელიგიური და სხვა სახის საქმიანობის ხელშეწყობა.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

2016 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და ღონისძიებები. ჩატარდება საერთაშორისო, რესპუბლიკური და სამხარეო ტურნირები ჭიდაობის

ყველა სახეობაში, ახალგაზრდულ და ჭაბუკთა ასაკოვან ჯგუფებში; ასევე სამხარეო და რესპუბლიკური ტურნირები ფეხბურთში; სარაიონო ტურნირი ჭადრაკში და ტურისტური ლაშქრობები. ღონისძიებებში ჩაბმული იქნება მუნიციპალიტეტის 100–მდე ახალგაზრდა სპორტსმენი.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და სახელოვნებო ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა: ლენტეხის სახელოვნებო სკოლის ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სახელოვნებო სკოლა სადაც გაერთიანებულია მუსიკალური და სამხატვრო სკოლა. მუსიკალური სკოლაში განათლებას იღებს 35-მდე მოსწავლე. სამხატვრო სკოლაში თექის, კერამიკის და ხის მხატვრული დამუშავების განყოფილებებში დაკავებულია 40-მდე მოსწავლე; კულტურის ცენტრის დაფინანსება. რეაბილიტირებულ კულტურის ცენტრში მოქმედებს ქორეოგრაფიის წრეები, სადაც დაკავებულია 60 მოზარდი და რეპეტიციებს გადის ფოლკლორული ანსაბლი „ლაგუშედა“; მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში საგანმანათლებლო წრეებში (უცხო ენა, მათემატიკა და ა.შ.) დაკავებულია 180 ბავშვი.

პროგრამის ფარგლებში ფარგლებში გაგრძელდება, ასევე ლ. მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სუბსიდირება, რომელიც ცნობილია თავისი უნიკალური ექსპონატებით და ადგილობრივი ბიბლიოთეკების ხელშეწყობა.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური უზრუნველყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში.

- **ჯანმრთელობის დაცვა**

მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები; იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელების ხელშეწყობა, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა; იმუნოპროფილაქტიკის ლოგისტიკის უზრუნველყოფა; პარაზიტული დავადებების ეპიდკვლევა, დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა;

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენების შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ერთჯერადი დახმარება (თითოეულ ბენეფიციარზე 150 ლარის ოდენობით); მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანებისა და საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის ბრძოლაში დაინვალიდებულ პირთა სოციალური დაცვა; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა: გათვალისწინებულია ბავშის დაბადებაზე ერთჯერადი დახმარება 100 ლარის, 4 ბავშვიან ოჯახზე ერთჯერადი დახმარება 200 ლარი, 5 და მეტ ბავშვიან ოჯახზე ყოველ თვეში თით ოეულ ბავშვზე გაიცემა დამხარება 10 ლარი; ხანძრისა და სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახების სოციალური დაცვა; ხანდაზმულთა სოციალური უზრუნველყოფა; მუნიციპალიტეტში მცხოვრები 80 წელს გადაცილებულ მოქალაქეთა მატერიალური დახმარება, თითოეულზე 100 ლარის ოდენობით.

ონის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

მუნიციპალიტეტში სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების დიდინაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის, ამიტომ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ–ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას

წარმოადგენს საავტომობილო გზების, ხიდების და ბოგირების მშენებლობის აუცილებლობა. დაგეგმილია მომავალ 2016 წელს ქალაქის გზების მთლიანი ასფალტირება, სამთისიდან მრავალძრის ეკლესიამდე და ზუდალი-შქმერის მიმართულებით გზის ბეტონი-ასფალტირების სამუშაო, სასოფლო გზების მოვლა რეაბილიტაცია, მნიშვნელოვანია საკურორტო ცენტრებთან, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან მისასვლელი გზების რეკონსტრუქცია და მოდერნიზება. ზამთარში დიდთოვლობის დროს მაღალმთიან სოფლებში ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელია თოვლის საფარისაგან გზების გაწმენდა.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება კეთილმოწყობის კუთხით სანიაღვრე არხების წმენდა-მოწყობა-რეაბილიტაცია, განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების რეაბილიტაცია და ტექნიკური მომსახურება. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება.

განათლება

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ერთი საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 105 ბავშვი და დაქვემდებარებაშია ერთი ალტერნატიული ჯგუფი სოფ. ღარში და უწერაში, ვგეგმავთ ასეთივე ჯგუფის შექმნას სოფ. ჭიორაში. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, რაციონალურ კვებას, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

მუნიციპალიტეტი ისევე როგორც გასულ წლებში 2016 წელსაც გააგრძელებს ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობას და მათი ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, კულტურული ტრადიციების დაცვას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენა.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა. 2016 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და ღონისძიებები. ტარდება საერთაშორისო, რესპუბლიკური და სამხარეო ტურნირები ჭიდაობის სხვადასხვა სახეობებში, ახალგაზრდებსა და ჭაბუკებში; ასევე სამხარეო და რესპუბლიკური ტურნირები ფეხბურთში; სარაიონო ტურნირი ჭადრაკში და ტურისტური ლაშქრობა. დაკავებულია მინიციპალიტეტის 115–მდე სპორტსმენი ჭიდაობის, ფეხბურთის და კალათბურთის წრეებზე, რომლის დაფინანსება მთლიანად ხდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. ააიპ სპორტულ სკოლას წარმატებები აქვს ჭიდაობის სხვადასხვა სახეობებში და ფეხბურთში, აღსაზრდელები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა საერთაშორისო და რესპუბლიკურ ტურნირებში, სადაც კარგი მიღწევებით გამოირჩევიან.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა და განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები: ონის სახელოვნებო სკოლის ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სახელოვნებო სკოლა სადაც გაერთიანებულია მუსიკალური და სამხატვრო სკოლა. მუსიკალური სკოლაში სწავლობს 26-მდე, ხოლო სამხატვრო სკოლაში -45-მდე მოსწავლე, ფუნქციონირებს თექის, კერამიკის და ხის მხატვრული დამუშავების განყოფილებები. აღსაზრდელებს მონაწილეობა აქვთ მიღებული სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენებზე; პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება კულტურის ცენტრი, სადაც განათლებას იღებს 115 ბავშვი. კულტურის ცენტრში მოქმედებს ქორეოგრაფიის და საესტრადო სიმღერის წრეები, თოჯინების თეატრი და ფოლკლორული ანსაბლი „რაჭა“, აგრეთვე გაგრძელდება ონის სამხარეო მუზეუმის და ბიბლიოთეკების

სუბსიდირება; მუნიციპალიტეტში წლის განმავლობაში ჩატარდება: სააღდგომო, ონელობისადმი მიძღვნილი, საახალწლო და სხვა ღონისძიებები.

- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. ონში სოფ. შქმერში წმინდა ელისე წინასწარმეტყველის სახელობის ტაძრის სარეაბილტაციო სამუშაოები.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. მუნიციპალიტეტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას.

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

ონის მუნიციპალიტეტში მოქმედებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარების სხვადასხვა პროგრამები, რომლის ფარგლებში პროგრამაში მონაწილე თითოეული პირი იღებს ერთჯერად ან ყოველთვიურ ფულად დახმარებას: მოქალაქეთა სტაციონალური მკურნალობის, ოპერაციისა და ლაბორატიულ-დიაგნოსტიკური გამოკვლევების ერთჯერადი ფულადი დახმარება (მაქსიმუმ 1000 ლარის ოდენობით); •არასაპერსიო ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის მიზნით ეწევა ერთჯერადი დახმარება 250 ლარის ოდენობით; • მრავალშვილიან ოჯახებზე სამი და მეტ შვილზე გაიცემა ერთჯერადი დახმარება სამ შვილზე 100 ლარი დაახლოებით 70 ოჯახზე; ოთხ შვილზე 150 ლარი დაახლოებით 10 ოჯახზე; ხუთ შვილზე 200 ლარი 2 ოჯახზე; ექვს შვილზე 250 ლარი; ერთჯერადი ფულადი დახმარება ოჯახებზე შვილის შეძენასთან დაკავშირებით 350 ლარის ოდენობით; ახალშობილ ბავშვზე და მეორე შვილზე ერთჯერადი დახმარება 400 ლარის ოდენობით;

ცაგერის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;

პრიორიტეტის ფარგლებში იგეგმება შემდეგი ღონისძიებების დაფინანსება:

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა.**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია. 2016 წელს იგეგმება ქ. ცაგერის ქუჩების ასფალტირება, ტროტუარებისა და ბორდიურების მოწყობა. პერიოდულად მოხდება სტიქიური და მეწყრული მოვლენებისაგან დაზიანებული გზების გაწმენდა ჩამონაშალი მასისაგან, ხოლო ზამთრის პერიოდში მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე გახორციელდება გზების თოვლწმენდა.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავებისა და სადარბაზოების კეთილმოწყობას, გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაციასა და ექსპლოატაციას; დასუფთავების ღონისძიებებს; წყლის და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციას;

- **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოების შესრულებას, გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება. მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის წინასაპროექტო კვლევა, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქის ტერიტორიის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის შემუშავება.

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და ერთ-ერთ

პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 14 საბავშვო ბაღი სადაც დაწყებით განათლებას იღებს 300 მეტი ბავშვი. იგეგმება მუნიციპალიტეტის ყველა საბავშვო ბაღში შიდა წყალგაყვანილობის სისტემების მოწესრიგება და მათი გამრიცხველიანება. 2016 წელს საბავშვო ბაღების კვების ბლოკებისათვის შეძენილი იქნება ჭურჭელი და ინვენტარი.

კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა სპორტული და კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცაგერის კომპლექსური–სასპორტო სკოლისა და საფეხბურთო კლუბი „ხვამლი“ს დაფინანსება., სპორტსმენებისათვის შეიქმნება შესაბამისი სავარჯიშო პირობები და მოხდება ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. 2016 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში სპორტის 9 სახეობაში გაიმართება რაიონული პირველობები ცაგერისა და ლაჯანის ზონებში: ქართულ ჭიდაობაში, ქალთა და ვაჟთა ფრენბურთში, კალათბურთში, მძლეოსნობაში, ფეხბურთში,მკლავჭიდში, ჭადრაკსა და შაშში. ასევე საქართველოს პირველობებზე წარსდგებიან სპორტსმენები სპორტის 8 სახეობაში. (ფეხბურთი, ქართული ჭიდაობა, ძიუდო, თავისუფალი ჭიდაობა, კალათბურთი, ფრენბურთი, ჭადრაკი). აღნიშნულ სახეობებში დასაქმებულია 18 მწვრთნელი. სულ სპორტულ სექციებში ვარჯიშობს 260-მდე ბავშვი.

კულტურის განვითარების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში გაგრძელდება კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, კერძოდ: ცაგერის კულტურის ცენტრის სუბსიდირება; მუზეუმისა და გალერეის ხელშეწყობა, რომლის მიზანია ცაგერის ისტორიული მუზეუმის და სურათების გალერეის დაფინანსება. მუზეუმი გამოირჩევა ქვეყანაში არსებულ მუზეუმებს შორის თავისი საინტერესო ექსპონატებით. მასში დაცულია ჩვ.წ.აღ.მდე შუა და გვიან ბრინჯაოს პერიოდის იარაღებისა და სამკაულების 10 000–მდე ნიმუში. მუსიკალური სკოლის დაფინანსება, სადაც 70 აღსაზრდელი ეტაპობრივად იღებს კლასიკურ მუსიკალურ განათლებას; სამხატვრო სკოლის დაფინანსება; ბიბლიოთეკების დაფინანსება; მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ხელშეწყობა. სახლში ფუნქციონირებს 22 წრე, რომელშიც ჩაბმულია 220 მოსწავლე სხვადასხვა საგანმანათლებლო წრეებში (მხატვრული კითხვა, სახალისო მათემატიკა, ზოგადი უნარები, ქიმია, ნორჩი ფიზიკოსი). რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტში წელიწადში ორჯერ, თებერვალსა და აგვისტოში, აღინიშნება მსოფლიო მართლმადიდებლურ სამყაროში ერთ–ერთი უდიდესი წმინდანის წმ. მაქსიმე აღმსარებლის დღესასწაული, რომელიც დაკრძალულია ცაგერში და იგეგმება ამ დღესასწაულის ორგანიზების ხარჯების დაფარვა.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის სფერო. იგი დაფუძნებულია ბენეფიციართა მიზნობრივ დახმარებებზე. დაგეგმილი ღონისძიებები უზრუნველყოფენენ მის შემდგომ განხორციელებას არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

პროგრამა ითვალისწინებს „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; ჯანმრთელობისათვის

მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება; მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების გაუვნებელყოფის ღონისძიებები;

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. ამ ღონისძიებების ფარგლებში იგეგმება: სარიტუალო მომსახურება, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა, მეორე მსოფლიო ომის და ავღანეთის ომის მონაწილეთა გარდაცვალების და იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო მომსახურება 200 ლარის ოდენობით. ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა. ამ მიზნით დაგეგმილია შემდეგი სახის დახმარება: პირველი და მეორე შვილის დაბადებისას – 200ლარი, მესამე შვილის დაბადებისას 300 ლარი, მეოთხე და შემდგომი შვილის დაბადებისას თანხა გაიზრდება 100 ლარის ოდენობით; ავადმყოფთა სოციალური დახმარება. დახმარება გაეწევა მძიმე ავადმყოფებს (ონკოლოგიური, თირკმლის დიალიზი) ერთჯერადად. თანხის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 400ლარს; მზრუნველობამოკლებულ და უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობისათვის ერთჯერადი კვებით მომსახურება 100 ბენეფიციარზე; მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება.